იმპერატორმა პავლე I რუსეთის ორდენთა რიცხვში 1797 წელს შეიტანა წმინდა ანას შლეზვიგ გოლშტინის ორდენი (დაარსებული 1735 წ. პეტრე I ქალიშვილის ანას საპატივსაცემად).

ხანმოკლე პერიოდით (1797-1817) რუსეთის იმპერიაში აღიარებული იყო წმინდა იოანე იერუსალიმელის მალტის ორდენი, რომელიც შემოიღო პავლე I.

1831 წლიდან რუსეთის იმპერიის ორდენების შემადგენლობაში შეყვანილ იქნა თეთრი არწივისა და წმინდა სტანისლავის პოლონური ორდენები.

1917 წლის ნოემბრამდე რუსეთის იმპერიაში არსებობდა რვა ორდენი: წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმინდა ეკატერინეს (ორი ხარისხის), წმ. გიორგის

(ოთხი ხარისხის), წმ. ალექსანდრე ნეველის, თეთრი არწივის, წმ. ვლადიმერის (ოთხი ხარისხის), წმ. ანას (ოთხი ხარისხის), წმ. სტანისლავის (სამი ხარისხის).

მნიშვნელობის მიხედვით ორდენები შემდეგი თანმიმდევრობით იყო განლაგებული: წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. ეკატერინეს, წმ. გიორგის I ხარისხის, წმ. ვლადიმერის I ხარისხის, წმ. ალექსანდრე ნეველის, თეთრი არწივის, წმ. გიორგის II ხარისხის, წმ. ვლადიმერის II ხარისხის, წმ. ანას I ხარისხის, წმ. სტანისლავის I ხარისხის, წმ. გიორგის III ხარისხის, წმ. ვლადიმერის III ხარისხის, წმ. გიორგის IV ხარისხის, წმ. ვლადიმერის IV ხარისხის, წმ. ანას II ხარისხის, წმ. სტანისლავის II ხარისხის, წმ. ანას III ხარისხის, წმ. სტანისლავის III ხარისხის, წმ. ანას IV ხარისხის.

პაველ I დროს (1796-1801) წმ. გიორგისა და წმ. ვლადიმერის ორდენებით დაჯილდოება არ ხდებოდა. როგორც კი ალექსანდრე I გახდა იმპერატორი, მან მაშინვე აღადგინა ეს ორდენები.

რუსეთის ყველა ორდენის უმაღლეს განმკარგულებლად ანუ გროსმაისტერად ითვლებოდა იმპერატორი (წმ. ეკატერინეს ორდენის ორდენმაისტერი იყო იმპერატორის მეუღლე).

წმ. გიორგისა და წმ. ვლადიმერის (ყველა ხარისხის), აგრეთვე წმ. ანასა და წმ. სტანისლავის (მხოლოდ პირველი ხარისხის) ორდენების კავალრებს ენიჭებოდათ თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული.

ორდენებით დაჯილდოება ხდებოდა ხარისხების თანმიმდევრობის დაცვით, დაბლიდან მაღლისაკენ, გარდა წმ. გიორგისა და წმ. ვლადიმერის ორდენებისა.

წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენით დაჯილდოებული 1797 წლიდან იმავედროულად ხდებოდა წმ. ალექსანდრე ნეველის, თეთრი არწივის (1831-დან), წმ. ანასა და წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის (1855-დან) ორდენების კავალერი.

არაქრისტიანული აღმსარებლობის პირებს ეძლეოდათ ორდენის ნიშნები, რომლებშიც წმინდანების გამოსახულებანი შეცვლილი იყო სახელმწიფო გერბით.

წმ. ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენებს განსაკუთრებულ შემთხვევაში ამკობდნენ აღმასებით, რაც განასახიერებდა ორდენის უმაღლეს ხარისხს.

ეკატერინე მეორემ წმ. გიორგისა და წმ. ვლადიმერის ორდენების კავალრებისათვის დააწესა ყოველწლიური პენსიები შესაბამისად: წმ. გიორგის – 38 400 რუბლი, წმ. ვლადიმერის – 24 000 რუბლი.

ერთი და იგივე ორდენით ჯილდოვდებოდნენ მხოლოდ ერთხელ.

(დაარსდა 1698 30.11)



წმ. ანდრია
პირველწოდებულის
ორდენის ნიშანი, ვარსკვლავი
(მოღვივებული ბრილიანტებით)
და ლენტე



განსაკუთრებული ჯილდო
პეტრე I მედალიონი მოღვივებული
ქვირფასი ქვევით. ატარებდნენ
ველზე ჩამოკიდებულს

წმინდა გიორგის ორდენი


(დაარსდა 1769 25.11)



წმ. გიორგის
I ხარისხის ორდენის
ვარსკვლავი, ჯვარი და
ლეტი




წმ. გიორგის II ხარისხის
ორდენის ვარსკვლავი და
ჯვარი




კოლექტიური ჯილდო
წმინდა გიორგის
ვერცხლის სტვირი



ოქროს ხმალი –
“გიორგის იარაღი”



წმ. გიორგის III და IV
ხარისხის ორდენი




ჯარისკაცთა წმინდა გიორგის ჯვრები ბავთით
I, II, III და IV ხარისხის (დაარსდა 1856)

წმინდა ვლადიმერის ორდენი

(დაარსდა 1782 22.09)



წმ. ვლადიმერის
I ხარისხის ორდენის
ვარსკვლავი, ნიშანი და
ლენტი



წმ. ვლადიმერის II
ხარისხის ორდენის
ვარსკვლავი და
ნიშანი




წმ. ვლადიმერის ორდენის
ვარსკვლავები XVIII-XX ს.
დასაწყისი



(დაარსდა 1725 21.05)



წმ. ალექსანდრე
ნეველის ორდენის
ვარსკვლავი, ნიშანი
და ლენტე



წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენის
ვარსკვლავები და ნიშნები
(XIX-XX ს. დასაწყისი)

წმინდა ანას ორდენი

(დაარსდა 1797 05.04)




წმ. ანას II ხარისხის
ორდენის ვარსკვლავი და
ნიშანი*



წმ. ანას I ხარისხის
ორდენის ვარსკვლავი,
ნიშანი და ლენტე



წმ. ანას III ხარისხის
ორდენი გვირგვინით და
სმდელებით



წმ. ანას IV ხარისხის
ორდენი ბავთით



წმ. ანას ორდენის
ვარსკვლავები



წმინდა სტანისლავის ორდენი

(პოლონური ორდენი, შტანისლია რუსეთის ორდენთა რიცხვში 1831 წ.)



წმ. სტანისლავის II ხარისხის ორდენის ვარსკვლავი და ნიშანი

წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენის ვარსკვლავი, ნიშანი და ლენტო



წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენის ვარსკვლავები და ნიშნები

თეთრი არწივის ორდენი

(პოლონური ორდენი, შეტანილია რუსეთის ორდენთა რიცხვში 1831 წ.)



თეთრი არწივის ორდენის ვარსკვლავი,
ნიშანი და ლენტე

წმ. იოანე იერუსალიმელის (მალტის) ორდენი

(შეტანილია რუსეთის ორდენთა რიცხვში 1797 წ.)

ჯ ვ რ ე ბ ი



“კავკასიის ომების
დაბთავრების 50 წლისთავი”
(დაარსდა 1909 წ.)

“კავკასიური
სამხაზურისათვის”
(დაარსდა 1864 წ.)

რუსეთის არმიის სამკარდა ნიშნები

(XIX ს. დამლევს - XX ს. დასაწყისი)




რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოთა სისტემაში შენარჩუნებულია მეფის დროინდელი წმინდა გიორგის სამხედრო ორდენი და წარჩინების ნიშანი – გიორგის ჯვარი, და საბჭოთა სამხედრო ჯილდოები – სუვოროვის, უშაკოვის, კუტუზოვის, ალექსანდრე ნეველისა და ნახიშოვის ორდენები, რომლებითაც დაჯილდოება მოხდება რუსეთის ფედერაციაზე თავდასხმის შემთხვევაში. შენარჩუნებულია მეფისდროინდელი ანდრია პირველწოდებულის ორდენი.



დასავლეთის მოხალისეთა არმიის სარდალმა გენერალმა პავლე ავალიშვილი-ბერმონდტმა დააარსა 1919 წ. 4 მარტს საკუთარი ორდენი, რომელიც წარმოადგენდა 51 მმ. მაღტის ჯვრის ფორმის შავი მინანქრით დაფარულ თეთრი ლითონის სამკერდე ნიშანს. ორდენი იყო ორხარისხიანი. სამხედრო პირები ღებულობდნენ ორდენს ხმლებით, სამოქალაქოები კი – მის გარეშე. ორდენს ატარებდნენ ყელზე ჩამოკიდებულს. რუსული და გერმანული ეროვნული ფერებისგან შემდგენილ ლენტზე.

ბერმონდტ-ავალოვის ორდენი (რუსული კორპუსის ჯვარი)



ორდენების ფორფიტა, XIX ს. ბოლო – XX ს. დასაწყისი



ყველა კავალერთა ორდენის ბეჭედი



წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის ბეჭედი

რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ემბლემათა ჯარების სახეობათა მიხედვით



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

1. გვარდიული არტილერია
2. ჯავშანნაწილები
3. გრენადერები
4. საარმიო მესანგრეთა ნაწილები
5. პაერსანაოსნო ნაწილები

6. მესანგრეთა ნაწილები
7. საარტილერიო პარკი
8. გრენადერთა არტილერია
9. სატელეგრაფო ნაწილები
10. ავიანაწილები

ინფანტერიის გენერლის
ალექსანდრე კონსტანტინეს ძე
ბაბრატიონ-იმერეთინსკის
რუსეთის იმპერიის ორდენები




წმ. გიორგის
III ხარისხის
(1877 29.11)



წმ. გიორგის
IV ხარისხის
(1877 29.11)



წმ. ალექსანდრე ნეველის (1885)



წმ. ვლადიმერის I ხარისხის (1896)
წმ. ვლადიმერის II ხარისხის (1878)
წმ. ვლადიმერის III ხარისხის (1871)



1837 - 1900



თეთრი არწივის
(1882)



წმ. სტახისლავის
I ხარისხის
(1873)



წმ. ანას
I ხარისხის
(1875)

აღმსანღრმე ბაბრათიონ-იმერეთისკის
სახლვარგარეთის ძვენების ორღენები



ღეოპოლდის, 1881
(ავსტრია-უნგრეთი)



ფრანც-იოსების
დიდი ჯვარი, 1873
(ავსტრია-უნგრეთი)



წმ. ალექსანდრეს
(ბულგარეთი)



დანებროგის
I ხარისხის, 1881
(დანია)



ოსმანის
I ხარისხის, 1881
(თურქეთი)



გვირგვინის
II ხარისხის, 1864
(პრუსია)



წითელი არწივის
I ხარისხის, 1888
(პრუსია)



წითელი არწივის
II ხარისხის, 1874
(პრუსია)



დამსახურებისათვის,
1879 (პრუსია)



რუმინეთის ვარსკვლავის
დიდი ჯვარი, 1899
(რუმინეთი)



მაცხოვრის
I ხარისხის, 1881
(საბერძნეთი)



საპატიო ღვგონის,
1878
(საფრანგეთი)



თეთრი სპილოს I
ხარისხის 1897, (საბაძი)



ტაკოვას, 1878
(სერბია)

მიღებული ჰქონდა იმპერატორების ალექსანდრე II (1878) და ნიკოლოზ II (1897, 1898) მადლობები, ხესეთისა და საზღვაგაგაეთის მისავალი მედალი.

* * *

ქადაქ ლოვერში (ბულგარეთი) დაღმეულია თეთი ობელისკი ნახნეით: 1878 წელს 22 აგვისტოს ქადაქი ლოვერი გაანთავისუფდა ხესეთის ჯახების ხაზმმა გენეჩაღ-ლეიკენანგის თავად ალექსანდრე იმეჩეგინსკის მეთაურობით. ქადაქის ეთ-ეთით ცენეჩაღი ქადა აჯახებს მის სახელს.

ინფანტერიის გენერლის
ბრიგადოლ დიმიტრის ძე
ორბელიანის
რუსეთის იმპერიის ორდენები



1804 - 1883



წმ. ანდრია
პირველწოდებულის
(იმპერატორმა ალექსანდრე II
პირადად გადასცა ეს ჯილდო
თბილისში 1872 წ.)



წმ. ალექსანდრე
ნეველის



წმ. გიორგის
IV ხარისხის



თეთრი არწივის



წმ. ვლადიმერის
I ხარისხის ხმლებით



წმ. ვლადიმერის II ხარისხის ხმლებით



წმ. ვლადიმერის
III ხარისხის ხმლებით



წმ. ანას
I ხარისხის



წმ. ანას
II ხარისხის
გვირგვინით



წმ. ვლადიმერის
IV ხარისხის ბაფთით



წმ. სტანისლავის I ხარისხის



წმ. სტანისლავის II ხარისხის



წმ. სტანისლავის III ხარისხის



ოქროს ხმალი მოღველი ბრილიანტებით და წარწერით „მამაცლობისათვის“ (1859)



ჯვარი „კავკასიაში სამსახურისათვის“



ოქროს ხმალი წარწერით „მამაცლობისათვის“ (1872)

ბრიტოლ ორბელიანის
სახლმშენებლის მემკვიდრის ორდენები



წითელი არწივის II ხარისხის (პრუსია)



ლომისა და მუხის (სპარსეთი, ირანი)



წმ. მერიკიისა და ლაზარუს დიდი ჯვარი (იტალია)



სპარსეთის შაჰის პორტრეტი ბრილიანტებით, გულზე სატარებლად (სპარსეთი, ირანი)

დაჯილდოებული იყო ხუთთისა და საზღვაოხაჯეთის მთავარი მედიით.



რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელი

1722 - 1917

(1910 წლის ძველი რანგთა ტაბელი)



კლასი	სამსედტო	ჩინები	სამოქალაქო ჩინები	მიმართვის თებმა
	სასმელეთო	საზღვრათ		
I	გენერალ-ფელდმარშალი	გენერალ-ადმირალი	სახელმწიფო კანცლერი	
II	ინტანცირების გენერალი კავალერიის გენერალი არტილერიის გენერალი ინჟინერ-გენერალი	ადმირალი	„დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი“	მაღალადმაცემულება
III	გენერალ-ლეიტენანტი	ვიცე-ადმირალი	„ტაინი სოვეტნიკი“	აღმაცემულება
IV	გენერალ-მაიორი	ჯანტო-ადმირალი	„დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ (შთამომავლობითი აზნაურობა)	
V			„სტატსკი სოვეტნიკი“	მაღალშობილება
VI	პოლკოვნიკი	I რანგის კაპიტანი	„კოლეჟსკი სოვეტნიკი“	მაღალკუთილშობილება
VII	პოდპოლკოვნიკი „ფლისკოვნი სცატშინა“	II რანგის კაპიტანი	„ნადვორნი სოვეტნიკი“	
VIII	კაპიტანი-ბოცმისცტი ფსაჟლი	კაპიტან-ლეიტენანტი	„კოლეჟსკი ასესორი“	
IX	შცამს-კაპიტანი შცამს-ბოცმისცტი პოდფსაჟლი	ლეიტენანტი	„ტიტულიარნი სოვეტნიკი“, (პირადი აზნაურობა)	კუთილშობილება
X	პორუჩიკი სოცნიკი	მიჩმანი	„კოლეჟსკი სეკრეტარი“	
XI				
XII	პოდპორუჩიკი კუტნეცი, სოტუქი		„გუბერნსკი სეკრეტარი“	
XIII				
XIV	პრავტორი (მშვიდობიანობის დრო- სათვის გაუქმებულია)		„კოლეჟსკი რეგისტრატორი“ (პირადი საბათო მოქალაქობა)	

შენიშვნა: რანგთა ტაბელი დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა.



რუსეთის იმპერიის



ენციკლოპედიური თარიღები და ფაქტები

1700 1920

- 1684 მოსკოვში ჩავიდა იმერეთის მეფე არჩილ II შვილებთან – ალექსანდრესთან და მამუკასთან ერთად. 12 წლის უფლისწული პეტრე და 10 წლის ბატონიშვილი ალექსანდრე განუყრელი მეგობრები, ძმადნაფიცები გახდნენ. გაუა დრო და პეტრე I მსოფლიოში აღიარებული ხელმწიფე გახდება, ალექსანდრე ბატონიშვილი კი – რუსეთის პირველი გენერალ-ფელდციოხმამისტერი, მეცნიერი და განმანათლებელი. ამ ორმა დიდმა პიროვნებამ ჩაუყარა საფუძველი სახელოვან ქართულ გენერალიტეტს, რომელიც დღეს ათასზე მეტ სახელს ითვლის.
- 1694-1705 პეტრე I ხელმძღვანელობით დასრულდა რუსეთის რეგულარული არმიის შექმნა. თავდაპირველად საველე არმია შედგებოდა 112000 მეომრისაგან. ჯარი ორგანიზაციულად იყოფოდა დივიზიებად და პოლკებად. იმავე წელს გაფორმდა რეკრუტში გაწვევა.
- 1698 30.11 პეტრე I დააწესა პირველი ჯილდო - წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი – რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო.
- 1700 19.05 პეტრე I ახალშემოდებული გენერალ-ფელდციოხმამისტერის წოდება პირველს მიანიჭა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის. ამ თარიღიდან იღებს სათავეს სახელოვანი ქართული გენერალიტეტი. გენერალ-ფელდციოხმამისტერის სამხედრო წოდება არსებობდა რუსეთში 1909 წლამდე. ამ პერიოდში ეს მაღალი ჩინი მიენიჭა მხოლოდ 13 გამოჩენილ მოღვაწეს.
- 1700 25.06 პეტრე I ბრძანებულებით ჩამოყალიბდა ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკი (1892-დან ქართველ გრენ. გენერალ კოტლიარევსკის სახელობის პოლკი), რომელმაც ფართოდ გაითქვა სახელი გმირული საქმეებით. იგი რუსეთის არმიის ერთ-ერთი უძველესი პოლკია. მონაწილეობდა ჩრდილოეთის ომში (1700-21), სპარსეთის ლაშქრობაში (1796), რუსეთ-ირანის (1826-28) და რუსეთ-თურქეთის (1828-29, 1877-78) ომებში. ყირიმის ომში (1853-56) გამოიჩინა თავი ქურუქ-დარასთან ბრძოლაში, კავკასიის ომში (1817-64) კი დაიპყრო ს. ლუნიბი (დაღესტანი) და ტყვედ ჩავიდა ლეგენდარული შამილი (1859). პოლკი დაჯილდოებული იყო გიორგის საპატიო წარწერებიანი საპოლკო დროშით და სხვა ჯილდოებით. პოლკი დაშალეს 1918 წელს.
- 1700 19.08 დაიწყო რუსეთ-შვედეთის ომი, რომლის მონაწილე გახლდათ პირველი ქართველი გენერალი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი. იგი რუსეთის არტილერიას მეთაურობდა, მის განკარგულებაში 200-მდე ქვემეხი იყო.
- 1700-1917 რუსეთის არმიაში რუსი ეროვნების გენერლების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართველ გენერალთა კორპუსი იყო – მათი რაოდენობა 500-მდე გენერალს ითვლიდა. საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ყოველი მათგანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმამაცით, მხედართმთავრული ნიჭით, სამხედრო საქმის უბადლო ცოდნით, სარგებლობდა დამსახურებული სიყვარულითა და ავტორიტეტით.



- 1703 პეტრე I ბრძანებულებით ჩამოყალიბდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი, რომელიც მონაწილეობდა რუსეთის ყველა ომში. 1783 წ. პოლკი გადმოიყვანეს კავკასიაში, სადაც მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1826-29 წლების კამპანიაში, 1853-56 წლების აღმოსავლეთის ომში. ამ პოლკში მსახურობდა არაერთი ქართველი გენერალი.
- 1703 27.05 პეტრე I საფუძველი ჩაუყარა ქალაქს, რომელსაც წმინდა მოციქულ პეტრეს პატივსაცემად სანკტ-პეტერბურგი უწოდა – წმინდა პეტრეს ქალაქი. ამ ქალაქმა მომავალში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ, სამხედრო, სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. არაერთმა ქართველმა გენერალმა დაუკავშირა თავისი ბედი სანკტ-პეტერბურგს, აქ მიიღეს სამხედრო განათლება, შეიქმნეს კარიერა...
- 1709 პეტრე I მოახდინა სახელმწიფო მმართველობის რეორგანიზაცია. რუსეთი დაიყო გუბერნიებად და პროვინციებად.
- 1711 02.03 დაწესდა სენატი. ომავე წელს რუსეთში შემოიღეს პაჟის წოდება.
- 1712 პეტრე I რუსეთის დედაქალაქი მოსკოვიდან სანკტ-პეტერბურგში გადაიტანა.
- 1713 პეტრე I დააარსა საზღვაო აკადემია.
- 1716 პეტრე I შემოიღო სამხედრო წესდება. ამ დროისათვის რეგულარული არმია შედგებოდა საველე, ადგილობრივი და რეგულარული ჯარებისაგან. შეიქმნა საველე შტაბი გენერალ-კვარტირმაისტერის მეთაურობით.
- 1720 07.11 დაიბადა ერეკლე II – „პატარა კახი“.
- 1721 პეტრე I რუსეთის სამეფო იმპერიად გამოაცხადა. ამიერიდან რუსეთის მეფე იწოდებოდა იმპერატორად.
- 1721-1722 ვახტანგ VI და პეტრე I შორის დამყარდა სამხედრო კავშირი.
- 1722 24.01 პეტრე I მიერ მიღებული რანგთა ტაბელით დაკანონდა სამხედრო ჩინების იერარქია. დადგენილი იყო 14 საკლასო ჩინი, რომელთაგან თითოეული შეესაბამებოდა გარკვეულ სამსახურებრივ თანამდებობას, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყებებში. მათი უმეტესობა არსებობდა 1917. 16.12-მდე.
- 1722 12.01 შემოღებულ იქნა გენერალ-პროკურორის თანამდებობა – რუსეთის იმპერიის მთავრობის უმაღლესი ჩინოვნიკი, სენატის თავი, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა სახელმწიფო აპარატის საქმიანობას. 1802 წლიდან გენერალ-პროკურორი იმავდროულად გახდა იუსტიციის მინისტრი.
- 1723 16.09 ბრიგადირ ლევაშოვს მიეცა “უმაღლესი ღრამოტა”, რათა ქართველები მასობრივად მიეღოთ რუსულ არმიაში. მაშინვე შეიქმნა პირველი ქართული კომანდები.
- 1724 რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოს დაცვა სამხრეთელი აგრესორებისაგან და ვახტანგ VI იძულებული გახდა მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს წასულიყო. მოსკოვში, პეტერბურგსა და უკრაინაში შეიქმნა ქართველთა მცირერიცხოვანი დასახლებანი.



- 1725 08.02 გარდაიცვალა მოსკოვის უკანასკნელი მეფე და რუსეთის პირველი იმპერატორი (28.01) პეტრე I დიდი (დ. 1672 30.05). რუსეთის სამეფო ტახტს იგი 1682-1725 წლებში ფლობდა.
- 1725 აპრილი დაარსდა ციხე-სიმაგრე და ქალაქი ყიზლარი, სადაც შეიქმნა ქართული კოლონია.
- 1735 20.05 დაიწყო ცნობილი “კავკასკაია ლინიას” – კავკასიის გამაგრებული ხაზის სიმაგრეთა სისტემის მშენებლობა, რომელიც 50 წელი გრძელდებოდა. კავკასიის ხაზი შედგებოდა ციხე-სიმაგრეებისა და სტანიცებისაგან (მოზლოკი, გროზნო, ვლადიკავკაზი, გეორგიევსკი, ეკატერინოგრადი და ა.შ.), რომელთა შორის 25–30 კმ. დაშორებით განლაგებული იყო ფორტები, ყოველ 3–5 კილომეტრზე – საგუშაგოები.
- 1738 25.03 შეიქმნა ქართველ ჰუსართა პოლკი. იმპერატორ ანას ბრძანებით ქართველ ჰუსარებს სამუდამო მფლობელობაში გადაეცათ მიწები და ყმა-გლეხების კომლები უკრაინაში: თავადებს-30, აზნაურებს -10 კარ-მიდამო. ქართველ ჰუსართა პოლკი არსებობდა 1769 წლამდე და შემდეგ მოსკოვის ლეგიონს შეუერთდა.
- 1744-1798 ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II მმართველობა, რომელმაც ფართოდ გაითქვა სახელი მამაცობითა და შეუდარებელი მხედართმთავრული ნიჭით. ცნობილია პრუსიის მონარქის ფრიდრიხ მეორის ისტორიული სიტყვები: “ევროპაში მე ვარ, აზიაში-მეფე ერეკლე”.
- 1759 სანკტ-პეტერბურგში შეიქმნა პაუთა კორპუსი. იგი პრივილეგირებული სამხედრო სასწავლებელი იყო და პაუებს დიდგვაროვანთა და გენერალთა შვილებიდან ამზადებდა.
- 1763 შეიქმნა რუსეთის არმიის გენერალური შტაბი.
- 1769 26.11 გენერალთა, ადმირალთა და ოფიცერთა წასახალისებლად რუსეთში დაწესდა უმაღლესი სამხედრო ჯილდო - წმ. გიორგის I, II, III და IV კლასის (ხარისხის) ორდენი.
- 1770 რუსი ჯარის პირველი გამოჩენა სამეგრელოში.
- 1774 01.01 მეფე ერეკლე II ხელმძღვანელობით დასრულდა ქართული რეგულარული ჯარის შექმნა. ჯარის შექმნას ერეკლე II შეუდგა 1762 წელს, როდესაც სამეფო დარბაზმა დაამტკიცა მისი ჩამოყალიბება. საქართველოში ამ დროისათვის არსებობდა შემდეგი სამხედრო ჩინები: სარდალი – მთავარსარდალი, სარკარდარი - სადროშოს სარდალი, მინბაში – არტილერიის სარდალი (ემორჩილებოდა უშუალოდ მეფეს), პუნსენბაში – ხუთასკაციანი რაზმის მეთაური, იუზბაში – ასკაციანი რაზმის მეთაური, ონბაში – ათმეთაური. თვით მეფე ითვლებოდა მთავარსარდალად. ომიანობის დროს ჯარში იწვევდნენ ყველა სამხედრო ვალდებულს. ხშირად კავკასიელ მთიელებსაც ქირაობდნენ.
- 1774 იმერეთი და გურია განთავისუფლდა თურქეთის ბატონობისაგან.
- 1775 რუსეთის იმპერიაში შემოღებულ იქნა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა.
- 1783 24.07 რუსეთის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში დაიღო რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ხელშეკრულება,



რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატი. საქართველო რუსეთის მფარველობაში მოექცა. რუსთა ჯარის ორი ბატალიონი შემოვიდა თბილისში.

- 1784 პეტერბურგში დაარსდა საქართველოს მუდმივმოქმედი საელჩო. ელჩად 17 წლის განმავლობაში (მის გაუქმებამდე) იყო სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე.
- 1784 საფუძველი ჩაეყარა ციხე-სიმაგრე “ვლადიკავკაზს”.
- 1790 იმპერატორ ეკატერინე II ბრძანებულებით, საქართველოს მეფის ერეკლე II პატივსაცემად მოიჭრა მედალი “რწმენა და ერთგულება”.
- 1795 08-11.09 სპარსეთის ჯარის შემოსევა საქართველოში ალა-მაჰმად-ხანის მეთაურობით. კრწანისის ბრძოლა, თბილისის ბოლო აოხრება.
- 1798 11.11 გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.
- 1798 გენერალი კნორინგი დაინიშნა „კავკასიის ხაზის“ ინსპექტორად.
- 1799 26.10 თბილისში შემოვიდა რუსეთის არმიის მე-17 ეგერთა პოლკი (885 მეომარი), რომელსაც დედაქალაქის გარეუბანში სიხარულით შეხვდა მეფე გიორგი XII თავისი ამალით.
- 1800 01.01 ამიერკავკასიაში ქართველები შეადგენდნენ - 43.0%; (1832წელს-38.4%, 1865- 35.6, 1886-30.7, 1897- 28.8).
- 1800 06.05 გარდაიცვალა გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი, მრავალი ქართველი გენერლისა და ოფიცრის აღმზრდელი.
- 1800 28.12 გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII, მისი შვილი დავითი დაინიშნა რეგენტად და საქართველოს მმართველად.
- 1801 01.01 რუსეთის არმია 446 000 კაცისაგან შედგებოდა.
- 1801 01.01 დაარსდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭო (დაიშალა 1917 წლის თებერვალში). მისი არსებობის მანძილზე ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქართველებიდან არჩეულები იყვნენ სახელგანთქმული გენერლები გრიგოლ ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, კოტე აფხაზი და სხვ.
- 1801 18.01 იმპერატორ პავლე I მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების თაობაზე.
- 1801 05.03 საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა.
- 1801 12.09 გამოიცა იმპერატორ ალექსანდრე I მანიფესტი საქართველოს უმაღლესი მთავრობის შექმნის შესახებ. გენერალი კ. კნორინგი დაინიშნა საქართველოს გუბერნატორად და მთავარსარდლად. მანიფესტი თბილისში გამოცხადდა 1802 12.04.
- 1801 12.09 შეიქმნა ცალკეული ქართული კორპუსი (არსებობდა 1820 11.10-მდე).



- 1802 08.05 შემოდებულ იქნა ქართლ-კახეთის, შემდგომში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის ინსტიტუტი. შემდგომში ამგვარი ინსტიტუტი შეიქმნა ქუთაისის გუბერნიაშიც. ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, ქართველი გენერლები ინიშნებოდნენ. თბილისის გუბერნიის ანუ აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა პირველი მარშალი იყო “დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი”, გენერალ-ადიუტანტი გარსევან ჭავჭავაძე. მან ამ პოსტზე სამი საარჩევნო ვადა, ანუ 9 წელი დაჰყო (1803-1812).
- 1802 08.09 რუსეთის იმპერიაში დაწესდა სამინისტროები და შეიქმნა მინისტრთა კომიტეტი.
- 1802 11.09 კავკასიის მთავარსარდლად და მთავარმართებლად დაინიშნა გენერალი პავლე ციციშვილი (ციციანოვი). თბილისში ჩამოვიდა 1803 წ.
- 1803 24.02 ახალ ვითარებაში გენერალმა პავლე ციციშვილმა (ციციანოვმა) პირველად შეკრიბა კახეთში ქართული მილიცია. 5000 მებრძოლს სათავეში გენერალი დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანი ედგა. მილიციას უწოდებდნენ ლაშქარს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისგან იყო შედგენილი. კავკასიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული მილიცია, რომელმაც თავი ისახელა ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობის დროს. 1855 წ. დასაწყისში კავკასიის ეროვნებათაგან შედგენილი რეგულარული ცხენოსანი და ქვეითი მილიციის ჯარი შეადგენდა 124 ასეულს 16 ათასი კაცის რაოდენობით.
- 1805 რუსეთის იმპერიის კანონით ქართველ თავადაზნაურთა ბავშვებს კადეტთა კორპუსში სწავლის უფლება მიეცა.
- 1807 დაწესდა წმ. გიორგის ორდენის წარჩინების ნიშანი, რომელსაც 1913 წლიდან “გიორგის ჯვარი” ეწოდა. ისიც, როგორც წმ. გიორგის ორდენი, ოთხი ხარისხისა იყო.
- 1810 01.01 დაწესდა სახელმწიფო საბჭო.
- 1811 რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.
- 1811 შეიქმნა იმერეთის გუბერნია.
- 1812 24.06 ნაპოლეონის 600 ათასიანმა არმიამ რუსეთის საზღვარი გადმოლახა. სამამულო ომის წინ რუსეთის არმიაში ირიცხებოდა 597 ათასი კაცი.
- 1812 26-28.08 სოფელ ბოროდინოსთან გაჩაღდა იმ დროისათვის ყველაზე დიდი ბრძოლა (ორივე მხრიდან 250 ათასზე მეტი მებრძოლი), რომელიც ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში, როდესაც თავს გამარჯვებულად მიიჩნევა ორივე მხარე. ამ ბრძოლაში დაიღუპა 47 ფრანგი და 23 რუსეთის გენერალი. ბრძოლაში მონაწილეობდა 13 ქართველი გენერალი: ძმები პეტრე და რომან ბაგრატიონები, ლევან და ვლადიმერ იაშვილები, ივანე და სიმონ ფანჩულიძეები, ივანე, ფილიპე და სპირიდონ ჯავახიშვილები, სიმონ განგებლიძე, ანტონ შალიკაშვილი, პავლე ბიბილური, ალექსანდრე ქუთაისოვი. პეტრე ბაგრატიონი სასიკვდილოდ დაიჭრა, ალექსანდრე ქუთაისოვი (კიკიანი) ბრძოლის ველზე დაიღუპა, ხოლო გენერალი პავლე ბიბილური ორივე თვალით დაბრმავდა.
- 1813 28.04 გარდაიცვალა 68 წლის გენერალ-ფელდმარშალი მიხეილ კუტუზოვი, მრავალი ქართველი გენერლისა და ოფიცრის აღმზრდელი.



- 1819 ქართველ მხედართმთავრებს ლ. მ. იაშვილს, ა. ს. შალიკაშვილს, ძმებს ი. დ. და ს. დ. ფანჩულიძეებს, რ. ი. ბაგრატიონს, ს. გ. განგებლიძეს და ს. ე. ჯავახიშვილს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავიანთი საზრიანობითა და მამაცობით ბოროდინოს ბრძოლაში, ნაპოლეონის წინააღმდეგ 1813-14 წლებში საზღვარგარეთ წარმოებულ ოპერაციებში და სხვა კამპანიებში, წილად ხვდათ უდიდესი პატივი – შესულიყვნენ (მ. ი. კუტუზოვთან, მ. ბ. ბარკლაი-დე-ტოლისთან, პ. ი. ბაგრატიონთან და რუსეთის სხვა ყველაზე გამოჩენილ მხედართმთავრებთან ერთად) სახელგანთქმულ “1812 წლის სამხედრო გალერეაში”. 1819 წელს ინგლისიდან სპეციალურად მოწვეული მხატვარ-პორტრეტისტის გეორგ დოუს შესანიშნავი მხატვრული ტილოები დღესაც ამშვენებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და პრესტიჟულ მუზეუმს – სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟს.
- 1819 საქართველოში დაასახლეს 500 ვირტემბერგელის (გერმანია) ოჯახი, ძირითადად ბორჩალოს მაზრაში. მათგან ათამდე პიროვნება გენერალი გახდა.
- 1820 11.10 ცალკეული ქართული კორპუსის ბაზაზე შეიქმნა კავკასიის ცალკეული კორპუსი (არსებობდა 1865 წლამდე).
- 1827 გამოიცა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II ბრძანებულება ქართველი თავადაზნაურობის უფლებათა და პრივილეგიათა გათანასწოების შესახებ რუს თავადაზნაურობასთან.
- 1831 27.04 აღმოსავლეთ საქართველოში ლეკთა თარეშის აღსაკვეთად პირველად კავკასიაში ქართული მილიციის ლაშქრიდან შეიქმნა I-ლი ქართული ქვეითი პოლკი 500 კაცის შემადგენლობით. მის პირველ მეთაურად დაინიშნა კავკასიის ჯარების მთავარსარდლის ადიუტანტი, შტაბს-როტმისტრი, 30 წლის თავადი – იესე ანდრონიკაშვილი, შემდგომში სახელგანთქმული გენერალი.
- 1832 20.12 ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.
- 1832 26.11 რუსეთის არმიის გენერალური შტაბის ოფიცრების მომზადებისთვის შეიქმნა სამხედრო აკადემია, რომელიც წარმატებით დაამთავრა ათობით ქართველმა გენერალმა (1855-1917 წლებში - ნიკოლოზის გენერალური შტაბის აკადემია).
- 1834 1834 წლამდე რუსულ არმიაში სამსახური ითვლებოდა სამუდამო მოვალეობად. 1834 წლიდან სამსახურის ვადა განისაზღვრა 20 წლით.
- 1834-1859 შამილის იმამატის პერიოდი დაღესტანსა და ჩეჩნეთში, სადაც მას ემორჩილებოდა 230 000 ოჯახი (1859 26.08 ქართველ გრენადერთა პოლკმა შტურმით აიღო შამილის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი – აული ღუნბი. შამილი ტყვედ ჩაბარდა).
- 1835 01.08 რუსეთის არმია, რეორგანიზაციის შემდეგ, იყოფოდა სახაზო, ადგილობრივ და დამხმარე ჯარებად.
- 1837 07.10 ნიკოლოზ I ჩამოსვლა თბილისში.
- 1844 27.12 კავკასიაში შეიქმნა სამეფისნაცვლო (ცენტრი – თბილისი). პირველ მეფისნაცვლად დაინიშნა ცნობილი მხედართმთავარი, გენერალ-ფელდმარშალი მიხეილ ვორონცოვი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 10 წელი იმსახურა.



- 1845 დაარსდა განსაკუთრებული საუწყებათაშორისო ორგანო—კავკასიის კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ: სამხედრო, ფინანსთა, სახელმწიფო ქონების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა მინისტრები, აგრეთვე ტახტის მემკვიდრე, ჟანდარმთა შეფი და მაღალი მოხელეები, კავკასიის კომიტეტი გაუქმდა 1882 წელს.
- 1846 შეიქმნა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ნაცვლად საქართველო-იმერეთის ოლქისა, რომელიც შექმნილი იყო 1840 წ.
- 1848 პირველი ქართული პოლკი, რომელიც 1831 წ. შეიქმნა, ხელფასით და მომარაგებით რეგულარული არმიის ნაწილს გაუთანაბრეს, სამსახურის ვადა კი 6 თვით განესაზღვრა.
- 1849 27.03 პირველ ქართულ პოლკს „დრუჟინა“ ეწოდა, მან თავი ისახელა კავკასიის ომებში და წმ. გიორგის დროშაც დაიმსახურა.
- 1853 01.01 რუსეთის არმიაში ირიცხებოდა 28 000 გენერალი და ოფიცერი, 911 000 ჯარისკაცი. ირეგულარულ ჯარში კი — 3 500 გენერალი და ოფიცერი, 250 000 ჯარისკაცი.
- 1853 04.11 ახალციხესთან ბრძოლაში გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა 5-ათასიანი რაზმით დაამარცხა ოსმალთა 20-ათასიანი ჯარი.
- 1853 19.11 ბაშკადიკლართან გენერალმა ვასილ ბებუთაშვილმა გაანადგურა ოსმალთა 33-ათასიანი კორპუსი, ხოლო 1854 24.07 კი — 60-ათასიანი კორპუსი კიურიკ-დარასთან.
- 1853-1856 ყირიმის (აღმოსავლეთის) ომის დროს ქართული მილიციის ცხენოსანთა და ქვეითთა 140 ასეული იბრძოდა რუსული არმიის მხარდამხარ. ამ პერიოდში შეიქმნა ქუთაისის ცხენოსანი პოლკი, გურიის ქვეითი მილიციის „დრუჟინა“ და ქართული დრუჟინა, რომლებიც რეგულარული ჯარის სახეობას წარმოადგენდნენ.
- 1854 18.04 შეიქმნა კავკასიის არმია, რომელშიც შევიდნენ: კავკასიის მე-7 ცალკეული ქვეითი, მე-2 ცალკეული კავალერიის, 1-ლი, მე-4, მე-5, მე-6 ქვეითი კორპუსები.
- 1854 მაისი ჩამოყალიბდა ცხენოსანთა პირველი ქართული რაზმი, რომელიც შემდგომში შევიდა გურიის რაზმის შემადგენლობაში. ამ რაზმის მეთაურად დაინიშნა სახელგანთქმული გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი.
- 1854 04.06 გურიის რაზმის უფროსმა გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მდ. ჩოლოქზე. 10-ათასიანი ჯარით მტრის 34-ათასიანი არმია გაანადგურა.
- 1856 18.08 ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და ჯარების სარდლის წოდების შემოღება.
- 1855 30.08 შეიქმნა მიხაილოვის საარტილერიო აკადემია.
- 1857 05.10 გენერალმა გრიგოლ დადიანმა შტურმით აიღო შამილის ძლიერი სტრატეგიული პუნქტი დაღესტანში — ბურთუნაი, სამხედრო ექსპედიციის უმთავრესი მიზანი მიღწეულ იქნა.



- 1857 06.12 კავკასიის კორპუსს ეწოდა კავკასიის არმია.
- 1859 21.05-04.07 მეფისნაცვლისა და კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოვალეობას ასრულებდა გენერალი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი.
- 1861 იმპერატორ ალექსანდრე II ჩამოსვლა ქუთაისში.
- 1862 03.02 თბილისში გაიხსნა სამხედრო სასწავლებელი.
- 1864 25.05 დამთავრდა რუსეთისათვის ყველაზე ხანგრძლივი კავკასიის 47-წლიანი ომი, რომლის შედეგადაც რუსეთმა დაიმორჩილა ჩრდილო კავკასია.
- 1865 06.08 იმპერატორმა ალექსანდრე II დაამტკიცა დებულება სამხედრო-საოლქო მმართველობის შესახებ, რომლის თანახმადაც შეიქმნა ათი ოლქი, მათ შორის კავკასიის სამხედრო ოლქი. მის სათავეში მთავარსარდალი იდგა, რომელიც ერთდროულად კავკასიის კაზაკთა ჯარების ატამანიც იყო. ოლქში შედიოდა: სამხედრო-საოლქო საბჭო, საოლქო შტაბი, საოლქო-საინტენდანტო სამმართველო, საოლქო-საარტილერიო სამმართველო, საოლქო-საინჟინრო სამმართველო, საოლქო სამხედრო-სამედიცინო სამმართველო, აგრეთვე კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო და საოლქო-სამხედრო პროკურატურა.
- 1865 01.09 თბილისში დაარსდა ქვეითთა იუნკერების სასწავლებელი (200 კაცზე).
- 1865 11.09 სენატის ბრძანებულებით ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონს, როგორც იმერეთის მეფეთა ბაგრატიონთა შთამომავალს, უგანათლებულესი თავადის ტიტული და იმერტინსკის წოდება უბოძეს.
- 1866 28.10 გაუქმდა თბილისის გენერალ-გუბერნატორობა.
- 1867 შემოღებულ იქნა სამხედრო სასამართლოს წესდება და მაშინვე გატარდა სამხედრო სასამართლოს რეფორმა. რუსეთის არმიაში სამხედრო სასამართლო ორგანოებში გენერალ-აუდიტორის ნაცვლად შემოიღეს მთავარი სამხედრო პროკურორის თანამდებობა.
- 1867 შეიქმნა რუსეთის იმპერიის სამხედრო-იურიდიული აკადემია.
- 1867 04.01 რუსეთის იმპერიის მთავრობამ და სენატმა სახელობითი ბრძანებულებით საბოლოოდ დაადგინეს სამეგრელოს მთავრის მაიორატი. სამეგრელოში დამკვიდრდა რუსული მმართველობა. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1853-1856) იყო ბრწყინვალე თავადი ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე დადიანი, 1881 წლიდან გენერალ-მაიორი.
- 1867 17.04 გაუქმდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორობა.
- 1867 04.07 საიმპერიო სენატის ბრძანებულება დადიანისათვის ბრწყინვალე თავადის „მინგრელსკის“ წოდების მინიჭების თაობაზე, მიმართვით „მისი უდიდებულესობა“.
- 1869 გარდაიცვალა ცნობილი მხედართუფროსი, ჩოლოკის (1854 04.07) ბრძოლის გმირი, ვიორგის კავალერი, პოლკოვნიკი (1854) ვიორგი ჯანდიერი – ქართული ცხენოსანი ლაშქრის მეთაური. განსაკუთრებული მამაცობისათვის მას „დროშა-ვიორგი“ უწოდეს.



- 1871 20.09 იმპერატორ ალექსანდრე II ჩამოსვლა თბილისში, 27.09 კი – ქუთაისში.
- 1874 13.01 რუსეთში მიიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის ახალი წესდება, რომლის თანახმად სამხედრო სამსახური უნდა გაეწეოთ ყველა მამაკაცს 21 წლის შესრულებისას. ვადა განისაზღვრებოდა 6 წლით, რის შემდეგაც ჯარისკაცი ჩაირიცხებოდა თადარიგში 9 წლის ვადით, ფლოტში კი ეს ვადები შეადგენდა შესაბამისად 3 და 7 წელს. სამხედრო ვალდებულება არ იყო საყოველთაო. იგი არ ვრცელდებოდა კავკასიის, შუა აზიის ხალხებსა და ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებზე. სურვილის მიხედვით მათ ეძლეოდათ უფლება ემსახურათ თავიანთ სამშობლოში სამსახურის შემცირებული ვადით - 3 წლით.
- 1876 01.07 რუსეთის არმიაში შექმნილი იყო 47 ქვეითი დივიზია, 47 საარტ. ბრიგადა, 10 საკავ. დივიზია.
- 1877 24.04 დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ამ დროისათვის კავკასიის მილიციის (ცხენოსანი და ქვეითი) ლაშქარმა შეადგინა 40 000 კაცზე მეტი. ეს რიცხვი თითქმის ტოლი იყო მოქმედი კორპუსის ჯარების რიცხვისა. საქართველოზე მოდიოდა კავკასიის მილიციის რაოდენობის ნახევარზე მეტი. ომის პერიოდში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქართულმა დრუჟინამ, რომელმაც ადრე კავკასიის ომში (1817-1864) წმ. გიორგის დროშა დაიმსახურა. ამჟამად მიიღო ვერცხლის საყვირი წარწერით “1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის”.
- 1877 23.08 ლოვეჩის (ბულგარეთი) მეორედ აღება. გენერალ ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბავრატონ-იმერეტინსკიმ ერთ დღეში დაიმსახურა წმ. გიორგის ორი ორდენი(!).
- 1878 04.04 კავკასიაში განლაგებული ჯარები კავკასიის ცალკეული კორპუსის ნაცვლად ამიერიდან კავკასიის არმიად იწოდებოდა, რომლის შემადგენ. უკვე 200 ათასზე მეტ მეომარს ითვლიდა.
- 1878 14.04 ბრძოლებში სახელგანთქმული გურიის ფეხოსანთა I-ლი დრუჟინა დაჯილდოვდა წმინდა გიორგის დროშით, რაც თვით რუსული სამხედრო ქვედანაყოფებისთვისაც კი ძნელად მოსაპოვებელი იყო.
- 1878 25.08 აჭარის განმათავისუფლებელი რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარები ბათუმში შევიდნენ. აჭარა, რომელიც საუკუნეების მანძილზე თურქთა უღელქვეშ იმყოფებოდა, დედასამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა.
- 1878 შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელიც რუსეთმა შემოიერთა ბერლინში 1878 13.07 დადებული ზავის შედეგად (ბათუმის, ართვინის და აჭარის ოკრუგები). ოლქს სათავეში ედგა ბათუმის სამხედრო გუბერნატორი. 1883-1903 წლებში ბათუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში. ბათუმის ოლქში ცხოვრობდა: 1897 წ. 144,6 ათასი, ხოლო 1915 წ. – 84,6 ათასი კაცი. მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო რუსეთის ცარიზმის არასწორი ეროვნული პილიტიკით, რის შედეგადაც ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილები.
- 1878 16.10 ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა სამხრეთ საქართველოს დელეგაცია გამოჩენილი პატრიოტის გენერალ შერიფ-ბეგის ხიმშიაშვილის მეთაურობით. თბილისის მას დიდი ზემოთ შეხვდა.
- 1880 დაწესდა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობა.



- 1880 კავკასიის სამხედრო ოლქში შეიქმნა სამხედრო-ისტორიული განყოფილება, 1888 წ. კი მის ბაზაზე – სამხედრო-ისტორიული მუზეუმი თბილისში (“დიდების ტაძარი”).
- 1882 ახალი ადმინისტრაციული წყობის შემოღებასთან დაკავშირებით კავკასიაში გაუქმდა მეფისნაცვლობა და შემოღებულ იქნა მთავარმმართველის თანამდებობა.
- 1883 21.03 გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი, ინჟანტერიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი. „ივერია“ იუწყებოდა: „აღარ არის კაცი, ასე ცხოველად რომ უყვარდა თავისი ერი და სამშობლო...“, ხოლო რუსეთის ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „ამ დღეებში თბილისში გარდაიცვალა ერთ-ერთი უპატიოსნესი და უწმინდესი კაცი არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი რუსეთისათვის“.
- 1887 ქართული მილიციის ფორმირება ამ პერიოდისათვის შეწყდა და საერთოდ გაუქმდა.
- 1901 01.01 რუსეთში იყო 12 სამხ. ოლქი: პეტერბურგის, მოსკოვის, ფინეთის, ვილენის, ვარშავის, კიევის, ოდესის, ყაზანის, თურქესტანის, ციმბირის, ზღვისპირეთის, კავკასიის, 81 გუბერნია და 20 ოლქი.
- 1905 01.07 რუსეთის არმიის დივიზია შედგებოდა 18000 კაცისგან.
- 1906 26.03 “სამეგრელოს პოლკის“ აჯანყება თბილისში.
- 1907 11.02 თბილისში გაიხსნა კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი – დიდების ტაძარი (დღევანდელი სურათების სახ. გალერეა), რომელიც დაარსდა ჯერ კიდევ 1888 წელს რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებასთან დაკავშირებით. მუზეუმში შეგროვილი იყო უნიკალური და მრავალფეროვანი კოლექცია, მათ შორის ქართველი გენერლების მხატვრული ტილოები, ფოტოლოკუმენტები და ა. შ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუზეუმი დაიშალა და მისი დიდი ნაწილი საქართველოდან გაიზიდა. დანარჩენი კი განადგურდა, დაიკარგა. მსოფლიოში იშვიათად თუ მოიძებნება ქვეყანა და ერი, ასეთი სახელოვანი და უმდიდრესი სამხედრო ისტორია რომ გააჩნდეს, როგორც საქართველო და ქართული მხედრობაა. სამწუხაროა, რომ დღეს არ გვაქვს ასეთი მუზეუმი.
- 1908 09.03 ინჟანტერიის გენერალი გიორგი ყაზბეგი აირჩიეს საქართველოს წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ.
- 1913 01.07 დამტკიცდა რუსეთის იმპერიის ე.წ. „არმიის გაძლიერების დიდი სამხედრო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებდა 1917 წლისათვის არმიის თითქმის 40-პროცენტთან ზრდას და არტილერიის მნიშვნელოვან გაძლიერებას.
- 1914 01.08 დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ამ დროისათვის რუსეთის არმიაში ირიცხებოდა 2,5 მლნ. ომის დამთავრებისას კი – 5,5 მლნ. აღამიანი, ომში მონაწილე ქართველი მეომრების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა მონაცემები არსებობს: 100000-დან 400000-მდე (ჩვენი აზრით, უფრო რეალურია 130000 - 160000 მეომარი, ზუსტი ცნობები არ არსებობს). პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა 1918 18.11.
- 1914 20.10 შეიქმნა კავკასიის სამხედრო ფრონტი, მის სარდლად დაინიშნა კავკასიის არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, რომლის მოადგილედ იყო კავკასიის შტაბის უფროსი, ინჟანტერიის გენერალი ნ.ნ. იუდენიჩი.



- 1914 25.11 რუსეთის იმპერატორის უკანასკნელი ჩამოსვლა საქართველოში. ამ დღეს ნიკოლოზ II თავის მრავალრიცხოვან ამაღასთან ერთად თბილისს ესტუმრა.
- 1914–1918 პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე გმირულად იბრძოდა ორმოც ქართველ გენერალზე მეტი და ხუთიათასამდე ოფიცერი.
- 1914 დეკემბერი მოხდა ქართული ლეგიონის სამხედრო ნათლობა არტაანის (თურქეთი) ალების დროს. ლეგიონი დაიშალა 1917 წლის შემოდგომაზე.
- 1914–1915 წარმატებით განხორციელდა სარაყამიშის სამხედრო ოპერაცია, რის შედეგადაც თურქეთის მხარემ დიდი დამარცხება განიცადა, რამაც ააცილა საქართველოს მის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები და გადაიტანა ისინი თურქეთში.
- 22.12 19.01
- 1915 01.01 საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3 176 056 ადამიანს.
- 1915 დაწესდა წარჩინების პირველი ქართული ნიშანი – თამარ მეფის I, II და III ხარისხის ორდენი. საქართველოში ამ ორდენით დაჯილდოება 1918 წლის ბოლომდე გრძელდებოდა.
- 1915 15.12 ჩრდილოეთ ირანში შევიდა საექსპედიციო-საკავალერიო კორპუსი გენერალ ნიკოლოზ ბარათაშვილის მეთაურობით, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ირანის ომში მოსალოდნელი ჩართვის თავიდან აცილებაში.
- 1916 ჩვენი თანამემამულის, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლის, კავალერიის გენერლის ალექსი ბრუსილოვის მეთაურობით გარღვეული იქნა მოწინააღმდეგის პოზიციები. რუსეთის ჯარი შეიჭრა მტრის სიღრმეში 60–150 კმ. და მიაყენა მას უზარმაზარი ზარალი, მარტო ცოცხალი ძალის სახით განადგურდა 1,5 მლნ. მეომარი. მსოფლიოს ომების ისტორიაში გაბედული გარღვევის ეს ახალი ფორმა შევიდა როგორც ბრუსილოვის გარღვევა.
- 22.05-31.07
- 1917 01.01 რუსეთის არმიაში იყო შემდეგი სამხედრო წოდებები: სახმელეთო ჯარებში – პრაპორშჩიკი, პოდპორუჩიკი, პორუჩიკი, შტაბს-კაპიტანი, კაპიტანი, პოდპოლკოვნიკი, პოლკოვნიკი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, ინფანტერიის (კავალერიის, არტილერიის, ინჟინერიის) გენერალი ანუ სრული გენერალი, გენერალ-ფელდმარშალი. ფლოტში – მიჩმანი, ლეიტენანტი, მე-2 რანგის კაპიტანი, 1-ლი რანგის კაპიტანი, კონტრ-ადმირალი, ვიცე-ადმირალი, ადმირალი. იყო აგრეთვე ცალკეული სამხედრო წოდებები: კავალერიაში – შტაბს-როტმისტრი; კაზაკთა ჯარში – ხორუნჯი (შეესაბამება პოდპორუჩიკს და კორნეტს რეგულარულ არმიაში), სოტნიკი (შეესაბამება პორუჩიკს), პოდესაული (შეესაბამება შტაბს-კაპიტანს და შტაბს-როტმისტრს), ესაული (შეესაბამება კაპიტანს და როტმისტრს), ვოისკოვოი სტარშინა (შეესაბამება 1754–დან – მაიორს, 1885–დან – პოდპოლკოვნიკს).
- 1917 27.02 თებერვლის რევოლუცია. მეფის თვითმპყრობელობა დაემხო. სახელმწიფო სათათბიროს (12.03) მოთხოვნით და სახელმწიფო საბჭოს დასტურით ნიკოლოზ II „ნებაყოფლობით“ უარი თქვა სამეფო ტახტზე (2 მარტი) და იგი თავის ძმას, დიდ თავადს მიხეილ ალექსანდრეს ძეს გადაულოცა, რომელმაც უარი განაცხადა სამეფო ტახტის დაკავებაზე (3 მარტი). ამით დასრულდა რომანოვების 300-წლოვანი სამეფო დინასტიის არსებობა. შეიქმნა სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტი.



- 1917 28.02 საქართველოში ამოქმედდა ქართველ მხედართა კავშირი, მოსკოვში კი შეიქმნა ქართული მილიციის რაზმები.
- 1917 02.03 შეიქმნა რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა თავად გ.ე. ლვოვის თავმჯდომარეობით.
- 1917 02.03-25.10 ამ პერიოდში გენერლის წოდებას და ჯილდოებს ანიჭებდა რუსეთის დროებითი მთავრობა. (თავმჯდომარე გ. ლვოვი: 02.03-24.07, ა. კერენსკი: 24.07-25.10).
- 1917 16.03 დაიწყო ქართული კორპუსის ჩამოყალიბება: შეიქმნა ორი ქვეითი დივიზია და ერთი ცხენოსანთა ბრიგადა.
- 1917 14.10 რუსეთის კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის თანაშემწედ (მოადგილედ) დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1918 წლის 19 თებერვლამდე.
- 1918 24.01 (06.02) საბჭოთა რუსეთის დეკრეტი ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ 1918 წლის 14.02—დან.
- 1918 03.03 დაიღო ბრესტის ზავი გერმანიასთან. I მსოფლიო ომმა მოიცვა 38 სახელმწიფო. ადამიანთა საერთო ზარალი — 10-15 მლნ. კაცი (ზუსტი აღრიცხვა არ არსებობს).
- 1918 მაისი დაიშალა კავკასიის ფრონტი. ამ პერიოდისათვის რუსეთის ნახევარმილიონიანი არმია ღრმად იყო შეჭრილი თურქეთის ტერიტორიაზე და ამ რეგიონში საომარი მოქმედებისათვის უზარმაზარი ინფრასტრუქტურა არსებობდა.
- 1918-19 20 საბჭოთა რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ადამიანთა საერთო ზარალი — 5-8 მლნ. კაცი (ზუსტი აღრიცხვა არ არსებობს). სამოქალაქო ომით რუსეთის იმპერიას უკანასკნელი წერტილი დაესვა. ამ პერიოდში გენერლის წოდებას და ჯილდოებს თეთრი არმიის ოფიცრებს ანიჭებდა თეთრი მოძრაობის სარდლობა.



სხვადასხვა წყარო იუწყება, რომ ბერლინის ერთ-ერთ არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული იყო მედალი, რომელზეც ერთ მხარეს ფრიდრიხ II იყო ამოტვიფრული, მეორე მხარეს კი — ერეკლე II. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს “პატარა კახის” პოპულარობაზე.

* * *

ქართულ ეროვნულ ჯილდოთა დაწესების იდეა პირველად წამოაყენა გამოჩენილმა სარდალმა და მეცნიერმა იოანე ბაგრატიონმა /1768-1830/ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს. თუმცა ქართული ორდენების ტრადიცია 1915 წლიდან იღებს სათავეს. იოანე გიორგი XII-ს ძე საჭიროდ თვლიდა დაწესებულიყო შემდეგი ეროვნული ჯილდოები: წმ. ნინო კაბადოკიელის ორდენი (I და II ხარისხის), წმ. დავით აღმაშენებლის ორდენი (I, II, III), წმ. ქეთევან დედოფლის ორდენი (I, II), გიორგის მედალი, საპატიო ხმალი.



* * *

ქართული არტილერია რუსულ პრინციპებზე ყალიბდებოდა. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ხელნაწერი საარტილერიო საქმის შესახებ, რომლის ყდაზე ვკითხულობთ: "... მეორემან პატრონმან ირაკლიმ მიბრძანა რუსულის დასტურზედ არტილერიის გაკეთება საქართველოს კაცს გიორგი თარხანს... გავაკეთე, გავაწვეე ზარბაზნები, რომ რუსთაც დიდად მოსწონთ, ქართულეთა და კახთაც დიდად იმედი უჩანსო".

* * *

ქართული არტილერიის პირველ სარდლად ითვლება მინბაში თარხან გიორგი მოურავიშვილი – გიორგი ლუარსაბის ძე თარხნიშვილი (თარხან-მოურავი). იგი რუსეთში ცნობილი იყო, როგორც თავადი იგორ მოურავოვი. დაიბადა თავის საგვარეულო მამულში სოფ. ახალქალაქში, ახლანდელ კასპის რაიონში, დაახლოებით 1715 წელს (ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, გარდაიცვალა 1806 წელს. დაკრძალულია იქვე). როგორც თვითონ გიორგი, ისე მისი მამა ლუარსაბი და უფროსი ძმა თარხან იორამი (თბილისის მოურავი) გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ.

* * *

XIX ს. დამდეგამდე ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოს ჰყავდა მეტნაკლებად ორგანიზებული სამხედრო ძალა.

* * *

კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადგილობრივი მილიცია, რომლის სათავე ძველი ფეოდალური ლაშქარი იყო.

* * *

რუსეთის მფარველობაში ქვეშ შევიდნენ: ქართლ-კახეთი – 1801 18.01, სამეგრელო – 1803 02.12, იმერეთი – 1804, აფხაზეთი – 1810, გურია – 1811, საინგილო – 1830, სვანეთი – 1833, აჭარა – 1878 25.08.

* * *

რუსეთის იმპერიის დროს საქართველოში მეტად პოპულარული იყო თავადაზნაურთა შვილების სამხედრო სასწავლებელში აღზრდა. ქართველი ჭაბუკები ბავშვობიდან ეუფლებოდნენ მხედრულ ხელოვნებას და, როგორც წესი, ითვლებოდნენ მამაც, გამჭრიახ და გონებაბამხვილ მეომრებად. სამხედრო სამსახურში ყოფნა პრესტიჟისა და ღირსების საქმედ იყო მიჩნეული. რჩეულთა შორის რჩეულნი კი გენერლობასაც აღწევდნენ. ბაგრატიონთა დინასტიიდან გამოვიდა 30 გენერალი. მრავალი გენერალი ჰყავდათ ორბელიანების, დადიანების, ჭავჭავაძეების, ერისთავების, ანდრონიკაშვილების, თუმანიშვილების, გურიელების, მაყაშვილების, მიქელაძეებისა და ციციშვილების საგვარეულოებს. ბევრი მათგანი არმიაში 50 წელს და მეტ ხანს მსახურობდა, გაითქვა სახელი რუსეთსა და ევროპაში.

* * *

გენერალიტეტის მიმართ განსაკუთრებული მრისხანებით გამოირჩეოდა იმპერატორი პავლე I. რუსეთის იმპერიის სათავეში ყოფნისას მან არმიიდან გააძევა 7 ფელდმარშალი, 333 გენერალი, 2156 უფროსი ოფიცერი. ერთადერთი პოლკი, რომელსაც არ შეხებია პავლე I რისხვა, იყო პეტრე ბაგრატიონის პოლკი.

პავლე I ბრძანებით სასტიკად აწამეს და მოკლეს გამოჩენილი სამხედრო მოღვაწენი ძმები ნამჩევან-გრუზინსკები – ევგრაფი და პეტრე.

1810 11.03 ღამით პავლე I სხვა ორ თანამოაზრესთან ერთად მისივე საძინებელში მოკლა გენერალმა ვლადიმერ იაშვილმა და, შეიძლება ითქვას, ამით ბრწყინვალე სამხედრო მომავალს ხაზი გადაუსვა.

* * *

გენერალ-ფელდციოხმამისტერის წოდება (არტილერიის მთავარი უფროსი) თავის არსებობის პერიოდში (1700-1909) მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ 13 გამოჩენილ პირს: ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის – 19.05. 1700, ი.ვ. ბრიუსს – 1710, ფ. გინტერს – 1726, გრაფ ბ.ქ. მინიძს – 1729, ლ.ვ. გამბურგსკის – 1735, თავად ნ.ვ. რეპნინს – 1747, გრაფ პ.ი. შუვალოვს – 1756, ჰერცოგ ან. ვილბოას – 1762,



გრ. ა. ორლოვს – 1765, ბარონ ი.ი. მელერზაკომელსკის – 1784, გრაფ პ.ა. ზუბოვს – 1793. პავლე I გააუქმა ეს წოდება და შემოიღო არტილერიის გენერლის წოდება, რომელიც მანამდე არ არსებობდა. აღდგენილია 1798 წელს. უკანასკნელი გენერალ-ფელდციხმაისტერი იყო მისი აღმატებულება დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. მისი გარდაცვალების (1909) შემდეგ ეს წოდება არავისთვის მიუნიჭებიათ.

* * *

ინფანტერიის გენერალი, იმერეთის მეფის დავითის შვილიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იყო ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და გამორჩეული სამხედრო პირი რუსეთის იმპერიაში. 32 წლის ასაკში მას, გენერალური შტაბის აკადემია დამთავრებულს, მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ამასთანავე, იგი ჩაირიცხა იმპერატორ ალექსანდრე II ამაღლაში და დაინიშნა ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. მიიღო მონაწილეობა მრავალ ბრძოლაში. ბულგარეთში, ქ. ლოვეჩის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა მის სახელს ატარებს, ხოლო ქალაქის პარკში აღმართულ ობელისკზე ამოკვეთილია წარწერა: “1877 წლის 22 აგვისტოს ქალაქი ლოვეჩი გაათავისუფლა რაზმმა თავად ბაგრატიონ-იმერეტინსკის მეთაურობით”.

1881 წელს იგი დაინიშნა რუსეთის იმპერიის მთავარი სამხედრო სასამართლოს უფროსად და მთავარ სამხედრო პროკურორად. ამ თანამდებობებზე იმყოფებოდა II წლის მანძილზე.

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი არჩეული იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად (1892-96), შემდეგ კი დაინიშნა ვარშავის გენერალ-გუბერნატორად და ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლად (1897.01.01. - 1900. 18.11.).

* * *

პეტრე ბაგრატიონის მხედართმთავრულ სულზე, ნიჭსა და მიდრეკილებაზე მისი სამხედრო კარიერაც მეტყველებს: 17 წლის ასაკში (1782 21.02) გახდა სერჟანტი, 1792 17.02 – კაპიტანი, 1792 28.06 – სეკუნდ-მაიორი, 1793 21.11. – პრემიერ-მაიორი, 1794 16.04 - პოდპოლკოვნიკი, 1798 13.02 – პოლკოვნიკი, 1799 04.02 – გენერალ-მაიორი, 1805 08.11 – გენერალ-ლეიტენანტი და 1809 20.04. ინფანტერიის გენერალი, ანუ სრული გენერალი. მას მიღებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდო, მათ შორის წმ. გიორგის II ხარისხის ორდენი.

* * *

დიდი ქართველი პოეტი – რომანტიკოსის, სახელმწიფო საბჭოს წევრის, ინფანტერიის გენერლის, გენერალ-ადიუტანტის, გამოჩენილი სარდლისა და სახელმწიფო მოღვაწის გრიგოლ ორბელიანის მკერდს ამშვენებდა 15 რუსეთისა და 4 საზღვარგარეთის ორდენები, მრავალი სხვა ჯილდო.

გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვის დღეს კავკასიის არმიის სახელით დიდმა თავადმა მიხეილმა, რომელიც იმ დღეს ბორჯომიდან თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა, განაცხადა: “არავინ სარგებლობდა კავკასიაში ისეთი საყოველთაო და დამსახურებული ავტორიტეტით, როგორითაც გრიგოლ ორბელიანი...”

* * *

პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (დიდი პეტრე ბაგრატიონის ძმისშვილი) იყო ქართველ გენერალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული პიროვნება. მისი მეცნიერული მიღწევები ფიზიკასა და ქიმიამი უდიდესი მნიშვნელობისაა და დღესაც გამოიყენება პრაქტიკაში. მისი შექმნილია ციანიდის მეთოდი, რისი მეშვეობითაც ხდება მადნიდან კეთილშობილი ლითონების – ოქროს, ვერცხლის, პლატინის მიღება.

* * *

XIX საუკუნის გამოჩენილ გენერალთა უმერავლესობა, რომლებიც წარმოშობით კავკასიიდან იყვნენ ან აქ დაიწყო სამხედრო სამსახური, გრიგოლ ორბელიანის აღზრდილნი იყვნენ, მისი სამხედრო სკოლა ჰქონდათ გავლილი ან მისი შერჩეული იყვნენ დაწინაურებისას.

* * *

ბრწყინვალე თავადი, გენერალ-ლეიტენანტი ანდრია დადიანი-მინგრელსკი (ეკატერინე ჭავჭავაძის უმცროსი შვილი) ითვლებოდა თავისი დროის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ. სანკტ-პეტერბურგის პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, 1879 წელს მას საბუშაოდ ამწესებენ რუსეთის საელჩოში, რომში. ორი წლის შემდეგ



იგი უბრუნდება სამხედრო სამსახურს და მიუხედავად ამ სფეროში მოღვაწეობის დიდი დატვირთვისა, ჭადრაკი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად რჩება. ჭადრაკში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვილჰელმ სტიინიცი 1882 წელს ა. დადიანის თამაშს გენიალურად აღიარებდა. ლონდონის ყოველთვიურმა საჭადრაკო ჟურნალმა (1892 წლის ივნის-ივლისის ნომერი) ანდრია დადიანი მიიჩნია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე კულტურულ ადამიანად. იგი იყო საოცრად ერუდირებული, ყოველმხრივ განათლებული პიროვნება. ქართული და რუსული ენების გარდა თავისუფლად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ინგლისურ ენებს. 1890 წელს იგი დასახლდა კიევიში, სადაც აგრძელებდა სამხედრო სამსახურს. გარდაიცვალა იქვე 1910 13.06. მისი ნეშტი გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს გორდში, სამეგრელოს მთავართა საზაფხულო რეზიდენციაში.

* * *

რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი დიპლომატი იყო სერგი ლაზარეს ძე ლაშქარაშვილი (ბიბილური). მამამისმა ლაზარე გრიგოლის ძე ლაშქარაშვილ-ბიბილურმა რუსეთში გადასახლების შემდეგ გვარი რუსულ ყაიდაზე შეიცვალა და ლაშქაროვი გახდა.

სერგი იყო ქართველ გენერლებს შორის პირველი გენერალური კონსული. ამ მისიას იგი წარმატებით ასრულებდა დუნაის სამთავროში, მოლდავეთში, ბესარაბიაში, ვლახეთში. იყო რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის (1802 წლიდან – სამინისტროს) წევრი. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის იმ დროის თითქმის ყველა სამთავრობო მოლაპარაკებაში.

ს. ლაშქაროვი გარდა ქართული და რუსული ენებისა, თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად, იტალიურად, თურქულად, არაბულად, სპარსულად, ფლობდა ძველ და ახალ ბერძნულ, აგრეთვე სომხურ ენებს.

მას დიდად აფასებდა გენერალ-ფელდმარშალი პოტიომკინი, რომელმაც ეკატერინე II მიერ ნაჩუქარი ბრილიანტის ბეჭედი ს. ლაშქაროვს უბოძა საჩუქრად, ეკატერინე II კი კანცლერ-მრჩევლისა და გენერალ-ადიუტანტის წოდება მიანიჭა.

* * *

300 წლის მანძილზე ქართველი გენერლები წარმატებით მოღვაწეობდნენ სამხედრო დარგის ყველა სფეროში, მაგრამ განსაკუთრებით არტილერიაში გამოიჩინეს თავი. დავიწყით იქიდან, რომ პირველი ქართველი გენერალი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი რუსეთის არტილერიის, როგორც ჯარის სახეობის, შემქმნელად ითვლება. შემდგომში არტილერიაში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი გენერლები: ნიკოლოზ ამბერსაძე – რუსეთის არტილერიის ინსპექტორი (1799-1800), ბაქარ ბაგრატიონი – მოსკოვის ოლქის არტილერიის სარდალი (1727), არტილერიის უფროსები – ლევან იაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ივანე მუსხელიშვილი, ალექსანდრე ქუთაისოვი (კიკიანი), გიორგი ხიმშიაშვილი, ვიაჩესლავ მიქელაძე...

გენერალ-მაიორი ვ. მიქელაძე ჯერ კიდევ 1912 წ. აირჩიეს რუსეთის საარტილერიო კომიტეტის წევრად. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა სამხედრო სასწავლებელში, სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში. 1918 წლიდან ვ. მიქელაძეს დიდი თანამდებობები ეკავა წითელ არმიაში, აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას საარტილერიო აკადემიაში. გახდა სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ომის დროს, 1941 წელს, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ჩაირიცხა ლენინგრადის სახალხო ლაშქარში. გარდაიცვალა 1951 წ. დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში.

საბჭოთა პერიოდის გამოჩენილ ქართველ გენერალთაგან არტილერიაში წამყვანი თანამდებობები ეკავათ კონსტანტინე ლესელიძეს – 50-ე არმიის სარდალს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ირაკლი ჯორჯაძეს, გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის კათედრის გამგეს, გალაქტიონ ალფაიძეს – სარაკეტო ტექნიკის საგამოცდო პოლიგონის უფროსს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვიქტორ სულაქველიძეს – სამხედრო საარტილერიო აკადემიის კათედრის გამგეს და ა.შ.

* * *

ქართული გენერალიტეტის ისტორიაში გვხვდება არაერთი შემთხვევა, როცა ერთი ოჯახიდან რამდენიმე ძმა გენერალი იყო. მაგალითად, მეფე გიორგი XII ვაჟები – დავით, იოანე და მიხეილ ბაგრატიონები; ძმები ბიბილურები (ლაშქარაშვილი) – ალექსანდრე, გრიგოლი და პავლე, დადიანები – დავითი, გრიგოლი და კონსტანტინე, ლუმაძეები – ივანე, იოსები და ნიკოლოზი, შალიკაშვილები – იაკობი, სიმონი და ივანე.



* * *

გენერლები — ძმები იოსებ და კონსტანტინე დავითის ძე თარხან-მოურავები სხვადასხვა დროს მეთაურობდნენ გრენადერთა მე-14 ქართულ პოლკს, პირველი მათგანი — 1853-55 წლებში, ხოლო მეორე — 1855-58 წლებში. შემდგომში ორივეს ეკავა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა: იოსებს — სამხრეთ დაღესტანში, კონსტანტინეს — შემახსა და ბაქოში.

* * *

თავად ბიძინა რევაზის ძე ერისთავს ჰყავდა 13 შვილი — 9 ვაჟი და 4 ქალიშვილი. იგი მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც დააპატიმრეს. მისი მეუღლე იყო თავად ბიძინა მელიქიშვილის ასული თამარი. 9 ვაჟიდან, რომელთაგანაც ყველა რუსეთის არმიაში მსახურობდა, ორი გენერალი გახდა: გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზი, გენერალ-მაიორი მიხეილი.

* * *

გამოჩენილმა მხედართმთავარმა კონსტანტინე მამაცაშვილმა საბრძოლო ნათლობა 1839 წელს მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში. შამილთან ბრძოლების დროს იგი გენერალ-ადიუტანტ პ. გრაბეს ექსპედიციაში იმყოფებოდა. ეს ლაშქრობა საბრძოლო დიდებაზე მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმით, რომ აქ კონსტანტინე მამაცაშვილი გაეცნო და დაუახლოვდა მიხეილ ლერმონტოვს. დიდი რუსი პოეტი მამინ ტეგინის ქვეით ლეგიონში მსახურობდა და მამაცაშვილთან ერთად მონაწილეობდა პ. გრაბეს ექსპედიციაში. იგი სპეციალურ, ე.წ. პარტიზანულ რაზმს მეთაურობდა, რომელიც 40 რჩეული კაზაკისაგან შედგებოდა. ეს გმირული პერიოდი აღწერილია მ. ლერმონტოვის ნაწარმოებში “ვალერიკ”.

* * *

- 1918 25.05 საქართველოს მთავრობის მოლაპარაკების შედეგად ფოთში ჩამოვიდა 3000 გერმანელი ჯარისკაცი, რათა საქართველო ბოლშევიკებისაგან დაეცვა. იმავე თვის 30-ში თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დიპლომატიური მისია გრაფ ფონ დერ შულენბურგის მეთაურობით (დიდი სამამულო ომის დაწყებამდე იგი გერმანიის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში).
- 1918 26.05 ამიერკავკასიის სეიმის გაუქმების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (42 წევრი და 36 კანდიდატი) გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და შეიქმნა დროებითი მთავრობა ნოე რამიშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უზენაეს ხელმძღვანელად გამოაცხადეს საქართველოს პარლამენტი. სამხედრო მინისტრად დაინიშნა გრიგოლ გიორგაძე, მთავარსარდლად – გენერალი გიორგი კვინიტაძე.
- 1918 08.06 მთელი სიმწვავეთ დაისვა რეგულარული ქართული არმიის ჩამოყალიბების საკითხი. მისი ფორმირება შენელებული ტემპით წარიმართა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად ფინანსურმა ხელმოკლეობამაც განაპირობა. გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა მთავარსარდლის – გიორგი კვინიტაძის საგანგებო მოწოდება: „გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნის დასახმარებლად ყველა დაჯილდოებულმა ქართველმა გენერალმა თუ ოფიცერმა ორდენები სახელმწიფოს ოქროს ფონდს უნდა ჩააბაროს, გარდა წმ. გიორგის ორდენისა და გიორგის ჯვრისა“. თვითონ გიორგი კვინიტაძემ ამ მამულიშვილურ საქმეს შესწირა ყველა თავისი ორდენი.
- 1918 12.06 ჩატარდა სამხედრო მმართველობის რეორგანიზაცია. სამხედრო მინისტრის თანაშემწე (მოადგილე) იმავე დროს იყო მთავარსარდალი.
- 1918 18.06 ვერაგულად მოკლეს ამიერკავკასიის სამხედრო მინისტრი ვლადიმერ გობეჩია.



- 1918 19.06 საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოვლენილი მხედრული ნიჭის, ვაჟაკური შემართებისა და მამაცობისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის და შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის წარდგინებით, სამხედრო შტაბმა ასლან აბაშიძეს გენერლის წოდება მიანიჭა. ასლან აბაშიძე - აჭარის ეროვნული გმირი, პირველი და ერთადერთი გენერალია აჭარიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. იგი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მექედ აბაშიძის ძმა იყო.
- 1918 24.06 ამ დღეს მოსკოველ ქართველთ ნაციონალური კომიტეტის საზოგადო კრების თავმჯდომარემ შ. ლორთქიფანიძემ წერილი გამოუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს: „მოსკოვის ქართველთა კოლონიის საერთო კრება განუსაზღვრულ აღტაცებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამ დიდი მნიშვნელოვან ისტორიულ აქტს ფეხზე ადგომით ახლად გამზადებულ დროშის ქვეშ კრძალვითა და მოწიწებით მოისმინა აქაურმა ქართველობამ ერის განთავისუფლების დიდი ამბავი. გულმოდგინე, ერთსულოვანი ტაში საერთო ღრმა აღფრთოვანება უთუოდ მოწმე იყო იმისა, რომ ყოველი ქართველი მოსკოველი განუზრვლად რწმენისა და მიმართულებისა მზად არის თავის სიცოცხლეც კი მსხვერპლად დასდოს ერის ბედნიერებისა და მშვიდობიანობისათვის“.
- 1918 20.08 შეიქმნა საგანგებო სამხედრო სასამართლოები.
- 1918 20.08 შეიქმნა სასოფლო მილიცია.
- 1918 20.08 დაარსდა ქართული არმიის სამხედრო სკოლა, რომელიც ამზადებდა ოფიცრებს ქვეითთა მსროლელი ჯარის, საარტილერიო, კავალერიისა და საინჟინრო ტექნიკური ქვედანაყოფებისათვის. სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 2 წლის ვადით. მისაღები კონტინგენტის ასაკი იყო 18-25 წელი, აუცილებელი პირობა კი – საშუალო განათლება. სკოლის პირველ უფროსად დაინიშნა გენერალი ანდრია ბენაშვილი, მის თანაშემწედ – ალექსანდრე ჩხეიძე. შემდგომში ა. ბენაშვილი გადაყვანილ იქნა ქართული არმიის ტოპოგრაფიულ განყოფილების უფროსად და მის ნაცვლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე.
- 1918 20.08 მიღებულ იქნა კანონი “საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის შესახებ“, რომლითაც განსაზღვრული იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და შემადგენლობა. იმ დღესვე გამოცხადდა ქართული ჯარის ახალი შტატები (შემდგომში ამ სტრუქტურამ არაერთი ცვლილება განიცადა).
- 1918 21.08 გენერლის წოდებასთან დაკავშირებით მოგვეყვას ერთ-ერთი ბრძანების (№34) ამონაწერი: „ებოძა უაღრესი სამსახურისათვის გენერალ-მაიორის ხარისხი საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს – პოლკოვნიკ იოსებ როინიშვილს“. სამხედრო მინისტრი - გიორგაძე“.
- 1918 26.08 საქართველოს სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიორგაძის განკარგულებით ქართულ ჯარში ყველა სახის სამწყობრო ბრძანება უნდა წარმოთქმულიყო მხოლოდ ქართულ ენაზე. გარდა ამისა, შენობებზე, სადაც სამხედრო დაწესებულებები იყო განთავსებული, უნდა გამოკრულიყო მხოლოდ ქართულწარწერიანი აბრები.



- 1918 20.10 თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე, პარლამენტის წინ (დღევანდელი რუსთაველის პრ., მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) გაიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ოფიციალური პარადი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქვეითი ჯარის მე-4 და მე-5 პოლკები, ჰუსართა პოლკი, მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1-ლი ბატარეა, ქართულ-გერმანული ლეგიონი, მფრინავთა და საავტომობილო ასეულები, მესანგრეთა ასეული, სამორტირო დივიზიონის ნაწილები და სხვა. პარადს სარდლობდა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. პარადი მიიღო სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ. აღსანიშნავია, რომ ამ პარადს სხვა მოწვეულ საპატიო სტუმრებთან ერთად დაესწრო გრაფი ფონ ღერ შულენბურგი.
- 1918 31.10 პიატიგორსკში, სადაც განლაგდა მე-11 წითელი არმიის შტაბი, ბოლშევიკებმა დახვრიტეს ქართველი გენერლებისა და ოფიცრების დიდი ჯგუფი.
- 1918 04.12 ქართული ჯარი ახალციხეში შევიდა.
- 1918 08.12 სომხურმა საჯარისო ფორმირებებმა საქართველოს საზღვრები გადმოლახეს და მოულოდნელად თავს დაესხნენ სანაინის რაზმს. დაიწყო საქართველო-სომხეთის ომი. ამ ომში მოქმედი ქართული ლაშქრის სარდალი იყო გიორგი მაზნიაშვილი, მისი თანაშემწე – გენერალი გრიგოლ სუმბათაშვილი, შტაბის უფროსი – გიორგი კვინიტაძე, რომელიც იმავდროულად ახალციხეში მოქმედი ლაშქრის მთავარსარდალი იყო. იმავე წლის 31 დეკემბერს ომი საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.
- 1918 12.12 საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა სახალხო გვარდიის არსებობის წლისთავი. თბილისში პარადი მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, პარადს ხელმძღვანელობდა გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი. სახალხო გვარდიას მეთაურობდა მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვალიკო ჯუღელი.
- 1918 14.12 გერმანულმა ჯარმა დატოვა საქართველო. მათ შემდეგ შემოვიდა ინგლისური ჯარი, რომელიც აქ 1920 წლის ივლისამდე იყო. აჭარაში განლაგებული იყო 15 ათასი ინგლისური ჯარისკაცი.
- 1918 27.12 დამტკიცდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი, მთავრობის შტანდარტი, სამხედრო დროშა.
- 1918-1921 საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს (ქრონოლოგიის მიხედვით) რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, ბელგიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, პანამამ, ლუქსემბურგმა, გერმანიამ, ავსტრიამ, არგენტინამ, მექსიკამ, ჰაიტმა, თურქეთმა, სიამმა და ლიბერიამ.
- 1919 12.03 თბილისში გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, რომელმაც დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება. არჩეულ იქნა საქართველოს მთავრობა (21 მარტს) ნოე ჟორდანიას მეთაურობით. შეიქმნა სამხედრო, იურიდიული და სხვა კომისიები.
- გამოქვეყნებულ მასალებში ნათქვამია: „საქართველოს დამფუძნებელი კრება არჩეულია პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ. თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს



და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 28-ს, ნაშუადღევს 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს...“. ნოე რამიშვილი დაინიშნა ერთდროულად განათლების, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრად.

1919 01.08 ქართულ ჯარში დამტკიცდა ახალი შტატები.

1919-1920 გატარდა ქართული ჯარის რეორგანიზაცია. ამ პერიოდისთვის სამხედრო სამინისტროს ხაზით დაწესდა გენერლის 8 საშტატო ერთეული: გენერალურ შტაბში - გენერლის სამი ერთეული, ტოპოგრაფიულ განყოფილებაში - ერთი, სამხედრო სკოლაში - ერთი, საარმიო ქვეითი ბრიგადის სამმართველოში - ერთი, საინჟინრო-სატექნიკო ჯარში - ერთი და სანაპირო ჯარში - ერთი. „...ამ პერიოდში ჩინი ანუ სამხედრო წოდება სამხედრო მოსამსახურეს თანამდებობის მიხედვით ეძლეოდა. მაგალითად: პორუჩიკს თუ ლეგიონის უფროსად დანიშნავდნენ, მას ეწოდებოდა პოლკოვნიკი, მაგრამ, თუ რაიმე მიზეზით ამ თანამდებობიდან გადააყენებდნენ, ის კარგავდა ამ წოდებას და იღებდა იმ ჩინს, რომელიც შეეფერებოდა მის ახალ თანამდებობას. ამრიგად, ერთი და იგივე პირი მოკლე ხანში შეიძლება გამხდარიყო პორუჩიკი, პოლკოვნიკი, გენერალი ან პირიქით“ (გიორგი მაზნიაშვილი “მოვლებანი”, ბათუმი, 1990 წ.).

1919 შეიქმნა თავდაცვითი საბჭო დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით პრეზიდენტისა და იმავე დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას თაოსნობით. თავდაცვის საბჭოში შედიოდნენ: სამხედრო მინისტრი, მთავარსარდლად დანიშნული გენერალი, გენშტაბის უფროსი, სახალხო გვარდიის უფროსი, რამდენიმე ცნობილი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე.

1919 13.09 ავტომობილით მგზავრობის დროს ვერის დაღმართზე გენერლებზე ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ოდიშელიძეზე განხორციელდა ტერაქტი. რევოლუციონერმა ა. ელბაქიძემ და მისმა ამხანაგმა მათ ესროლეს ყუმბარა. აფეთქების შედეგად გენერალი ი. ოდიშელიძე მსუბუქად დაიჭრა და ერთი თვის შემდეგ დაუბრუნდა თავის საქმიანობას. გენერალი ნ. ბარათაშვილი კი მძიმედ დაიჭრა და დაკარგა ფეხი (ოპერაციის შემდეგ). ნახევარი წლის შემდეგ იგი მსახურობდა სამხრეთ რუსეთის მთავრობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველად. 1920 წლის დამლევს გაემგზავრა ემიგრაციაში. 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო რუსეთის სამხედრო ინვალიდთა საზღვარგარეთის საბჭოს თავმჯდომარე.

1920 27.01 საქართველოს მთავრობის დადგენილებით ქართველ ოფიცრებს აეკრძალათ თავიანთი გვარებისათვის რუსული დაბოლოების მიცემა.

1920 23.03 პირველად საქართველოში ბოლშევიკური რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) შეიქმნა სამხრეთ ოსეთში.

1920 07.05 საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. რუსეთმა იურიდიულად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს სამხედრო ატაშედ საბჭოთა რუსეთში დაინიშნა გენშტაბის პოლკოვნიკი ანტონ ნაცვლიშვილი.

1920 07.07 ინგლისელთა ჯარმა დატოვა აჭარა. ქართული ჯარი ბათუმში შევიდა.



- 1920 23.08 საქართველოს მთავრობამ შემოიღო ოფიცერთა და ჯარისკაცთა ტანსაცმლის ფორმის ტარების ახალი წესები (რესპუბლიკური არმია და გვარდია). თანამდებობათა გასარჩევი ნიშნები იყო გენერლისათვის: კუთხე კლაკნილი და ერთი ვარსკვლავი, სამხედრო მინისტრის ამხანაგისათვის, ლაშქრობის სარდლისა და სამხედრო საბჭოს წევრისათვის - კუთხე კლაკნილი (ვერცხლისა) და ორი ვარსკვლავი (ოქროსი), ფერადი ნაჭრები (პეტლიცები) ხალათის, ფრენჩისა და პალტოს საყელოებზე.
ოფიცრებსა და გენერლებს უფლება ეძლეოდათ სამსახურიდან თავისუფალ დროს სამოქალაქო ტანსაცმლის ეტარებინათ.
- 1920 20.10 საქართველოს სამხედრო სამინისტროს დაზვერვამ ხელში ჩაიგდო ბოლშევიკური საიდუმლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საქართველოს ლიკვიდაციას. თარიღი გეგმაში აღნიშნული არ იყო.
- 1921 12.01 შეიქმნა სასაზღვრო ჯარები.
- 1921 12.02 მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა ბორჩალოს მაზრიდან დაიწყეს საბრძოლო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.
ამ დროისათვის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანიას, სამხედრო მინისტრი - პარმენ (ნიკოლოზ) ჭიჭინაძე, მთავარსარდალი - გენერალი ილია ოდიშელიძე, გვარდიის სარდალი - ვალიკო ჯუღელი, შინაგან საქმეთა მინისტრი - ნოე რამიშვილი, საგანგებო რაზმის უფროსი - მელქისედექ (მექი) კელია.
- 1921 21.02 მიღებული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.
- 1921 22.02 თურქეთის მთავრობამ საქართველოს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა დაეტოვებინა არტაანისა და ართვინის რაიონები. ქართული ჯარი ასეთ რთულ ვითარებაში გამოყვანილი იქნა დაკავებული რაიონებიდან.
- 1921 24.02 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა და მთავრობამ გვიან ღამით დედაქალაქი დატოვეს. დამფუძნებელმა კრებამ ბათუმში მოგვიანებით (17 მარტს) ჩაატარა თავისი უკანასკნელი სხდომა, სადაც დაადგინა საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლა...
- 1921 25.02 საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიპყრო თბილისი. საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. ამ დროისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალები არ აღემატებოდა 25 ათას კაცს. რუსეთის წითელ არმიაში იყო 5,5 მლნ. ჯარისკაცი. საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. იმავე წელს ქვემო ქართლის ნაწილი, ლორე-ტაშირი სომხეთს მიაკუთვნეს, ისევე, როგორც საინგილო - აზერბაიჯანს.
- 1921 26.02 რევოლუციური კომიტეტის (რეკომი, შეიქმნა 1921 16.02) პირველი დეკრეტით დაიშალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და სახალხო გვარდია.
- 1921 04.03 აფხაზეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.
- 1921 11.03 ბათუმში შევიდა თურქთა ჯარი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის მოლაპარაკების შედეგად).



- 1921 17-18.03 ქ. ქუთაისში გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რწმუნებულ გრიგოლ ლორთქიფანიძესა და საქართველოს რევკომის რწმუნებულ მამია ორახელაშვილს შორის, სადაც გადაწყდა საომარი მოქმედებების შეწყვეტა.
- 1921 17-18.03 საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით ბათუმიდან გემით ემიგრაციაში – საფრანგეთში გაემგზავრა.
- 1921 24.03 საბჭოთა საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ.
- 1921 24.04 პოლონეთში ქვეყნის მეთაურის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის (1867-1935) მიწვევით ჩავიდა ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და იუნკერების დიდი ჯგუფი გენერალ ალექსანდრე ზაქარიადის ხელმძღვანელობით. მათთან ერთად პოლონეთში გაემგზავრა რუსეთის არმიის ოფიცერი დიმიტრი შალიკაშვილი, რომლის უფროსი ვაჟი მალხაზი (ჯონ) მე-20 საუკუნის დამლევს აშშ არმიის ოთხვარსკვლავიანი გენერალი გახდა. ქართველ ემიგრანტთა ჯგუფიდან ექვსმა დაიმსახურა პოლონეთის შეიარაღებული ძალების დივიზიისა და ბრიგადის გენერლის წოდება.
- 1922 16.03 გენერალ კოტე აფხაზის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა ანტიბოლშევიკური “სამხედრო ცენტრი”. მისი აქტიური წევრები იყვნენ გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი და სხვები. “სამხედრო ცენტრის” უპირველესი მიზანი იყო საქართველოში საყოველთაო აჯანყების მოწყობა საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ.
- 1922 30.12 შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ).
- 1923 20.05 თბილისში, ახლანდელი ვაკის პარკის მიდამოებში, ბოლშევიკებმა დახვრიტეს “სამხედრო ცენტრის” ბირთვი: გენერლები - კოტე აფხაზი (55 წლის), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (51 წლის), ვარდენ წულუკიძე (57 წლის), როსტომ მუსხელიშვილი (34 წლის) და სხვები, სულ 15 მამულიშვილი, რომლებიც ამზადებდნენ აჯანყებას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.
- 1924 აპრილი საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზადყოფი რაზმების მთავარსარდლად არჩეულ იქნა გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე.
- 1924 17.08 საქართველოს პატრიოტულად განწყობილმა ძალებმა შეიმუშავეს და დაგეგმეს საყოველთაო აჯანყება საქართველოში. აჯანყება უნდა მომხდარიყო ერთ დღეს, ერთ საათს, ყველგან და უეცრად. აჯანყების საიდუმლო გასცა კ. მისაბიშვილმა, რის შედეგადაც უკვე აგვისტოს პირველ რიცხვებში აპატიმრებენ აჯანყების მოთავე გენერლებს ვალიკო ჯუღელს, სოლომონ ყარალაშვილს, გიორგი ფურცელაძეს და სხვებს. ამის შემდეგ აჯანყების დღედ დაინიშნა 29 აგვისტო, მაგრამ 28 აგვისტოს იგი დაიწყო ჭიათურაში.
- 1924 აგვისტო -სექტემბერი ბოლშევიკებმა სისასტიკით ჩაახშეს აჯანყება საბჭოთა საქართველოში. დახვრიტეს მისი ორგანიზატორები, გენერლები გიორგი ფურცელაძე, სოლომონ ყარალაშვილი, გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი და სხვები.

1924 24.10 გენერალ ლეო კერესელიძის წინამძღოლობით პარიზში დაფუძნდა საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდული ორგანიზაცია “თეთრი გიორგი”, რომელიც დაიშალა 1950-ან წლებში. 1926-მ წლებში 39 წლებში გამოდიოდა გაზეთი „თეთრი გიორგი“ დევიზით: „საქართველო უწინარეს ყოვლისა!“. ამ გაზეთთან თანამშრომლობდნენ გენერლები ალექსანდრე ერისთავი, ზაქარია ბაქრაძე, შალვა მალაქელიძე და სხვები.

* * * * *

გენერალ ლეო კერესელიძისა და მის თანამოაზრეთა თაოსნობით თურქეთში ჩამოყალიბებულ ქართულ ლეგიონში 1915 წელს დაწესდა სამხედრო წარჩინების ნიშანი – თამარ მეფის ორდენი.

ცნობილია თამარის I, II და III ხარისხის ორდენები. სამივე ხარისხის ორდენი წარმოადგენს რვაქიმიან ვერცხლის ვარსკვლავს, რომლის ცენტრში ცისფერ მინაქარზე მოთავსებულია თამარ მეფის მოოქროვილი პორტრეტი, ორდენზე ამოტვიფრულია წარწერა: “ქართული ლეგიონი 1915”.

I ხარისხის ორდენის ცენტრში წრიულად განლაგებულია წვრილი ბრილიანტების ორი წყება, II ხარისხის ორდენზე – ბრილიანტების ერთი წყება, III ხარისხის ორდენი უბრილიანტოა.

თამარ მეფის ორდენის კავალრის გენერალ სტეფანე ახმეტელაშვილის ეს იშვიათი ჯილდო დღესაც ინახება თბილისში, გენერლის შთამომავლის ოჯახში.

თამარ მეფის სამივე ხარისხის ორდენი დაცულია აშშ ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექციაში. პეტერბურგელი ნუმიზმატის პ.პ. კვასკოვის ცნობით, თამარ მეფის ერთი ორდენი ინახება ერმიტაჟის ფონდსაცავში.

მეორე მსოფლიო ომის დროს თამარ მეფის ამ ორდენის აღდგენის ინიციატორები იყვნენ გერმანიის გენ. შტაბის სამხედრო მრჩეველი, გენერალი შალვა მალაქელიძე და გამოჩენილი მეცნიერი მიხეილ წერეთელი.

* * *

1918 წლის გაზაფხულზე თეთრგვარდიელებმა ნოვოროსიისკი, ტუაპსე და სოჭი დაიკავეს და დაიძრნენ გაგრის მიმართულებით, გადმოლახეს საზღვრები და ბიჭვინთისა და ოჩამჩირეს დაემუქრნენ. დენიკინისა და ვრანგელის ჯარები საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობდნენ. სოჭი-ტუაპსეს ფრონტის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

* * *

1918 16.08 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტთან საუბარში გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა აღნიშნა: „როდესაც სოხუმი ბოლშევიკებისაგან გაიწმინდა შედარებითი წესრიგი დამყარდა. გუდაუთიდან მოვიდა ცნობა, რომ იქ ბრძოლის წაგების შედეგად გაბრაზებულმა ბოლშევიკებმა II კაცი მხეცურად და წამებით მოკლეს. ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნითა და დახმარებით ჩვენი ჯარები გუდაუთისკენ საშველად წავიდა, სადაც გუმისტის ხიდაძის გაგწმინდეთ გზა და რადგან ბოლშევიკები არ ისვენებდნენ იძულებულნი გავხდით წინსვლა გაგვეახლებინა და ისევ მცხოვრებთა დახმარებით ერთი თვის განმავლობაში აღღერის იქით წავედით და იქ გავმარდით. მაშინ ბოლშევიკებმა სოჭის რაიონში დაიწყეს მოქმედება და მცხოვრებთა რბევა. მეგრელებისა და ადგილობრივი რუს მცხოვრებთა თხოვნით მივეშველეთ სოჭას და ბოლშევიკებს უკან დავახევინეთ...“.



ახ გავცვი საცხა ეღეებსა ეჯდავებისა ხეზედა,
ახ გავცვი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა



რაფიელ ერისთავი



კ ა ნ ო ნ ი *

საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა

მუხლი 1

საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარს შეადგენს ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, ცხენოსანი ჯარის ერთი ბრიგადა, ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადა, საპიორთა ერთი ბატალიონი, ერთი სატექნიკო ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული და ერთი საავიაციო გუნდი.

მუხლი 2

ა) ქვეით დივიზიას შეადგენს: სამი ქვეითი პოლკი, ცხენოსანთა ერთი ესკადრონი, ერთი ბრიგადა არტილერიისა, ერთი ასეული საპიორთა, საბარგო ქარავანი დივიზიისა და სასანიტარო დაწესებულება. დივიზიის სათავეში დგას დივიზიის უფროსი.

ბ) სანაპირო ჯარს აქვს განსაკუთრებული შტატი. მის სათავეში დგას განსაკუთრებული უფროსი.

გ) ცხენოსანთა ბრიგადას შეადგენს ცხენოსანთა სამი პოლკი, ერთი სათადარიგო ესკადრონი და ერთი ცხენოსანთა სამთო საარტილერიო დივიზიონი. ბრიგადის სათავეში დგას ბრიგადის უფროსი.

დ) საარმიო არტილერიის ბრიგადას შეადგენს: ერთი მსუბუქი დივიზიონი, მძიმე ზარბაზნის ერთი (42 ლინ.) და გაუბიცის (6 დიუმ.) ორი დივიზიონი; თითოეული დივიზიონი სამი ბატარეისაგან შედგება; გარდა ამისა ბრიგადაშია ორი საზენიტო წყობა. ბრიგადის სათავეში დგას ბრიგადის უფროსი.

ე) საპიორთა ბატალიონს შეადგენს სამი სასაპირო და ნაღმმტყორცნელი ერთი ასეული, სასწავლო და სამეურნეო კომანდები. სატექნიკო ბატალიონს შეადგენს ერთი სატელეგრაფო, ერთი უმაკთულო ტელეგრაფისა, ერთი საპროექტორო ასეული და სასწავლო და სამეურნეო კომანდები. საავტომობილო ასეულს შეადგენს სამი წყობა, სასწავლო კომანდა და სახელოსნო. ჯავშნოსან ასეულს შეადგენს სამი წყობა. საავიაციო გუნდს შეადგენს ორი რაზმი და ერთი პარკი.

მუხლი 3

ქვეითთა პოლკს შეადგენს სამი ბატალიონი, თითო ბატალიონს სამი ქვეითთა და ერთი ტყვიამფრქვეველთა ასეული; გარდა ამისა თითოეულ პოლკში არის სასწავლო, მზვერავთა, საკავშირო, საპიორთა, სანაღმოსაყუმბარო, სამეურნეო, ქიმიური და ცეცხლისმფრქვეველი კომანდები. თითოეულ ცხენოსან პოლკს შეადგენს სამი ცხენოსანთა ესკადრონი, ერთი ტყვიამფრქვეველი ესკადრონი და სასწავლო, საკავშირო და ცხენოსან საპიორთა კომანდები.

არტილერიის ბრიგადას, რომელიც დაერთვის დივიზიას, შეადგენს I) საპოლკო არტილერიის ერთი სამბატარიანი სამთო დივიზიონი, რომელიც აგებულია ისე იმოქმედოს განსაკუთრებით წყობ-წყობად, (18 სამთო ზარბაზანი), II) ორი დივიზიონი, თითოეულში ორი სამთო ბატარეია (სულ 16 სამთო ზარბაზანი), III) ერთი ორბატარიანი მსუბუქი დივიზიონი, (სულ 8 მსუბუქი ზარბაზანი) და IV) ერთი სამბატარიანი გაუბიცის დივიზიონი (48 ლინიის 12 გაუბიცა). გარდა ამისა ბრიგადაში შედის: ერთი საზენიტო წყობა (2 ზარბაზანი), კომანდა მტრის ზარბაზნების ადგილის აღმოსაჩენად სააკუსტიკო და საოპტიკო იარაღების შემწეობით და სასწავლო, მზვერავთა, საკავშირო და სარემონტო კომანდები.

მუხლი 4

ყოველ მთავარ უფროსთან არსებობს ჯარის მართვა-გამგეობისათვის საჭირო შტაბი.

მუხლი 5

ჯარში ირიცხებიან აგრეთვე წყების გარეშე მყოფი სამხედრო სამინისტროს და სამხედრო სკოლების ოფიცრები და მთელი საადმინისტრაციო შედგენილობა ჯარის მართვა-გამგეობისა. ამისათვის საჭირო რიცხვი ოფიცერთა, ექიმთა და მოხელეთა აღნუსხულია სამხედრო სამინისტროს შტატში.

* შენიშვნა: ტექსტი ორიგინალიდან მოყვანილია შესწორების გარეშე



მუხლი 6

იუნკერთა მოსამზადებლად არსდება სამხედრო სკოლა. გარდა ამისა, არსდება სკოლები: ქვეითთა მსროლელი ჯარისა, მსროლელი საარტილერიო, საინჟინერო-სატექნიკო და საავიაციო.

მუხლი 7

ჯარისკაცთა გასასამართლებლად, სამხედრო დისციპლინის დარღვევის და სამხედრო სამსახურის მოვალეობის აუსრულებლობისათვის, არსდება საგანგებო სამხედრო სასამართლოები, დამტკიცებული შტატის თანახმად.

1918 წ. აგვისტოს 20

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას

ბ ა ნ ო ნ ი

ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან 1896-1899 წლებში

არმიის შესავსებლად მშვიდობიანობის დროს შტატამდე და გასაუქმებლად საქართველოს ტერიტორიაზე დღემდის მოქმედის ყოველგვარის კანონისა და მთავრობის განკარგულებისა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა:

მუხლი 1

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 - 1897 წლებში და იმყოფება ეხლა რესპუბლიკის ჯარში, დატოვებულ იქნეს ნამდვილ სამსახურში განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

მუხლი 2

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1898 წელს და დღეს ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილი სამსახურის სავალდებულო ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლება დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხლი 3

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 წ. და დღეს ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილი სამსახურის ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლება დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხლი 4

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, 1-ლსა და მე-2 მუხლში აღნიშნულის ასაკისა, თუ რაიმე მიზეზით ეხლა ჯარში არ იმყოფება, დაუყოვნებლივ უნდა გაწვეულ იქნეს ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

მუხლი 5

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, 1 და 2 მუხლში ნაჩვენების ასაკისა, მოვალეა არ მოუცადოს განსაკუთრებულ მოწვევას და თვით გამოცხადდეს არა უგვიანეს ამ წლის სექტემბრის 10-სა სათანადო სამხედრო უფროსთან ჯარის ნაწილებში ჩასარიცხად. ვინც ამ დღისთვის არ გამოცხადდება, ჩათვლება დეზერტირად და შეპყრობილი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.



მუხლი 6

ვინც 1995 წლამდე, ან 1895 წლებში დაბადებულია და ეხლა ჯარში მსახურობს, დათხოვილი იქნება სათადარიგო სამხედრო მინისტრის განკარგულებით, იმის კვალობაზედ, როგორც კი გამოცხადდებიან ისინი, რომელნიც გაწვეულ იქნებიან ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ხოლო არა უგვიანეს ოქტომბრის პირველისა.

ამ კანონის სისრულეში მოსაყვანად განკარგულების მოხდენა დაეკისროს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

1918 წ. აგვისტოს 20

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორღანია

* * *

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა

მუხლი 1

ეროვნული საბჭო უზენაესი ორგანოა საქართველოს შეიარაღებულ ძალებისა და თავის უფლებას განახორციელებს რესპუბლიკის მთავრობის საშუალებით.

მუხლი 2

ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი ორგანო არის მთავრობა. მთავრობა თავის უფლებას შეიარაღებულ ძალების მიმართ განახორციელებს სამხედრო სამინისტროს საშუალებით, რომლის სათავეში დგას სამხედრო მინისტრი.

მუხლი 3

სამხედრო მინისტრი არის ხელმძღვანელი თავის უწყების ყოველი დარგისა და თავისი მოქმედებით ექვემდებარება პირდაპირ რესპუბლიკის მთავრობას. იგი არის მომხსენებელი მთავრობის წინაშე სამხედრო საქმეთა ყოველი საკითხისა.

მუხლი 4

ომიანობის დროს, მტრის წინააღმდეგ ყოველი მოქმედი შეიარაღებული ძალის წინამძღოლად ინიშნება მთავრობის მიერ, საგანგებო დეკრეტით, არმიის მთავარსარდალი, რომელიც ემორჩილება პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს. ომის ოპერატიულ საქმეებში მთავარსარდალს აქვს სრული თავისუფლება მოქმედებისა და ომის წარმოების ყოველი საკითხის გამო. მომხსენებელია მთავრობის თავმჯდომარის წინაშე. ასეთ მოხსენებას ესწრება სამხედრო მინისტრი, რომელსაც შეუძლია გამოსთქვას თავისი მოსაზრება და დასკვნა. მთავარსარდალის წერილობით მოხსენების შესახებ სამხედრო მინისტრს ნება აქვს დასკვნა წერილობითვე წარადგინოს. მთავარსარდალის ყოველი უფლება განმარტებულია “ომიანობის დროის ჯარის საველე მმართველობის დებულებით”.

მუხლი 5

სამხედრო მინისტრისათვის ინიშნება ამხანაგი, რომელიც არის უახლოესი მრჩეველი და, ამავე დროს, ნაცვალი სამხედრო მინისტრისა. ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე საქმეს პრინციპიალური,



პოლიტიკური, ან საბიუჯეტო ხასიათი არა აქვს, სამხედრო მინისტრის ამხანაგი დამოუკიდებლად გადასწყვეტს საქმეს და სამხედრო მინისტრის მაგიერ ხელს მოაწერს.

მუხლი 6

სამხედრო სამინისტროს ხელშია გამგებლობა სამხედრო მმართველობისა.

სამხედრო სამინისტროში შემდეგი ექვსი განყოფილებაა:

1. საერთო განყოფილება.
2. პირადი შედგენილობის განყოფილება.
3. გენერალური შტაბის განყოფილება.
4. საადმინისტრაციო განყოფილება.
5. სამხედრო სასანიტარო განყოფილება.
6. სამხედრო საბეითალო განყოფილება.

მუხლი 7

სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების სათავეში დგას გენერალური შტაბის შტაბ-ოფიცერი იურიდიული ცოდნით აღჭურვილი, მას ექვემდებარება:

1. განყოფილების კანცელარია სტამბითურთ.
2. სამხედრო სამინისტროს ყოველი განყოფილების რეგისტრატურა, გარდა გენერალური შტაბის რეგისტრატურისა.
3. სამეურნეო სექცია.
4. სამხედრო სამინისტროს კომენდანტი.

სამხედრო სამინისტროში შემოსულ ფოსტას, გარდა გენერალურ შტაბის სახელზე მოსულისა, განხნის და განიხილავს საერთო განყოფილების უფროსი, გაატარებს შემოსულ ქაღალდების დავთრებში და გაანაწილებს სხვადასხვა განყოფილებათა შორის სისრულეში მოსაყვანად. ყურადსაღებ პაკეტებს დაუყოვნებლივ წარუდგენს სამხედრო მინისტრს, ან მის ამხანაგს. საერთო განყოფილების ხელშია აგრეთვე „სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებულის“ დირექტორობა.

მუხლი 8

პირად შედგენილობა განყოფილებას სათავეში უდგას გენერალი ანუ შტაბ-ოფიცერი. განყოფილება განაგებს ყოველი ოფიცრის და სამხედრო უწყების მოხელის დანიშვნას, წარჩინებას, გამორიცხვას, დაჯილდოვებას და აგრეთვე პატივის სასამართლოს საქმეებს.

მუხლი 9

გენერალური შტაბის განყოფილებას სათავეში უდგას გენერალური შტაბის გენერალი. ომის დროს სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის უფროსი არმიის საველე შტაბის უფროსის თანამდებობას ასრულებს.

გენერალურ შტაბშია შემდეგი 6 სექცია:

1. საოპერაციო.
2. საორგანიზაციო.
3. საარტილერიო.
4. საინჟინრო-სატექნიკო.
5. სამხედრო-საზღვაო.
6. სამხედრო-საისტორიო არქივის.



პირველ სექციის სათავეში დგას გენერალურ შტაბის გენერალი, ანუ გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი. ამ სექციის მუშაობის საგანია:

შედგენა და ორგანიზაცია ჯარისა.

მობილიზაცია.

დაცვა ტერიტორიისა და სარკინიგზო საქმე.

დაზვერვა.

კავშირის საქმე.

ჯარის გაწვრთნა და აღლუმი.

საზღვრების დაცვა.

გარდა ამისა საველე ჯარების ოპერაცია ომის დროს:

მეორე სექციის სათავეში დგას გენერალური შტაბის პოლკოვნიკი. სექცია შეიმუშავებს ყოველ საკითხს, რომელიც შეეხება სამსახურის წესრიგს, ახალგაზრდების ჯარში გაწვევას, დისციპლინას, სამხედრო სკოლების საქმეს, ჯარის შინაურ ცხოვრების ვითარებას და სამხედრო გამოცემათა საქმეს.

მესამე სექციის სათავეში დგას არტილერიის გენერალი, ან შტაბ-ოფიცერი (აკადემიელი). სექცია განაგებს ჯარისთვის ზარბაზნის, თოფის და სხვა საომარ იარაღის და მასალის მიწოდების საქმეს, საარტილერიო ქარხნების და საწვობების და აგრეთვე მსროლელთა სკოლების და სასწავლო პოლიგონების საქმეს.

მეოთხე სექციის სათავეში დგას შტაბ-ოფიცერი, სამხედრო ინჟინერი. სექცია უზრუნველყოფს ტექნიკურ ჯარებს (საპიორთა, მფრინავთა, ყუმბარის მსროლელთა, საკავშირო ნაწილთა) ტექნიკურის მასალით, აგრეთვე განაგებს ყოველ საინჟინრო-სატექნიკო სკოლას.

მეხუთე სექციის სათავეში დგას საზღვაო უწყების შტაბ-ოფიცერი. სექცია შეიმუშავებს სამხედრო-საზღვაო საკითხებს.

მექვსე სექციის სათავეში დგას სამხედრო არქივის საქმეთა მცოდნე კაცი. არქივი განაგებს სამხედრო-საისტორიო მასალების შეკრებას, შენახვის და მათი სამეცნიერო მიზნით გამოყენების საქმეს. ომის დროს სექცია მოაწვობს საომარ ფრონტზე საბუთების შეკრების საქმეს.

მუხლი 10

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების სათავეში დგას უმაღლესი სამხედრო სწავლით, ან სათანადო საადმინისტრაციო გამოცდილებით აღჭურვილი გენერალი.

ომის დროს საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი ასრულებს ჯარის რჩენის გამგეობის უფროსის თანამდებობას.

განყოფილებაში ხუთი სექციაა:

1. საბიუჯეტო.
2. სასურსათო.
3. საბარგო და საავეჯო.
4. საბინაო.
5. საპენსიო.

საბიუჯეტო სექციის საქმეა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შედგენა და ჯარის დაკმაყოფილება ხვედრის ფულით.

სასურსათო სექციის საქმეა დაკმაყოფილება ჯარისა საჭმელ-სასმლით.

საბარგო და საავეჯო სექცია განაგებს ჯარის შემოსვის, შეკაზმის და ბარგის საქმეს.

საბინაო სექცია განაგებს ჯარებისათვის ბინების მოწყობას და ჯარის შენობის შეკეთების საქმეს.



საპენსიო სექცია განაგებს ოფიცრების, სამხედრო მოხელეების, ჯარისკაცებისა და იმათი ოჯახების პენსიის საქმეს.

მუხლი 11

სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების სათავეში დგას სამხედრო სასანიტარო ექიმი. განყოფილება განაგებს ყველა საკითხს, რომელიც შეეხება ჯარის სასანიტარო საქმეს.

მუხლი 12

სამხედრო სამინისტროს საბეითალო განყოფილების სათავეში დგას სამხედრო ბეითალი. განყოფილება შეიმუშავებს არმიის ყოველგვარ საბეითალო საქმეს.

1918 წ. აგვისტოს 20

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორღანია

* * *

ძირითადი დებულება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგრისა და მუდმივი ჯარის შეგება

მუხლი 1

სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და საპირადო ყოველი მოქალაქისათვის (ქვეშევრდომისათვის).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს მუხლი კანონისა არ შეეხება მაჰმადიან მოქალაქეებს.

მუხლი 2

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოციდან ორმოცდახუთ წლამდე (20 და 45 წლიანიც) მოვალეა პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ნაჩვენებია კანონში. ბეგრის მოხდა სხვის მაგიერ არ შეიძლება.

მუხლი 3

ვისაც სამხედრო ბეგარა მართებს და ჯარში სამსახურისათვის უვარგისი გამოდგება, გაწვეული იქნება არმიაში ისეთ მოვალეობისათვის, რომელიც შეეფერება მის ფიზიკურ აგებულებას და აგრეთვე, რამდენადაც შესაძლებელია, მის ცოდნას და წინანდელ სამსახურსა.

მუხლი 4

შეიარაღებული ძალა საქართველოსი შესდგება მუდმივ ჯარისა და ლაშქრისაგან.

მუხლი 5

არმია არის მუდმივი და სათადარიგო. მუდმივი არმია მუდამ მზად არის ომის სამსახურისათვის. სათადარიგო ჯარის დანიშნულებაა გაძლიერება და შევსება მუდმივ არმიის მობილიზაციის დროს.

მუხლი 6

ლაშქარს გამოიწვევს საკანონმდებლო დაწესებულება მაშინ, როდესაც სამშობლოს საფრთხე მოელის, და ამ შემთხვევაში შეიძლება ჯარში გაწვეული იქნეს ქულზე კაცი, ჩვიდმეტიდან დაწყებული 50 წლამდე.



მუხლი 7

ყოველი სამხედრო მოსამსახურე მუდმივი არმიისა, სათადარიგო და მოლაშქრე, ვარჯიშობისათვის გაწვევის დროს, აგრეთვე ისიც, ვინც გაწვეულია მოქმედ ჯარის შესადგენათ, პოლიტიკის გარეშე იმყოფება.

მუხლი 8

საერთო ვადა სამსახურისა 25 წელიწადია: ნამდვილ სამსახურში ორი წელიწადი, სათადარიგოში 15 წელიწადი და ლაშქარში 8 წელიწადი.

გადარიცხვა ნამდვილ სამსახურიდან სათადარიგოში და სათადარიგოდან ლაშქარში მოხდება ყოველ წლივ, კანონით აღნიშნულ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთავრობა საგანგებო ბრძანებას გამოცემს.

მუხლი 9

ვინც შეასრულა სავალდებულო ვადა ნამდვილი სამსახურისა და სურს სამსახურის გაგრძელება, შეუძლია იდევ იმსახუროს განსაკუთრებული წესების თანახმად, თუ სამსახურისათვის გამოსადეგია.

მუხლი 10

სამხედრო ბეგრის ვადის გადადების უფლება აქვს:

1) სამხედრო ბეგრის ასაკის ახალგაზრდას, რომელიც კონტინგენტის შევსების გამო, არ ყოფილა მიღებული ნამდვილ სამსახურში. ასეთ ახალგაზრდას გაიწვევენ ნამდვილ სამსახურში შემდეგ წელს პირველ ჯარში.

2) იმას, ვინც ფიზიკურად საკმაოდ განვითარებული არაა და შეპყრობილია ისეთი სენით, რომელიც საზღვარს არ გაანთავისუფლებს სამხედრო სამსახურისაგან.

3) საშუალო სკოლების მოწაფეს სწავლის დასრულებამდე, თუ წარმოადგენს სკოლის მოწმობას, ბეგრის გადადება შეიძლება მხოლოდ 22 წლამდის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არ იქნება გაწვეული სამხედრო ბეგრის მოსახდელად საქმის ნასრულებამდის, ვინც მიცემულია სასამართლოში, ან ვის შესახებაც გამოძიებაა ისეთ დანაშაულისა გამო, რომლისთვისაც კანონით დაწესებულია უფლების აყრა ან უფლების შეზღუდვა.

მუხლი 11

სამხედრო ბეგრისთვის გაწვევა მოხდება ყოველ წლივ ნოემბრის ხუთშაბათს. გაწვეულნი იქნებიან ახალგაზრდები, რომელთაც შემდეგი წლის იანვრის პირველისათვის შეუსრულებათ 20 წელი. ვადა სამსახურისა ითვლება დღიდან გაწვევისა. წესი ჯარში გაწვევისა და საექიმო შემოწმება გაწვეულთა აღნიშნულია სამხედრო ბეგრის წესდებაში.

მუხლი 12

სათადარიგო და სალაშქრო სამხედრო სამსახურში მყოფნი განსაკუთრებულად აღინუსხებიან და ექვემდებარებიან სამხედრო კონტროლს. ის პირნი, რომელნიც გადარიცხულნი არიან სათადარიგო ჯარში, ვიდრე სათადარიგოთ ირიცხებიან, შეიძლება გაწვეულ იქმნენ განმეორებითი ვარჯიშობისათვის ყოველ სამ წელში სამი კვირის ვადით.

ლაშქარში ჩარიცხულნი, მთელ იმ დროის განმავლობაში, სანამ ლაშქარში ითვლებიან, განმეორებითი ვარჯიშობისათვის შეიძლება იქმნენ გაწვეულნი მხოლოდ სამი კვირის ვადით. განმეორებითი ვარჯიშობის გასაწვევ დროს ნიშნავს სამხედრო მინისტრი. ეს გაწვევა არ უნდა მოხდეს საარჩევნო კამპანიისა და საერთო პოლიტიკურ და კომუნალურ არჩევნების დროს.



განმეორებითი ვარჯიშობისათვის გაწვეულ პირთ, რომელნიც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, ან კერძო სამსახურში ირიცხებიან გაწვევის დროს ადგილი შეენახებათ.

1918 წ. აგვისტოს 20.

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას

საქართველოს სამხედრო სამინისტრო შედგებოდა (მთავრობის დეკრეტის საფუძველზე: 1919 01.11 – 1920 01.06) შემდეგი ერთეულებისაგან: „საინტენდანტო, საარტილერიო, სამხედრო-ტექნიკური, ჯარისათვის ბინის მიძღვნილი, გენერალური შტაბის, სამხედრო-სანიტარული სამმართველოები, საზღვაო ნაწილი, სამხედრო სკოლები“.

* * *

სამხედრო სამსახურის ვადა განისაზღვრებოდა: ქვეით ჯარში - 1 წლითა და 4 თვით, ჯარის სხვა სახეობებში - 1 წლითა და 8 თვით. გაწვევას ექვემდებარებოდნენ მამაკაცები 20-დან 43 წლამდე.

* * *

ქართულ არმიაში 1918-21 წლებში მსახურობდა 60-ზე მეტი გენერალი და 1500-მდე ოფიცერი (საკმარისზე მეტი).

* * *

სამხედრო წოდებები ქართულ ჯარში გადმოღებული იყო გერმანულიდან: ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი, გენერალი.

* * *

საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგებოდა რეგულარული არმიისაგან (სასაზღვრო დაცვის ჩათვლით), სახალხო გვარდიისა და ფლოტისაგან. რეგულარულ არმიას საფუძვლად დაედო არმიის ორგანიზაციის გერმანული სისტემა. თავიდან მასში შედიოდნენ: ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, კავალერიის ბრიგადა, არტილერიის ბრიგადა, გამწვანებულთა ბატალიონი, ტექნიკური ბატალიონი, საავტომობილო ასეული და საავიაციო გუნდი.

* * *

სახალხო გვარდიას სათავეში ედგა მთავარი შტაბი 21 კაცის შემადგენლობით. შტაბის წევრებს ერთი წლის ვადით ირჩევდა სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობა. მთავარი შტაბი ემორჩილებოდა უშუალოდ მთავრობას. სახალხო გვარდია დისლოცირებული იყო ქვეყნის 15 რაიონში (თბილისი, სიღნაღი, თელავი, ახალციხე, შორაპანი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, სოხუმი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ბათუმი, გორი). სახალხო გვარდიის მომარაგება, მომსახურება და სამხედრო მომზადების დონე ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე რეგულარულ არმიაში.

* * *

სასაზღვრო დაცვა შედიოდა რეგულარული არმიის შემადგენლობაში, შედგებოდა შტაბისა და 7 პოლკისაგან: 1-ლი სოხუმის, მე-2 ფოთის, მე-3 ახალციხის, მე-4 შულავერის, მე-5 სიღნაღის, მე-6 დარიალის, მე-7 ბათუმის. თითოეული პოლკი შედგებოდა 437 ჯარისკაცისა და 24 ოფიცრისაგან. პოლკზე მიმაგრებული იყო 58 ცხენი.

* * *

ფლოტის შემადგენლობაში ირიცხებოდა ერთი კონტრნალმშენი „პატარა კახი“, ოთხი გამანადგურებელი (ხის კორპუსით), ოთხი ნალმოსანი კატერი და 10 გემი. ფლოტს სათავეში ედგა სარდალი თავისი შტაბით.

* * *

ქართული ჯარის მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე დიდად პოპულარული იყო საქართველოში.



იგი ყველა ომში, რომლებსაც საქართველო მისი მეთაურობით აწარმოებდა გამარჯვებული გამოდიოდა.

საქართველოს მთავრობის 1919 წლის 2 აგვისტოს დეკრეტით დაარსებულ სამხედრო სასამართლოსა და პროკურორის ზედამხედველობის დროებითი შტატის ნაცვლად დამტკიცდა ახალი შტატი (ასევე დროებით), მოქმედების ვადით 1919 01.11-დან 1920 01.06-მდე. პირადი შემადგენლობა შედგებოდა 42 კაცისაგან: სამხედრო სასამართლო – 26 და საპროკურორო ნაწილი – 16 შტატისაგან.

„1919 წ., როდესაც გენ. ოდიშელიძის წყალობით ჩინები გააუქმეს, იოსებ გედევანიშვილმა მიაგნო კომპრომისს, რომლის თანახმადაც თანამდებობის მიღებისთანავე პიროვნებას ჩინი თავისთავად ენიჭებოდა. დაირღვა თვითონ ჩინის მნიშვნელობის პრინციპი, რომელიც ადრე დამსახურებისათვის ენიჭებოდათ და პატიოსანი სამსახურისა და გამოცდილების მაჩვენებელი იყო. არმიის რეორგანიზაციაში ასეთი კომპრომისის შედეგად გუშინდელი ლეიტენანტები პოლკოვნიკებად მოგვევლინენ და ნაწილებს, სადაც მეთაურებს ოფიცრები და ჯარისკაცები უნდა აღეზარდათ, სათავეში ისეთი ხალხი ჩაუდგა, რომლებიც თვითონ იყვნენ აღსაზრდელები...“ (გენერალი გიორგი კვინიტაძე “მოგონებანი” ტ.2, გვ.36, თბ.,1999).


საქართველოში ტარდებოდა “ფრონტის დღე”, როდესაც მოსახლეობა მეომრებისათვის აგროვებდა სურსათს, თამბაქოს, ფულს და ა.შ. “ფრონტის დღესთან” დაკავშირებით სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი წერდა: “ცოცხალ ჯავშნად აკრავს გარს ჩვენს ქვეყანას საუკეთესო შვილთა გულმკერდი. ისინი, ვისაც სათუთი, მგრძნობიარე სინდისი და ვაჟკაცური შეუდრეკელობა მოსვენებას უფროთხოვს, სანამ სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია, თვეობით და წლობით დგანან ტყვიისა და სიკვდილის პირისპირ ...” (გაზ. “საქართველო”, 1919წ., №126).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლო სამხედრო პროკურორი, სასამართლოსა და სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე იყო ვიქტორ ჟღენტი, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა 1921 წლის 1 მარტს, როდესაც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა ბოლშევიკების მიერ ფაქტობრივად უკვე დამხობილი იყო.

საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად 1924 წ. ჩამოყალიბდა სამხედრო კომისია. აჯანყების მომზადებას ბათუმში ხელმძღვანელობდა გენერალი გიორგი ფურცელაძე, გურიაში – გენერალი სოლომონ ყარალაშვილი, იმერეთში – პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი, თბილისის მიდამოებსა და კახეთში – პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ა.შ. 1924 წლის მაისში საქართველოში დაბრუნდა ვალიკო ჯუღელი. მეამბოხეთა მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. 1924 17.08 დანიშნული აჯანყების გეგმა გასცა პროვოკატორმა. ჩეკისტებმა აგვისტოს პირველ დეკადაში დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი, გენერლები ს. ყარალაშვილი, გ. ფურცელაძე და სხვები. აჯანყება მაინც შედგა, ბრძოლები გაჩაღდა 28 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე და ამბოხებულთა მარცხით დამთავრდა.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემიგრირებული იყვნენ რუსეთის იმპერიის გენერლები და ოფიცრები, დაიწყო წმ. გიორგის ორდენისა და გიორგის იარაღის კავალერთა საზოგადოების შექმნა. მაგალითად, იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში მოქმედმა საზოგადოებამ 1935 წელს გამოსცა ალბომი წმ. გიორგის ორდენისა და გიორგის იარაღის კავალერთა ფოტოებითა და მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. აღნიშნულ ალბომში ღირსეულად არიან წარმოდგენილი ჩვენი თანამემამულენი – ქართველი ოფიცრები და გენერლები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები



ნოე ჟორდანია

1918 - 1921




ნოე რამიშვილი



დამოუკიდებელი საქართველოს

პირველი გერბი, 1918 წ.



დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა.
მარცხნიდან: შალვა ალექსი-მესხიშვილი, ნოე რამიშვილი,
ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი ჟურული.
ქ. თბილისი, 1918 წლის 26 მაისი

ქართული ჯარის მთავარსარდლები



გენერალი
ვასილ ბაბაშვილი



გენერალი
გიორგი კვინიტაძე



გენერალი
გიორგი მახნაშვილი



გენერალი
ილია ოდიშელიძე



პირველი ქართული კორპუსის
პირველი მეთაური, გვარდიის
ერთ-ერთი ხელმძღვანელი
სტეფანე ახმეტელაშვილი



გენერალი
ასლან აბაშიძე



გენერალი
ზაქარია ბაქრაძე



გენერლები ილია ოღიშელიძე და კოტე აფხაზი



გენერალი
მიხეილ ანჯაპარიძე



გენერალი
დავით ართშველადze



გენერალი
იოსებ ბაგდასარიანი



გენერალი
კონსტანტინე ბელოხვანი



გენერალი
გიორგი (გიგუზია)
პერისტავი



გენერალი
სიმონ ცხაკაია



გენერალი
ტარასი ვაშაკიძე



გენერალი
ალექსანდრე ზაქარიაძე




გენერალი
ბიორბი თავაძე



გენერალი
ნიკოლოზ იოსაძე



გენერალი
ბიორბი კერძელიძე



გენერალი
ალექსანდრე კონიაშვილი



გენერალი
დავით მაჭავარიანი



გენერალი
დავით მგებელი



გენერალი
აკაკი მიქაშაშვიძე



გენერალი
იაკობ მუსხელიშვილი



გენერალი
იოსებ როინიშვილი



გენერალი
ალექსანდრე მავთარიანი



გენერალი
ნახარია შიშვიძე



გენერალი
ალექსანდრე ჩხვიძე



გენერალი
ქრისტეფორე ჩხეტიანი



გენერალი
როსლოვ ვარძელაძე



გენერალი
ოვანე ჯაფარიძე



გენერალი
არტემონე ჯიჭიხია

შენიშვნა: ფოტოსურათების უზარისხობის გამო სია სრულყოფილი არ არის



სახალხო გვარდიის სარდალი
ვალიკო ჯუღელი



სომხეთთან ომის შემდეგ სამხედრო აღლუმში: ნოე ჟორდანია,
გრიგოლ გიორგაძე, კონსტანტინე გედევანიშვილი, გიორგი
მაზნიაშვილი, ალექსანდრე ზაქარიაძე და სხვები (1919 31.12)



სამხედრო სამინისტროს თანამშრომლები.
ცენტრში – სამხედრო მინისტრი
გრიგოლ გიორგაძე (1919 12.03)



სახალხო გვარდიის ნაწილები დასავლეთ
საქართველოში (1920)




ქართველ ცხენოსანთა რაზმი (1918)



მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე
მებრძოლებთან ერთად (1920 30.04)



იუნკერების ნაწილების აღმოსავლური
(1917 18.03)



ქართული ჯარის აღმოსავლური (1920)

ცენტრში: გერმანული სამხედრო
დიპლომატიური მისიის უფროსი,
გენერალი ფონ კრესი სტუმრად
ქ. ქუთაისში, მარჯვნივ – გენერალი
დავით ართმელაძე, მარცხნივ –
გენერალი ტარას ვაშაკიძე (1919)



სახალხო გვარდიელები (1920)





ზოგიერთი ქართველი თავადების საგვარეულოთა ადგილმდებარეობის რუკა (გამოცემულია საფრანგეთში)



**საბჭოთა კავშირის
მხედართმთავრები
საქართველოდან**

1917



1991

**ჩვენი საქმე სამართლიანია —
ჩვენ გავიმარჯვებთ!**

ი. სულანი



საბჭოთა კავშირის გენერალისიჟუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი

იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი-სტალინი (21. 12. 1879, გორი – 05. 03. 1953, მოსკოვი) დაიბადა მეწაღე ხელოსნის ოჯახში. 1894 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და შევიდა თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში. 1899 წელს რევოლუციური მოღვაწეობისთვის სემინარიიდან გარიცხეს, რის შედეგადაც არაღეგალურად დაიწყო ცხოვრება და პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. გაიარა მეტად რთული და ბრძოლებით აღსავსე რევოლუციონერის გზა. აქტიური მონაწილეობა მიიღო თვითმპყრობელობის დამხობაში - 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გატარებაში. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში სტალინი ასრულებდა



რკპ (ბ) ცკ და საბჭოთა მთავრობის მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს: იყო რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი, პეტროგრადის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამხრეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი, სრულიად რუსეთის ცაკის წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოში. სწორედ ამ დიდი გამოცდილების საფუძველზე და ღმერთისაგან ბოძებული ნიჭის წყალობით ჩამოყალიბდა იოსებ სტალინი, როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და შეუდარებელი მხედართმთავარი.

სტალინმა ყოფილი საბჭოთა კავშირის იმპერიის აგებისათვის გიგანტური რევოლუციური გარდაქმნები მოახდინა. იყო საკავშირო კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრი (1919-1952), სკკპ ცკ პრეზიდიუმის წევრი (1952-1953), კომინტერნის აღმასკომის წევრი (1925-1943), სრულიად რუსეთის ცაკის წევრი 1917 წლიდან, სსრკ ცაკისა კი - 1922 წლიდან. მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის (1939), საბჭოთა კავშირის გმირის (1945), საბჭოთა კავშირის მარშლის (1943) წოდებები, უმაღლესი სამხედრო ტიტული – საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის წოდება (1945).

1941-1945 წლებში იოსებ სტალინი ხელმძღვანელობდა პარტიის მრავალმხრივ მოღვაწეობას სსრკ თავდაცვის განმტკიცებისა და ფაშისტური გერმანიის განადგურების ორგანიზებისათვის. 1941 წლის 6 მაისს სტალინი დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ (1946 წლიდან - სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რე), 1941 წ. 30 ივნისს - სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, 19 ივლისს თავდაცვის სახკომად, 8 აგვისტოს – სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, მონაწილეობდა სამი სახელმწიფოს – სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთის-თეირანის (1943), ყირიმისა და პოტსდამის (1945) კონფერენციებში.

სამამულო ომში გამოვლინდა იოსებ სტალინის უდიდესი სამხედრო ნიჭი და გონიერება, მისი სიდიადე, გამძლეობა, სულიერი სიმტკიცე, მობილიზების ზეადამიანური უნარი.

1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, თემთა პალატაში უინსტონ ჩერჩილმა ასე დაახასიათა ი. სტალინი: “დიდი ბედნიერება იყო რუსეთისათვის, რომ უმძიმესი განსაცდელის ფაშს ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი სტალინი. იგი იყო ყველაზე გამორჩეული პიროვნება, ასე ზედმიწევნით რომ მოერგო იმ პერიოდის ცვალებადსა და სასტიკ ხანას, რომელშიც მიმდინარეობდა მთელი მისი სიცოცხლე.

სტალინი იყო უჩვეულო ენერჯისა და უდრეკი ნებისყოფის ადამიანი, მკვახე, სასტიკი და დაუნდობელი საუბარში, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი კაცი, ვერაფერს ვუპირისპირებდი. სტალინს, უწინარეს ყოვლისა, ჰქონდა დიდი იუმორისა და სარკაზმის გრძნობა და უნარი, ზუსტად აღექვა აზრები. ეს ძალა იმდენად დიდი იყო სტალინის პიროვნებაში, რომ იგი განუმეორებლად გვესახებოდა ყველა დროის სახელმწიფოებისა და ერების ხელმძღვანელთა შორის.

სტალინმა ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი გამოირჩეოდა ღრმა, ყოველგვარ პანიკას მოკლებული, ლოგიკურად გაცნობიერებული სიბრძნით. იგი იყო უბადლო ოსტატი, რომელიც უტყუარად პოულობდა უძნელეს მომენტებში ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის გზას. გარდა ამისა, ყველაზე კრიზისულ მომენტებში, თუ ზეობის ფაშს იგი თანაბრად თავშეკავებული იყო და არასდროს აჰყოლია ილუზიებს. ეს გახლდათ უჩვეულოდ რთული პიროვნება. მან შექმნა და დაიმორჩილა ვეებერთელა იმპერია. ეს იყო კაცი, რომელიც თავის მტერს მუსრავდა თავისი მტრის ხელით, სტალინი იყო უდიადესი დიქტატორი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში, – კაცი, რომელმაც ჩაიბარა ხისკავიანი რუსეთი და დატოვა ატომურ-ბომბიანი სახელმწიფო.

ისტორია, კაცობრიობა ასეთ ადამიანებს არ ივიწყებს!”



ი.ბ. სტალინის გამოსვლა წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბრის ალღუმზე





საბჭოთა კავშირის გენერალისიგუზის იოსებ სტალინის სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობის ქირითადი თარიღები

1879	21.12	დაიბადა გორში. მამა – ბესარიონ ივანეს ძე ჯულაშვილი – მუშა. დედა – ეკატერინე (კეკე) გიორგის ასული გელაძე – გლეხი.
1894	ივნისი	წარჩინებით დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში.
1895	წლიდან	ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში.
1898	წლიდან	რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრია.
1899	20.05	რევოლუციური მოღვაწეობისათვის გაირიცხა თბილისის სემინარიიდან.
1902	05.04	ბათუმის, ქუთაისის, კვლავ ბათუმის ციხე. გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში, ს. ნოვაია უდა, საიდანაც გაიქცა 1904 წლის 5 იანვარს.
1905-1907		რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ამიერკავკასიაში.
1908	25.03	იჯდა ბაქოს ციხეში.
1909	იანვარი	გადასახლებულია სოლვიჩევოდსკში (ვოლოგდის ოლქი), საიდანაც გაიქცა 24 ივნისს.
1910	23.03	დაპატიმრებულია ბაქოში და სამი წლით გადასახლებულია სოლვიჩევოდსკში, საიდანაც ისევ გაიქცა 1912 29.02.
1912	22.04	დაპატიმრებულია პეტერბურგში და გადასახლებულია ნარიმსკის მხარეში, ისევ გაიქცა.
1913	23.02	დაპატიმრებულია პეტერბურგში და გადასახლებულია ტურუხანსკის მხარეში ოთხი წლით.
1917	12.03	თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება პეტერბურგში.
1917	16.10	აირჩიეს აჯანყების ხელმძღვანელად, სამხედრო - რევოლუციური ცენტრის წევრად.
1917	25.10	ოქტომბრის რევოლუციის ერთ – ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელია, რევოლუციის მეორე დღეს არჩეულია სრულიად რუსეთის ცაკის წევრად და დამტკიცებულია ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად.
1917	23.12	ლენინის შეგებულების დროს ინიშნება სახკომსაბჭოს თავჯდომარედ.
1918	19.07	მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო საბჭო.
1918	17.09	დაინიშნა ახლადშექმნილი სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს (სრს) თავმჯდომარედ.

1918 08.10	არჩეულია რუსეთის რესპუბლიკის სრს წევრად.
1918 30.11	დაინიშნა მუშურ – გლეხური თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ერთი თვის შემდეგ მიავლინეს აღმოსავლეთის ფრონტზე.
1919 30.03	ერთდროულად დაამტკიცეს სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად.
1919 17.05	გაიგზავნა პეტროგრადის ფრონტზე.
1919 05.07	დაინიშნა დასავლეთის ფრონტის სრს წევრად.
1919 27.09	დაინიშნა სამხრეთის ფრონტის სრს წევრად.
1919 27.11	დაჯილდოვდა საბრძოლო წითელი ღროშის ორდენით.
1919-1952	კპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრი.
1920 26.05	გაიგზავნა სამხრეთ – დასავლეთის ფრონტზე.
1921 29.12	დამტკიცებულია ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად და ერთდროულად მუშურ – გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრად.
1922 03.04	არჩეულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.
1925-1943	კომინტერნის აღმასკომის წევრია.
1930 20.02	დაჯილდოვდა წითელი ღროშის მეორე ორდენით.
1937 წლიდან	არჩეულია სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.
1939 20.12	მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.
1939 22.12	არჩეულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.
1941 06.05	დაინიშნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.
1941 23.06	სტალინის ხელმძღვანელობით შეიქმნა მთავარსარდლის ბანაკი. 8 აგვისტოს უმაღლეს მთავარსარდლად დაინიშნა.
1941 30.06	სტალინის თავმჯდომარეობით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი (გაუქმდა 1945 04.09).
1941 19.07	დაინიშნა სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრად.
1941 07.11	სტალინის წინადადებით და ხელმძღვანელობით წითელ მოედანზე ჩატარდა ისტორიული აღლუმი. ამ დროს უკვე მტერი მოსკოვის მისადგომებთან იდგა.
1943 06.03	მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.
1943 06.11	დაჯილდოვდა სუვოროვის I ხარისხის ორდენით.

1943	28.11 01.12	მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას თეირანის საერთაშორისო კონფერენციაზე.
1944	20.06	დაჯილდოვდა მედლით "მოსკოვის დაცვისათვის" №1.
1944	29.07	დაჯილდოვდა ორდენით „გამარჯვება“.
1945	04.02 12.02	მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას ყირიმის (იალტის) საერთაშორისო კონფერენციაზე.
1945	26.06	დაჯილდოვდა გამარჯვების მეორე ორდენით.
1945	26.06	მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.
1945	27.06	მიენიჭა საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის წოდება.
1945	17.07 02.08	მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას ბერლინის (პოტსდამის) საერთაშორისო კონფერენციაზე.
1946	25.02	დაინიშნა სსრკ შეიარაღებული ძალების სახალხო კომისრად და უმაღლეს მთავარსარდალად.
1946	19.03	სსრკ უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამტკიცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და სსრკ შეიარაღებული ძალების მინისტრად.
1949	20.12	დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
1952	16.10	არჩეულია სკკპ ცკ პრეზიდიუმის წევრად.
1953	05.03	ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ი. ბ. სტალინი გარდაიცვალა. არაოფიციალური ვერსიით გარდაიცვალა 2 მარტს გამთენიისას. 9 მარტს მისი ნეშტი დაასვენეს მავზოლეუმში.
1961	02.11	ხრუშჩოვის ინიციატივით მისი ცხედარი გამოასვენეს მავზოლეუმიდან და დაკრძალეს კრემლის კედელთან.



... ვიცი, როცა მოვკვდები,
საფლავზე ნაგვის გორას
დამიყენებენ, მ ა გ რ ა მ
ისტორიის ქარი უმოწყალოდ
ბაფანტავს ამ ნაგავს.



საბჭოთა კავშირის მარშალი
ლავრენტი პავლეს ძე ბერია
1899 1953



ლავრენტი პავლეს ძე ბერია (29.03 1899, სოფ. მერხეული – 26.06.1953, მოსკოვი). 1919 წელს დაამთავრა ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ადრეული პერიოდიდან ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1920) იატაკქვეშა პარტიულ მუშაობას ეწეოდა, რისთვისაც დააპატიმრეს. 1920 წლის აგვისტოდან მუშაობდა აზერბაიჯანის კპ(ბ) ცკ აპარატში. 1921-1931 წლებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (საგანგებო კომისიის) ორგანოებში ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა.

1931-1938 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ(ბ) ცკ პირველ მდივნად, ერთდროულად ხელმძღვანელობდა თბილისის საქალაქო პარტიულ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს. საქართველოში მისი

მუშაობის დროს განხორციელდა თბილისის გენერალური რეკონსტრუქცია, აშენდა სახლები, ქუჩები, პარკები.

1938-1953 წლებში მუშაობდა მოსკოვში. 1946 წლამდე იყო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, 1941 წელს დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, ხოლო 1944 წლის მაისიდან თავმჯდომარის მოადგილე, 1953 წელს დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1943 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის, 1945 წელს – საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

ლავრენტი ბერიამ უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა იმპერიის მძლავრი სახელმწიფო აპარატის შექმნაში, კერძოდ, უნიკალური სადაზვერვო სისტემის ჩამოყალიბებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი სამაგალითო ოპერაცია, რაც სახელმწიფოს მიერ მეოცე საუკუნის უახლესი ფუნდამენტური სამეცნიერო აღმოჩენების დაუფლებაში გამოიხატა. ყოველივე ეს ლავრენტი ბერიამ მალალ პროფესიულ დონეზე ჩაატარა.

თეხის საბჭოთა ხეს. სამხედრო საქმეთა სახეობი: 1918-19. მე-11 (1920 ახილი-ავესტო), მე-9 (1920 ავესტო-1921 მანის) ახმეობის, სხვადასხვა სამხედრო ოლქების ახმეობის, მათ შოხის კავკასიის ახმის სახდანი. წითელი ახმის მთავარი სამმ. უფხ.: 1928-დან. რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი, 1916

მე-2 რანგის კომანდარმი
1935
1890 03.05 1937 29.07
ორდენი-4 თბილისი რებრესი-რებულია რეაბილიტი-რებულია



ლ ვ ო ვ ი
ვლადიმერ ნიკოლოზის ქა

სამოქალაქო ომის გმიხი. დიდი სამამ. ომის მონან. ბიგადის, დივიზიის მეთაუნი. სხვადასხვა სამხედრო ოლქის სახდანი. ამიუჩავკასიის ფლოტის სახდლის მთავარი: 1941 ნოემბრიდან, 51-ე ცადუ. ახმის სახდანი: 1941 დეკემბრიდან.

კომკორი
1938
გენერალ - ლეიტენანტი
1940
1897 11.05 1942 11.05
ორდენი-3 მედალი-2 თბილისი (გმირულად დაიღუპა ქერხთან) თბილისი



ნ ე მ ე რ ზ ე ლ ი
(ნ ე მ ე რ ზ ე ლ ი)
იოსებ შალვის ქა

სამოქალაქო ომის გმიხი. ახმის შტაბის უფხოსი, დივიზიის, კოჩხუსის მეთაუნი: 1930-36, სამხედრო-პოლიტიკური აჯადემის უფხოსი: 1937-38.

კომკორი
1935
1895 1938
ორდენი-2 თბილისი რებრესი-რებულია რეაბილიტი-რებულია



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ორდენები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას თავისი არსებობის პირველ ხანებში გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო ჯილდოები: წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენები. პირველი ორდენით აჯილდოებდნენ 1921-24 წლებში, ხოლო მეორე ორდენით – 1928-36 წლებში. ამ წარჩინების ნიშნებით დაჯილდოების შეწყვეტის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთა როლს, სსრკ დაშლამდე ასრულებდა საერთო-საკავშირო ორდენები და მედლები.



“წითელი დროშის” ორდენი
პროექტი დამტკიცდა 1921 09.11
(დაარსდა 1923 წ.)



“შრომის წითელი დროშის”
ორდენი
(1-ლი ვარიანტი, 1928 წ.)



“შრომის წითელი დროშის”
ორდენი



ს ა ბ ჭ ო ტ ა
კ ა ვ შ ი რ ი ს
უ მ ა ღ ლ ე ს ი
ს ა მ ხ ე ღ რ ო
ო რ დ ე ნ ი
„გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა“

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მიხეილ კალინინი აჯილდოებს „გამარჯვების“ პირველი ორდენით საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს იოსებ სტალინს. მოსკოვი, კრემლი, 1944 29.07



უმაღლესი სამხედრო ორდენით „გამარჯვება“, რომელიც დაწესდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 8 ნოემბრის ბრძანებულებით, აჯილდოვებდნენ პირებს საბჭოთა არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე ფრონტის მასშტაბით ისეთი საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის, რომელთა შედეგადაც ვითარება ძირეულად იცვლებოდა საბჭოთა არმიის სასარგებლოდ. ორდენის ნიშანი პლატინისაგან მზადდებოდა. ლალის ამოზნექილ ხუთქიმიან ვარსკვლავს გარს ბრილიანტები აქვს შემოვლებული. ქიმებს შორის სხივებიც ბრილიანტებითაა მოოჭვილი. ბრილიანტების საერთო წონა 116 კარატია. ორდენს მკერდის მარცხენა მხარეს ატარებდნენ.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალისიმუსი იოსებ სტალინი ორდენით „გამარჯვება“ დაჯილდოებულია ორჯერ: 1944 29.07 და 1945 26.06.

საქართველოს გენერლები



საბჭოთა კავშირის გმირები



საბჭოთა კავშირის გმირის წოდება შემოღებულ იქნა სსრკ ცაკის 1934 წლის 16 აპრილის დადგენილებით. 1939 წლის 1 აგვისტოს დაწესდა ოქროს მედალი “საბჭოთა კავშირის გმირი”, იმავე წლის 16 ოქტომბერს გადაერქვა სახელი და ეწოდა მედალი “ოქროს ვარსკვლავი”. სოციალისტური შრომის გმირის წოდება შემოღებულ იქნა 1938 წლის 27 დეკემბერს. 1940 წლის 22 მაისს დაწესდა ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“. ეს წოდებები, როგორც წარჩინების უმაღლესი ხარისხი, ენიჭებოდათ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, განსაკუთრებული გმირობის გამოჩენისათვის. ოქროს მედალთან ერთად ჯილდოვდებოდნენ ლენინის ორდენით.

იოსებ სტალინი (1945 27.06)

<i>გალაქტიონ ალვაიძე</i>	<i>1945 28.04</i>	<i>გარი მერკვილაძე</i>	<i>1945 26.06</i>
<i>ლეონიდ ვაზინი</i>	<i>1945 06.04</i>	<i>სტეფანე მიქოიანი</i>	<i>1975 03.04</i>
<i>ბორის პლაღიშვილი</i>	<i>1945 06.04</i>	<i>პლაღიშვილ ნანეიშვილი</i>	<i>1940 21.03</i>
<i>ალექსი ინაურო</i>	<i>1985 08.05</i>	<i>ვიტალი პროკოვი</i>	<i>1943 08.09, 1945 27.06</i>
<i>ივანე ისაკოვი</i>	<i>1965 07.05</i>	<i>იური რიპაჩოვი</i>	<i>1942 10.02</i>
<i>ივანე იუგაშვი</i>	<i>1965 07.05</i>	<i>სიღორ სლიუსარევი</i>	<i>1939 22.02</i>
<i>აშოტ კაჯარაიანი</i>	<i>1945 24.03</i>	<i>შალვა ძირია</i>	<i>1944 26.10</i>
<i>ერეკლუზ კობერიძე</i>	<i>1945 06.04</i>	<i>კორჟილე ჩანჩიბაძე</i>	<i>1945 19.04</i>
<i>კონსტანტინე ლხვიციანი</i>	<i>1971 13.05</i>	<i>პლაღიშვილ ჯანაშვილი</i>	<i>1945 29.05</i>



სოციალისტური შრომის გმირები



იოსებ სტალინი (1939 20.12)

ლაპრენტი ბერიძე (1943 30.09)

<i>გრიგოლ კიკნაძე</i>	<i>1943 17.10</i>	<i>შალვა შიშილაშვილი</i>	<i>1943 05.11</i>
<i>ვასილ შუავენიძე</i>	<i>1962 21.09</i>	<i>ელეონორ შვედციანი</i>	<i>1981 28.02</i>
<i>ალექსანდრე ნადირაძე</i>	<i>1976, 1982</i>	<i>იუსტინე ჯანელიძე</i>	<i>1945 08.05</i>

საქართველოს გენერლები სუვოროვის ორდენის კავალრები

სუვოროვის ორდენი დაწესდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 29.07 -ის ბრძანებულებით. სუვოროვის ორდენით აჯილდოებდნენ მარშლებს, გენერლებსა და ოფიცრებს სანიმუშოდ ჩატარებული ბრძოლისა და ოპერაციებისათვის, რომელთა შედეგადაც შესაძლებელი ხდებოდა გამარჯვების მიღწევა. სუვოროვის ორდენი სამი ხარისხისაა. ორდენის ნიშანი ხუთქიმიანი ვარსკვლავია. I ხარისხი დამზადებულია პლატინისაგან, II – ოქროსაგან, III – ვერცხლისაგან. სუვოროვის ორდენს ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.

სუვოროვის I ხარისხის ორდენი



იოსებ სტალინი
ლავრენტი ბერია
ვლადიმერ გლუზდოვსკი
კონსტანტინე ლესელიძე
ბოგდან ქობულაძე
პორფილე ჩანჩიბაძე
ლავრენტი ცანავა-ჯანჯღაძე

სუვოროვის II ხარისხის ორდენი



მიხეილ გვიშინი
ტიმოფეი დედეოლღუ
ლენიდ ვავინი
ივანე ვეჟილოვი
ბორის ვლადიმეროვი-კობიაშვილი
ნიკოლოზ თავართქილაძე
გაი თუმანიანი
ნიკოლოზ კალაძე 1944, 1945
სტეფანე კინოსიანი
ერმალოზ კობერიძე
ნესტორ ლაბაძე
ვიქტორ ლისინოვი
სოლომონ მილშტეინი
მიხეილ მიქელაძე

ვასილ მუჟვანაძე
ვლადიმერ ნანეიშვილი
აქესენტი რაფაეა
სიდორ სლიუსარევი
ვასილ სტალინი
ესტატე ტატანაშვილი
შალვა ქირია
ვიორგი ყურაშვილი
პანტელეიმონ
შიოშვილი
ბორის შნეიდერი
პორფილე ჩანჩიბაძე
ვალერიან ძაბახიძე
შალვა წერეთელი

სუვოროვის III ხარისხის ორდენი



არაქელ ოვანეზოვი
პასან ხარაზია

კუტუზოვის ორდენი დაწესდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 29.07 -ის ბრძანებულებით. კუტუზოვის ორდენით აჯილდოებდნენ საბჭოთა არმიის მეთაურებს ფრონტის, არმიის თუ ცალკეული შენაერთის ოპერაციის გეგმის კარგად შემუშავებისა და განხორციელებისათვის. კუტუზოვის ორდენი 3 ხარისხისაა (III ხარისხი დაწესდა 1943 08.02). I ხარისხის ორდენი ოქროსია, II და III ხარისხისა – ვერცხლის. ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.

კუტუზოვის I ხარისხის ორდენი



ვლადიმერ გლუზდოვსკი
ალექსანდრე ეგნატაშვილი
ვაი თუმანიანი
გრიგოლ კიკნაძე
სტეფანე კინოსიანი
კონსტანტინე ლესელიძე

ვსევოლოდ მერკულოვი
სოლომონ მილშტეინი
ვასილ მუავანაძე
ბოგდან ქობულოვი
ლავრენტი ცანავა-ჯანჯღავა
(1945 21.04 და 29.05)

კუტუზოვის II ხარისხის ორდენი



ილარიონ ვაგუა
სერგი გოგლიძე
ივანე ვეჭილოვი
ვარლამ კაკუჩაია
გრიგოლ კარანაძე
სტეფანე კინოსიანი
სოლომონ მილშტეინი
ვასილ მუავანაძე
ვლადიმერ ნანეიშვილი (2-ჯერ)
იური რიკაჩოვი

სერაფიმ როჟდესტვენსკი
სიდორ სლიუსარევი
ესტატე ტატანაშვილი
ამაიაკ ქობულოვი
მიხეილ ლლონტი
პორფილე ჩანჩიბაძე
ალექსი ხარებოვი
ვლადიმერ ჯანჯღავა
კირილე ჯახუა
ვიორვი ჯინჭარაძე

კუტუზოვის III ხარისხის ორდენი



ლავრენტი ვოლიაძე
სერაფიმ როჟდესტვენსკი

საქართველოს აღმირალები – უშაკოვისა და ნახიმოვის ორდენების კავალრები



აქტიური საზღვაო ოპერაციების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფაში დიდი დამსახურებისათვის, რის შედეგადაც სამშობლოსთვის ბრძოლაში მიღწეული იყო გამარჯვება რიცხობრივად აღმატებული მტერზე, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებებისათვის 1944 03.03 სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთათვის დაწესებულ იქნა უშაკოვის და ნახიმოვის I და II ხარისხის ორდენები.

უშაკოვის I ხარისხის ორდენი

უშაკოვის II ხარისხის ორდენი



ივანე ისაკოვი, ივანე იუმაშვი

ვიქტორ ჩეროკოვი

ნახიმოვის I ხარისხის ორდენი

ნახიმოვის II ხარისხის ორდენი




ნახიმოვის I ხარისხის ორდენით საქართველოდან არავინ არ დაჯილდოებულა.

გიორგი აბაშვილი, ზარმაირ არვანოვი, სეით კაპანაძე, დიმიტრი ნამგალაძე, სიმონ რამიშვილი, მიხეილ ჩინჩარაძე

რუსეთის ფედერაციის 1992 წლის 2 მარტის ბრძანებულებით სუვოროვის, კუტუზოვის, უშაკოვისა და ნახიმოვის ორდენები შენარჩუნებულია რუსეთის ფედერაციის ჯილდოთა სისტემაში.



ივანე ისაკოვი
ივანე იუმაშევი



ლავრენტი ბერია



ალექსი ინაური
ალექსანდრე ნადირაძე
ელუარდ შევარდნაძე
ლავრენტი ცანავა (ჯანჯღავა)



იოსებ სტალინი
ვიტალი პოპკოვი
იური რიკაჩოვი
სილორ სლიუსარევი
სერგო ქავთარაძე
ბოვდან ქობულოვი



ვიორგი აბაშვილი
სეთი კაპანაძე
ერმალოზ კობერიძე
სიღორ სლიუსარევი
შალვა ქირია
ბოვდან ქობულოვი
პანტელეიმონ შიოშვილი
ლავრენტი ცანავა (ჯანჯღავა)
ალექსი ხარებოვი



სერგო ვოვლიძე
ტიმოფეი დედუგოლუ
ნიკოლოზ კალაძე
გრიგოლ კარანაძე
სტეფანე კინოსიანი
მიხეილ როსტომაშვილი
ესტატე ტატანაშვილი
ამაიაკ ქობულოვი

ბოვდან ქობულოვი
დიმიტრი შანშაშვილი
შალვა ჭანკოტაძე
შალვა წერეთელი
პასან ხარაზია
კირილე ჯახუა
ვიორგი ჯინჭარაძე



იოსებ სტალინი
პავლე აბრამიძე
ლავრენტი ბერია
გრიგოლ ბუქანოვი
კონსტანტინე ბზიავა
ილარიონ გაგუა
ლეონიდ ვაგინი
ივანე ვექილოვი
ვლადიმერ ზარელუა
ნიკოლოზ თავართქილაძე
იუველიანე თოფურიძე-სუმბათოვი
ივანე იარაშიშვილი
ალექსი ინაური
ივანე ისაკოვი
ივანე იუმაშვილი
ვარლამ კაკუჩაია
გრიგოლ კარანაძე
მიხეილ კიკნაძე
ნესტორ ლაბაძე
კონსტანტინე ლაზარევი

ვლადიმერ ლეყავა
ვიქტორ ლისინოვი
გარი მერკვილაძე
მიხეილ მიქელაძე
ვასილ მუჯანაძე
დიმიტრი ნამგალაძე
ვლადიმერ ნანეიშვილი
სიმონ რამიშვილი
იური რიკაჩოვი
ნიკოლოზ რუხაძე
სერაფიმ როჟდესტვენსკი
მიხეილ ლლონტი
ვიორგი ყურაშვილი
პორფილე ჩანჩიბაძე
მიხეილ ჩინჩარაძე (ჯინჭარაძე)
გრიგოლ ხახანია
ვლადიმერ ხუბულური
ვლადიმერ ჯანჯღავა
ირაკლი ჯორჯაძე



გალაქტიონ ალფაიძე
იოსებ ბესტაევი
ვლადიმერ გლუზდოვსკი
სტეფანე მიქოიანი
ვიორჯი ჩიგოვიძე



ალექსანდრე ბერიძე
კონსტანტინე ბზიავა
ილია გუჯაბიძე
პეტრე კოვალჩუკი
გარი მერკვილაძე
შალვა ქირია
მიხეილ ღლონტი
სიმონ ჩიქოვანი
ირაკლი ხარიტონაშვილი



ალექსი ინაური



ირაკლი ნიბლაძე



საბჭოთა



კავშირის

ორდენები და მედლები



მედალი
“ოქროს ვარსკვლავი”
(დაარსდა 1939 01.08)



ორდენი “გამარჯვება”
(დაარსდა 1943 08.11)



ოქროს მედალი
“ნამგალი და ურო”
(დაარსდა 1940 22.05)



“ოქტომბრის
რევოლუციის ორდენი”
(დაარსდა 1967 31.10)



ლენინის ორდენი
(დაარსდა 1930 06.04)



წითელი დროშის
ორდენი
(დაარსდა 1924 01.08)



სუვოროვის ორდენი
(I, II და III ხარისხის,
დაარსდა 1942 29.07)



უშაკოვის ორდენი
(I და II ხარისხის,
დაარსდა 1944 03.03)



კუტუზოვის ორდენი
(I და II ხარისხის დაარსდა
1942 29.07,
III ხარისხის -1943 08.02)



დიდების ორდენი
(I, II და III ხარისხის,
დაარსდა 1943 08.11)



ნახიმოვის ორდენი
(I და II ხარისხის,
დაარსდა 1944 03.03)



ბოგდან ხმელნიცკის ორდენი
(I, II და III ხარისხის,
დაარსდა 1943 10.10)



ალექსანდრე ნეველის ორდენი
(დაარსდა 1942 29.07)



შრომის წითელი დროშის ორდენი
(დაარსდა 1928 07.09)



წითელი ვარსკვლავის ორდენი
(დაარსდა 1930 06.04)



„საპატიო ნიშნის“ ორდენი
(დაარსდა 1935 25.11)



სამამულო ომის ორდენი
(I და II ხარისხის, დაარსდა 1942 20.05)



ხალხთა მეგობრობის ორდენი
(დაარსდა 1972 17.12)



ორდენი “სსრკ შვიარაღებულ ძალებში
სამშობლოს სამსახურისათვის”
(I, II და III ხარისხის, დაარსდა 1974 28.10)



შრომითი დიდების ორდენი
(I, II და III ხარისხის,
დაარსდა 1974 18.01)



მედალი “დიდ სამამულო
ომში 1941-1945 წლებში
გერმანიაზე გამარჯვებისათვის”
(დაარსდა 1945 09.05)



მედალი “კავკასიის
დაცვისათვის”
(დაარსდა 1944 01.05)



მედალი “იაპონიაზე
გამარჯვებისათვის”
(დაარსდა 1945 30.09)



საიუბილეო მედალი
“მუშურ-გლეხური წითელი
არმიის XX წელი”
(დაარსდა 1938 21.01)



მედალი
“შამაკობისათვის”
(დაარსდა 1938 17.10)




მედალი “საბრძოლო
დამსახურებისათვის”
(დაარსდა 1938 17.10)

სამამულო ომის და შემდგომ წლებში დაწესდა მრავალი ორდენი და მედალი. სხვა დანარჩენ ჯილდოებთან ერთად დამზადებული იყო იოსებ სტალინის ორდენის და მედლის (1947), პეტრე ბაბრატოვის (1943) ორდენის ნიმუშები, მაგრამ მათი ჯილდოს სახით შემოღებაზე ი.ბ. სტალინმა უარი განაცხადა.

პეტრე ბაგრატიონის ორდენის პროექტი.
მხატვარი ნ. ი. მოსკალევი

საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მედალები ჯარების სახეობათა მიხედვით



- | | |
|---|---|
| <ol style="list-style-type: none"> 1. მოტომსროლელი ნაწილები 2. ავიაცია 3. საჰაერო-სადესანტო ნაწილები 4. სატანკო ნაწილები 5. არტილერია 6. საინჟინრო ნაწილები 7. ქიმიური ნაწილები 8. კავშირგაბმ. და რადიოტექნ. ნაწილები 9. საავტომობილო და საგზაო ნაწილები | <ol style="list-style-type: none"> 10. სარკინიგზო ნაწილები 11. სამშენებლო ნაწილები 12. სამხედრო – ტოპოგრაფიული სამსახური 13. მილსადენების ნაწილები 14. სამხედრო ღირიუორების და მუსიკოსების 15. საინჟინრო – საავიაციო სამსახური 16. საინჟინრო – ტექნიკური შემაღგენლობა 17. საზღვ. ფლოტის ტექნიკ. სამსახ. ოფიცრები 18. იუსტიცია 19. სამედიცინო ვეტერინარული სამსახური |
|---|---|

საბჭოთა არმიის და სამხედრო საზღვაო ფლოტის სამკერდე ნიშნები



„გვარდია“



„გენერალური შტაბის
სამხედრო აკადემია“



„სპეციალისტ-ოსტატი“



„საბჭოთა არმიის
წარჩინებული“



„1-ლი კლასის სამხედრო მფრინავი“



„დამსახურებული სამხედრო მფრინავი“




„წყალქვეშა ნავის მეთაური“

წითელი არმიის მეთაურთა უმაღლესობის განმასხვავებელი ნიშნები


შემოღებულია 1919 16.01



შემოღებულია 1922 31.01




შემოღებულია 1935 03.12




1. ათეულის მეთაური.
2. ოცეულის მეთაურის თანაშემწე.
3. ზემდეგი.
4. ოცეულის მეთაური.
5. ასეულის მეთაური.
6. ბატალიონის მეთაური.
7. პოლკის მეთაური.
8. ბრიგადის მეთაური.
9. დივიზიის უფროსი.
10. არმიის სარდალი.
11. ფრონტის სარდალი.
12. ათეულის მეთაური.
13. ბატალიონის მეთაური.
14. ფრონტის სარდალი.
15. საბჭოთა კავშირის მარშალი.
16. 1-ლი რანგის კომანდარმი.
17. მე-2 რანგის კომანდარმი.
18. კორპუსის მეთაური.
19. დივიზიის მეთაური.
20. ბრიგადის მეთაური.
21. პოლკოვნიკი, 1939 წლიდან პოდპოლკოვნიკი.
22. მაიორი.
23. კაპიტანი.
24. უფრ. ლეიტენანტი.
25. ლეიტენანტი.
26. ზემდეგი.
27. ათეულის მეთაური.

საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა განმასწავლებელი ნიშნები

(1941 წლის ივნისი - 1943 წლის იანვარი)




1. საბჭოთა კავშირის მარშალი. 2. არმიის გენერალი. 3. არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი.
4. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი. 5. გენერალ-მაიორი. 6. დივიზიის მეთაური. 7. ბრიგადის მეთაური.
8. კორპუსის კომისარი. 9. პოლკოვნიკი. 10. პოდპოლკოვნიკი 11. მაიორი (არტილერია). 12. კაპიტანი.
13. უფრ. ლეიტენანტი. 14. ლეიტენანტი. 15. უმც. ლეიტენანტი. 16. ბატალიონის უფრ. კომისარი.




1. ფლოტის ადმირალი. 2. ადმირალი.
3. ვიცე-ადმირალი. 4. კონტრ-ადმირალი.
5. 1-ლი რანგის კაპიტანი. 6. მე-2 რანგის კაპიტანი.
7. მე-3 რანგის სამხედრო ეკიმი. 8. სამხედრო იურისტი. 9. ლეიტენანტი.
10. უმც. ლეიტენანტი. 11. მიჩმანი. 12. მთავარი ზემდევი.
13. 1-ლი თანრიგის მატროსი. 14. მე-2 თანრიგის მატროსი. 15. უფროსი წითელფლოტელი.

საზღოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა განმარტებითი ნიშნები
 (1943 წლის 6 იანვრიდან)



1. საზღოთა კავშირის მარშალი. 2. არტილერიის მთავარი მარშალი (1943 09.10-დან).
3. ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი (1943 09.10-დან).
4. არმიის გენერალი. 5. ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი. 6. გენერალ-ლეიტენანტი (ტექნიკური ჯარები და საინტენდანტო სამსახური).
7. გენერალ-მაიორი. 8. სამხედრო იურისტი (კორპუსის).
9. პოლკოვნიკი. 10. პოდპოლკოვნიკი (არტილერია).
11. ინჟინერ-მაიორი. 12. კაპიტანი (ავიაცია).
13. უფროსი ლეიტენანტი (ავიაცია). 14. ლეიტენანტი. 15. უმცროსი ლეიტენანტი. 16. იუსტიციის ლეიტენანტი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოსამსახურეთა სამხრეები



1. საზღოთა კავშირის ფლოტის აღმირალი (1955.03.03-დან).
 2. ფლოტის ადმირალი (შინელისათვის).
 3. ადმირალი. 4. ვიცე-ადმირალი. 5. კონტრ-ადმირალი. 6. 1-ლი რანგის ინჟინერ-კაპიტანი. 7. (ფლოტის) ავიაციის პოდპოლკოვნიკი.
 8. მე-3 რანგის კაპიტანი (შინელისათვის).
- 1-5, 8 საპარადო ფორმის ტანსაცმლის სამხრეები

საბჭოთა არმიის გენერლების ფორმა სამხრეების
შემოღებად და შემოღების შემდეგ





საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი თარიღები და ფაქტები 1917 1991



- 1917 25.10 რუსეთში ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. დაიშალა რუსეთის იმპერია და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. შეიქმნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა - რსფსრ.
- 1917 08.11 შეიქმნა საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი
- 1917 10.11 გამოქვეყნდა დადგენილება საბჭოთა რუსეთის “მუშათა მილიციის შესახებ”.
- 1917 15.12 საბჭოთა რუსეთის ზავი გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ბრესტ-ლიტოვსკში.
- 1917 16.12 გაუქმდა რუსეთის იმპერიის სამხედრო და სამოქალაქო წოდებები, ჩინები და ტიტულები (შემოღებული იყო პეტრე I მიერ 1722 წ.).
- 1917 20.12 შეიქმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია ფელიქს ძერჟინსკის ხელმძღვანელობით (“ვჩკ”, შემდგომში კი – “გპუ”, “ოგპუ”, “ნკვდ”, “ნკვბ”, “მგბ”, “კვბ”).
- 1918 24.01 საბჭოთა რუსეთის დეკრეტი ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ 1918 14.02-დან. (06.02)
- 1918 28.01 შეიქმნა საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმია (“რკკა”), II თებერვალს კი – მუშურ-გლეხური წითელი ფლოტი.
- 1918 12.03 მოსკოვი გამოცხადდა საბჭოთა რუსეთის დედაქალაქად.
- 1918 25.05 დაარსდა საბჭოთა რუსეთის სასაზღვრო დაცვა.
- 1918 17.07 ეკატერინბურგში ბოლშევიკებმა დახვრიტეს რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II ოჯახთან ერთად (ტახტის მემკვიდრე 14 წლის ალექსი, 4 ქალიშვილი, მეუღლე და სხვები).
- 1918 05.09 ოფიციალურად გამოცხადდა წითელი ტერორი.
- 1918 16.09 დაწესდა საბჭოთა რუსეთის პირველი წარჩინების ნიშანი – „რსფსრ წითელი დროშის“ ორდენი.
- 1918-19 20 გაჩაღდა სამოქალაქო ომი.
- 1918-19 35 წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა დაყოფილი იყო ჯგუფებად: უმცროსი, საშუალო, უფროსი და უმაღლესი, ხოლო თანამდებობრივი ნიშნით – 13 კატეგორიად.
- 1919 12.05 შეიქმნა I გრაივორონსკის რევოლუციური პოლკი, რომელიც იმავე წლის ბოლოს გარდაიქმნა მე-7 ქართულ მსროლელ პოლკად, დაიშალა 1940 წელს. პირადი შემადგენლობა - 450 კაცი, ქართველები - 80%.



- 1920 08.04 დაწესდა სამხედრო ჯილდო – საპატიო რევოლუციური იარაღი, რომლითაც დაჯილდოვდა 21 მხედართმთავარი.
- 1920 25.04 დაიწყო საბჭოთა რუსეთ-უკრაინისა და პოლონეთის ომი, დამთავრდა 1921 18.03.
- 1920 28.04 შეიქმნა აზერბაიჯანის სსრ.
- 1920 18.08 შეიქმნა კავკასიის მე-16 მსროლელთა პოლკი, რომელიც დაიშალა 1939 წელს. პირადი შემადგენლობა - 600 კაცი, ქართველები - 80%.
- 1920 24.11 საზღვრების დაცვა დაევალა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას (“ვჩკ”).
- 1920 29.11 შეიქმნა სომხეთის სსრ.
- 1921 16.02 ფილიპე მახარაძის მეთაურობით შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) – საბჭოთა ხელისუფლების დროებითი საგანგებო ორგანო. რევკომის შემადგენლობაში შევიდნენ: მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, გიორგი ელისაბედაშვილი, ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი, ბესარიონ კვიციანი და ამაიკ ნაზარეტიანი. რევკომმა მიმართა რსფსრ, რათა იგი დახმარებოდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.
- 1921 25.02 საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ გააფთვრებული ბრძოლების შემდეგ დაიპყრეს თბილისი.
- 1921 თებერ. საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა თბილისში – 25 თებერვალს, აფხაზეთში – 4 მარტს, მარტი სამხრეთ ოსეთში – 17 მარტს და აჭარაში – 18 მარტს.
- 1921 26.02 შეიქმნა სსსრ კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისია გიორგი ელისაბედაშვილის თავმჯდომარეობით. ამ ორგანომ საბჭოთა კავშირის პერიოდში 7-ჯერ შეიცვალა თავისი სახელწოდება, გამოიცვალა 16 ხელმძღვანელი, აქედან 10 რეპრესიის მსხვერპლი გახდა.
- 1921 08.03 სხვა სახალხო კომისარიატებთან ერთად საქართველოში შეიქმნა სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატი (სახკომი - შალვა ელიავა) და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (სახკომი - ბესარიონ კვიციანი).
- 1921 11.03 საქართველოს რევკომის ბრძანებით შეიქმნა საქართველოს წითელი არმია. მის სათავეებთან იდგნენ შალვა ელიავა, ლეონიდე ალლაძე, თედორე ბუაჩიძე, გიორგი ქუთათელაძე, გიორგი მაზნიაშვილი, თენგიზ ჟღენტი, სამსონ ლექვთაძე და სხვები. ყველა მათგანი 1937-38 წლებში რეპრესირებულ იქნა.
- 1921 19.03 ყოფილი ქართული ჯარის მთავარსარდალი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა ქართული წითელი არმიის ცალკეული დივიზიის უფროსად. იმავე წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს 5 წელი. მცირე დროის შემდეგ მისცეს საშუალება ემიგრაციაში წასულიყო. საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით დაბრუნდა 1925 წელს. შემდეგ ისევ დააპატიმრეს და მიუსაჯეს 25 წელი, მაგრამ 1937 11.12 დახვრიტეს.



- 19 21 20.04 შეიქმნა მუშურ-გლეხური მილიცია, რომლის შემადგენლობაში შევიდა ქალაქისა და მაზრის მილიცია, რკინიგზის მილიცია, წყლის მილიცია, სისხლის სამართლის სამძებრო მილიცია. საბჭოთა მილიცია ორგანიზაციულად შევიდა შს სასკომის შემადგენლობაში, სადაც შემდგომში შეიქმნა მილიციის მთავარი სამმართველო, რომლის ხელმძღვანელი – რესპუბლიკის მილიციის უფროსი ითვლებოდა სსსრ შსსკ კოლეგიის წევრად.
- 19 21 21.04 საქართველოს რევკომის დეკრეტით შეიქმნა სახალხო კომისარიატები.
- 19 21 04.05 გამოიცა რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანება: მე-11 წითელი არმიის ბაზაზე კავკასიის ცალკეული არმიის შექმნის შესახებ.
- 19 21 შეიქმნა კავკასიის I-ლი მსროლელი დივიზია, რომელსაც 19 28 წელს მიენიჭა საქართველოს ცაკ-ის სახელი. პირადი შემადგენლობა – 3500 კაცი. ქართველები – 50%.
- 19 21 12.05 საქართველოს რევკომის ბრძანებით თბილისში შეიქმნა წითელი არმიის მეთაურთა მოსამზადებელი კურსები, რომელსაც 29 სექტემბერს მიენიჭა ახალი სახელი – ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა, შემდგომში კი – ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა.
- 19 21 09.11 საქართველოს რევკომმა დაამტკიცა საქართველოს სსრ წითელი ღროშის ორდენის პროექტი. 19 20-ან წლებში საბჭოთა ორდენები დაწესდა აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, უზბეკეთში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.
- 19 22 06.02 გაუქმდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (“ვჩკ”) და შინაგან საქმეთა სასკომთან შეიქმნა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (“გპუ”). საგანგებო კომისიების ნაცვლად დაფუძნდა პოლიტიკური და საგანგებო განყოფილებები. სამმართველოსა და ადგილებზე მისი ორგანოების კომპეტენცია, საგანგებო კომისიის კომპეტენციასთან შედარებით, მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. ზედამხედველობა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოზე როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ევალებოდა იუსტიციის საგანგებო სახალხო კომისარიატს.
- 19 22 25.02 საბჭოების სრულიად საქართველოს პირველ ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამ დღეს რევკომმა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება გადასცა ყრილობას.
- 19 22 03.03 სსსრ გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობამ მიიღო მოწოდება საქართველოში წითელი არმიის შექმნის შესახებ.
- 19 22 12.03 გაერთიანდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია (19 22 13.12-დან - ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა - ასფსრ).
- 19 22 16.03 საქართველოში საყოველთაო აჯანყების მოსამზადებლად ფარულად ჩამოყალიბდა “სამხედრო ცენტრი” გენერალ კოტე აფხაზის თავმჯდომარეობით.
- 19 22 03.04 რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს იოსებ სტალინი.



- 1922 18.05 სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში შეიქმნა კონტრდაზვერვის განყოფილება ("კრო"). მის პირველ უფროსად დაინიშნა არტურ არტუზოვი (ფრაუჩი).
- 1922 22.05 შეიქმნა ქართული 24-ე საკავალერიო პოლკი. პირადი შემადგენლობა 600 კაცი, ქართველები – 60%.
- 1922 14.06 შექმნილი ქართული ნაკრები ბრიგადის ბაზაზე ჩამოყალიბდა პირველი ქართული მსროლელი დივიზია სამსონ ლექვთაძის მეთაურობით. დივიზია განლაგებული იყო დასავლეთ საქართველოში, შტაბი – ქუთაისში. სხვადასხვა დროს დივიზიის მეთაურები იყვნენ გიორგი თუხარელი, გიორგი ქუთათელაძე, ლეონიდე ალაძე, ღურმიშხან (ღურუ) ბაქარაძე.
- 1922 16.07 შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სასაზღვრო ჯარების შტაბი.
- 1922 01.09 ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა გადაკეთდა ქართულ სამხედრო გაერთიანებულ სკოლად. პირველ კურსდამთავრებულთა შორის იყვნენ მომავალი სახელოვანი გენერლები კონსტანტინე ლესელიძე, პორფილე ჩანჩიბაძე, ვასილ მჟავანაძე და სხვ. არსებობის მანძილზე სკოლამ გამოუშვა 5 ნაკადი (1922, 1924, 1925, 1926, 1927), სულ – 591 წითელი მეთაური.
- 1922 16.10 აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წითელი არმიები გარდაიქმნა ეროვნულ მსროლელ დივიზიებად.
- 1922 30.12 შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ).
- 1922 24.04 შეიქმნა კავკასიის I-ლი ბათალბაშინის მსროლელი პოლკი, რომელიც 1936 წელს გარდაიქმნა 25-ე მსროლელ პოლკად და მიენიჭა აჭარის ცაკ-ის სახელი, დაიშალა 1939 წელს. პირადი შემადგენლობა – 500 კაცი, ქართველები – 90%.
- 1923 დაწესდა საბჭოთა საქართველოს პირველი სახელმწიფო ჯილდო: წითელი დროშის ორდენი.
- 1923 28.02 შეიქმნა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქი.
- 1923 20.05 ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში ჩაიშალა. თბილისში, ახლანდელი ვაკის პარკის მიდამოებში ბოლშევიკებმა დახვრიტეს "სამხედრო ცენტრის" ბირთვი: გენერლები და ოფიცრები – კოტე აფხაზი (55 წლ.), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (51 წლ.), ვარდენ წულუკიძე (57 წლ.), როსტომ მუსხელიაშვილი (34 წლ.) და სხვები, სულ 15 ქართველი მამულიშვილი.
- 1923 12.11 შეიქმნა საკავშირო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი. ანალოგიური სასკომები მოკავშირე რესპუბლიკებში გააუქმეს.
- 1924 26.01 პეტროგრადს ეწოდა ახალი სახელი – ლენინგრადი.
- 1924 10.04 ქ. ცარიცინს ეწოდა ახალი სახელი – სტალინგრადი.
- 1924 22.04 შეიქმნა ქართული მე-2 მსროლელი დივიზია, რომელსაც 1926 წ. მ. ფრუნზეს სახელი ეწოდა. დივიზია განლაგებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბი – თბილისში. 1937 მაისიდან გარდაიქმნა 63-ე სამთო-მსროლელ დივიზიად. სხვადასხვა დროს დივიზიის მეთაურები იყვნენ



ნიკოლოზ ენუქიძე, გიორგი ქუთათელაძე, პეტრე აღნიაშვილი, ვალერიან გიორგაძე, თედორე ბუაჩიძე, კონსტანტინე ლესელიძე.

- 1924 აგვისტო – სექტემბერი განსაკუთრებული სისასტიკით ჩაახშეს აჯანყება საბჭოთა საქართველოში. ბოლშევიკებმა დახვრიტეს მისი ორგანიზატორები: გენერლები – გიორგი ფურცელაძე, სოლომონ ყარალაშვილი, სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი და სხვები.
- 1924-1925 წითელ არმიაში გატარდა სამხედრო რეფორმა.
- 1924 01.08 დაწესდა საბჭოთა კავშირის პირველი საერთო-საკავშირო სამხედრო ჯილდო - წითელი დროშის ორდენი.
- 1924 24.10 გენერალ ლეო კერესელიძის წინამძღოლობით პარიზში დაფუძნდა საქართველოს ანტისაბჭოთა პატრიოტული ახალგაზრდული ორგანიზაცია “თეთრი გიორგი”, რომელიც დაიშალა 1950-იან წლებში.
- 1925 01.09 დაარსდა ამიერკავკასიაში ერთადერთი თბილისის მილიციის ორწლიანი სკოლა.
- 1927 თბილისის სამხედრო ქვეითთა სკოლის, ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის, აზერბაიჯანის და სომხეთის სკოლების ბაზაზე თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის ქვეითთა სამხედრო სკოლა.
- 1929 05.09 ქართული 1-ლი მსროლელი დივიზია გარდაიქმნა ქართულ პირველ სამთო-მსროლელ დივიზიად. 1930 წელს დივიზიას მიენიჭა ი. ბ. სტალინის სახელი. 1937 წლის მაისიდან ამ დივიზიას ეწოდა 47-ე სამთო-მსროლელი დივიზია. პირადი შემადგენლობა – 3.800 კაცი, ქართველები – 90%.
- 1930 17.01 გაუქმდა სსრკ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატები. შინსახკომის ფუნქციები გადაეცა სხვა ორგანოებს, ხოლო მილიციის, სისხლის სამართლის სამმებროსა და საუწყებო მილიციისადმი ხელმძღვანელობა დაეკისრა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს.
- 1930 06.04 დაწესდა სსრკ უმაღლესი ჯილდო – ლენინის ორდენი.
- 1930 27.06 ემიგრაციაში გარდაიცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული გმირი, პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი (დ. 1888 14.07, დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე, საფრანგეთი).
- 1930 15.12 საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებში გაუქმდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის სისტემას სათავეში ჩაუდგინენ მილიციის მთავარი სამმართველოები.
- 1931 31.12 დაარსდა საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენი.
- 1932 27.12 გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან შეიქმნა მუშურ-გლეხური მილიციის მთავარი სამმართველო.
- 1934 15.03 სამხედრო და საზღვაო კომისარიატი გარდაიქმნა სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატად.



- 1934 16.04 დაწესდა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ოქროს ვარსკვლავის მედალი კი – 1939 01.08. ეს წარჩინების უმაღლესი ჯილდო მიენიჭა ჩვენს თანამემამულე 19 გენერალს და 150-მდე ოფიცერსა და ჯარისკაცს.
- 1934 10.07 შეიქმნა საერთო-საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელშიც გაერთიანდნენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები და მილიცია.
- 1934 17.07 ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში შეიქმნა შინსახკომის შინაგან საქმეთა სამმართველოები.
- 1935 06.06 შეიქმნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი („ზაკვო“), რომლის შტაბი იყო თბილისში.
- 1935 22.09 საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში პირველად დაწესდა პერსონალური სამხედრო წოდებები (უმცროსი მეთაურით დაწყებული და არმიის 1-ლი რანგის მეთაურით დამთავრებული), მანამდე წითელ არმიაში და სამხედრო-საზღვაო ფლოტში წოდებები დაკავებული თანამდებობით განისაზღვრებოდა.
- 1935 22.09 დაწესდა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. პირველი მარშლები გახდნენ: ვასილ ბლიუხერი, სემიონ ბუდიონი, ალექსანდრე ეგოროვი, კლიმენტ ვოროშილოვი და მიხეილ ტუხაჩევსკი. საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მინიჭებული ჰქონდა 41 პირს, მათ შორის ლავრენტი ბერია მე-14 იყო.
- 1936 17.08 ქ. ტფილისის სახელწოდება შეიცვალა თბილისით.
- 1936 შეიქმნა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემია.
- 1936 05.12 მიღებულ იქნა სსრკ ახალი კონსტიტუცია.
- 1937 18.01 ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქი დაიშალა და შეიქმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ოლქები.
- 1937 13.02 გაუქმდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა – ასფსრ.
- 1937 15.02 ამიერკავკასიის ოლქის ბაზაზე შეიქმნა სამი სასაზღვრო ოლქი – აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოსი.
- 1937 18.02 მოსკოვში, საკუთარ სახლში გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძემ თავი მოიკლა.
- 1937 04.05 დამტკიცდა საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი.
- 1937 30.07 სსრკ შს სახალხო კომისარმა ნ. ეუომა გამოსცა ზესაიდუმლო ბრძანება – დირექტივა №00447 მასობრივი ჯაჭვრა – დაპატიმრების შესახებ, რამაც ფაქტობრივად სათავე დაუდო პოლიტიკურ ტერორს მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- 1937 30.12 შეიქმნა სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახკომი. გაუქმდა 1946 25.02.



- 1937-1938 რეპრესიების შედეგად დახვრიტეს საქართველოს წითელი არმიის შემქმნელები და პირველი მეთაურები (“კრასკომები”): ლეონიდე აღლაძე (50 წლ.), ნიკოლოზ ბლუაშვილი (37 წლ.), თედორე (სოსო) ბუაჩიძე (37 წლ.), ვალერიან გიორგაძე (39 წლ.), გიორგი ქუთათელაძე (46 წლ.), ვიქტორ მგალობლიშვილი (43 წლ.) და სხვები, აგრეთვე სასაზღვრო ჯარების ერთ-ერთი პირველი შემქმნელი ივანე მაისურაძე (44 წლ.), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელი მუშაკების დიდი ჯგუფი.
- 1938 24.01 დაწესდა სსრკ პირველი მედალი – „რკკა XX წელი“.
- 1938 16.04 სსრკ თავდაცვის სახკომის ბრძანებით დაიშალა ეროვნული შენაერთები. ქართული 1-ლი დივიზია გარდაიქმნა 47-ე მსროლელ დივიზიად, ქართული მე-2 დივიზია კი – 63-ე მსროლელ დივიზიად, რომლებიც საერთო-საჯარისო ნაწილებს შეუერთდნენ.
- 1938 18.05 საქართველოს სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსად დაინიშნა კომბრიგი ნესტორ ლაბაძე, რომელმაც ამ თანამდებობაზე დაპყრო სამამულო ომის დამთავრებამდე, უკვე გენერალ-ლეიტენანტის წოდებით.
- 1938 20.06 ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყველა ეროვნული შენაერთი და ნაწილი საერთო საკავშირო შენაერთებად და ნაწილებად გარდაიქმნა.
- 1938 08.12 ლავრენტი ბერია დაინიშნა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.
- 1938 27.12 დაარსდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. შრომითი წარჩინების ეს უმაღლესი ჯილდო მიენიჭა 6 ქართველ გენერალს: იოსებ სტალინს, ლავრენტი ბერიას, ვასილ მუჟაჟანაძეს, ალექსანდრე ნადირაძეს (ორჯერ), შალვა ჟიჟილაშვილსა და ედუარდ შევარდნაძეს.
- 1939 01.09 დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ამ დღეს გერმანელთა ჯარები შეიჭრნენ პოლონეთში. იმ დღესვე მიღებულ იქნა სსრკ კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“.
- 1939 17.09 წითელმა არმიამ გადალახა პოლონეთის საზღვარი.
- 1939 სექტემბერი პოლონეთში მყოფმა ყველა ქართველმა გენერალმა და მეომარმა მოხალისედ მიიღო ომში მონაწილეობა. პოლონეთში შეჭრილი გერმანული არმიის სარდლობამ გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე “პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად” გამოაცხადა. პოლონეთის მტრების წინააღმდეგ ასევე გამიჯნულად იბრძოდნენ პოლონეთის ჯარის სხვა ქართველი გენერლები და ოფიცრები.
- 1939 22.09 ბრესტში ჩატარდა წითელი არმიისა და ვერმახტის ერთობლივი სამხედრო პარადი, რომელიც მიიღეს გერმანელმა გენერალმა გუდერიანმა და კომბრიგმა კრივოშინმა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან გასული იყო 21 დღე.
- 1939 30.11 დაიწყო საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ომი, რომელიც ოთხი თვე მიმდინარეობდა და დასრულდა მშვიდობიანი მოლაპარაკებით 1940 30.03. სსრკ ცოცხალი ძალის დანაკარგები: დაიღუპა 53 522 მეომარი, დაიჭრა 163 772, გაიყინა 12 000 და უგზოუკვლოდ დაიკარგა 16 208. ომი დამთავრდა 1940 12.03.



- 1940 21.03 ავიაციის 37 წლის პოლკოვნიკს (შემდგომში – ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი) ვლადიმერ ნანეიშვილს ფინეთის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ქართველთა შორის პირველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.
- 1940 07.05 გამოიცა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წითელი არმიისა და სამხედრო-სახლვით ფლოტის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო წოდებათა დაწესების შესახებ. გენერლებისა და აღმირალების სამხედრო წოდებებს ანიჭებდა სსრკ სახკომსაბჭო, 1946 წლის შემდეგ კი – სსრკ მინისტრთა საბჭო.
- 1940 04.06 გაზეთ “პრავდაში” გამოქვეყნებულ გენერლების პირველ სიაში (სულ 479 მეთაური) იყო სამი ქართველი პოლკოვნიკი – პავლე აბრამიძე, ნესტორ ლაბაძე და სამხედრო მფრინავი ვლადიმერ ნანეიშვილი. 1938 წლიდან პირველი მათგანი მეთაურობდა დივიზიას, მეორე – საქართველოს სასაზღვრო ოლქის ჯარებს, მესამე კი – მე-18 საავიაციო ბრიგადას.
- 1941 03.02 სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაიყო ორ დამოუკიდებელ სამსახურად: შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატებად, (1941 20.07 ისევ გაერთიანდნენ). სახალხო კომისრებად დაინიშნენ ლ. ბერია და ვს. მერკულოვი. საქართველოს სსრ შსსკ გაიყო 1941 11.03.
- 1941 22.06 დაიწყო სსრკ-გერმანიის ომი (დიდი სამამულო ომი). 1941 წლისათვის გერმანიას ჰყავდა 8,5-მილიონიანი არმია, იმ პერიოდისათვის მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლიერი ჯარი.
- 1941 30.06 შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ი. ბ. სტალინი (თავ-რე), ვ. მ. მოლოტოვი (თავ-რის მოადგ.), კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მაღენკოვი, ლ. პ. ბერია. მოგვიანებით მასში გაწვერიანდნენ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ი. მიქოიანი.
- 1941 19.07 სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრად დაინიშნა ი. სტალინი (მარშალ ს. ტიმოშენკოს ნაცვლად).
- 1941 08.08 შეიქმნა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი ი. სტალინის მეთაურობით, (გაუქმდა 1945 05.09).
- 1941 08.08 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სახკომები გაერთიანდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად.
- 1941 23.08 ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი გარდაიქმნა ამიერკავკასიის ფრონტად (1941 23.11-დან – ამიერკავკასიის მოქმედი ფრონტი).
- 1941 25.08 საბჭოთა რუსეთ-ირანის 1921 წლის ხელშეკრულების მე-6 მუხლის საფუძველზე საბჭოთა ჯარები (45-ე არმია) შევიდნენ ირანის ტერიტორიაზე, რამაც მნიშვნელოვნად გაამაგრა საბჭოთა კავშირის საზღვრები ამიერკავკასიაში. ჯარები გამოიყვანეს 1946 წლის 20 აპრილს.
- 1941 07.11 მოსკოვში, წითელ მოედანზე, ჩატარდა ისტორიული სამხედრო პარადი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა იოსებ სტალინი. ამ დროს თითქმის მილიონიანი ფაშისტური არმია მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა. ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ამ დღეს თვითონ ჩაატარებდა იქ პარადს, რისთვისაც ფაშისტებმა საპარადო ფორმა შემოიტანეს და სამკვებიც დაამზადეს.



- 1941 30.12 ამიერკავკასიის ფრონტს გადაერქვა სახელი და ეწოდა კავკასიის ფრონტი, რომელიც 1942 წლის 28 იანვარს გაიყო ყირიმის ფრონტად და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქად.
- 1941-1945 საქართველოდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობა მიიღო 700 ათასამდე მეომარმა, 300 ათასზე მეტი შინ არ დაბრუნებულა (ზუსტი ცნობები არ არსებობს). ომში მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე 82 გენერალი და აღმირალი, 23.000 ოფიცერი. იმ დროს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3,8 მლნ. მცხოვრებს. საქართველომ ომში გაიყვანა მოსახლეობის 18%-ზე მეტი. ეს მჩვენებელი ყველაზე დიდი იყო მთელ საბჭოთა კავშირში.
- 1941-1943 დაიწყო ქართული ეროვნული შენაერთების ჩამოყალიბება. ამ პერიოდში საქართველოში შეიქმნა 224-ე, 242-ე, 394-ე, 392-ე, 406-ე, 276-ე, 349-ე, 414-ე, 296-ე მსროლელი დივიზიები. იმ პერიოდში დივიზიაში საშუალოდ 12,5 ათასი მეომარი იყო. დიდი სამამულო ომის დროს შეიქმნა აგრეთვე 25-ე, 51-ე, 95-ე, 366-ე, 388-ე მსროლელი დივიზიები და მე-7, 83-ე ქვეითი საზღვაო ბრიგადები, რომელთა პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ.
- 1942 26.02 გერმანიის უმაღლესი სარდლობის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა, ძირითადად, ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან დაკომპლექტებული საჯარისო ლეგიონი. ყოველკვირეულად გამოდიოდა გაზეთი "საქართველო", რომლის რედაქტორი გახლდათ გენერალ შალვა მაღლაკელიძის ვაჟი – გაიოზ მაღლაკელიძე.
- 1942 01.05 ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი კვლავ გარდაიქმნა ამიერკავკასიის ფრონტად.
- 1942 14.05 სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითების თანახმად, საქართველოს ტერიტორიის შავი ზღვის სანაპირო ხაზიდან და საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრიდან 10-15 კილომეტრის სიღრმეში დაწესდა განსაკუთრებული სამხედრო რეჟიმი. მომდევნო წლებში არსებული სასაზღვრო რეჟიმი უფრო განმტკიცდა, გაფართოვდა და არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.
- 1942 25.07 გაჩაღდა კავკასიის ბრძოლა, რომელშიც განსაკუთრებული გმირობა და სიმამაცე გამოიჩინეს
- 1943 09.10 ქართველმა გენერლებმა და მეომრებმა.
- 1942 28.07 უმაღლესმა მთავარსარდალმა ი.ბ. სტალინმა გამოსცა ბრძანება №227: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“. ამ ბრძანებამ უდიდესი როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის პერიოდში.
- 1942 ამიერკავკასიაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. სამხედრო წესების შემოღებით სექტემბრიდან საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ყველა ფუნქცია ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობისა და მისი შენაერთების ხელში გადავიდა.
- 1942 24.10 ჩრდილოეთ აფრიკაში ფაშისტებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი (დ. 1906). მისი სახელი 1956 წელს მიენიჭა სენ-სირის სამხედრო აკადემიის 143-ე გამოშვებას.
- 1942 11.11 წითელ არმიაში შემოიღეს მთლიანი ერთმმართველობა და გაუქმდა კომისრების არსებული ინსტიტუტი. კომისრები დაინიშნენ მეთაურების მოადგილეებად პოლიტიკურ დარგში.



- 1942-1943 საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში მოხდა სამხედრო წოდებების უნიფიკაცია და დაწესდა ერთიანი პერსონალური სამხედრო წოდებები, რომლებიც არსებობდნენ სსრკ დაშლამდე და მათი უმეტესობა დღესაც არსებობს რუსეთის ფედერაციაში.
- 1943 06.01 სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საბჭოთა არმიის პირადი შემადგენლობისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის (1943 15.02) დაწესდა ახალი განმასხვავებელი ნიშნები - სამხრეები: გენერლებისა და მარშლებისათვის ოქროსფერი ერთიანი ზომის. გენერალ-მაიორის სამხრეებს უკეთდებოდა 1 ვარსკვლავი, გენერალ-ლეიტენანტისას - 2, გენერალ-პოლკოვნიკისას - 3, არმიის გენერლისას - 4 ვარსკვლავი.
- 1943 15.01 თავდაცვის სახალხო კომისრის ი. სტალინის ბრძანებაში "ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღებისა და წითელი არმიის ტანისამოსის ფორმაში ცვლილებების შესახებ" ნათქვამი იყო: "... წითელი არმიის მთელი შემადგენლობა გადავიდეს ახალ განმასხვავებელ ნიშნებზე - სამხრეების ტარებაზე 1943 წლის 1-15 თებერვალს".
- 1943 25.01 ომის ამ პერიოდში გამოიცა საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის
- 1945 03.09 იოსებ ბესარიონის ძე სტალინის 375 მისალოცი, ან კიდევ როგორც მას უწოდებდნენ - სამადლობელი ბრძანება. ქართველი გენერლებიდან უმაღლესი მთავარსარდლის ყველაზე მეტი მადლობა დაიმსახურა სახელგანთქმულმა მხედართმთავარმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ჯანჯღავამ - 13-ჯერ.
 ი. ბ. სტალინის მადლობა 12-ჯერ გამოეცხადა გენერალ-მაიორ ნიკოლოზ კალაძეს, 9-ჯერ - საბჭოთა კავშირის გმირს გენერალ-პოლკოვნიკ პორფილე ჩანჩიბაძეს, 7-ჯერ - ავიაციის გენერალ-მაიორ ესტატე ტატანაშვილს, 6-ჯერ - საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ ნანეიშვილს, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძეს მარტო ერთი წლის მანძილზე 5-ჯერ გამოეცხადა ი. სტალინის მადლობა; ასეთივე სამადლობელი ბარათი მიიღეს გენერალ-მაიორმა კირილე ჯახუამ და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ვასილ სტალინმა. ი.ბ. სტალინის მადლობა დაიმსახურეს აგრეთვე გენერალ-მაიორებმა - გიორგი ჯინჯარაძემ - 3-ჯერ, ერმალოზ კობერიძემ - 2-ჯერ, გიორგი ყურაშვილმა და კონტრ-ადმირალმა სეით კაპანაძემ - თითოჯერ.
- 1943 14.04 გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში მოკლეს ტყვედ ჩავარდნილი (1941 16.07) ი.ბ. სტალინის უფროსი ვაჟი, არტილერიის უფროსი ლეიტენანტი 35 წლის იაკობ ჯულაშვილი.
- 1943 21.05 სსსრ შსსკ ისევ ორად გაიყო.
- 1943 08.09 დაწესდა სტალინური პრემიის საპატიო ნიშანი: I, II და III ხარისხისა (პირველი პრემიის მფლობელი, საპატიო ნიშანთან ერთად, იღებდა 200 000 მანეთს).
- 1943 09.10 დასრულდა კავკასიისათვის ბრძოლა (1942 25.07.-31.02-დაცვა, 1943 01.01-09.10-შეტევა). ამ დღეს მე-18 სადესანტო არმიის სარდალს კონსტანტინე ლესელიძეს მიენიჭა გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება - პირველს ქართველ საბჭოთა გენერლებს შორის.
- 1943 ოქტომბერი საბჭოთა კავშირში დაარსდა სუვოროვის 9 სამხედრო სასწავლებელი (თითოეული 500 ბავშვისთვის) 7 წლის სწავლების ვადით. ერთ-ერთი მათგანი გაიხსნა ქუთაისში, რომლის



კურატორად დაინიშნა კონტრ-ადმირალი კონსტანტინე სუხიაშვილი. სუვოროვის სასწავლებლებიდან მომავალში გამოვიდნენ შესანიშნავი მხედართუფროსები, მათ შორის გენერლები - გივი ორჯონიკიძე, ვალერიან გომელაური, ანზორ ჯაიანი.

- 1943 08.11 დაწესდა სსრკ უმაღლესი სამხედრო ორდენი „გამარჯვება“, რომლითაც დაჯილდოვდა 17 ადამიანი, მათ შორის იოსებ სტალინი, გიორგი ჟუკოვი და ალექსანდრე ვასილევსკი – ორჯერ.
- 1943 28.11 ირანის დედაქალაქ თეირანში ჩატარდა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მეთაურთა კონფერენცია. 1945 წლის 4-11 თებერვალს და 1945 წლის 17 ივლისს - 2 აგვისტოს პერიოდში ასეთივე კონფერენციები მოეწყო ყირიმსა და პოტსდამში. სამივე კონფერენციის ორგანიზაციასა და უშიშროების უზრუნველყოფაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი გენერლები, რომლებმაც მთავრობების მეთაურთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს და დაჯილდოვდნენ საბრძოლო ორდენებით.
- 1943 02.12 ჯერ კიდევ მაშინ, ირანიდან ბაქოში ჩასულ იოსებ სტალინს უთქვამს: „... ვიცი, როცა მოკვდები, საფლავზე ნავის გორას დამიყენებენ, მაგრამ ისტორიის ქარი უმოწყალოდ გაფანტავს ამ ნავას“.
- 1943 - 1946 სსრკ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედებდა სამხედრო კონტრდაზვერვის სპეციალური სამსახური. იოსებ სტალინის წინადადებით მას ეწოდა „სმერში“ (სიტყვა-სიტყვით „სმერტ შპიონამ“ – სიკვდილი ჯაშუშებს), სადაც მსახურობდნენ და თავი გამოიჩინეს ქართველმა გენერლებმა. საქართველოს „სმერში“-ს პირველი და უცვლელი უფროსი იყო გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ რუხაძე. ეს გასაიდუმლოებული ორგანო მდებარეობდა ყოფილ პლენანოვის გამზირზე, მ. გორკის სახ. პარკის გვერდით. სსრკ სამხედრო კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი და ერთდროულად თავდაცვის სახკომის მოადგილე იყო გენერალ-პოლკოვნიკი ვიქტორ აბაკუშოვი (1908), შემდგომში სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი (1946-51). დააპატიმრეს 1951 12.07 და დახვრიტეს 1954 19.12.
- 1944 მარტი აფხაზეთის ზღვისპირა დასახლებულ პუნქტს ერმოლოვსკს დაერქვა გენერალ ლესელიძის სახელი.
- 1944 23.06 მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ უდიდეს და ფართომასშტაბიან ბელორუსიის ოპერაციას 29.08 ი. სტალინის წინადადებით ეწოდა კოდური სახელწოდება „ბაგრატიონი“.
- 1944 04.07 დაწესდა წითელი არმიის გენერლების, ოფიცრებისა და ზევადიანი სამსახურის სერჟანტთა დამსახურებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების ახალი წესი: 10 წლის სამსახურისათვის დაწესებული იყო მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“, 15 წლისათვის – წითელი ვარსკვლავის, 20 წლისათვის – წითელი დროშის ორდენი, 25 წლისათვის – ლენინის ორდენი, 30 წლისათვის – წითელი დროშის მეორე ორდენი. აღნიშნული ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ხდებოდა წელიწადში ორჯერ: 1 მაისს და 7 ნოემბერს.
- 1945 08.05 გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას. ამ დროს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში იყო 12 მილიონამდე მებრძოლი. ეს დღემდე რჩება ყველაზე დიდ რაოდენობად მსოფლიოში. მაშინ საბჭოთა კავშირში იყო 12 მარშალი, 5.597 გენერალი და ადმირალი.



- 1945 09.05 მე-2 გვარდიული არმიის სახელგანთქმულმა სარდალმა (1944 ივნისი - 1945 მაისი), გენერალ-პოლკოვნიკმა პორფილე ჩანჩიბაძემ კენიგსბერგში წაიკითხა გერმანიის კაპიტულაციის აქტი.
- 1945 24.06 მოსკოვში, წითელ მოედანზე გაიმართა საბჭოთა ჯარების გრანდიოზული აღლუმი, რომელიც მსოფლიო ისტორიაში შევიდა, როგორც გამარჯვების პარადი. დამარცხებული ფაშისტური არმიებისა და დივიზიების 200-ზე მეტი დროშა და შტანდარტი დაიყარა მავზოლეუმის წინ, რომლის ტრიბუნაზე ამ დიადი გამარჯვების მთავარი გამომჭედელი საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი იდგა.
- 1945 06.07 გაუქმდა სპეციალური სამხედრო წოდებები შსს და სახელმწიფო უშიშროების სახკომების მეთაურთა შემადგენლობებისათვის და შემოღებულ იქნა გენერლებისა და ოფიცრების წოდებები. 9 ივლისს ამ უწყებების მეთაურთა შემადგენლობას მიენიჭა გენერლის, ლავრენტი ბერიას კი – საბჭოთა კავშირის მარშლის წოდებები.
- 1945 16.07 აშშ ალამოგორდოს რაიონში გამოსცადეს პირველი ატომური ბომბი, რამაც საფუძველი დაუდო ამ საშიში იარაღის ამერიკულ მონოპოლიას. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით საბჭოთა სტრატეგიულმა დაზვერვამ შესძლო შეღწევა “მანჰეტენის პროექტში” და მოკლე ხანში ბირთვული იარაღი საბჭოთა კავშირისათვის აღარ იყო საიდუმლოება.
- 1945 02.08 საბჭოთა დელეგაციის ოფიციალურ შემადგენლობაში (სულ 17 დელეგატი) ბერლინის (პოტსდამის) საერთაშორისო კონფერენციაზე შედიოდა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (1943 03.09-დან) სერგო ივანეს ძე ქავთარაძე (1885-1971).
- 1945 09.08 საბჭოთა კავშირმა გამოუცხადა იაპონიას ომი.
- 1945 25.08 ამიერკავკასიის ფრონტი გარდაიქმნა თბილისის და ბაქოს სამხედრო ოლქებად.
- 1945 02.09 მილიტარისტული იაპონიის კაპიტულაციით დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. ომმა მოიცვა 72 სახელმწიფო. ადამიანთა საერთო დანაკარგი – 60-62 მლნ. კაცი.
- 1945 04.09 გაუქმდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა შეწყვიტა საქმიანობა, დაიწყო პირადი შემადგენლობის მასობრივი დემობილიზაცია.
- 1941-1945 დიდი სამამულო ომის პერიოდში დაწესებულ იქნა 9 საბრძოლო ორდენი (გამარჯვების, სუვოროვის, კუტუზოვის, ბოგდან ხმელნიცკის, ალექსანდრე ნეველის, უშაკოვის, ნახიძოვის, დიდებისა და სამამულო ომის).
- 1946 14.01 ლ. ბერიას თხოვნით, სხვა სამუშაოებზე დიდ დატვირთვასთან დაკავშირებით, იგი განთავისუფლდა სსრკ შს სახკომის თანამდებობიდან. მის ნაცვლად დაინიშნა ს. კრუგლოვი.
- 1946 24.02 დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.
- 1946 19.03 სახალხო კომისარიატები გარდაიქმნენ სამინისტროებად. შეიქმნა სსრკ შეიარაღებული ძალების სამინისტრო და სხვები.



- 1946 საბჭოთა კავშირში გაიხსნა ევროპაში პირველი ატომური რეაქტორი. მის შექმნაში ქართველ გენერლებსაც მიუძღვით მნიშვნელოვანი წვლილი.
- 1946 26.03 დაიწყო საბჭოთა ჯარების გამოყვანა ირანიდან.
- 1946 25.05 თბილისისა და ბაქოს სამხედრო ოლქების ბაზაზე შეიქმნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი.
- 1946 წითელ არმიას ეწოდა საბჭოთა არმია.
- 1946 კალინინგრადის ოლქის ქალაქს პრიოსიში-აილაუს (დაარსდა 1336 წ.) ეწოდა ბაგრატიონოვსკი – გენერალ პეტრე ბაგრატიონის ხსოვნის პატივსაცემად, რომელმაც თავი გამოაჩინა პროიშის-აილაუს ბრძოლაში 1807 წელს.
- 1947 მარტი ი.ბ. სტალინმა დაამტკიცა გადაწყვეტილება სადაზვერვო ორგანოების ხელმძღვანელობის გაერთიანების შესახებ, რის საფუძველზეც შეიქმნა ინფორმაციის კომიტეტი საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით. მაშინ ამ ორგანოს სუპერდაზვერვას უწოდებდნენ. დაიშალა 1958 წ. იანვარში.
- 1949 29.08 საბჭოთა კავშირში პირველად გამოსცადეს ატომური ბომბი. მის გამოცდის დროს პოლიგონზე იმყოფებოდნენ: ლავრენტი ბერია, მისი შვილი სერგო - მთავარი კონსტრუქტორი, სარაკეტო ტექნიკის თვალსაჩინო სპეციალისტი, ახალგაზრდა მეცნიერი ჯუმბერ ლომინაძე. ბომბის აფეთქების დილაკს ხელი დააჭირა ჩვენმა თანამემამულემ, თბილისის მკვიდრმა კირილე შჩოლკინმა (1911-68), მომავალში - სოციალისტური შრომის სამეზღის გმირი, სტალინური, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი.
- 1950 25.02 შეიქმნა სსრკ სამხედრო-საზღვაო სამინისტრო. გაუქმდა 1953 15.03.
- 1951 აგვისტო ი.ბ. სტალინის უკანასკნელი ჩამოსვლა საქართველოში (ბორჯომი-წყალტუბო). მასთან ერთად ორკვირიანი დასვენებით იყვნენ შვილები – სვეტლანა და ვასილი, რომლებმაც ინახულეს სექტემბერი ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი ქ. გორში.
- 1953 05.03 გარდაიცვალა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, არაოფიციალური ვერსიით კი – 2 მარტს.
- 1953 05.03 შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროები ისევ გაერთიანდა ერთ სამინისტროდ – შსს. აგრეთვე გაერთიანდა სსრკ სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სამინისტროები.
- 1953 26.06 არაოფიციალური ვერსიით მოსკოვში, საკუთარ ბინაში ვერაგულად მოკლეს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი პავლეს ძე ბერია. ამ ვერსიას იზიარებდნენ ლ.პ. ბერიას მეუღლე ქ-ნი ნინა გეგეჭკორი (1905-1991) და ვაჟი ბ-ნი სერგო (1924-2000).
- 1953 10.07 საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა მთავრობის ინფორმაცია ლ. ბერიას დაპატიმრების შესახებ.
- 1953 20.08 საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში პირველმა გამოსცადა წყალბადის ბომბი, რომლის შექმნაში უდიდესი წვლილი შეიტანეს იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ.



- 1953 18-23 დეკემბერი მოსკოვში, საიდუმლო ვითარებაში გაიმართა დახურული სასამართლო, რომლის განაჩენის შედეგად იმავე დღეს (23.12) დახვრიტეს საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი ბერია (?), გენერალ-პოლკოვნიკები სერგო გოგლიძე, ბოგდან ქობულაძე, ვსევოლოდ მერკულაძე, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ დეკანოზოვი და სხვები. დღესაც უცნობია, რა მოხდა სინამდვილეში იმ დროს მოსკოვში.
- 1953-1954 ნ. ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დაითხოვეს ასამდე გენერალი და ოფიცერი, რომელთა უმეტესობა ქართველები და ამიერკავკასიის მკვიდრნი იყვნენ. ხრუშჩოვის ეს აქცია არ იყო მხოლოდ ბერიას წინააღმდეგ მიმართული, იგი ანტიქართულიც იყო.
- 1954 13.03 სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო ორად გაიყო: შს სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (“კგბ”). მის სისტემაში შევიდნენ: სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, სასაზღვრო ჯარები, სამხედრო კონტრაზვერვის ორგანოები და სხვა.
- 1955 19-22.09 თბილისში (ყოფილ რკინიგზელთა სახლში) მიმდინარეობდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, რომელმაც სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა ყოფილ სსსრ შს სახკომს, გენერალ-ლეიტენანტ ა. ნ. რაფაევს, სსსრ შს მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტ ნ. ა. რუსაძეს, შს მინისტრის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ შ. ო. წერეთელს და სხვებს.
- 1956 დაიწყო ოცდაათიან წლებში პოლიტიკური მოტივებით რეპრესირებულთა რეაბილიტაციის პროცესი.
- 1956 09.03 საბჭოთა ჯარების მიერ ქართველი ახალგაზრდების მშვიდობიანი დემონსტრაციის სისხლიანი ღარბევა თბილისში.
- 1956 მარტი ნ. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით გაძლიერდა ანტიქართული კამპანია. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან მოხდა ქართველი გენერლების, უფროსი ოფიცრების მასობრივი დემობილიზაცია, ეროვნული შენაერთების დაშლა, რამაც საქართველოს უდიდესი ზიანი მოუტანა, ხარგრძლივი დროით დაუკარგა ქართველებს რწმენა სამხედრო სამსახურის მიმართ.
- 1957 09.08 ჩადგა მწყობრში პირველი საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი „ლენინური კომკავშირელი“.
- 1957 04.10 კოსმოსში გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. ეს იყო კოსმოსში საბჭოთა კავშირის მრავალწლიანი ჰეგემონიის დასაწყისი. ჭეშმარიტება ითხოვს ვთქვათ, რომ ამ უდიდეს, იმ დროისათვის არნახულ მიღწევას საფუძვლად დაედო იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას უნარიანი ხელმძღვანელობა და საბჭოთა სპეციალისტების ტიტანური შრომა.
- 1959 17.12 შეიქმნა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები, რომლის სათავეებთან არაერთი ჩვენი თანამემამულე იდგა, მათ შორის საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ გელოვანი, ინჟინერ-გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე ნადირაძე, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე, ინჟინერ-გენერალ-მაიორი ოთარ კიკნაძე.



- 1960 18.01 გაუქმდა სსრკ შს სამინისტრო. მისი ფუნქციები მოკავშირე რესპუბლიკების შს სამინისტროებს გადაეცა.
- 1961 31.10 ქ. სტალინგრადს (1925 წლამდე-ქ. ცირიციანი) ნ. ხრუშჩოვის ინიციატივითა და მოწადინებით გადაერქვა სახელი და ეწოდა ვოლგოგრადი.
- 1962 19.09 სსსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო გარდაიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკურ სამინისტროდ ("МООП"). 1968 19.11 მას ისევ დაუბრუნდა ძველი სახელწოდება – შსს.
- 1962 10.11 ეს თარიღი გამოცხადდა დღესასწაულად – „საბჭოთა მილიციის დღედ“. დაწესდა 1962 26.09.
- 1963 02.01 შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი საგამოცდო ახალი კოსმოდრომი „პლესეცკი“ (არხანგელსკის ოლქი), რომლის პირველ უფროსად დაინიშნა გენერალი გალაქტიონ ალფაიძე.
- 1963 საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ოლქები გაერთიანდა და კვლავ თებერვალი-აპრილი შეიქმნა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქი.
- 1966 26.07 შეიქმნა სსრკ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.
- 1977 28.10 გამოჩენილ მხედართმთავარს არჩილ გელოვანს მიენიჭა საინჟინრო ჯარების მარშლის წოდება.
- 1979 21.12 აღინიშნა ი.ბ. სტალინის დაბადების 100 წლისთავი.
- 1980 28.10 თბილისში გაიხსნა მარშალ არჩილ გელოვანის ძეგლი.
- 1983 31.07 ჩადგა მწვობრში ჰიდროგრაფიული სამეცნიერო-კვლევითი ხომალდი „მარშალი გელოვანი“, რომელიც დღესაც შედის რუსეთის ფედერაციის წყნარი ოკეანის ფლოტის შემადგენლობაში.
- 1984 24.05 თბილისში გაიხსნა გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძეგლი.
- 1985 03.07 ელუარდ შევარდნაძე დაინიშნა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად.
- 1987 28.10 სსრკ კოსმონავტიკის ფედერაციამ დაარსა აკადემიკოს ა. ნადირაძის სახელობის მედალი.
- 1989 15.02 დამთავრდა საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან.
- 1989 09.04 თბილისში მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა სისხლიანი დარბევა საბჭოთა დამსჯელი შენაერთების მიერ... დაიწყო საბჭოთა იმპერიის დაშლა.
- 1990 14.03 კვლავ შემოღებული იქნა სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა, რომელიც დაიკავა მიხეილ გორბაჩოვმა (სსრკ თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე 1985 01.03-დან, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1988 01.10-დან, სსრკ პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი).
- 1991 13.03 შეიქმნა სსრკ უმიშროების საბჭო.



1991 26.05 ზვიად გამსახურდია არჩეულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

1991 08.12 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა (სსრკ) შეწყვიტა არსებობა. ამ პერიოდისათვის საბჭოთა არმიაში იყო 4 მლნ. ადამიანი.

1999 11.12 შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (“CHF”, დსთ).

.....

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში დაწესებული იყო შემდეგი სამხედრო და შრომის ორდენები: წითელი დროშის (1918 16.09 - რსფსრ; 1924 01.08 - სსრკ); შრომის წითელი დროშის (1920 28.12 - რსფსრ; 1928 07.09 - სსრკ); ლენინის (1930 06.04.); “საპატიო ნიშნის” (1935 25.11); სამამულო ომის I და II ხარისხის (1942 20.05.); სუვოროვის I, II და III ხარისხის; კუტუზოვის I და II ხარისხის; ალექსანდრე ნეველის (1942 29.07); კუტუზოვის III ხარისხის (1943 08.02); ბოგდან ხმელნიცკის I, II და III ხარისხის (1943 10.10.); “გამარჯვების”; დიდების I, II და III ხარისხის (1943 08.11); უშაკოვის I და II ხარისხის; ნახიძოვის I და II ხარისხის (1944 03.03); ოქტომბრის რევოლუციის (1967 31.10); ხალხთა მეგობრობის (1972 17.12); შრომის დიდების (1974 28.10); სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის I, II და III ხარისხის (1974 28.10) ორდენები.

* * *

საბჭოთა კავშირის პირველი მედალი – “რკკა XX წელი” დაარსდა 1938 24.01 (მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავთან დაკავშირებით). დიდ სამამულო ომამდე დაარსდა კიდევ ექვსი მედალი: - “მამაცობისათვის” (1938 17.10), “საბრძოლო დამსახურებისათვის” (1938 17.10), “ოქროს ვარსკვლავის” (1939 01.08) - საბჭოთა კავშირის გმირის განსაკუთრებული წარჩინების ნიშანი; “ნამგალი და ურო” (1940 25.05) - სოციალისტური შრომის გმირის განსაკუთრებული წარჩინების ნიშანი და ორი მედალი შრომითი წარჩინებისათვის. სულ კი საბჭოთა კავშირში დაარსებული იყო სამხედრო და შრომის 57 მედალი.

* * *

სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით აჯილდოებდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

* * *

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიათა 1923 წლის 19 მაისის გაფართოებული სხდომის №19 ოქმის ამონაწერში ვკითხულობთ:

“კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, 55 წლისა, უმაღლესი განათლების მქონე, ყოფ. თავადი, ყოფ. გენერალი, ყოფ. თავადაზნაურთა წინამძღოლი, საქართველოს ეროვნულ დემოკრატია პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც შევიდა სამხედრო ცენტრში და მონაწილეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობაში. ეროვნულ დემოკრატია ცენტრალურ კომიტეტში აჯანყების საკითხის განხილვისას, როგორც თვითონ აღიარა, ხმა მისცა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას - დაიხვრიტოს. განაჩენი მოყვანილ იქნეს სისრულეში 24 საათში“.

* * *

საბჭოთა კავშირში სამხედრო კომისართა ინსტიტუტი არსებობდა 1918-დან 1942 წლამდე (ხანგამოშვებით). სრული ერთმმართველობის დაწყებასა და სამხედრო კომისიების ინსტიტუტის გაუქმებასთან დაკავშირებით, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებით, საბჭოთა არმიის მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისათვის დაწესდა საერთო სამხედრო წოდებები და განმასხვავებელი ნიშნები.

* * *

მეორე მსოფლიო ომის მთელი ამერიკული ისტორიოგრაფია თვლის, რომ “მსოფლიო ისტორიაში ამ უპრეცედენტო ომის შემოქმედი და უპირველესი სტრატეგი სტალინია”, რომ “რუხველტი მოჯადოებული



იყო სტალინის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიითა და აზროვნების სიღრმით”. ჰენრი კისინჯერი - საბჭოთა კავშირის “დანგრევის” ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი - იოსებ სტალინს “XX საუკუნის ყველაზე დიდ რეალისტ პოლიტიკოსად” მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ “სტალინი თვით რუზველტსა და ჩერჩილზეც კი მაღლა იდგა”.

* * *

„კონსტანტინე ლესელიძე — ბრწყინვალე მხედართუფროსი, არმიის სარდალი, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი და გულისხმიერი ადამიანი ...“. ასე ახასიათებდნენ მას თანამედროვენი. დიდი სამამულო ომის დროს კ. ლესელიძე მონაწილეობდა თავდაცვით ბრძოლებში — მინსკთან, მდ. ბერეზინასთან, დნებრთან, ბრიანსკთან, ტულასთან, შეტევით ბრძოლებში - მოსკოვთან. იცავდა კავკასიას, მონაწილეობდა ქ. ნოვოროსიისკის, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებაში, ჟიტომირ-ბერდიჩევის შეტევით ოპერაციაში. მისი თანამებრძოლები ამბობდნენ, რომ იგი იყო არმიის მიერ განხორციელებული ყოველი საბრძოლო ოპერაციის ტენი და გული. სახელოვანმა გენერალ-პოლკოვნიკმა აღზარდა ოფიცერთა დიდი პლეადა.

ნიჭიერი, უნარიანი და მამაცი მხედართუფროსი, რომლის უშუალო მეთაურობითაც საბჭოთა არმიამ დიდი გზა განვლო, ომის დამთავრებას ვერ მოესწრო. კონსტანტინე ლესელიძე 1944 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართველ სამხედრო მოღვაწეთა ისტორიაში. დიდი სამამულო ომის სამი წლის განმავლობაში გენერალი კონსტანტინე ლესელიძე დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი დროშის, სუვოროვის I ხარისხის, კუტუზოვის I ხარისხის, ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით. საბჭოთა კავშირში ამგვარი საპატიო ჯილდოებით ომის პირველ სამ წელიწადში ერთეულები იყვნენ დაჯილდოებული.

კონსტანტინე ლესელიძის მეუღლე — ნინო შეწირული სამაგალითო მეუღლე და დედა გახლდათ. ომის წლებში, როდესაც მისი ქმარ-შვილი ფრონტზე იყო, იგი დღე და ღამე სამხედრო ჰოსპიტლებში ატარებდა და რითაც შეეძლო ეხმარებოდა, ამხნევებდა და უვლიდა დაჭრილებს. ასეთი იყო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე... უკვე მძიმედ ავადმყოფი ქალბატონი ნინო ცდილობდა მხნედ შეხვედროდა მეუღლის გარდაცვალების 30 წლისთავს. ზუსტად იმ თვეს, იმ რიცხვში და იმ საათზე, ოღონდ სამი ათეული წლის შემდეგ, ნინო შეწირულმა სული დალია... მართლაც, როგორც აღნიშნა მწერალმა და ჟურნალისტმა მიხეილ დავითაშვილმა, ნინო შეწირულმა ჭეშმარიტად გაამართლა თავისი გვარი - ცხოვრება ქვეყანას, ერსა და ოჯახს შესწირა!

მადლიერმა ქართველმა ხალხმა გამოჩენილი მხედართმთავრის ნეშტი ძველი ვერის სასაფლაოდან გადმოასვენა და მეუღლესთან ერთად დიდუბის პანთეონში დაკრძალა.

* * *

1945 წლის 24 ივნისს, გამარჯვების პარადის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე, სადაც ვალმოხდილი მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალი-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძე მეუღლესთან ერთად იყო მიწვეული, ცნობილ სარდლებთან ერთად მისი სადღეგრძელოც პერსონალურად შეისვა. 1950 წლის 14 მარტს გენერალი პორფილე ჩანჩიბაძე გარდაიცვალა. მისი ცხედარი მხედრული პატივით დაკრძალეს მოსკოვში, ნოვოდევიჩის პანთეონში. ქართველი შევარდენის საფლავზე აღმართულია თეთრი მარმარილოს ქანდაკება. დღესაც აღელვებს პატრიოტების გულებს მის მიერ ომის მრისხანე წამებში გაცემული ბრძანება: „მიცვალებულები დაასაფლავეთ, დაჭრილები გამოიყვანეთ, დანარჩენები - წინ!“ ასეთი დარჩა შთამომავლობის მეხსიერებაში ჩვენი სახელოვანი თანამემამულე პორფილე ჩანჩიბაძე — იერიშის გენერალი, რომელმაც არ იცოდა რა იყო მარცხი.

* * *

სამამულო ომის წლებში გავრცელდა ჰუმანური ინიციატივა — საბჭოთა მოქალაქეების მიერ ომში დაღუპულთა უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების შვილად აყვანა. ქართველ გენერალთაგან ამ ინიციატივას გამოეხმაურნენ და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები იშვილეს გენერლებმა პორფილე ჩანჩიბაძემ, ვლადიმერ ზარელუამ, ილარიონ გაგუამ და სხვებმა.

* * *



საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო ორდენით “გამარჯვება” დაჯილდოვდა 17 ადამიანი. სულ გაცემული იყო 20 ორდენი. „გამარჯვების“ ორდენით ორჯერ იყვნენ დაჯილდოებულნი საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ სტალინი, მარშლები გიორგი შუკოვი და ალექსანდრე ვასილევსკი; თითოჯერ – საბჭოთა კავშირის მარშლები კონსტანტინე როკოსოვსკი, ივანე კონევი, როდიონ მალინოვსკი, თედორე ტოლბუხინი, ლეონიდ გოვოროვი, სემიონ ტიმოშენკო, კირილე მერეცკოვი და არმიის გენერალი ალექსი ანტონოვი. აქედან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლები იყვნენ: საბჭოთა კავშირის მარშლები თ. ი. ტოლბუხინი (1947-49), კ. კ. როკოსოვსკი (1957) და არმიის გენერალი ა.ი. ანტონოვი (1950-54).

1945 წელს “გამარჯვების” ორდენით დაჯილდოვდნენ აშშ არმიის გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი - შემდგომში აშშ პრეზიდენტი, ბრიტანეთის ფელდმარშალი ბერნარდ მონტგომერი, იუგოსლავიის მთავრობის მეთაური, მარშალი ბროზ ტიტო, პოლონეთის ჯარის მთავარსარდალი მ. როლ-ჟიმერსკი.

რუმინეთის მეფე მიხაი I “გამარჯვების” ორდენით დაჯილდოვდა 1945 06.07 “ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტისა და გაერთიანებულ ერებთან კავშირის დამყარების მხრივ რუმინეთის პოლიტიკის გადაჭრით შემობრუნების მამაცური აქტისათვის... “. დღეს იგი “გამარჯვების” ორდენის ერთადერთი ცოცხალი კავალერია. 1978 20.02 ამ ორდენით დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის მარშალი ლეონიდ ბრეჟნევი!?

* * *

საბჭოთა პერიოდში სამხედრო-სახლვაო ფლოტში იყო ათი ადმირალი საქართველოდან, მათ შორის – ექვსი ქართველი.

საქართველოს მკვიდრნი იყვნენ საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი – იუმაშევი, ვიცე-ადმირალები – აბაშივილი და ჩეროკოვი, კონტრ-ადმირალები – ანანიაშვილი, არვანოვი, ლეჟავა, კაპანაძე, რამიშვილი და სუხიაშვილი. დღეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ერთადერთი კონტრ-ადმირალია – ალექსანდრე ჯავახიშვილი.

საბჭოთა კავშირის ფლოტის სახელგანთქმულმა ადმირალმა ივანე ისაკოვმა ბავშვობა თბილისში გაატარა, სადაც შშობლებმა იგი ჩვილ ასაკში ჩამოიყვანეს. ივანე ისაკოვმა თბილისში აიდგა ფეხი, აქ სწავლობდა და დეკაჟკაცებული რუსეთში გაემგზავრა. დიდი სამამულო ომის წლებში მსახურობდა თბილისში (1942-45). მრავალ საბუთში დაბადების ადგილად თბილისი ეწერა, თავს თბილისელად თვლიდა და ამით ძალიან ამყობდა.

* * *

საბჭოთა კავშირის პერიოდში სამხედრო გენერლისა და ადმირალის წოდება მინიჭებული ჰქონდა ჩვენს 224 თანამემამულეს, გენერალ-მაიორით დაწვებული და საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსით დამთავრებული, კონტრ-ადმირალით დაწვებული და საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალით დამთავრებული.

* * *

- ქართველი გენერლებიდან სახელმწიფოსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელები იყვნენ და არიან:
- იოსებ სტალინი – საბჭოთა კავშირის კპ ცკ გენერალური მდივანი (1922 03.04 - 1953 05.03);
 - ლავრენტი ბერია – საქართველოს კპ ცკ I მდივანი (1931 14.10 - 1938 31.08);
 - ვასილ მჟავანაძე – საქართველოს კპ ცკ I მდივანი (1953 20.09 - 1972 21.09);
 - ედუარდ შევარდნაძე – საქართველოს კპ ცკ I მდივანი (1972 21.09 - 1985 06.07), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური (1992 0.11 - 1995 25.11), საქართველოს პრეზიდენტი (1995 25.11 - დღემდე);
 - ასლან აბაშიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1991-დან დღემდე);
 - ჟიული შარტავა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1993 18.07-27.09);



თამაზ ნადარეიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (1995-დან დღემდე).

* * *

ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ (თბილისი, 9 მარტი, 1956 წ.) საქართველოს ეროვნული სამხედრო კადრების მიმართ ფარული დისკრიმინაცია არ შეწყვეტილა საბჭოთა კავშირის დაშლამდე, რამაც ქართველ ჭაბუკებს ხანგრძლივი პერიოდით დაუკარგა სამხედრო პროფესიის დაუფლების სურვილი. ეს მაშინ, როცა ოდითგან მეომრის პროფესია საქართველოში უპირველეს პროფესიად ითვლებოდა. ნიკიტა ხრუშჩოვმა – ამ ბედოვლათმა პოლიტიკანმა - დიდი ტკივილი მიაყენა გენერლებისა და ადმირალების თანამდებობაზე მყოფ ჩვენს თანამემამულეებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის გმირს, ზღვის რაინდს, I რანგის კაპიტანს იაროსლავ იოსელიანს; მაღალჩინოსან პოლიტმუშაკს პოლკოვნიკ ვარლამ ჯანჯღავას; ერთ-ერთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, I რანგის ინჟინერ-კაპიტანს გურამ პირველს; პოლკოვნიკ ირაკლი მისაიას და ბევრ სხვას, რომლებიც მსახურობდნენ გენერლებისა და ადმირალის თანამდებობებზე და ისე დაემშვიდობნენ სამხედრო სამსახურს, რომ ვერ ეღიროსნენ ესოდენ მაღალ წოდებას.

* * *

ლავრენტი ბერიას დახვერტის შემდეგ ნ. ხრუშჩოვის “წყალობით” სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში თითქმის ათი წლის მანძილზე არც ერთ ქართველს არ უმსახურია. როცა 1964 წლის დასაწყისში დადგა ქართველი ეროვნების თანამშრომლის მოსკოვში, “კვბ”-ს ცენტრალურ აპარატში მიწვევის საკითხი, არჩევანი პოლპოლკოვნიკ ვიორგი ფიფიაზე შეაჩერეს. ჩვენი თანამემამულე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ერთადერთი ქართველი იყო საბჭოთა უშიშროების ცენტრალურ აპარატში. მის ერუდიციაზე, შრომისუნარიანობასა და საქმის ღრმა ცოდნაზე მეტყველებს ის, რომ ათი წლის მანძილზე, უკვე გენერალ-მაიორი ვიორგი ფიფია სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ხელმძღვანელობდა ყველაზე პასუხსაგებ და ზესაიდუმლო დარგს – საინფორმაციო-ანალიტიკურ სამმართველოს. ათობით სამეცნიერო შრომის ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლეგენდარული მზვერავი და ანალიტიკოსი, გენერალ-მაიორი ვიორგი ფიფია ცნობილია, აგრეთვე, როგორც განმაურებული კინოფილმებისა და ტელესერიალების “გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების”, “ფრონტი ფრონტის ხაზს იქით” და სხვ. მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი. მისი ფსევდონიმები იყო: გ. კოლხი, გ. ვ. ივერინი, რაც თვალნათლივ მიგვანიშნებს მშობლიური საქართველოსადმი მის უსაზღვრო სიყვარულზე.

* * *

სტალინის ორივე ვაჟი გმირულად იბრძოდა დიდ სამამულო ომში. არტილერიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯულაშვილი (1908-1943) და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი (წოდება მიენიჭა ომის შემდეგ) ვასილ სტალინი (1921-1962). პირველი დაიღუპა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში - 1943 14.04, მეორე კი დააპატიმრეს - 1953 28.04, იჯდა ვლადიმირის, შემდეგ ლეფორტოვის ციხეში, გვართ ვასილიევი ვასილ პავლეს ძე და განთავისუფლების შემდეგ რამდენიმე თვეში საეჭვო სიკვდილით გარდაიცვალა ყაზანში, დაიკრძალა იქვე 1962 19.03 ჯულაშვილის გვართ. 2002 წლის ოქტომბერში გადმოსვენებულია მოსკოვში.

* * *

ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი სერგო (1924-2000) დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, ასრულებდა უმაღლესი მთავარსარდლის სპეციალურ დავალებებს თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე (1943-45).

მან ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში დაამთავრა სადაზვერვო სკოლა, შემდეგში კი – ლენინგრადის სამხედრო ელექტროტექნიკური აკადემია. ინჟინერ-პოლკოვნიკი (1947), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1952), სტალინური პრემიის ლაურეატი (1950), ლენინისა და წითელი ვარსკვლავის ორდენების და მედლების კავალერი სერგო ბერია ხელმძღვანელობდა განთქმულ №1 საკონსტრუქტორო ბიუროს (ზესაიდუმლო



სარაკეტო სისტემები) და ამ დარგში ითვლებოდა საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალ ავტორიტეტად, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტული სისტემების სპეციალისტად. იგი ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულ და ინგლისურ ენებს. ყველაფერ ამას სერგო ბერიაძე მიაღწია თავისი შრომითა და ნიჭით 28 წლამდე. მამის მკვლელობის შემდეგ (1953 26.06) დედასთან ნინა გეგეჭკორთან (1905-1991) ერთად დააბატიმრეს. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება და პირადად ხრუშჩოვი მიხვდნენ, თუ რა დიდი მასშტაბის სპეციალისტი და მეცნიერი იყო სერგო და იძულებული გახდნენ გაენთავისუფლებინათ იგი. ათი წელი (1954-64) სერგო ბერიაძე და დედამისი მუშაობდნენ სვერდლოვსკში, შემდეგ კი – კიევიში, სადაც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „კომეტის“ დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი იყო. რუსეთის გაზეთში მოთავსებულ ნეკროლოგში იგი მოიხსენიეს, როგორც სერგო ალექსის ძე გეგეჭკორი (!)...

* * *

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა ატომური იარაღის შესაქმნელად, რისთვისაც მობილიზებული იყო ქვეყნის მთელი სადაზვერვო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი.

ამავე დროს არსებობდა მთელი რიგი ხელის შემშლელი მიზეზები და მათ შორის აუცილებელი კომპონენტების, კერძოდ კი, ურანის უქონლობა.

ი. სტალინმა, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ატომური იარაღის შექმნის სამუშაოებს, დაავალა ლ. ბერიაძეს, ატომური იარაღის შექმნის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს, რაც შეიძლება მოკლე დროში გადაეჭრა ეს მეტად სერიოზული პრობლემა.

საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის ცნობილი იყო, რომ ურანი გააჩნდა კანადას. ლ. ბერიაძე წინადადებით, კანადის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სამუშაოდ მიავლინეს საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი ბოგდან (ბახჩო) ქობულოვი. მან შეძლო ურთულესი ამოცანის შესრულება – მოიპოვა ურანი, მაგრამ უფრო რთული აღმოჩნდა მისი კანადიდან გამოტანა.

ბ. ქობულოვმა მოიგონა ბრმა ნაწლავის ავადმყოფობა, კანადელ ექიმებს გააკეთებინა ოპერაცია, რის შემდეგაც, იქვე, კანადაში, საბჭოთა ექიმების მეშვეობით, ნაჭრილობებში ჩაუდეს ურანი და ასე, სიცოცხლის რისკის ფასად გახდა შესაძლებელი ამ უძვირფასესი ნივთიერების სსრ კავშირში ჩამოტანა.

* * *

სოხუმთან ახლოს, დაბა აგუძერაში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, დაარსდა მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის განთავსებას ხელმძღვანელობდა უშიშროების გენერალ-მაიორი ალექსანდრე კოჭლავაშვილი.

საინტერესოა, რომ აღნიშნული ცენტრი დაფუძნდა ჰიტლერის სპეციალური დავალებით შექმნილი ატომური იარაღის ინსტიტუტის ბაზაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ინსტიტუტის ხელში ჩაგდება დიდად იყვნენ დაინტერესებულნი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მოკავშირეები, განსაკუთრებით კი – ამერიკის შეერთებული შტატები.

ლავრენტი ბერიაძის ინიციატივით, 1945 წლის აპრილში ბერლინში გაიგზავნა სამი თვითმფრინავი, რომელთა მეშვეობითაც ეს ინსტიტუტი მთელი შემადგენლობით – 200-მდე გერმანელი მეცნიერი, თავიანთი ოჯახის წევრებით, მოწყობილობით, ევაკუირებულ იქნა სოხუმში, სანატორიუმ „სინოპის“ ტერიტორიაზე.

შემდგომში ეს კვლევითი ცენტრი ჩამოყალიბდა სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტად, რომელმაც თავისი მეცნიერული მიღწევებით შორს გაითქვა სახელი. სამწუხაროდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომ იგი აღარ ფუნქციონირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერიაძის ხელმძღვანელობით შექმნილი იყო ატომური კვლევის არაერთი ანალოგიური ცენტრი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე

* * *



1953 წლის 18-23 დეკემბერს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლოს „სუდებნოე პრისუტსტვიეს“ (судебное присутствие) დახურული სხდომა. მისი თავმჯდომარე იყო საბჭოთა კავშირის მარშალი ი.ს. კონევი, ხოლო წევრთა შემადგენლობაში შედიოდნენ: საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ.მ. შვერნიკი, სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე.ლ. ზეიდიანი, არმიის გენერალი კ.ს. მოსკალენკო, მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ.ა. მიხაილოვი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე მ.ი. კუჭავა, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ლ.ა. გრომოვი, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე კ.ფ. ლუნევი.

მოგვყავს ამონაწერი სასამართლო კოლეგიის სხდომის ოქმიდან:

“1953 წლის 18 დეკემბრის დილის 10 საათი:

თავმჯდომარე: სსრკ უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო “პრისუტსტვიეს” სხდომა გახსნილად ცხადდება. განიხილება საქმე ლავრენტი პავლეს ძე ბერიას, ვსევოლოდ ნიკოლოზის ძე მერკულოვის, ვლადიმერ გიორგის ძე დეკანოზოვის, ბოგდან ზაქარაიას ძე ქობულოვის, სერგო არსენის ძე გოგლიძის, პავლე იაკობის ძე მეშკის, ლევ ემილიანეს ძე ვლოდიმირსკის ბრალდების გამო...

– თავმჯდომარე: „ვიწყებთ სასამართლო ძიებას. ამხანაგო მდივანო, გამოაქვეყნეთ საბრალდებო დასკვნა...”

საბრალდებო დასკვნიდან ჩანს, რომ სსრკ უმაღლესმა საბჭომ განიხილა რა 1953 წლის 8 აგვისტოს საკითხი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ “ლ. ბერიას ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულებრივ ქმედებებზე”, მიიღო შემდეგი დადგენილება:

“ლ. ბერიას ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულებრივ ქმედებათა გამოაშკარავების შედეგად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლ.პ. ბერიასათვის სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ჩამორთმევის, მისი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობებიდან მოხსნის, მისთვის მინიჭებული ყველა წოდებისა და ჯილდოს ჩამორთმევისა და ლ.პ. ბერიას დანაშაულებრივი ქმედებების საქმის სსრკ უმაღლესი სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ”.

* * *

თხუთმეტი წლის მანძილზე 1938-დან 1953 წლამდე, სახელმწიფო უშიშროების და შინაგან საქმეთა ორგანოებში, როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიებში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მრავლად იყვნენ წარმოდგენილი საქართველოდან წარგზავნილი ჩეკისტები.

1938-53 წლებში სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სისტემის პრაქტიკული ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ლავრენტი ბერია.

ორგანოების ცენტრალურ აპარატში მსახურობდნენ გენერლები: სერგო გოგლიძე, ვლადიმერ დეკანოზოვი, ბოგდან და ამაიაკ ქობულოვები, ანდრო კაპანაძე, სტეფანე მაძულოვი, ვსევოლოდ მერკულოვი, იუველიან თოფურიძე-სუშბათოვი, პეტრე შარია, ლავრენტი ცანავა (ჯანჯღავა), ბენიამინ გულსტი, სოლომონ მილშტეინი, გრიგოლ ბეჟანოვი.

ადგილებზე ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმყოფებოდნენ:

ილარიონ ტალახაძე – დაღესტნის ასსრ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი (1920 - 24);

ილარიონ გაგუა – მოსკოვის კრემლის კომენდანტის მოადგილე (1938 - 1941);

მიხეილ გვიშიანი – ზღვისპირეთის, კუბიშევის ოლქის (1950 23.01 - 1953 15.06) სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელი (1938 - 1950);

სერგო გოგლიძე – სახელმწიფო უშიშროებისა და შს ორგანოების ხელმძღვანელი ლენინგრადის ოლქში (1938-1941), შორეულ აღმოსავლეთში (1941-1951), უზბეკეთის სსრ-ში (1951-1952);



ვლადიმერ დეკანოზოვი – საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიაში (პრაქტიკულად საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი) (1940-1941);

ანდრო ზოდელავა – ჩრდილო ოსეთის სახელმწიფო უშიშროებისა და შს ორგანოების უფროსი (1939-42);

ვარლამ კაკუჩაია – ჩრდილო ოსეთის (1943-1947), ნოვოსიბირსკის, როსტოვის ოლქების სახელმწიფო უშიშროებისა და შს ორგანოების უფროსი (1947-1953);

გრიგოლ კარანაძე – ყირიმის ასსრ (1938-1942) და დაღესტნის ასსრ (1942-1943) სახელმწიფო უშიშროებისა და შს ორგანოების უფროსი;

ამაიაკ ქობულაძე – უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროებისა და შს ორგანოების უფროსი (1941-45);

ალექსი საჯაია – უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების უფროსი (1938-1941);

იუველიან თოფურაძე-სუმბათოვი – აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების უფროსი (1934-1938);

ლავრენტი ცანავა (ჯანჯღავა) – ბელორუსიის სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების უფროსი (1938-1941, 1943-1951);

სერგო დავლიანიძე – სსრკ შს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების უფროსი ჩრდილო კავკასიაში (1944-1948);

სოლომონ მილშტეინი – უკრაინის სსრ შს მინისტრის მოადგილე (1953 15.03-26.06).

* * *

ლავრენტი ბერიას განადგურების შემდეგ საქართველოდან გამოსული უმაღლესი კვალიფიკაციის ათეულობით ჩეკისტი დახვრიტეს, დააპატიმრეს ან გააძევეს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

* * *

ბევრი ქართველი გენერალი და ადმირალი ასრულებდა, როგორც მაშინ ოფიციალური პრესა წერდა, ინტერნაციონალურ ვალს საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ესპანეთში რესპუბლიკური არმიის რიგებში იბრძოდნენ სიმონ რამიშვილი და ვლადიმერ მოდებაძე (1936-37).

ვიეტნამში სპეციალური სამხედრო მისიით იმყოფებოდა არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ლეონიდე მარლანიძე.

ცნობილი კუბის კრიზისის პერიოდში ფიდელ კასტროს დასახმარებლად სამხედრო-საზღვაო მრჩევლად იქ იმყოფებოდა ვიცე-ადმირალი გიორგი აბაშვილი, 1972-82 წლებში კი – გენერალი გივი ორჯონიკიძე.

1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე და საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლად კუბაზე მსახურობდნენ გენერალ-მაიორი პანტელეიმონ გიორგაძე და მომავალი გენერალი ზიბერტ ხაზალია. ორივენი სარგებლობდნენ დიდი ავტორიტეტით. დაჯილდოებულნი იყვნენ კუბის ორდენებითა და მედლებით. მანამდე კი პანტელეიმონ გიორგაძე იმყოფებოდა მონღოლეთში (1973-76).

1980-იან წლებში ეთიოპიაში სამხედრო მრჩევლებლად იმყოფებოდნენ გენერალ-მაიორები ჯონი ფირცხალაიშვილი, ვალერიან გომელაური.

კენიაში სამხედრო მრჩევლად მსახურობდა გენერალ-მაიორი გ. ლეშკაშელი.

ავღანეთში ომის დროს (1979-89) იმყოფებოდნენ გენერალ-მაიორები დიულა აბაშიძე, ივორ გიორგაძე, ნოდარ გუჯაბიძე, თენგიზ ეპიტაშვილი, ვალერი ჩხეიძე, გივი ჯორბენაძე.

* * *

უმაღლესი სამხედრო წოდებები, გენერალ-პოლკოვნიკისა და ადმირალის ჩათვლით, ენიჭებოდათ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ხოლო არმიის გენერლის, ჯარის სახეობების მარშლის, მთავარი მარშლის, ფლოტის ადმირალის, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალის, საბჭოთა კავშირის მარშლის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის წოდება – სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.



ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა მიღება იოსებ სტალინთან მათი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ. პირველ რიგში მარცხნიდან: პლატონ მიროტაძე, კონსტანტინე ლესელიძე, ონიფანტე უგულავა, გიორგი ქუთათელაძე, თევდორე ბუაჩიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი მიხეილ ლევანდოვსკი. მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე – საქართველოს კპ (ბ) ცკ I მდივანი ლავრენტი ბერია. მოსკოვი, კრემლი, 1936 19.03

1937-38 წლებში რეპრესირებული მხედართმთავრები საქართველოდან



სახ. უშიშროების II რანგის კომისარი ალექსი აგრაბა



კორპუსის კომისარი ნიკოლოზ ბლუაშვილი



II რანგის კომანდარში მიხეილ ლევანდოვსკი



კომკორი ივანე მაისურაძე



კომკორი იოსებ ნემერზელი



კომკორი გიორგი ქუთათელაძე



კომკორი გრიგოლ ხახანიაძე



კომკორი ანატოლი გეგევი



კომდივი
ლენინდე ალლაძე



კომდივი
პეტრე აღნიაშვილი



კომდივი
თედორე ბუაჩიძე



სახ. უშიშროების III რანგის
კომისარი გლებ ბოკი



კომდივი
ვალერიან გიორგაძე



კომდივი
გიორგი თუხარელი



კომდივი
სამსონ ლექვთაძე



კომდივი
ვიქტორ მგალობლიშვილი



ღვიზიის კომისარი
პლატონ მიროტაძე



ბრიგადის კომისარი
გრიგოლ ბაახია



კომბრივი
გაიოზ ბერელაშვილი



კომბრივი
ალექსანდრე გაბაშვილი



კომბრივი ლევან გარსიაშვილი



კომბრივი ონიფანტე უგულავა



კომბრივი ლუარსაბ ყუბანეიშვილი



Decorative horizontal border consisting of a repeating geometric pattern.



Decorative vertical border consisting of a repeating geometric pattern on the right side.

Decorative vertical border consisting of a repeating geometric pattern on the left side.



Decorative horizontal border consisting of a repeating geometric pattern at the bottom.



ს ტ ა ლ ი ნ ს



1936 წ. 19 მარტს კრემლში, საქართველოს დელეგაციის
მიღების დროს ლექსი პირველად წაიკითხა
საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა თამარ ჭავჭავაძემ

რა ქარმა გზარდა, რა ღვარმა,
რა ძალამ შეგკრა ძალადა . . .
აყვავდეს ხალხის აკვანი
და მიწა ერთი კალათა, —
შენმა სახელმა ქოხიდან
ხმელეთი გადაანათა!

რომელ ზღვის ძირებს ემარხა
ფარაჯიანთა გენია?
მწარე ნატკენის ზღვევა ხარ,
თუ ლატაკს სადმე სტკენია!

დახრილი ქედის გაშლა ხარ,
დროშა ხარ, ტარით მაღალი,
შეუწყვეტელი „კაშა“ ხარ,
გულიდან გულზე სახალი!

მთებში ნაზარდო არწივო,
ალმას თვალებით ელავდი;
ფოლადო დაუგრეხელო,
კაცო, მართალო ყელამდი,
გრიგალო დიდი ხმებისა,
ხარ დიდი ხალხის ბელადი!

რამ გთალა, რა ნატეხიდან,
რა ძალამ შეგკრა ძალადა,
რომ ცეცხლი აზრად აქციე
და აზრი ნაღვერდალადა!

რომ დააცხედრე წყვილიადი,
ქარიშხლებს მისთვის ჰბერავდი,
მშიერს ჰქონოდა ხმიადი
და ტიტველს ტანზე პერანგი;

რომ დიდ უდაბნოს, ოფლიანს,
დაასხი სავსე თაველი,
რომ განუზომელ მსოფლიოს
გადასწვდა შენი მტკაველი;

რომ შენი სიტყვა უბადლო,
ნათქვამი შეუდრეკელად,
დაცემულთ გულის ფიცარზე
ოქროს ხმად დაერეკება!

მონობა კიდევ დიდია
შურისძიება — მტანჯავი!
სტალინის სახე ჰკიღია
ქოხებში, როგორც ხანჯალი!


გახსოვს ის ქოხი ლიახვზე,
ან დიდი ლილოს მინდვრები? —
ეს ლექსიც იქაურია,
იქიდან დაგეწინდრები!

იქ ჰკითხულობდი რუსთაველს,
გალიმებული პირითა
ვინც შენი ქვეყნის სახელი
გასტყორცნა, გააჯირითა!

დღეს შენ მიარღვევ . . .
შენს მერანს ვერავინ შეეჭიდება,
მსოფლიოს გულო მფეთქავო,
ქართული ქოხის დიდებაე!

გიორგი ლეონიძე







1900



1919



შავი ზღვის ფლოტის კრეისერი
„ჩერვონა უკრაინა“, 1929 25.07



1922



1935



1920

ი. ბ სტალინი
და ა. მ. გორკი



1945



ი. სტალინი დედასთან ერთად. უკანა პლანზე
ლ. ბერია და ნ. ლაკობა. 1936



ი. სტალინი შვილებთან,
ა. ჟდანოვთან და ნ. ვლასიკთან



ი. სტალინი და სვეტლანა,
ს. ჟუკოვკა, მოსკოვი. 1932




ტუშინოს აეროდრომი. 1940



იაკობ ჯულაშვილი



ი. სტალინი შვილებთან
და ა. ჟდანოვთან ერთად



იოსებ სტალინი და ვიჩესლავ მოლოტოვი. 1936



სხედან: სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი, ვიჩესლავ
მოლოტოვი, სერგეი კიროვი, დგანან: კლიმენტ ვოროშილოვი,
ლაზარე კაგანოვიჩი, ვალერიან კუბიშევი. 1932

თბილისი, 1934 წელი. იოსებ სტალინის შვილები: იაკობი, ვასილი და სვეტლანა სტუმრად ბებიასთან, ეკატერინე ჯულაშვილთან. ეს იყო მათი იშვიათ შეხვედრათაგან უკანასკნელი.

ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯულაშვილისა, 1937 წელს აღესრულა. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში. ი. სტალინი დედის დასაფლავებას არ დასწრებია.

შვილიშვილებმა ჯერ კიდევ არ იციან რა ტრაგიზმით სავსე ცხოვრება ელით წინ, რა ქართველების გავლა მოუწევთ. უფროსმა მთვანმა, იაკობ ჯულაშვილმა, რომელიც სტალინს პირველი ცოლისაგან, ეკატერინე სვანიძისაგან (გარდ. 1908 16.09, 22 წლის ასაკში) ჰყავდა, მამის სურვილის გათვალისწინებით სამხედრო კარიერა აირჩია – დაამთავრა საარტილერიო აკადემია. ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. 1941 წლის 17 ივლისს მისი შენაერთი ალყაში მოხვდა და კონტუზირებული ტყვედ ჩავარდა. სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ გერმანელთა სარდლობამ სტალინს შესთავაზა მისი გაცვლა ფელდმარშალ პაულიუსზე. სტალინმა არ მიიღო ეს შეთავაზება – „მე ჯარისკაცს ფელდმარშალზე არ ვცვლი“ – ასეთი იყო მისი პასუხი.

არტილერიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯულაშვილი (1908-1943) მოკლეს ზაკსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში. სიკვდილის შემდეგ 1977 წლის 28 ოქტომბერს იგი დააჯილდოვეს სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

ი. სტალინის მეორე ცოლთან, ნადეჟდა ალილუევასთან (1901-1932, თავი მოიკლა) ჰყავდა ორი შვილი – ვასილი და სვეტლანა. ბრწყინვალე სამხედრო მფრინავი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ სტალინი (1921 - 1962), სამამულო ომის აქტიური მონაწილე იყო, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სტალინგრადისა და ბერლინის ოპერაციებში. 1945 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მან ჰაერში გაატარა 3.145 საათი, მოახდინა 27 საბრძოლო გაფრენა და ჩამოაგდო მტრის 2 თვითმფრინავი. დაბრუნებული გერმანიიდან ვასილ სტალინი 1947 წლის 16 ივლისს დაინიშნა მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის თანაშემწედ, ერთი წლის შემდეგ კი – სარდლად (1948 18.07-1952 18.08). ამ თანამდებობიდან ვასილ სტალინი განთავისუფლებული იყო მისი მამის ბრძანებით.

სვეტლანა სტალინამ (დ. 1926 28.02) მამის გარდაცვალების შემდეგ გვარი შეიცვალა და მიიღო დედის გვარი – ალილუევა. 1962 წელს, ინდოეთში ვიზიტის დროს აშშ გაიქცა და სამშობლოში დიდხანს აღარ დაბრუნებულა. 1984 წელს, მცირე ხნით, ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა თბილისში. სიცოცხლის ბოლო წლებს ატარებს ინგლისში, დავრდომილთა თავშესაფარში.



სტალინის დედა ეკატერინე გელაძე-ჯულაშვილი საუბრობს ინგლისელ ჟურნალისტთან



ი. სტალინი ვასილთან და სვეტლანასთან ერთად



ი. ბ. სტალინი, 1941 წლის 7 ნოემბერი

**РОДИНА-МАТЬ
 ЗОВЕТ!**



ოთხჯის სტალინური პრემიის ლაურეატის ირაკლი თოიძის პლაკატი “დედა-სამშობლო ვეისმობს !” (1941 წ.)





1941 წლის 7 ნოემბერი. ქ. მოსკოვი. წითელი მოედანი. ისტორიული პარადი. წითელი არმია გადის ფრონტზე

1945 წელს 30 აპრილს 150-ე იდრიცკის მსროლელი დივიზიის 756-ე მსროლელი პოლკის მზვერავმა უმცროსმა სერჟანტმა მელიტონ ქანთარია და სერჟანტმა მიხეილ ეგოროვმა გამარჯვების დროშა (ინახება ქ. მოსკოვში, სამხედრო მუზეუმში) აღმართეს რაიხსტაგის გუმბათზე



1945 წლის 24 ივნისი.
მოსკოვი. წინა
პლანზე გამარჯვების
პარადის სარდალი,
საბჭოთა კავშირის
მარშალი
კონსტანტინე
როკოსოვსკი



მოსკოვი, წითელი
მოედანი.
გამარჯვების
აპოთეოზი



უინსტონ ჩერჩილი იოსებ სტალინს თეირანის კონფერენციაზე გადასცემს ინგლისის მეფის გეორგი VI-ის წერილს, რომლითაც მან აღნიშნა სტალინგრადის დამცველების უმაგალითო გმირობა. 1943 29.11. სტალინის მიწვევა



უინსტონ ჩერჩილი, იოსებ სტალინი, ენტონი იდენი



იოსებ სტალინი, ფრანკლინ დელანო რუზველტი, უინსტონ ჩერჩილი


იოსებ სტალინი და უინსტონ ჩერჩილი



ი. სტალინი, ფ. რუზველტი და უ. ჩერჩილი იალტის (ყირიმის) კონფერენციაზე, 1945 წლის თებერვალი



გერმანია, პოტსდამის კონფერენცია, 1945 წლის ივლისი.



იოსებ სტალინი, გარი ტრუმენი,
უინსტონ ჩერჩილი

იოსებ სტალინი, ვიაჩესლავ
მოლოტოვი და აშშ ელჩი
საბჭოთა კავშირში ავერულ
ჰარიმანი





საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ სტალინი მარშლების, გენერლებისა და ადმირალების – საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ჯგუფში, 1946 წელი. პირველ რიგში მარცხნიდან: არტილერიის მთავარი მარშალი ნიკოლოზ ვორონოვი (წოდება მიენიჭა 1944 წელს), საბჭოთა კავშირის მარშლები – სემიონ ბუდიონი (1935), კონსტანტინე როკოსოვსკი (1944), ივანე კონევი (1944), ალექსანდრე ვასილევსკი (1943), გიორგი ჟუკოვი (1943), კლიმენტ ვოროშილოვი (1935), ნიკოლოზ ბულგანინი (1947-58, 1958-დან გენერალ-პოლკოვნიკი), არმიის გენერალი ანდრეი ხრულიოვი (1943), საბჭოთა კავშირის მარშლები – ფიოდორ ტოლბუხინი (1944), ლეონიდ გოვოროვი (1944), ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი (1944).




საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელის მოწერა. ცენტრში იოსებ სტალინი და მათი ძეგუნი. ქ. მოსკოვი, 1950 წლის 14 თებერვალი




„სტალინიში თავმოყრილი იყო სახელმწიფო მოღვაწის იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭერმეტყველების დამაჯერებლობა და აზრის გამოხატვის სისწრაფე, მაგრამ ის ყოველ მათგანზე მაღლა დგას, რადგან მასში არის ყველა ისინი ერთად და თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი კაცის სახელი დარჩა, ერთ-ერთი მათგანი უთუოდ სტალინი იქნება“. (პაბლო პიკასო „ფიქრები დიდ ადამიანზე“, ქ. პარიზი 1961)





საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ფლოტის დღესასწაული, 1952 წლის ივლისი, მოსკოვი, ტუშინო.
იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია მთავრობის წევრებთან და მხედართმთავრებთან ერთად



დიდება სტალინს



ქ. მოსკოვი, 1952 წლის 1 მაისი



1953 წლის 9 მარტი. საბჭოთა
 მთავრობის ხელმძღვანელები
 ი.ბ. სტალინის კუბოსთან:
 ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი,
 ლ. ბერია და გ. მალენკოვი



ქ. მოსკოვი, 1953 წლის 9 მარტი. იოსებ სტალინის
 დაკრძალვა. წინა პლანზე ლ. ბერია და გ. მალენკოვი



ლენინ-სტალინის მავზოლეუმი



იოსებ სტალინის დაკრძალვის პროცესია წითელ მოედანზე



1953 წლის 9 მარტი. ქ. მოსკოვი, წითელი მოედანი. იოსებ სტალინის დაკრძალვა



1953 წლის 9 მარტი. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა, ვაცლავის მოედანი.
იოსებ სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი



**ოცდამოვლილი ქართული
გენერლები და ადვირალები**

1941

1945





პირველი ქართველი საბჭოთა
გენერალ-პოლკოვნიკი
კონსტანტინე
ლესელიძე



გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი
პორფირე ჩანჩიბაძე



გენერალ-პოლკოვნიკი
ალექსი ინაშვილი



გენერალ-პოლკოვნიკი
სერბო ბობლიძე



ინჟინერ-გენერალ-პოლკოვნიკი
ალექსანდრე ნაღორაძე



პირველი ქართველი საბჭოთა
გენერალ-მაიორი
პავლე აბრამიძე



პირველი ქართველი საბჭოთა
გენერალ-მაიორი
ნესტორ ლაზაძე
(შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი)



პირველი ქართველი საბჭოთა
კავშირის გმირი, ავიაციის
პირველი ქართველი გენერალი
(შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი)
ვლადიმერ
ნანეიშვილი



ერთადერთი ქართველი საბჭოთა
ვიცე-ადმირალი
ბიორგი აბაშვილი



პირველი ქართველი საბჭოთა
კონტრ-ადმირალი
სიმონ რამიშვილი



არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი
გალაქტიონ ალვაიძე



გენერალ-ლეიტენანტი
მიხეილ გვიშიანი



სამედიცინო სამსახურის
გენერალ-ლეიტენანტი
სიმონ ბირგოლაია



გენერალ-ლეიტენანტი
ალექსანდრე
დავიტაშვილი



გენერალ-ლეიტენანტი
იუშველიანი
თოფურიძე-სუშბათოვი



გენერალ-ლეიტენანტი
ბრიგოლ კარანაძე



გენერალ-ლეიტენანტი
მესტორ ლაბაკიძე



არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი
ლეონიდე მარჯანიძე



გენერალ-ლეიტენანტი
ვასილ მშაყვანაძე



ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი
ვლადიმერ ნანკვიშვილი



საინჟინრო ტექნიკური სამსახურის
გენერალ-ლეიტენანტი
ვალვა ჭიჭილაშვილი



გენერალ-ლეიტენანტი
აქმეტე რაზაგვა



გენერალ-ლეიტენანტი
მისხილ რუსაშვილი



სახელმწიფო უშიშროების მე-3
რანგის კომისარი
ალქასი საჯაშვილი



ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი
ვასილ სტალიძე



ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი
იური ჯოდინოსკი-
მეგრელიძე



გენერალ-ლეიტენანტი
მისხილ ლლონძე



გენერალ-ლეიტენანტი
პეტრე შარიდა



გენერალ-ლეიტენანტი
ლავრენტი ცანავა
(ჯანჯღავა)



გენერალ-ლეიტენანტი
შალვა შვრეთელი



გენერალ-ლეიტენანტი
კასან ხარაჯია



სამელიცინო სამსახურის
გენერალ-ლეიტენანტი
იუსტინე ჯანელიძე



გენერალ-ლეიტენანტი
ვლადიმერ ჯანჯღავა



აკაღმეკოსი, არტილერიის
გენერალ-ლეიტენანტი
ირაკლი ჯორჯაძე



გენერალ-მაიორი
კაკლე აბრამიძე



გენერალ-მაიორი
ვალენტინ ავაშიძე



გენერალ-მაიორი
ივანე ბაბალაშვილი



საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის
გენერალ-მაიორი
გიორგი ბერიაშვილი



გენერალ-მაიორი
იოსებ ბესტაშვი



გენერალ-მაიორი
კონსტანტინე გუჩავა



გენერალ-მაიორი
ილარიონ გაბუშა



გენერალ-მაიორი
კანაკლვიშვილ შორბაგავა



ავიაციის გენერალ-მაიორი
ლაზარენტი ბოლიასა



გენერალ-მაიორი
ოთარ ბოგდირიძე



გენერალ-მაიორი
ალქასანდრე დავუდოვა



გენერალ-მაიორი
სერგო დავლიანი



საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის
გენერალ-მაიორი
ნარიმან დალაკიშვილი



გენერალ-მაიორი
აკაკი ჯამთარაძე



გენერალ-მაიორი
შოთა ჯარღალიშვილი



გენერალ-მაიორი
ვლადიმერ ჯარპლუა



სახელმწიფო უშიშროების
კომისარი
ანდრო ჭოღელავა



გენერალ-მაიორი
ნიკოლოზ
თავართქილაძე



გენერალ-მაიორი
ვარლამ კაკუშია



გენერალ-მაიორი
ნიკოლოზ კალაშვილი



კონტრ-ადმირალი
სემიონ კაკაშვილი



არტილერიის გენერალ-მაიორი
მიხეილ კაკაშვილი



გენერალ-მაიორი
მერაბლოს კობჯერიძე



გენერალ-მაიორი
ალქასანდრე
კოჭლავაშვილი



კონტრ-ადმირალი
ვლადიმერ ლაშავა



გენერალ-მაიორი
ნოდარ მაისურაძე



გენერალ-მაიორი
ალქსანდრე მარინაშვილი



ავიაციის გენერალ-მაიორი
ზარი მჭკვილაძე



გენერალ-მაიორი
მიხეილ მიქელაძე



გენერალ-მაიორი
ვლადიმერ მორდუხაიძე



გენერალ-მაიორი
ვახტანბ მურუსიძე



გენერალ-მაიორი
დიმიტრი ნამგალაძე



გენერალ-მაიორი
ოთარ ნაჭყუბია



გენერალ-მაიორი
ირაკლი ნიგლაძე



გენერალ-მაიორი
ილია რაზვაძე



სამედიცინო სამსახურის
გენერალ-მაიორი
ალქსანდრე რამიშვილი



კონტრ-ადმირალი
სიმონ რამიშვილი



გენერალ-მაიორი
ვისეილ როსტომაშვილი



გენერალ-მაიორი
ისიდორე სილაგავა



საინვინრო-ტექნიკური სამსახურის
გენერალ-მაიორი
ვიქტორ სულაშვილი



კონტრ-ადმირალი
კონსტანტინე
სუსიაშვილი



ავიაციის გენერალ-მაიორი
ვსტათე ტატანაშვილი



გენერალ-მაიორი
ბორის ტშვკაშვი



ავიაციის გენერალ-მაიორი
შალვა ძირბა



გენერალ-მაიორი
ივანე ლარიბაშვილი



გენერალ-მაიორი
გიორგი ყურაშვილი



გენერალ-მაიორი
გიორგი ყუშარაშვი



გენერალ-მაიორი
ივანე შაიშველაშვილი



ავიაციის გენერალ-მაიორი
ლიმიტრი შანუაშვილი



გენერალ-მაიორი
კანტელეიშონ შიოშვილი



გენერალ-მაიორი
შალვა ჩაგელიშვილი



გენერალ-მაიორი
ბიორბი ჩიგოზიძე



გენერალ-მაიორი
ნიკოლოზ ჩიგოზიძე



კონტრ-ადმირალი
მისეილ ჩინჩარაძე
(ჯინჭარაძე)



სამედიცინო სამსახურის
გენერალ-მაიორი
სამსონ ჩიქოვანი



ავიაციის გენერალ-მაიორი
პეტრე ჩხოვანი



გენერალ-მაიორი
ვალერიან ქაბახიანი



ავიაციის გენერალ-მაიორი
შალვა ჭანკოვანი



ავიაციის გენერალ-მაიორი
ალქასი სარპოვი



გენერალ-მაიორი
ჯელიმეან სარპოვი



გენერალ-მაიორი
ილარიონ
სარიტონაშვილი



გენერალ-მაიორი
ვლადიმერ სუშულური



გენერალ-მაიორი
კირილე ჯახუა



არტილერიის გენერალ-მაიორი
გიორგი ჯინჭარაძე



არტილერიის გენერალ-მაიორი
კონსტანტინე ჯიოვი



გენერალ-მაიორი
გივი ჯორბენაძე



გენერალ-ლეიტენანტი
მიხეილ ვოჯაჩიკიძე



1970 - 1991



გენერალ-ლეიტენანტი
ანატოლი კავკაზოვი



გენერალ-ლეიტენანტი
რობერტ თავაკვიშვილი

1970 - 1991



არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი
ბორის ხევაჯიშვილი



გენერალ-ლეიტენანტი
ლევან შარაშვილი



გენერალ-მაიორი
ლერი აბაშიძე



კონტრ-ადმირალი
ბორის ანანიშვილი



გენერალ-მაიორი
ვალერიან ბოგველაშვილი



გენერალ-მაიორი
ნოდარ გუჯაბიძე



გენერალ-მაიორი
ოთარ კიკნაძე



გენერალ-მაიორი
ზრიგოლ კოშვილი



გენერალ-მაიორი
ვლადიმერ ლეშაკაშვილი



გენერალ-მაიორი
ტარიელ ლორთქიფანიძე



ავიაციის გენერალ-მაიორი
კონსტანტინე
მაჭავარიანი



გენერალ-მაიორი
ვარდიკო ნალიბაიძე



ავიაციის გენერალ-მაიორი
გაიოს ნანშიშვილი



გენერალ-მაიორი
ბიზი ორჯონიკიძე



გენერალ-მაიორი
თენგიზ ტარიელაშვილი



გენერალ-მაიორი
ზვირცხალაიშვილი



გენერალ-მაიორი
ბიორზბი ვიზია



გენერალ-მაიორი
ოთარ ხატიაშვილი



გენერალ-მაიორი
ანზორ ჯაიანი

ქართველი გენერლები — მამა-შვილები



ვლადიმერ და გიორგი
ნანიშვილები



იოსებ და ვასილ
სტალინი



კანტელვიმონ და იგორ
გიორგაშვილები



ოპარ და ნოდარ
მუსხერიშვილები




საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე 1903 1944



კ. ლესელიძე გენერლებთან —
გ. კარიოფილთან და
ნ. პავლოვსკისთან ერთად. 1943



საბჭოთა კავშირის მარშალი სემიონ
ტიმოშენკო და კონსტანტინე ლესელიძე
ტამანის განთავისუფლების დღეებში. 1943



უჩა ჯაფარიძის ნახატი.
1943 05.11



კონსტანტინე ლესელიძის ოჯახი. ცენტრში — მისი
მეუღლე ნინა შეწირული. თბილისი, 1973 15.10



შვილთან ოთარისთან ერთად ფრონტზე. 1943



ძმები - საბჭოთა კავშირის გმირები
ვიქტორ და კონსტანტინე ლესელიძეები



საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მადანზღიდი
„გენერალი ლესელიძე“

**საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი
პორფირე ჩანჩიბაძე
1901 1950**



საბჭოთა კავშირის მარშალ ალექსანდრე ვასილევსკისთან ერთად.
1945 წელი



1941 წელი



საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მადანმზიდი
„გენერალი ჩანჩიბაძე“



1945 წელი



მეუღლე ქსენია გოგუაძესთან ერთად. 1946

საჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური 1908 1993



ალექსი ინაური ომის წლებში. გერმანია, 1944-1945

ალექსი ინაური საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელებთან ერთად. მარცხნიდან: გიორგი ანდრონიკაშვილი, ბორის ნიკოლსკი, გურამ ენუქიძე, ზურაბ ჩხეიძე. 1982



მშობლიურ გორში. 1970



ალექსი
ინაური
(ცენტრში).
1975

ალექსი ინაური ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასთან და საქართველოს მთავრობის წევრებთან ერთად. ქ. თბილისი, 1984



1985 წელი

სოციალისტური შრომის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ვასილ შავენაძე



1902 1988



ვ. შავენაძე მის მიერ აყვანილ პოლკის შვილთან კოლიასთან ერთად. ლენინგრადის ფრონტი, 1942



თანამებრძოლთან ერთად, ლენინგრადის ფრონტი. 1943



მარშალ იოსებ ბროზ ტიტოსთან ერთად (მარჯვნიდან პირველი)



ნიკიტა ხრუშჩოვთან და ფიდელ კასტროსთან ერთად



არმიის გენერალ ვოიცეხ იარუზელსკისთან ერთად (მარჯვნიდან პირველი)



1962 წელი

**საჭმთა კავშირის გვირი, გენერალ-ლეიტენანტი
ვლადიმერ ჯანჯღავა
1907 1982**



არმიის გენერალ პაველ ბატოვთან ერთად
(მარჯვნიდან პირველი)



თანამებრძოლებთან ერთად, მარცხნივ დგას
გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ ლლონტი



გენერლებთან ერთად, მარცხნიდან პირველი
ივანე ბაბალაშვილი



ლეონიდ ბრეჟნევთან ერთად



მარშალ ივანე ბაგრამიანთან და მსახიობ
ანატოლი პაპანოვთან ერთად

საბჭოთა კავშირის გმირი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე (დ. 1916 07.11)



რუმინეთი, 1946 წ.

ახალშექმნილ პოლიგონ კოსმოდრომის „პლესეტკის“ პირველ უფროსად 1963 02.01 დაინიშნა საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე. ერთ-ერთი უგანათლებულესი სამხედრო პირი საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში, ომგამოვლილი, მამაცი ქართველი ოფიცერი ჯერ კიდევ 1946 წ. იყო არჩეული სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (მეორე მოწვევა). მან 1937 წელს დაამთავრა ქუთაისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, 1940 წ. – თბილისის საარტილერიო სასწავლებელი, 1951 წ. – საარტილერიო, ხოლო 1957 წ. კი – გენერალური შტაბის აკადემიები. 1959 10.12 დაინიშნა სარაკეტო პოლიგონის „კაპუსტინ იარის“ უფროსის პირველ მოადგილედ. ამ პერიოდში გაიცნო სარაკეტო-კოსმოსური სისტემების მთავარი კონსტრუქტორები სერგეი კოროლიოვი და ალექსანდრე ნადირაძე და წლების მანძილზე მეგობრობდა და ნაყოფიერად თანამშრომლობდა მათთან. გ. ალფაიძის უშუალო დაქვემდებარებაში იყო აგრეთვე სახმელეთო და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების ორი სასწავლო ცენტრი, სადაც ახალი ტექნიკის სწავლებას და კადრების გადამზადებას გადიოდა საბჭოთა არმიისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარების პირადი შემადგენლობა.

1962 14.11 ალფაიძეს დაევალა შეერჩია ადგილი მომავალი სარაკეტო პოლიგონისათვის. მისი არჩევანი გაჩერდა ქ. არხანგელსკის მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე. ასე შეიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთი მძლავრი კოსმოდრომი „პლესეტკი“, რომლის უფროსად გენერალი ალფაიძე იყო 13 წელი. ამ პერიოდში იგი იყო უშუალო მონაწილე თითქმის ყველა ახალი სარაკეტო და კოსმოსური ტექნიკის გამოცდისა. ორჯერ იყო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე. თადარიგში გასვლის შემდეგ 1975 წ., გალაქტიონ ალფაიძე 20 წლის განმავლობაში მუშაობდა თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს ზესაიდუმლო მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის – მთავარი კონსტრუქტორის, აკადემიკოსის, ინჟინერ-გენერალ-პოლკოვნიკის ალექსანდრე ნადირაძის მოადგილედ, სადაც შეიქმნა მრისხანე იარაღი ბალისტიკური რაკეტები, განთქმული მობილური სარაკეტო კომპლექსი „ტოპოლი“ – XXI საუკუნის სამხედრო-ტექნიკური საოცრება.



საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ნანეიშვილი

1903 1978



ცენტრში – ვლადიმერ ნანეიშვილი, 1941



ვლადიმერ ნანეიშვილი გენერალ
ნიკოლოზ კალაძესთან და პროფესორ
თენგიზ ღვინიაშვილთან ერთად
სტალინგრადში, 1968 02.02



შვილთან გაიოსთან ერთად

ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ სტალინი 1921 1962



1953 წლის 26 მარტს ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ სტალინი 32 წლის ასაკში დათხოვნილ იქნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან. იმავე წლის 28 აპრილს დააპატიმრეს, ხოლო 1955 წლის 2 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიუსჯა 8 წლით პატიმრობა რამოდენიმე მუხლით: „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“, „სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა“ და სხვა.

1956 წლის 3 იანვარს ვ. სტალინი მოთავსებულ იქნა ვლადიმირის №2 ციხეში. სახელმწიფო უშიშროების დოკუმენტებში იგი ირიცხებოდა „ფლიგერის“ მეტსახელით. გარკვეული დროის შემდეგ მას მიაკუთვნეს მისი მეუღლის კაპიტოლინა ვასილიევას (მოსკოვის 19-გზის ჩემპიონი ცურვაში) გვარი. ამის შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტებში ვ. სტალინი მოიხსენიებოდა, როგორც ვასილ პავლეს-ძე ვასილიევი. ამ გვარითვე აწარმოებდა იგი ყოველგვარ მიმოწერას.

1960 წელს ვ. სტალინი გაანთავისუფლეს, მისცეს ბინა მოსკოვში, ფრუნზეს სანაპიროზე, აგარაკი ჟუკოვკაში, დაუბრუნეს გენერლის წოდება და სახელმწიფო ჯილდოები, ერთი თვის შემდეგ კი კვლავ დააპატიმრეს და მოათავსეს მოსკოვის ლეფორტოვოს ციხეში, საიდანაც განთავისუფლდა 1961 წლის აპრილში და შემდეგ იყო გადასახლებული ქ. ყაზანში. როგორც 1984 წელს, თბილისში ყოფნისას მე მიყვებოდა სვეტლანა იოსების ასული ალილუევა, ყაზანში მის ძმას მიეტმანა ვიღაც სოხუმელი ფერშალი მარია გლუზბერგი, რომელიც გამუდმებით მასთან იმყოფებოდა და „მეურვეობდა“ მას.

1962 წლის 19 მარტს ვასილ სტალინი გარდაიცვალა ფრიად საეჭვო ვითარებაში. მისი ბუნებრივი სიკვდილის ვერსიას არ იზიარებს მისი ერთგული მეუღლე კაპიტოლინა ვასილიევა, რომელიც გარდაცვალების შეტყობინებისთანავე გაემგზავრა ყაზანში. თავისი ეჭვები მან გამიზიარა მოსკოვში, სვეტლანა ალილუევას რეკომენდაციით შემდგარი ჩვენი შეხვედრის დროს 1985 წელს.

ვასილ სტალინი დასაფლავეს ყაზანის სასაფლაოზე ჯულაშვილის გვარით. სახელმწიფო უშიშროების ყაზანის განყოფილების არქივში ინახება ცნობა: „ფლიგერის“ დაკრძალვის ხარჯებმა შეადგინა „426 რუბლი და 05 კაპიკი“. სოხუმელმა მარია გლუზბერგმა გაიფორმა „მეუღლის“ პენსია. 1998 წელს ვასილ სტალინი იყო რეაბილიტირებული, 2002 წელს – გადმოსვენებული ქ. მოსკოვში.



ავიაციის პოლკოვნიკი,
1944



მეუღლესთან ერთად საფეხბურთო მატჩის დროს, 1946



ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი,
1952



ავიაციის გენერალ-მაიორი, 1946



ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, 1949



ქ. ვლადიმირის ციხის პატიმარი, 1956



გადასახლებაში ქ. ყაზანი, 1962.
უკანასკნელი ფოტო



საქართველოს ფალაგნები ქ. ყაზანში
ვასილ სტალინის საფლავთან.
ცენტრში – მომავალი გენერალი
შენგელი ფიცხელაური

გენერალური ავიაკონსტრუქტორი, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი გიორგი ბერიაშვილი 1907 1982



მსოფლიოს 12 რეკორდის მპყრობელი „მ-10“




გიორგი ბერიაშვილი მეუღლესთან და ოჯახის წევრებთან ერთად



საფრანგეთში მიღებული დიპლომი, რომლითაც საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ დააჯილდოვა მფრინავი ნავი „მ-10“ 12 სახეობაში



„მ-1“ რეაქტიული ნავი „ამფიბია“ წყალზე ბაზირების დროს



„მ-12“ ტურბორეაქტიული მფრინავი ნავი დავალებასზე

აკადემიკოსი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე 1917 1992



ირაკლი ჯორჯაძე (მარცხნივ) თანამებრძოლთან ერთად. გერმანია, 1945 09.05



ირაკლი ჯორჯაძე და მისი ძმები. მარცხნიდან: კოლია, ირაკლი, შურა და გოგი



ახლობლებთან ერთად



წითელ მეთაურთა შემადგენლობის ჯგუფი კრემლში ორდენების მიღების შემდეგ. პირველ რიგში მარცხნიდან მეხუთე – ირაკლი ჯორჯაძე, ცენტრში – მიხეილ კალინინი. ქ. მოსკოვი, 1940



1989 წელი

მთავარსარდლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი რობერტ თავაძე (დ. 1930 24.04)



მელიტონ ჯანთარია სტუმრად რობერტ თავაძესთან
ქ. ხაბაროვსკში, 1980



მარჯვნიდან პირველი – არმიის გენერალი ივანე ტრეტიაკი, მეოთხე
– რობერტ თავაძე, მეექვსე – სსრკ თავდაცვის მომავალი მინისტრი,
საბჭოთა კავშირის მარშალი დიმიტრი იაზოვი. ქ. ხაბაროვსკი, 1982



ირაკლი ჯორჯაძესთან
ერთად. ქ. თბილისი, 1984



ჯონი ფირცხალაიშვილთან
ერთად. ქ. თბილისი, 1999



შორეული აღმოსავლეთის მიმართულების სამხედრო საბჭო. მარჯვნიდან მეორე – მთავარსარდლის მოადგილე რობერტ
თავაძე, მეხუთე – მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, არმიის გენერალი ივანე ტრეტიაკი. ქ. ხაბაროვსკი, 1981 09.05



მოსკოვი, წითელი მოედანი, 1941 წლის 1 მაისი. ტრიბუნაზე: მიხეილ კალინინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, იოსებ სტალინი, ვლადიმერ დეკანოზოვი (სსრკ-ის ელჩი გერმანიაში), კლიმენტ ვოროშილოვი და სხვები.
 ღიდი სამაგაულო ომის დაწყებად რჩებოდა 52 დღე...



საბჭოთა საქართველოს დელეგაცია კბ ცკ პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით (პირველ რიგში მარცხნიდან მეორე) მიღებაზე მოსკოვში იოსებ სტალინთან. ცენტრში დგას გენერალი ალექსანდრე კოჭლავაშვილი. მარჯვნიდან: გიორგი მალენკოვი, ნიკიტა ხრუშჩოვი, ლაზარე კავანოვიჩი, ალექსანდრე უდანოვი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, იოსებ სტალინი, კლიმენტ ვოროშილოვი, მიხეილ კალინინი, ანდრეი ანდრეევი და სხვები.
 ქ. მოსკოვი, კრემლი. 1940



საქართველოს შშრომელთა დელეგაცია სტუმრად მე-18 სადესანტო არმიაში. სხედან მარჯვნიდან: ახალციხის პარტრეაიკომის პირველი მდივანი გიორგი კირვალიძე, არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე, საქართველოს კვ ცკ მეორე მდივანი მიხეილ ბარამია (დელეგაციის ხელმძღვანელი), არმიის სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-მაიორი სემიონ კოლონინი, პოეტი გიორგი ლეონიძე. დგანან: არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლეონიდ ბრეუნევი, მსახიობი აკაკი ხორავა, არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ვლადიმერ ზარელუა, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, მხატვარი უჩა ჯაფარიძე, პოლიტმუშაკი, მაიორი აპოლონ დონჯირი, არმიის სარდლის ადიუტანტი, მაიორი დიმიტრი დუბროვინი. ქ. ნოვოროსისკი, 1943 წლის 5 ნოემბერი. (სურათი, რომელიც ლეონიდ ბრეუნევი 1964 წელს უსაჩუქრა კონსტანტინე ლესელიძის შვილს ოთარის, პირველად გამოაქვეყნა ჟურნალისტმა ლევან დოლიძემ 1966 წლის 7 ნოემბერს „ლიტერატურნაია გაზეტაში“).



სხედან მარცხნიდან მეორე ვლადიმერ ზარელუა, მეოთხე – ლეონიდ ბრეუნევი. მე-18 არმია 1943 წელი



გენერალ-მაიორი
პანტელეიმონ
შიოშვილი,
1939

გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ეგნატაშვილი

მარცხნიდან: ალექსანდრე ეგნატაშვილი
კრემლის კომენდანტთან, გენერალ-
ლეიტენანტ ნიკოლოზ ვლასიკთან
ერთად



პირველ რიგში ცენტრში – გენერალ-ლეიტენანტი
აქსენტი რაფავა



ცენტრში – გენერალ-პოლკოვნიკი
სერგო გოგლიძე.
ქ. მოსკოვი, 1938



პირველი ქართველი საბჭოთა გენერალი, საბჭოთა საქართველოს სასაზღვრო ოლქის ჯარების პირველი უფროსი,
გენერალ-ლეიტენანტი ნესტორ ლაბაძე



კონტრ-ადმირალი მიხეილ ჩინჩარაძე.
ლინკორი „სევასტოპოლი“, 1943



საბჭოთა კავშირის გმირი
გალაქტიონ ალფაიძე. 1948



გენერალ-მაიორი ესტატე ტატანაშვილი
ფრონტზე შეილთან ოთარისთან ერთად, 1944



კონტრ-ადმირალი სიმონ
რამიშვილი. ქ. სევასტოპოლი, 1942



გენერალ-მაიორი კირილე ჯახუა.
ქ. სტალინგრადი, 1943



გენერალ-ლეიტენანტი
მიხეილ ღლონტი



გენერალი მიხეილ
როსტომაშვილი. 1944



საბჭოთა კავშირის გმირი,
გენერალ-მაიორი
ერმალოზ კობერიძე.
1945



წინა პლანზე – გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ ღლონტი



სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მიხეილ სკვლინოვი
გადასცემს ლენინის ორდენს საგარეო
საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ვლადიმერ დეკანოზოვს. ქ. მოსკოვი,
კრემლი, 1944 წლის 6 ნოემბერი

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ნიკოლოზ შუერნიკი
გადასცემს წითელი დროშის ორდენებს
კონტრ-ადმირალს სეით კაპანაძეს,
გენერალ-მაიორებს ალექსანდრე
მარინაშვილს და ალექსანდრე
კოჭლავაშვილს
საქართველოში. დაამთავრა
თბილისის გიმნაზია. მსახურობ-
და ჯაყეთის სამხედრო ოქის
ჯაჰებში. სამოქალაქო ომის შემ-
დეგ ცხოვრობდა პარაგვაიში სა-
დაც გახდა სამხედრო აკადემიის
პროფესორი და პარაგვაის ახმი-
ის გენერალი.

რუსეთის არმიის
გენერალ - მაიორი
1917

ბოლნისი

ასუნსიონი
პარაგვაი



პოლონეთი



ზ ა ჯ რ ა ძ ე
ზაქარია (ზაქრო) ლიმიძის ძე

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლონეთის მთავრობის მიწვევით გადასახლდა პოლონეთში.

ბრიგადის გენერალი
1923

დივიზიის გენერალი
1927

ხუსეთის ახმის
ბენეხად-მაიოხი
1915 12.09
ქახუელი ჯაჩის ბენეხადი
1918

1868
22.10

1939

1921 18.03-დან ემიგრაციაშია

(დაიღუპა
ავტოკატა-
სტროფაში)
ვარშავა
პოლონეთი



ზ ა ჯ ა რ ი ა ძ ე
ალექსანდრე ყურაშვილის ძე

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლონეთის მთავრობის მიწვევით გადასახლდა პოლონეთში.

ბრიგადის გენერალი
1923

დივიზიის გენერალი
1927

ხუსეთის ახმის
პოლონეთი
1916
ქახუელი ჯაჩის ბენეხადი
1919 26.07

1884
15.02

1957

1921 18.03-დან ემიგრაციაშია

ქვემო
სიმონეთი
ზესტაფონი
ლევილი
საფრანგეთი



კ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი
ალექსანდრე ბრიგოლის ძე

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლონეთის მთავრობის მიწვევით გადასახლდა პოლონეთში.

ბრიგადის გენერალი
1926

ხუსეთის ახმის
პოლონეთი
1916

ქახუელი ჯაჩის ბენეხადი
1919

1873

1951
30.04

1921 18.03-დან ემიგრაციაშია

კასტელერი
ბუენოს-
აირესი
არგენტინა



ქ ხ თ ა თ ე ლ ა ძ ე
კირილა ავბრანის ძე

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლონეთის მთავრობის მიწვევით გადასახლდა პოლონეთში.

ბრიგადის გენერალი
1923

ხუსეთის ახმის
ბენეხად-მაიოხი
1910 06.12

ქახუელი ჯაჩის ბენეხადი
1918

1861
22.02

1929

1921 18.03-დან ემიგრაციაშია

(დაიღუპა
ავტოკატა-
სტროფაში)
ვარშავა
პოლონეთი

ფოთი



**გორგუნოვი -
გორგვი** **გორგვი** **გორგვი**

კონტრ - აღმირალი
1995 07.05

1946
10.05

ხესეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჯაფების მთავარი სამმართველოს მინისტრების უფოსი: 1991 18.02-დან. წყაღევე-მა ატომეხი ჟეისეხის მეთაუ-ხი: 1982-დან. თადახიგშია 2002-დან.

ორდენი-2 მედალი-15 თბილისი



ლ. ნ. ჯ. ჯ.
გორგვი ვასილის

გენერალ - მაიორი
1999 15.12

1952
27.03

ხესეთის ფედერაციის ჩხიღო-ჯაჯასიის სამხედრო ოღის მო-ტომსხოღელი ბიგადის, დიჯიზონის მეთაუხი. დამთავჯა გენეხ-აღეხი შჯაბის ჟაღემიჯა: 2000.

ორდენი-2 მედალი-11 პეტროპავლოვსკი კამბატკაზე რუსეთი



ი. ნ. ჯ. ჯ.
იჯიი ივანეს

ავიაციის
გენერალ - მაიორი
1987 19.02

1943
10.06

ხესეთის ფედერაციის შიჯა-ღღეღელი ძაღების სამხედრო-სა-ჯაეხო ძაღების სამმართველოს უფოსის მოადგიღე: 1992-დან. სსხე დამსახუღებული სამხედრო მფხინავი: 1987.

ავიაციის
გენერალ - ლეიტენანტი
1995 04.05
ორდენი-4 მედალი-14 გუმბათი შალკა



კ. გ. ლ. ჯ. ჯ.
იჯიი გორგვის

გენერალ - მაიორი
1995 18.12

1949
22.01

ცნობიღი საბჭოთა მზეეჯავი. მსახუობდა ინგლისში (1977-84, სსხე ტღღევიზიისა და ჰეისის საეეთაიი ჟოხეჯონღენტი). სსხე სახეღმნიღო უშიშოეობის ჟომი-ტეღის აჯაჯატი (1984-91). ხესე-თის საგაეო დავეეჯის სამსახ-ეხის ჰეესბიეხის უფოსი: 1991-1999.

ორდენი-2 მედალი-14 თბილისი



ლ. ნ. გ. ჯ. ჯ. ჯ.
იჯიი ივანეს

იუსტიციის
გენერალ - მაიორი
1995 05.05

1958
02.05

ამიეჯავჯასიაში ხესეთის ჟაე-ბის ჟბეღის უჯანასენღელი სამხედრო ჰოეეჯოიი: 1994-97. ხესეთის ფედერაციის ფედე-ჯაღეხი სასახღეხო სამსახეხის სამხედრო ჰოეეჯოიის | მოად-ღიღე: 1997-დან.

ორდენი-2 მედალი-10 თბილისი



მ ა ლ მ ა
ნიორლოზ ნიორლოზის კა

კონტრ - ადმირალი 1947
1993 04.11 04.11

სანატ-პეტეხუხუხის ნახიმოვის
სამხედრო-სახლავო სასწავლებლის
უფროსი: 1993 24.12-2001
14.11. თადახიგშია 2002-დან.

ორდენი-2 მედალი-12 თბილისი



მ მ ს ს ვ ა ე ვ ი
ვლადისლავ ვლადიმერის კა

კონტრ - ადმირალი 1949
1998 06.05

ხესეთის ფედერაციის თავდაცვის
სამინისტროს გენერალური შტაბის
ოპერატიული სამმართველოს
ბანყოფილების უფროსი.

ორდენი-2 მედალი-11 თბილისი



ნ ა დ ი ბ ა ი ე ვ
პარდიკო ვისილის კა

გენერალ - მაიორი 1939
1989 06.05 31.03
გენერალ - ლეიტენანტი
1993 29.11

ამიერკავკასიაში ხესეთის ჯაშუ-
ბის ჯგუფის სახელის მოადგილე:
1992-94.
საქართველოს ხესუბიეიკის თავ-
დაცვის მინისტრი: 1994-98.

ორდენი-4 მედალი-13 ვლადიკავკაზი
ჩრდილო ოსეთი
რუსეთი



მ ვ ე ლ ა ე ვ
მეო ველიშვილის კა

გენერალ - მაიორი 1949
1992 12.04 18.10

შ ვ ი კ ი ნ ი
ვლადიმერ ვასილის კა

გენერალ - მაიორი 1939
1991 18.12 17.10

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი:
პოლკის მეთაურობა (1976-81), ოლ-
ქის ჯაშუბის სამმართველოს
უფროსის მოადგილე (1981-91).
ამიერკავკასიაში ხესეთის ჯაშუ-
ბის ჯგუფის ჯაშუბის სამმ.
უფროსი: 1991-98. თადახიგშია
1999-დან.

ორდენი-3 მედალი-12 წერეთელი
მარნეული

ორდენი-4 მედალი-15 მანგლისი
თეთრი წყარო



სირია

მარუანი-აბაზა
ამაძე

გენერალ-ლეიტენანტი
1970-ან წლებში

1920-ან
წლებში

1980-ის
შემდეგ

სიხის შვიახალბედი ძალების
სხვადასხვა შენაერთის მეთაუ-
რი.

სირია

სირია



სომხეთის ჩასუბლიკა

აზრამიანი
მარბინ ავოთის ქე

გენერალ - ლეიტენანტი
1997 17.10

1939
18.12

სომხეთის ხესუბლიკის თავ-
დაცვის სამინისტროს სამმართვე-
ლოს უფროსი, თავდაცვის მინისტ-
რის მოადგილე.

ორდენი-1

მედალი-12

კარცაზი
აბალქალაქი

აპრიანოვი
ანრიკო ალესანდრეს ქე

გენერალ - მაიორი
1997 13.12

1954
14.03

სომხეთის ხესუბლიკის თავ-
დაცვის სამინისტროს სამმართვე-
ლოს უფროსი, დივიზიის მეთაუ-
რი.

ორდენი-2

მედალი-7

თბილისი



აკოტუნიაანი
ვახარაძე ვარნაჯის ძე

გენერალ - ლეიტენანტი
1956 28.04
1996 20.09

სომხეთის ხესპუბლიკის
სამხედრო მინისტრი: 1999 15.06-
2000 20.05.

ორდენი-3 მედალი-12 ახალქალაქი



აკოტუნიაანი
ვიგნისლავ ვარნაჯის ძე

გენერალ - მაიორი
1948 10.10
1992 26.02

სომხეთის ხესპუბლიკის თავ-
დაცვის სამინისტროს სამხატვე-
ლოს უფოსი. დივიზიის მეთაუ-
რი.

ორდენი-1 მედალი-5 ახალქალაქი



ღალიბალტიანი
გურბანი არუთინის ძე

გენერალ - პოლკოვნიკი
1926 05.06
1996 12.04

ჩხილმ ჯავახიის სამხედრო ოც-
ქის ჯაშების სახელის მოადგილე:
1986-89. სომხეთის ხესპუბლიკის
შეიარაღებული ძალების უმაღლე-
სი მთავარსახელის მთავარი
სამხედრო მჩრეველი.

საბჭოთა არმიის
გენერალ - მაიორი
1971 20.02

ორდენი-8 მედალი-16 დიდი არაგიალი ნინოწმინდა



ივანიაანი
მარისაპუროვა ივანის ძე

გენერალ - ლეიტენანტი
1920 20.12 1999
1993 16.04 დაახლ.

მეთაურობდა ბიგადას, დივი-
ზიას, კოხჩესს.

ორდენი-12 მედალი-20 თბილისი

სანკტ-
პეტერ-
ბურგი
რუსეთი



მაიატიანი
მარიაშვილი სუგბათის ძე

მილიციის
გენერალ - მაიორი
1951 22.07
2001 23.08

სომხეთის ხესპუბლიკის შინაგან
საქმეთა მინისტრის მოადგილე:
2001 23.08-დან.

ორდენი-1 მედალი-5 პატარა ხანალი ნინოწმინდა



უ ნ ა ნ ი ა ნ ი
ოვაანს ვაგარშაიის კა

მილიციის
გენერალ - მაიორი
1999 22.05

1952
10.06

სსსრ მინაგან საქმეთა ობგანოებ-
ში მსახურობდა 1975-დან. სომხ-
ეთის ხესპუბლიკის მინაგან
საქმეთა მინისტრის მოადგილე:
1993-დან.

ორდენი-1

მედალი-6

არაგვა
ახალქალაქი



ს ა რ ა ტ უ რ ო ვ ი
იური ბრიგოდის კა

გენერალ - ლეიტენანტი
2000 27.07

1953
01.05

სომხეთის ხესპუბლიკის
სამხედრო მინისტრის მოადგილე.
მეთაურობდა ბიზგადს, დივიზიას,
კოხპუსს.

ორდენი-5

მედალი-8

თეთრი
წყარო



უკრაინა



ო ვ ე ლ ი ა ნ ო ვ ი ჩ ი -
რ უ ს ი ვ ვ ი ლ ი
ივანე ვლადიმერის კა

გენერალ - მაიორი
1920

1881

1962
08.09

მსახურობდა უკრაინის ახმიაში,
სახყოვის კანკათა ჯახის ატა-
მანი, გეტმან საგაიდარის სახ.
ლებენსკის მე-2 ცხენოსანთა კა-
ნაკეთა პოლკის მეთაუხი.
უკრაინის ცხენოსანთა ახმის ინ-
სპექტორი. უკრაინის გასაბჭოებ-
ის შემდეგ ემიგრაციაშია.

რუსეთის არმიის
გენერალ - მაიორი
1914

ორდენი-2

მედალი-5

თბილისი

ჩიკაგო
აშშ



ო ვ ე ლ ი ა ნ ო ვ ი ჩ ი -
რ უ ს ი ვ ვ ი ლ ი
მისაილ ვლადიმერის კა

გენერალ - ლეიტენანტი
1920

1878

1952
29.05

1917-დან მსახ. უკრაინის ახმია-
ში. მე-11, მე-3 დივიზიების,
ზაპოხოფიეს კოხპუსის მეთ.
ახმის სახდელი. უკრაინის ეხოვნ.
ახმის უმალე. ბელადი. უკრაინის
გასაბჭ. შემდეგ ცხოვხ. ჩეხოსლო-
ვაკ. იყო უკრაინთა მეომხ. კავ-
შიის თავ-ხე. უკრაინის სამხ.
მინისტრი (განდუენილი): 1944-
48. ცხოვხ. გემანიაში 1945-დან.

გენერალ - პოლკოვნიკი
1941

რუსეთის არმიის
გენერალ - მაიორი: 1916

ორდენი-5

მედალი-7

თბილისი

პარიზი
საფრანგეთი



ოთხვარსკვლავიანი გენერალი მალხაზ შალიკაშვილი და გენერალ-ლეიტენანტი თამაზ ღუმბაძე

აშშ თავდაცვის მინისტრის მრჩეველი საქართველოსთან თანამშრომლობის საკითხებში, პოლკოვნიკი ოთარ შალიკაშვილი ძმასთან ერთად



ესპანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩილეა და მალტაზე ნიკოლოზ ჩხოტუა გენერალისიმუს ფრანსისკო ფრანკოსთან ერთად. ესპანეთი, ქ. მადრიდი (1962, 1970)

საქართველოს რესპუბლიკა
République Géorgienne



საზღვარგარეთის პასპორტი
Passport pour l'étranger
სახელი და გვარი ნიკოლოზ ჩხეიძე
Nom du porteur *ნიკოლოზ ჩხეიძე*
ვალია ბუთი ნეოი
Valable pour *სიგ. არა* № *6223*

სურათი.
Photographie du porteur



სურათი.
Photographie du porteur

პატივისცემის ხელის მოწერა *ნიკოლოზ ჩხეიძე*
Signature du porteur
N. Chkheidze Taxe

ესთხოვთ ევროპა მთავრობის პირთ, ვისაც მინდობილი აქვს საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვა, თაისუფლად და დაუბრკალებლად გაატარონ და დახმარება და მფარველობა აღმოუჩინონ

ნ. *ნიკოლოზ ჩხეიძე*
ჩხეიძე
მოქალაქის *საქართველოს*
ოჯახისა

შეიცავს 32 გვერდს

Contenant 32 pages



ლეგენდარული მურინავი, რუსეთის
გმირი, ავიაციის გენერალ-მაიორი
თემურ აფაქიძე



მამასთან ერთად მუშტაილის ბაღში. თემურის
უკანასკნელი ჩამოსვლა მშობლიურ თბილისში. 1999



გამოჩენილი
საბჭოთა შვედრავი,
გენერალ-მაიორი
იური კობალაძე
მშობლიურ
თბილისში
მეგობრებთან
ერთად. 2002



სომხეთის რესპუბლიკის
შეიარაღებული ძალების
გენერალ-პოლკოვნიკი
გურგენ დალიბალტიანი



კოლეგები—თანამემამულენი:
აზერბაიჯანის რესპუბლიკის
გენერალური პროკურორი,
იუსტიციის I კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ზაქირ გარალოვი და
საქართველოს გენერალური
პროკურორი, იუსტიციის მთავარი
სახელმწიფო მრჩეველი ჯაბლეთ
ბაბილაშვილი. 2000



★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★
★ **ყველაზე, ყველაზე...** ★
★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★ ★



ართული გენერალიტეტის 300-წლიან ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა უმაღლესი ჩინის მქონე სამხედრო იყო ალექსანდრე ბატონიშვილი – პირველი ქართველი გენერალი. 26 წლის ასაკში მას პირველს 1700 წლის 19 მაისს პეტრე I-მა მიანიჭა გენერალ-ფელდციოხმაისტერის წოდება. იგი ითვლება რუსეთის არტილერიის, როგორც ჯარის სახეობის, დამაარსებლად. ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ ევროპაში სეროიზულად შეისწავლა ხელოვნება და მეცნიერება. იგი დაწვრილებით გაეცნო თავისი ღროის მოწინავე ტექნიკას, განსაკუთრებით კი – საარტილერიო საქმეს.

* * *

ქართველ გენერლებს შორის ყველაზე სახელმოხვეჭილად მსოფლიოში შეუდარებელი პეტრე ბაგრატიონი ითვლება. რუსეთს ალექსანდრე სუვოროვისა და მიხეილ კუტუზოვის შემდეგ არ ჰყოლია არც ერთი გენერალი, რომელიც ისეთი პატივისცემითა და სიყვარულით ყოფილიყო გარემოსილი არმიაში, ისეთი პოპულარობა ჰქონოდა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, როგორც წილად ხვდა პეტრე ბაგრატიონს. იგი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა ბრძოლებში მიღებული ჭრილობებისაგან. მონაწილეობდა 150-ზე მეტ ბრძოლაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. მეომრები მასზე ამბობდნენ: “ბოგ რატი ონ” – „ჯარის ღმერთია იგი“, ნაპოლეონმა კი პეტრე ბაგრატიონი რუსეთის არმიის საუკეთესო გენერლად აღიარა.

* * *

ქართლ-კახეთის მეფემ, სახელგანთქმულმა მხედართმთავარმა ერეკლე II რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი მიიღო 1769 წ. პირველი ქართველი, ვინც დაიმსახურა ეს მაღალი ჯილდო, იყო ქართლის მეფე ვახტანგ VI (1726), ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII დაჯილდოვდა ამ ორდენით 1799 წ.

* * *

ერთადერთი ქართველ გენერლებს შორის პეტრე ბაგრატიონია (დიდი პეტრე ბაგრატიონის ძმისშვილი), რომლის სახელსაც ატარებს მის მიერ აღმოჩენილი მინერალი ორტრიტი – ბაგრატიონიტი. მეცნიერი და გენერალი გამოირჩეოდა ევროპული ჯილდოების სიმრავლით. მრავალი რუსული ჯილდოს გარდა, მას მიღებული ჰქონდა შვედეთის წმ. ოლაფის, პორტუგალიის კომანდორის ჯვრის, ნეაპოლიტანის წმ. ფრანცისკის, ბავარიის წმ. მიხეილის, ჰესენის ფილიპე სულგრძელის და ბადენის ცერინგენის ლომის ორდენები.

* * *
მე-17-18 საუკუნეებში ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთის - ახალციხის საფაშოს განაგებდა ათაბაგთა, ჯაყელების, საგვარეულოს გამაჰმადიანებული წარმომადგენელი. ხშირად ჯაყელები ორ ან სამთულიანი ფაშები იყვნენ, მართავდნენ და განაგებდნენ საფაშოს სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს.

* * *
რუსეთის არმიის ქართველ გენერალთა შორის ყველაზე ხანდაზმული გენერალი იყო სახელგანთქმული სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი გიორგი იასეს ძე ერისთავი (1769-1863). იგი 94 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია თავის საგვარეულო მამულში - იკორთის მონასტერში.

* * *
საქართველოდან რუსეთის იმპერიის გრაფის ტიტულს, რომელიც პეტრე I-მა შემოიღო, ატარებდნენ გენერლები: მიხეილ ლორის-მელიქოვი, ალექსანდრე და პავლე ქუთაისოვები (კიკიანები).

* * *
მიხეილ ლორის-მელიქოვს გრაფის ტიტული მიენიჭა 1878 17.04. მამამისი – ტარიელ მელიქიშვილი იყო საქართველოს ისტორიული ოლქიდან – ლორედან. გვარს მისცა რუსული დაბოლოება და გახდა ლორის-მელიქოვი. მიხეილ ლორის-მელიქიშვილი წარმოშობით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წარმომადგენელი იყო. მან სახელი გაითქვა ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს. შემდეგ თავი ისახელა რუსეთ-თურქეთის ომში, როცა კორპუსს მეთაურობდა. 1879 წელს, უკვე გენერალ-ადიუტანტისა და კავალერიის გენერლის წოდებით დაინიშნა ასტრახანის, სარატოვისა და სამარის დროებით გენერალ-გუბერნატორად. 1880 12.02. დაინიშნა უმაღლეს განკარგულებათა კომისიის უფროსად. იმავე წლის 6 აგვისტოდან 1881 17.03-მდე იყო რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა კორპუსის სარდალი. არჩეული იყო სახელმწიფო საბჭოს წევრად. იმპერატორ ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა და სიცოცხლის ბოლო 7 წელი გაატარა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა ნიცაში (1888 12.12). მისი ნეშტი გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს ქ. თბილისში.

* * *
რუსეთის იმპერიაში ქუთაისოვების (კიკიანების) ცნობილი გვარის პირველი წარმომადგენელი იყო ივანე კიკიანი. იგი 1769 წელს ქუთაისიდან წაიყვანეს ტოტლებენის ჯარისკაცებმა. შემდგომში იგი მოხვდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც მეფის კარზე მაღალ მდგომარეობას მიაღწია, მიიღო გრაფის ტიტული და იმპერატორ პავლე I-ის პირადი მდივანიც კი გახდა. მისმა შვილმა ალექსანდრე ქუთაისოვმა ბრწყინვალე სამხედრო განათლება მიიღო და უკვე 22 წლის ასაკში გენერალ-მაიორი გახდა. იყო დიდად განათლებული, იცოდა მრავალი ენა, შესანიშნავად ფლობდა საარტილერიო საქმეს. 1807 წელს, ნაპოლეონის საწინააღმდეგო კამპანიის დროს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმ. გიორგის III ხარისხის ორდენით. მემკვიდრეობით მიიღო გრაფის ტიტული. 1812 წელს მეთაურობდა I-ლი არმიის არტილერიას. ბოროდინოს ბრძოლაში გმირულად დაიღუპა რაევსკის ბატარეებზე. ქართველ გენერლებს შორის იგი ყველაზე ახალგაზრდა გრაფი და წმ. გიორგის ორდენის კავალერია.

რუსეთში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ინფანტერიის გენერალი გრაფი პავლე იპოლიტეს ძე ქუთაისოვი, ივანე კიკიანის შთამომავალი. იგი იყო ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი, შემდეგ – სახელმწიფო საბჭოს წევრი. მანამდე კი – რუსეთის სამხედრო ატაშე ინგლისში: 1871-82, პირველი ატაშე ქართველ გენერლებს შორის.

* * *
აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშლის თანამდებობაზე ყველაზე დიდი დროით იმყოფებოდა გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკი. მარშლად იგი არჩეულ იქნა 9-ჯერ (1812-1839).



პირველ ქართველ აკადემიკოსად ითვლება თეიმურაზ ბაგრატიონი. სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იგი არჩეულ იქნა 1837 წ. თეიმურაზ ბატონიშვილმა, თავის დროის უგანათლებულესმა პიროვნებამ, რუსეთის ისტორიაში დიდი კვალი დატოვა. იგი დაიბადა 1782 წ. თელავში. 1803 წ. თეიმურაზ ბაგრატიონი არ დაემორჩილა რუსებს და სპარსეთში გაიქცა თავის ბიძასთან ალექსანდრე ბატონიშვილთან, სადაც დაინიშნა სპარსეთის არტილერიის სარდლად და ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. 1810 წ. თეიმურაზ ბატონიშვილი დაბრუნდა საქართველოში, შემდეგ კი სამუდამოდ გადასახლდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა 1846 წ.

* * *

პირველი ქართველი დიპლომატი გენერლის რანგში იყო სერგი ლაშქარიოვი. ლაშქარიოვების შტოს სათავეები უკავშირდება ქართველ აზნაურს ლაზარე გრიგოლის ძე ბიბილურს, რომელიც პეტრე პირველის მეფობის დროს ვახტანგ VI გაჰყვლია 1724 წ. რუსეთში.

* * *

სამთავრობო სენატი იყო რუსეთის იმპერიის უმაღლესი სასამართლო-ადმინისტრაციული ორგანო. სხვადასხვა დროს ქართველი გენერლებიდან სენატორები იყვნენ: კირილე ბაგრატიონი (1800-დან), პავლე ციციშვილი (1800-დან), მირიან ბაგრატიონ-გრუზინსკი (1807-დან), ლავით ბაგრატიონ-გრუზინსკი (1812-დან), გიორგი იესეს ძე ერისთავი (1830-დან), გიორგი ლაშქარიოვი (ბიბილური, 1844-დან), დიმიტრი ერისთავი (1853-დან) და სხვები.

* * *

კავკასიაში არც ერთ გენერალს არ ღირსებია ისეთი დიდი წარმატება, სამხედრო თუ სამოქალაქო აღიარება, როგორც გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანს ხვდა წილად. მისი დაკრძალვის დღეს კავკასიის არმიის სახელით დიდმა თავადმა მიხეილმა, რომელიც იმ დღეს ბორჯომიდან თბილისში სპეციალურად ჩავიდა, განაცხადა: „არავინ არ სარგებლობდა კავკასიაში ისეთი საყოველთაო და დამსახურებული ავტორიტეტით, როგორც გრიგოლ ორბელიანი...“

* * *

რუსეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებანი წარმოებდა კავკასიის ომის (1817-1864) პერიოდში. ეს ომი დაკავშირებული იყო რუსეთთან ჩეჩნეთის, მთიანი დაღესტნისა და კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის მიერთებასთან.

* * *

გენერალ-მაიორი იასონ ჭავჭავაძე ერთადერთია საქართველოდან, რომლის მეთაურობით (1849-55) ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკმა მოიპოვა წმ. გიორგის ნიშნები დროშებზე, ვერცხლის სტვირები და ოქროს დუგები. ამ საპატიო ჯილდოებით მისი სახელი სამუდამოდ დარჩა პოლკის ისტორიაში.

* * *

ლევან სავარსამიძე ერთადერთია საქართველოდან, რომელსაც რუსეთის იმპერიის გენერლის წოდება მიენიჭა სპეციალური სამხედრო განათლების გარეშე (1827).

* * *

ერთადერთი ტყუპი ძმები-გენერლები საქართველოდან იყვნენ მიხეილ და ნიკოლოზ თუმანიშვილები, რომლებიც დაიბადნენ 1848 22.07.

* * *

გენერალი ლევან მელიქიშვილი 20 წელი წარმატებით მართავდა დაღესტანს (1859-79), რაც თავისებურ რეკორდად შეიძლება ჩაითვალოს.

* * *

გენერალი ივანე მაყაშვილი ერთადერთია, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-78) გამოვლენილი გმირობისათვის დაჯილდოვდა რუმინეთის ვარსკვლავის კომანდორის ჯვრის ორდენით.

* * *

ილია ჩოლოყაშვილი იყო რუსეთის არმიის გენერლებს შორის პირველი, რომელიც დაიღუპა რუსეთ-თურქეთის (1877-78) ომის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად. მამაცი გენერალი, დალესტინის ცხენოსანთა რეგულარული ბრიგადის მეთაური, სასიკვდილოდ დაიჭრა ყარსის ციხესთან ბრძოლის დროს (1877 04.05) და ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა ალექსანდროპოლის სამხედრო ჰოსპიტალში. ილია ჩოლოყაშვილი დიდი მხედრული პატივით გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს ქაშვეთის ეკლესიაში.

* * *

გენერალი ნიკოლოზ (დიდი ნიკო) ჭავჭავაძე, II ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი, ძალიან პოპულარული იყო დალესტინის მოსახლეობაში, სადაც იგი მოღვაწეობდა 1866-1883 წწ. როდესაც სახელგანთქმული მხედართმთავარი გარდაიცვალა (1897 03.09), ადგილობრივმა მთიელებმა ქართველი თავადის ცხედარი ხელით ჩამოასვენეს ყვარელში, სადაც იგი დაიკრძალა მისივე აშენებულ ეკლესიაში.

* * *

რუსეთის არმიაში თავისებური რეკორდი დაამყარა სახელგანთქმულმა გენერალმა გრიგოლ დადიანმა (ლიტერ. ფსევდ. კოლხიდელი), რომელმაც ოფიცერთა ჩინებში გაატარა 70 წელი. 62 წელი იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში მამაცი გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე. მას მიღებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის ყველა საბრძოლო ორდენი, გარდა წმ. ანდრია პირველწოდებულისა და წმ. გიორგი I და II ხარისხისა. მას კავკასიელ რაინდს უწოდებდნენ. 50 წელიწადზე მეტი იმსახურა რუსეთის არმიაში ბევრმა ქართველმა გენერალმა, მათ შორის გამოჩენილმა მხედართმთავრებმა – გრიგოლ ორბელიანმა, ივანე ამილახვარმა, ივანე ანდრონიკაშვილმა, გიორგი ერისთავმა, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, დავით ბებუთაშვილმა, ლევან მელიქიშვილმა, იაკობ ალხაზიშვილმა, მიხეილ ამირჯიბმა, კონსტანტინე მამაცაშვილმა, ალექსანდრე საგინაშვილმა, ალექსანდრე ბუჭყიაშვილმა, ალექსი ქავთარაძემ და სხვებმა.

* * *

II წლის ლევან დადიანი, ცნობილი როგორც ლევან V, სამეგრელოს მთავარი გახდა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1804 წ. მაშინვე სამეგრელოს თავადაზნაურობასთან ერთად დადო ფიცი რუსეთის ერთგულებაზე და იმპერატორ ალექსანდრე I-ისაგან „საჩუქრად“ მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. ქართველ გენერლებს შორის იგი ყველაზე ნორჩია. 15 წლის ასაკში მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის კამპანიაში (1806-1812). მისი სამივე ვაჟი – დავითი, გრიგოლი და კონსტანტინე ცნობილი გენერლები იყვნენ.

* * *

გენერალი ივანე ორბელიანი იყო შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის წინააღმდეგ წარმოებულ ომთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ კავკასიის „ველური დივიზიის“ სახელით ცნობილ ცხენოსანთა ბრიგადის პირველი მეთაური (1904 24.03), რომელიც იბრძოდა რუსეთის მანჯურის არმიის შემადგენლობაში. „ველური დივიზია“ სასწაულებს სწადიოდა ბრძოლის ველზე და ფართოდ გაითქვა სახელი. შემდგომში ბრიგადის ბაზაზე ჩამოყალიბდა დივიზია. მისი ფორმირება ხდებოდა ნებაყოფლობითი წესით, კავკასიის მთიანეთის 21-დან 40 წლამდე ფიზიკურად ძლიერი მამაკაცებისაგან. მათთვის შემოღებულ იქნა სპეციალური წესდება.

* * *

ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ხევის ფეოდალთა ჩოფიკაშვილ-ყაზბეგთა გვარიდან გამოსულ მოღვაწეებს, მათ შორის გენერლებს. ერთ-ერთი მათგანი ინფანტერიის გენერალი გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგია. მან ჯერ კიდევ 1867-1868 წწ. გამოაქვეყნა ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი „იტალიელები კავკასიის შესახებ“. შემდეგ გამოსცა ორი დიდი ნაშრომი „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“. იგი ავტორია აგრეთვე მრავალი სხვა ნარკვევისა და სტატიისა. 1908-1921 წწ. მუშაობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ, ეწეოდა დიდ საქველმოქმედო საქმიანობას.

* * *



რუსეთის არმიის გამოჩენილი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი სამჯერ არის დასაფლავებული პირველად სოფელ სიმში, სადაც იგი მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა 1812 12.09. შემდეგ კი – ბოროდინოს ველზე ორჯერ. მათგან პირველი დაკრძალვა შედგა 1839 წ. ნიკოლოზ პირველის სურვილისამებრ. იმპერატორი სპეციალურად ჩავიდა ბოროდინოში 120-ათასიანი არმიით, რათა დასწრებოდა სიმიდან გადმოსვენებული ბაგრატიონის საფლავზე დადგმული მონუმენტის გახსნის ცერემონიალს.

1932 წ. ბოლშევიკებმა ააფეთქეს მონუმენტი და შეურაცხვეს საფლავი, ხუთი წლის შემდეგ კი, ბოროდინოს ბრძოლის 125 წლისთავზე, მონუმენტის ადგილზე დადგეს უბრალო ბეტონის ქვა, რომელზედაც აღნიშნეს, რომ ამ ადგილზე დასაფლავებული იყო 1912 წ. სამამულო ომის გმირი პეტრე ბაგრატიონი. 1987 წ. ბოროდინოს 175 წლისთავზე მონუმენტი აღადგინეს და მის ქვეშ დაკრძალეს ბაგრატიონი, რითაც, შეიძლება ითქვას, აღდგა ისტორიული სამართლიანობა.

* * *

აფხაზთა შორის პირველი, ვისაც რუსეთის იმპერიაში მიენიჭა გენერლის წოდება, იყო კაც მარღანია. კავკასიასა და ოსმალეთში იგი სარგებლობდა უდიდესი პოპულარობით, იყო ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება. გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში, 100 წელს მიტანებული (1764-1864). საქართველოს გენერლებიდან ეს აბსოლუტური რეკორდია.

* * *

რუსეთის არმიის ოფიცრის ანტონ ღუმბაძის ოჯახი ერთადერთია, საიდანაც გამოვიდა ხუთი გენერალი. ანტონმა, მეუღლესთან, თავად ნაკაშიძის ასულთან, ერთად აღზარდა 7 ვაჟი და ერთი ქალიშვილი ელენე. ვაჟებიდან ნიკოლოზი, იოსები, ივანე, სამსონი, მიხეილი გახდნენ გენერლები, მელიტონმა მიაღწია პოლკოვნიკის ჩინს, ხოლო მეშვიდე, დავითი, მღვდელი იყო. თვით ანტონი მსახურობდა კავკასიის არმიის კავალერიაში. პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრობდა გორში, სადაც გარდაიცვალა 103 წლის ასაკში, ბარძაყის მოტეხილობის გართულების შედეგად.

* * *

ინფანტერიის გენერალი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი ერთადერთია ქართველ გენერლებს შორის, რომელმაც საბრძოლო ოპერაციებში ბულგარეთის ქალაქ ლოვეჩის განთავისუფლებისათვის წმ. გიორგის ორი (III და IV ხარისხის) ორდენი დაიმსახურა. ჩვენს სახელოვან თანამემამულეს (1877 29.11) თვით იმპერატორმა ალექსანდრე II გადასცა ეს ორდენები და აღნიშნა ამ ფაქტის განსაკუთრებულობა.

* * *

ინფანტერიის გენერალი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი ერთადერთია საქართველოს გენერალიტეტის ისტორიაში, ვისაც ეკავა რუსეთის იმპერიის მთავარი სამხედრო სასამართლოს უფროსის და მთავარი სამხედრო პროკურორის თანამდებობა (1881-1892).

* * *

კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილე, ინფანტერიის გენერალი ლევან მელიქიშვილი 1881 30.05 - 1882 16.01 პერიოდში ასრულებდა მთავარსარდლის (დიდი თავადის მიხეილ რომანოვის) მოვალეობას.

* * *

რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები იყვნენ გამოჩენილი ენათმეცნიერი, გენერალ-მაიორი ნიკო მარი (1912 01.07), რომელიც 1930 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, და გენერალ-მაიორი ნიკო კოკშაროვი-ერისთავი (1866 15.11). მათ ორივეს დედა ქართველი ჰყავდათ.

* * *

პირველი ქართველი სამხედრო პროკურორი გენერლის წოდებით საქართველოში იყო კონსტანტინე ჩივაძე. 1913 წ. იგი დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს სამხედრო ზედამხედველობის პროკურორად.

* * *

1914 წლის დეკემბერში, პირველ მსოფლიო ომის დროს, სარიყამიშთან (თურქეთი) ბრძოლისას მონაწილე უჩვეულო შემთხვევა: დარუბანდის პოლკის 156-ე ასეულმა, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე, ტყვედ აიყვანა თურქეთის მე-9 კორპუსის მთელი შტაბი, კორპუსის მეთაური ისხან-ფაშა, დივიზიის სამი მეთაური, 30 ოფიცერი, 1306 ასკერი დიდძალი ქონებითა და საჭურველით. ამ დროს ვაშაკიძეს დაზვერვაზე ჰყავდა 128 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. თურქები ამის შემდეგ მას “მაითან-კაპიტანს“ ეძახდნენ. ქართველი ოფიცრის გმირობის ამბავი რუსეთის იმპერატორსაც ეცნობა, რომელმაც ჯილდოებით აღნიშნა ტარასი ვაშაკიძის გმირობა და სიმამაცე. იგი დაჯილდოვდა აგრეთვე ფრანგული სამხედრო მედლით, რომელიც მის გარდა მთელ რუსეთში მხოლოდ ნიკოლოზ II მკერდს ამშვენებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ტარასი ვაშაკიძეს გენერლის წოდება მიანიჭა.

* * *

მეფისნაცვლებად კავკასიაში ინიშნებოდნენ დიდი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეები, ზოგჯერ თვით მეფის ოჯახის წევრები. გარდა იმისა, რომ მეფისნაცვალი ფლობდა სამოქალაქო მმართველის თითქმის შეუზღუდველ უფლებებს, ის კავკასიის არმიის მთავარსარდალი და კაზაკთა ჯარების ატამანიც იყო.

გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი (ახმეტელი) იყო 1917 წლის სექტემბერში მისივე ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული კორპუსის პირველი მეთაური. იგი დაჯილდოებული იყო თამარ მეფის ორდენით, რომელიც, როგორც რელიქვია, ინახება თბილისში, მისი შთამომავლების ოჯახში. რუსეთის არმიის ოფიცერს ს. ახმეტელს, როგორც მამაც და გმირ მეთაურს, რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში იაპონიის ფლოტის სარდალმა აღმირაღმა ჰეიპაჩირო ტოგომ (1847-1934) საჩუქრად უბოძა თავისი ხმალი, რომელიც აგრეთვე ინახება გენერლის შთამომავლების ოჯახში.

* * *

საქართველოს გენერალიტეტის 300-წლიან ისტორიაში სამი პიროვნება – ზაქარია ბაქრაძე, კირილე ქუთათელაძე და ივანე ყაზბეგი გახდნენ სამი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გენერლები: რუსეთის იმპერიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის.

* * *

გენერალი სიმონ ესაძე პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომელმაც გააშუქა სასამართლო და საქალაქო რეფორმების ისტორია კავკასიაში.

* * *

თავადმა ნიკოლოზ (ნიკი) ჩხოტუამ (ჭყონია) უაღრესად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა 1905 წ. ქ. ბათუმში. ჯერ კიდევ ჭაბუკი, 16 წლისა, გაემგზავრა ემიგრაციაში. საბოლოოდ დასახლდა ესპანეთში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. გაიკეთა ბრწყინვალე კარიერა, გახდა ცნობილი დიპლომატი, იუსტიციის გენერალი, ესპანეთის ელჩი ჩილეში, მალტაზე. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით. მას დიდად აფასებდა თვით გენერალისიმუხი ფრანსისკო ფრანკო. მიუხედავად სამშობლოსთან ხანგრძლივი განშორებისა, მას არ დავიწყებია ქართული ენა, კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, კულტურას. ოცნებობდა საქართველოზე. თავის ანდერძში დაიბარა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი გული დაესაფლავებინათ თბილისში, ვერის ძველ სასაფალოზე, სადაც განისვენებენ მისი დედა და და, საფლავის ქვაზე კი ამოეტიფერად რომელიმე სტროფი ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანიდან“. საქართველოს დიდი პატრიოტის ნ. ჩხოტუას ეს თხოვნა ახლობლებმა შეასრულეს.

* * *

გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში ითვლებოდა ერთ-ერთ ბრწყინვალე სამხედრო გეოდეზისტად. გენერალური შტაბის აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი 15 წლის მანძილზე (1901-1916) რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე ტრიანგულაციურ სამუშაოთა უფროსი იყო, რომლის შემდეგ დაინიშნა კორპუსის მეთაურად. 1918-1921 წწ. გენერალი ა. ბენაშვილი საქართველოს არმიის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსად მსახურობდა და იმავდროულად



იყო თბილისის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი. 1918-1936 წწ., როგორც პროფესორი იგი მოღვაწეობდა თსუ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

გენერალი სიმონ ესაძე პირველი ისტორიკოსია, რომელმაც აფხაზეთის სამთავროს გაუქმება დაუკავშირა მეფის რუსეთის პოლიტიკურ, სტრატეგიულ და კოლონიურ პოლიტიკას.

ქართველ გენერალთა შორის სამშობლოდან ყველაზე შორს – არგენტინაში, ბუენოს-აირესშია დაკრძალული ალექსანდრე კონიაშვილი (1873-1951), როგორც მრავალი ქართველი ემიგრანტი, ა. კონიაშვილი ტრავიკული ბედის კაცი იყო. რუსეთის იმპერიის გენერალ გრიგოლ კონიაშვილის ვაჟი ალექსანდრე დაიბადა თბილისში 1873 წ. და სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში, საიდანაც დაჯილდოებული დაბრუნდა. პირველი მსოფლიო ომის დროს მან ღიად გაითქვა სახელი კავკასიის ფრონტზე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ა. კონიაშვილი, როგორც გმირი, არჩეულ იქნა იმპერატორთან წარსადგენ დელეგაციაში და თვით ნიკოლოზ II დააჯილდოვა. იგი ალტაცებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ა. კონიაშვილი იმ პირველ მოღვაწეთაგანი იყო, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში. გასაბჭოების შემდეგ იგი სხვებთან ერთად გაიხიზნა და პოლონეთს შეეკვლია, სადაც პოლონეთის ჯარის გენერლის წოდებაც დაიმსახურა. 1939 წ., როდესაც გერმანიამ პოლონეთი დაიპყრო, უკვე ხანში შესული ა. კონიაშვილი მოხვდა გერმანიაში. გერმანიიდან იტალიაში და იქიდან – არგენტინაში, სადაც ორ ომგამოვლილმა გმირმა, რუსეთის არმიის ოფიცერმა, ქართული ჯარისა და პოლონეთის არმიის გენერალმა, 78 წლის ასაკში უკანასკნელი სავანე ჰპოვა.

კონტრ-ადმირალი მიხეილ ჩინჩარაძე (ნამდვილი გვარია ჯინჭარაძე) ერთადერთია ქართველ გენერლებსა და ადმირალებს შორის, რომელმაც ჯერ კიდევ 1923 28.08 დაიპყრო მყინვარწვერი. მაშინ თბილისელი ჭაბუკი 19 წლისაც არ იყო. ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი და სპორტსმენი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე. მასში მონაწილეობდა 18 ქართველი მთამსვლელი, მათ შორის 6 ქალი. ისინი იყვნენ მყინვარწვერის პირველი დამპყრობნი. ამ ასვლით მათ სათავე დაუდეს საბჭოთა ალპინიზმს.

საქართველოს სსრ სამხედრო ისტორიული სექციის პირველ ხელმძღვანელად დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი გენერალი სიმონ ესაძე (1921 03.08).

საბჭოთა კავშირში პირველი საერთო კანონი „სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“ მიღებულ იქნა 1925 18.09.

საქართველოს ისტორიაში იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ანდრო დოლიძემ რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობაზე 1933 წ. შეცვალა საკუთარი ძმა თედორე დოლიძე. ამ პერიოდში საქართველოს პროკურორი იმავდროულად იყო იუსტიციის სახალხო კომისარი.

ქართველ გენერლებს შორის პეტრე შარია ერთადერთია, ვისაც მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (1935 25.12). 28 წლის ასაკში იგი გახდა თსუ პროფესორი (1932 26.10).

გამოჩენილი მეცნიერი-არტილერიისტი, გენერალ-მაიორი ვიჩხესლავ მიქელაძე არის პირველი ქართველ გენერლებს შორის, რომელსაც მიენიჭა სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (1934). იგი არაერთხელ დააჯილდოვა რუსეთის ხელისუფლებამ. 1913 წელს მას მიანიჭეს პრესტიჟული



პრემია და დაავიღღოეს ოქროს მედლით. არანაკლები აღიარება მან ჰპოვა საბჭოთა პერიოდში მუშის გენერალს მიანიჭეს „კომდივის“ წოდება და შესთავაზეს არტილერიის კადრების მომზადება წითელი არმიისათვის, რასაც იგი წარმატებით აკეთებდა 20 წლის განმავლობაში (1921-1941). მას ეკუთვნის (სხვა ავტორებთან ერთად) ფუნდამენტალური ნაშრომი „არტილერიის ტაქტიკა“ (5-ნაწილიანი), რომელიც გამოიცა 1925 წ. ქ. ლენინგრადში და დღესაც აქტუალურია.

* * *

გენერალური ავიაკონსტრუქტორი, გენერალი გიორგი ბერიაშვილი (ბერიევი) ითვლება საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ავიაციის (ჰიდროავიაციის) ფუძემდებლად. 1934-1968 წწ. იგი ხელმძღვანელობდა თვითმფრინავთმშენებლობის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა რეაქტიული მფრინავი ნაგები, ამფიბია თვითმფრინავები, სახომალდე საკატაპულტე თვითმფრინავები და ბევრი სხვა. გამოჩენილ ავიაკონსტრუქტორს 1947 წ. მიენიჭა სტალინური, ხოლო 1968 წ. სსრკ სახელმწიფო პრემიები. მის სახელს ამჟამად ატარებს ქ. ტავანროვის (რუსეთი) სამეცნიერო ავიაკომპლექსი.

* * *

ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით საქართველოს პროკურორის თანამდებობაზე იმყოფებოდა პროფესორი ილარიონ (ვალეკო) ტალახაძე - II წელი (1936-1946). იგი ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის ერთ-ერთი პირველი უფროსი იყო.

* * *

მომავალი კონტრ-ადმირალი სიმონ რამიშვილი პირველი იყო ქართველთაგან, რომელიც 1936 წ. გააძვესეს ესპანეთში კარტახენის სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაურის მრჩეველად. მამაც და გამჭრიახ ქართველს, II რანგის კაპიტანს იქ “ღონ ხუან გარსიას” სახელით იცნობდნენ. იგი აგრეთვე პირველი ქართველია, რომელიც 1945 წ. იანვარში იყო აშშ ქ. პორტლენდში, რათა ხელი შეეწყოს საბჭოთა კავშირში ამერიკის დახმარების შეუფერხებელი მოწოდებისათვის (ლენდ-ლიზის პროგრამით).

* * *

მეორე მსოფლიო ომის წლებში (1938-დან) შავი ზღვის ფლოტის დაზვერვის უფროსის თანამდებობა ეკავა ლეგენდარულ ქართველ გენერალს დიმიტრი ნამგალაძეს. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი ბრწყინვალე ოპერაცია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი დამსახურების დასტურად თუნდაც გერინგის ე.წ. „მწვანე საქალაღის“ ხელში ჩაგდებაც კმარა. ეს შესაიდუმლო ფაშისტური დოკუმენტი, რომელზეც მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო ნიურნბერგის პროცესზეც იყო მსჯელობა, სულ შვიდ ეგზემპლარად იყო შედგენილი. ერთი მათგანი ყირიმის გაულაიტერის, ფელდმარშალ მანშტაინის სეიფში ინახებოდა. დ. ნამგალაძის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწილეობით დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაციის შედეგად, ამ დოკუმენტმა მანშტაინის სეიფიდან საბჭოთა სარდლობის განკარგულებაში გადაინაცვლა.

* * *

ქართველ გენერლებიდან და იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველებიდან ორ-ორჯერ იყვნენ საქართველოს უწყებების ხელმძღვანელებად:

- აქესენტი რაფავა - შს სახალხო კომისარი: 1938 29.11 - 1941 26.02, 1941 31.07 - 1943 07.05,
- ვარლამ კაკუჩაია - შს სახალხო კომისარი: 1941 26.02 - 31.07, 1953 16.03 - 10.04,
- ედუარდ შევარდნაძე - შს მინისტრი: 1965 21.05 - 1972 22.08, 1993 11.09-10.10 (შეთავსებით),
- მიხეილ ლომიძე - უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე: 1949 - 1951, 1957 - 1959,
- ვახტანგ რაზმაძე - საქართველოს პროკურორი, გენერალური პროკურორი: 1985 - 1991, 1992,
- ჯონი ხეცურიანი - იუსტიციის მინისტრი: 1990 - 1992, 1998 - 2000,
- პანტელეიმონ გიორგაძე - სასაზღვრო ჯარების სარდალი: 1991 - 1992, 1993,
- ჯემალ ბაჯელიძე - აჭარის არ იუსტიციის მინისტრი: 1953 - 1959, 1974 - 1991,
- როსტომ ჯაფარიძე - აჭარის არ პროკურორი: 1994 - 1995, 1996 - 1999,
- ილია წულუკიძე - აჭარის არ შინაგან საქმეთა მინისტრი: 1998 - 1999, 2001-დან.

* * *

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები იყვნენ: მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, მეფის გენერალი ნიკო მარი (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, 1930-დან) და საბჭოთა სარაკეტო ტექნიკის შემქმნელი, გენერალი ალექსანდრე ნადირაძე (1981).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად 1939 22.12 აირჩიეს იოსებ სტალინი.

* * *

საბჭოთა კავშირის პირველი გმირი საქართველოდან (1939 22.12) იყო თბილისში დაბადებული, გაზრდილი და დავაუკაცებელი ავიაციის მომავალი გენერალ-ლეიტენანტი სიდორ სლიუსარევი.

* * *

XX საუკუნის ყველაზე ახალგაზრდა არმიის სარდალი გახლდათ ვასილ კიკვიძე. იგი 23 წლისაც არ იყო, როდესაც დაინიშნა საბჭოთა უკრაინის მე-4 არმიის სარდალად. შემდგომში იგი მეთაურობდა მე-16 დივიზიას, რომელსაც ვ. კიკვიძის დაღუპვის შემდეგ (1919 12.01) მისი სახელი ეწოდა.

* * *

ყველაზე მეტი საბჭოთა ორდენი ქართველ გენერლებს შორის მიღებული ჰქონდათ: ლავრენტი ცანავას (ჯანჯღავას) – 16 ორდენი, ლავრენტი ბერიას და ალექსი ინაურს – 15, ვლადიმერ ნანეიშვილი – 14, ვლადიმერ ჯანჯღავას და ბოგდან ქობულავს – 13, ნიკოლოზ კალაძეს და ირაკლი ჯორჯაძეს – 12, გალაქტიონ ალფაიძეს, შალვა ქირიას, შალვა წერეთელს, მიხეილ გვიშიანს, პანტელეიმონ შიოშვილს და იუველიანე თოფურიძე-სუმბათოვს – 11, ვასილ მუყანაძეს, პორფილე ჩანჩიბაძეს, დიმიტრი ნამგალაძეს გრიგოლ კარანაძეს, კირილე ჯახუას, ვლადიმერ დეკანოზოვს და სერგო გოგლიძეს – 10 ორდენი.

* * *

გვარდიის გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კალაძე ქართველ გენერალთა შორის ერთადერთია, ვისაც მიღებული ჰქონდა სუვოროვის II ხარისხის ორი ორდენი (1944 23.08, 1945 10.09). იგი აგრეთვე დაჯილდოებული იყო ორი ლენინის, ოთხი წითელი დროშის, სამამულო ომის I ხარისხის, წითელი ვარსკვლავის და პოლონეთის “მამაცთა ჯვრის”, “ვირტუტი მილიტარის” ორდენებით.

* * *

რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი მიხეილ ზაგიუ-ყარანგოზიშვილი ერთადერთია საქართველოდან, ვისაც მიენიჭა საბჭოთა არმიის გენერალ-ლეიტენანტის წოდება (1940 04.06).

* * *

ვლადიმერ ნანეიშვილი ავიაციის პირველი ქართველი საბჭოთა გენერალ-მაიორია (1940 04.06).

* * *

საქართველოს ისტორიაში პირველი ქართველი, რომელსაც მიენიჭა კონტრ-ადმირალის წოდება, იყო სიმონ რამიშვილი (1941 21.05). 1948 წ. იგი დაინიშნა ს.კიროვის სახელობის კასპიის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის უფროსად, რომელსაც ომამდე ხელმძღვანელობდა მისი მეგობარი კონტრ-ადმირალი კონსტანტინე სუხიაშვილი. სიმონ რამიშვილი სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით, სწორედ მისი ინიციატივით 1943 წ. თბილისში გაიხსნა ნახიმოვის სასწავლებელი.

* * *

პირველი ქართველი საბჭოთა გენერალ-პოლკოვნიკი (1943 09.10.) გახდა მე-18 სადესანტო არმიის სარდალი (1943 14.03 – 1944 21.02) კონსტანტინე ლესელიძე. იგი იყო საბჭოთა კავშირში მხედართუფროსთა სამი ჯილდოს – სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ნმელნიცკის I ხარისხის ორდენების პირველი კავალერი და საქართველოში ერთადერთი.

* * *

საქართველოს მილიციის მე-3 რანგის პირველი კომისარი იყო ყარამან მალრაძე (1943 06.04).

* * *

საბჭოთა შეიარაღებული ძალების პოლიტმუშაკთა შორის ერთადერთი ქართველი გენერალ-ლეიტენანტი წოდებით ვასილ მჟავანაძეა (1944 22.06). სახელგანთქმული გენერალი, ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში იყო სამი სხვადასხვა არმიის სამხედრო საბჭოების წევრი, ომის შემდეგ კი – ხარკოვის, კარპატიისპირეთის, კიევის სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოების წევრი (1945-53).

* * *

ყველაზე დიდხანს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად მსახურობდა გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ კარანაძე – 9 წელი (1943 07.05 – 1952 08.04).

* * *

საბჭოთა სარკინიგზო ჯარების თვალსაჩინო წარმომადგენელმა, გენერალ-ლეიტენანტმა შალვა ჟიჟილაშვილმა ქართველთა შორის ერთ-ერთმა პირველმა დაიმსახურა სოციალისტური შრომის გმირის წოდება (1943 05.11). დიდი სამამულო ომის დროს ამგვარი წოდება მიენიჭა სარკინიგზო ჯარების მხოლოდ 28 წარმომადგენელს. 1964 წლიდან შალვა ჟიჟილაშვილი, ქართველებიდან ერთადერთი, მსახურობდა სსრკ შეიარაღებული ძალების სარკინიგზო ჯარების შტაბის უფროსად.

* * *

ყველაზე მეტი სახელმწიფო ჯილდო მილიციის გენერლებს შორის მინიჭებული ჰქონდა მილიციის მე-3 რანგის კომისარს კაპიტონ ნაჭყებიას. იგი დაჯილდოებული იყო 7 ორდენითა და 9 მედლით. კ. ნაჭყებია იყო შესანიშნავი გარეგნობისა და დიდი შინაგანი კულტურის პიროვნება. თეირანის საერთაშორისო კონფერენციაზე (1943), სადაც იგი ი.ბ.სტალინის დაცვაში იმყოფებოდა, მისმა მხედრულმა წარმოსადგეობამ და მიმზიდველობამ თვით უინსტონ ჩერჩილიც კი მოხიბლა.

* * *

სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს (1944), საბჭოთა არმიის მთავარ ქირურგის მოადგილეს (1941-1945), სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტ სიმონ გირგოლაშვილს 1943 წ. მიენიჭა I ხარისხის სტალინური პრემია. პრემიის ფულადი ანაზღაურება მან პირველმა გადასცა ლენინგრადის ობოლ ბავშვებს. საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ ქირურგს 1939-დან, სოციალისტური შრომის გმირს, სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს (1944), სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტ იუსტინე ჯანელიძეს სტალინური პრემია მიენიჭა 1949 წ. პირველად რუსეთში, 1911 წ., მან გააკეთა მეტად რთული ოპერაცია გულზე, რაც იმ დროისათვის მედიცინაში და კერძოდ ქირურგიაში უდიდესი მიღწევა იყო.

* * *

პირველმა საბჭოთა კავშირში ფაშისტური გერმანიის რეაქტიული ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო ავიაციის გენერალ-მაიორმა გარი მერკვილაძემ (1944 17.04).

* * *

საქართველოს გენერლებიდან საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი პირველს მიენიჭა ვლადიმერ დეკანოზოვს (1943 14.06).

* * *

გენერალი ალექსანდრე კოჭლავაშვილი საბჭოთა მთავრობის დავალებით სათავეში ედგა საქართველოში ატომური ენერჯის პრობლემათა დასამუშავებელ ზესაიდუმლო პირველი „სპეცობიექტის“ მშენებლობას (1944-დან) და მისი პირველი დირექტორიც იყო. მომავალში „სპეცობიექტი“ ცნობილი გახდა, როგორც სოხუმის ფიზიკა-ტექნოლოგიური ინსტიტუტი. სსსრ სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელებს შორის გენერალი ა. კოჭლავაშვილი ერთადერთია, ვინც ი. ბ. სტალინის პერიოდში გადაურჩა საბჭოთა რეჟიმის რეპრესიებს.

* * *

სამხედრო-საზღვაო ბაზის პორკალა-უდის (ფინეთი) პირველი მეთაური (1945 09.08-დან) იყო კონტრ-ადმირალი კონსტანტინე სუხიაშვილი.

* * *



დიდ სამამულო ომში სახელმძღვანელო 414-ე ქართული დივიზიის უკანასკნელი მეთაური გენერალი პეტრე ჩხობაძე, 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ ქართული დივიზია სრულყოფის ბრძანებით დაშალეს, 48 წლის ომგამოვლილი გენერალი კი თადარიგში გაუშვეს.

* * *

მეორე მსოფლიო ომში ყველაზე ახალგაზრდა ქართველი გენერლები გახდნენ ნიკოლოზ კალაძე და ალექსი ინაური – 36 წლის ასაკში. 37 წლის ასაკში გენერლები გახდნენ ვლადიმერ ჯანჯღავა და ნიკოლოზ თავართქილაძე. 38 წლის ასაკში კი – კონსტანტინე ლესელიძე, ანდრო ზოდელავა, მიხეილ გვიშიანი და სიმონ რამიშვილი (კონტრ-ადმირალი).

* * *

საქართველოს პროკურორებიდან სიცოცხლის ხანგრძლივობით „რეკორდსმენად“ დღესდღეობით ითვლება სსსრ პირველი პროკურორი სერგო ქავთარაძე – 86 წელი და 48 დღე. ყველაზე ხანმოკლე ცხოვრება კი შალვა მათიკაშვილს ხვდა წილად. იგი 39 წლისაც არ იყო, როდესაც დახვრიტეს.

* * *

საქართველოს პროკურორებიდან თანამდებობაზე ყველაზე ახალგაზრდა ასაკში დაინიშნა ყოფილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 30 წლის შალვა მათიკაშვილი.

* * *

ბელორუსიის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი, პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბის უფროსის მოადგილე (1943-1945), ბელორუსიის მე-2 ფრონტის შსსკ რწმუნებული (1945), სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე (1951 29.10 - 1952 14.02), გენერალ-ლეიტენანტი ლავრენტი ცანავა (ჯანჯღავა) 1953 04.04 დააპატიმრეს. გამოძიების პერიოდში იგი გარდაიცვალა (?) მოსკოვის ციხეში (1955). ის ერთადერთია საქართველოს გენერლებს შორის, რომელიც დაჯილდოებულია კუტუშოვის I ხარისხის ორი ორდენით. ამას გარდა, იგი დაჯილდოებული იყო სუვოროვის I ხარისხის, 4 ლენინის, 5 წითელი დროშის და სხვა ორდენებით – სულ 16 ორდენით. გამოცემული აქვს ორტომეული პარტიზანულ ომზე ბელორუსიაში (1949, 1951). გვარი ჯანჯღავა მან გამოიცვალა 1938 წლის დეკემბერში ლ. ბერიას თხოვნით (ცანავა მისი დედის გვარია).

* * *

გენერალ-ლეიტენანტი ხასან ხარაზია ერთადერთი აფხაზი გენერალი გახლდათ საბჭოთა არმიაში. მისი ბოლო თანამდებობა იყო ურალის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე. დაჯილდოებულია ლენინის, ოთხი წითელი დროშის, სუვოროვის III ხარისხის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I ხარისხის და ამერიკის ლეგიონერის I ხარისხის ორდენებით.

* * *

ნიკოლოზ ლესელიძის ოჯახი ერთადერთია საქართველოში, რომელმაც ქვეყანას მისცა ორი საბჭოთა კავშირის გმირი – პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე და გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე. დიდი სამამულო ომის წლებში მათთან ერთად იბრძოდა კიდევ ორი ძმა – დავითი და ვალერიანი. შინ მხოლოდ დავითი დაბრუნდა.

* * *

ქართველ მეთაურთაგან პირველედ ჩანჩიბაძე იყო პირველი, რომლის შენაერთმაც გვარდიულის საპატიო სახელწოდება მოიპოვა (1941).

* * *

საავიაციო ნაწილებმა, რომლებსაც სხვადასხვა დროს მეთაურობდა ბრწყინვალე სამხედრო მფრინავი, გენერალი ესტატე ტატანაშვილი, სამამულო ომის წლებში ჩამოაგდეს მტრის 815 თვითმფრინავი. 57 წლის გენერალი გარდაიცვალა 1958 30.09 და დაკრძალულია ქ. თბილისში, ვაკის სასაფლაოს შესასვლელთან.

* * *

დიდი სამამულო ომის შემდეგ საბჭოთა არმიაში ყველაზე მაღალი თანამდებობა სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საინჟინრო ჯარების მარშალ არჩილ გელოვანის შემდეგ ეკავა გენერალ-

ლეიტენანტ რობერტ თავაძეს – შორეული აღმოსავლეთის მიმართულების მთავარსარდლის მოადგილეს (1985 07.05 - 1988 08.05, ასეთი თანამდებობა საბჭოთა კავშირში მხოლოდ 4 იყო).

* * *

ქართული გენერალიტეტის 300-წლოვანი ისტორიაში ერთადერთი ქართველი ვიცე-ადმირალია გიორგი აბაშივილი (1951 20.07). სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტში მან 44 წელი იმსახურა, შემდეგ კი – სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის კვლევით ინსტიტუტში. ღვაწლმოსილი ადმირალი გარდაიცვალა 1982 26.09 ლენინგრადში, დაკრძალულია იქვე, სერაფიმეს სასაფლაოზე.

* * *

გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე არჩეულია კალუგის ოლქის ქ. მალიოაროსლავეცის, რომლის განთავისუფლებაშიც იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამამულო ომის წლებში, ქ. მირნის (არხანგელსკის ოლქი), რომლის გაშენების ადგილიც მან შეარჩია და სადაც 13 წელი იმსახურობდა და ქ. ტყობულის, მისი მშობლიური ქალაქის, საპატიო მოქალაქედ.

* * *

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველებს შორის ბორის ფურცხვანიძე პირველია, ვისაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (1961 14.06).

* * *

გამოჩენილმა სამხედრო მეცნიერმა, ქართველ გენერლებს შორის პირველი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა (1959 16.04), პროფესორმა, გენერალ-მაიორმა ვიქტორ სულაქველიძემ აღზარდა 10 მეცნიერებათა დოქტორი, 50-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. მას ეკუთვნის 250 შრომა – მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სხვ. 20 წლის განმავლობაში (1960-1980) იგი მეთაურობდა ქ. მოსკოვში კათედრას ფ. ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიაში. ვ. სულაქველიძე ერთ-ერთი ფუძემდებელი და შემქმნელია სარაკეტო და კოსმოსური სისტემების, არტილერიისა და ნაღმსატყორცი იარაღისა.

* * *

ერთსა და იმავე ხელმძღვანელ პოსტზე უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობით – 35 წელი (!!!) – ქართველ გენერლებს შორის აბსოლუტური რეკორდსმენია გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური. გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში იგი მეთაურობდა მექანიზებულ დივიზიას, 1953 წლის აგვისტოში სასწრაფოდ გადმოიყვანეს თბილისში, მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება და დანიშნეს ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო ამ უწყების გაყოფის შემდეგ (1954 13.03) ახლად შექმნილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. მანამდე ამ სამსახურს ხელმძღვანელობდა 12 კაცი, რომელთაგან ცხრა დახვრიტეს. ორმოცი ორდენისა და მედლის კავალერი, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური – უკვე 80 წელს გადაცილებული – გივი გუმბარიძემ შეცვალა (1988 24.11). ა. ინაურის შემდეგ, თოთხმეტი წლის განმავლობაში, ამ სამსახურის 12 უფროსი შეიცვალა. ალექსი ინაური გარდაიცვალა 85 წლის ასაკში (1993 28.06).

* * *

ქართველი გენერლების სახელები მინიჭებული ჰქონდა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და დასახელებულ პუნქტს: სტალინგრადი, ბაგრატიონოვსკი, კიკვიძე, ლესელიძე. საქართველოში და საზღვარგარეთ ქართველი გენერლების სახელს ატარებს 1000-ზე მეტი ქუჩა.

* * *

კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი ერთადერთია საქართველოში და მეოთხე – მსოფლიოში, ვინც 30 წლის წინ (1972) შემოუარა ლედამიწას ატომური წყალქვეშა კრეისერით (მანამდე ეს განახორციელეს მხოლოდ ორმა საბჭოთა და ერთმა ამერიკულმა წყალქვეშა ხომალდებმა). ეს ნაოსნობა მიმდინარეობდა 200-300 მეტრის სიღრმეზე. მისმა მონაწილეებმა 75 დღე-ღამეში განვლეს 41 ათასი კილომეტრი ისე, რომ არც ერთხელ არ ამოსულან წყლის ზედაპირზე.

* * *

გენერალ-ლეიტენანტმა ჯემალ მიქელაძემ საქართველოდან პირველმა დაამთავრა სსრკ-ის აკადემიის პირველი ფაკულტეტის პირველი გამოშვება (1976).

* * *

გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე საქართველოს კომპარტიის ცკ I მდივნის თანამდებობაზე იმყოფებოდა ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით – 19 წელი (1953 20.09 – 1972 29.09).

* * *

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ყველაზე ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა გივი ჯავახიშვილი – 22 წელი (1953 29.10 – 1975 17.12).

* * *

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყველაზე ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა გიორგი ძოწენიძე – 17 წელი (1959 18.04 – 1976 09.01).

* * *

კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი პირველი ქართველია, რომელიც საბჭოთა პერიოდში მეთაურობდა ზესაიდუმლო ბალისტიკურ 16-რაკეტოვანი დიდ ატომურ წყალქვეშა კრეისერს. 1979 28.09 იგი დაინიშნა ზღვისპირეთის ფლოტილიის (ქ. შკოტოვო) სარდლის მოადგილედ და ამ თანამდებობაზე ათი წელი იმსახურა.

* * *

საბჭოთა კავშირში დიდი სამამულო ომის შემდეგ ქართველ გენერლებსა და დივიზიის მეთაურებს შორის ყველაზე ახალგაზრდები იყვნენ: ლერი აბაშიძე, ანატოლი კამკამიძე, ჯონი ფირცხალაიშვილი. ეს წოდება მათ 41 წლის ასაკში მიენიჭათ, ხოლო დივიზიების მეთაურებად ისინი დაინიშნენ 38 წლის ასაკში.

* * *

სსრკ არსებული 32 ოლქის ტრანსპორტის პროკურორების საბჭოს პირველ თავმჯდომარედ არჩეული იყო ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი რევაზ (სოსო) ყიფიანი (1981-1984).

* * *

იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით იმსახურა მომავალმა იუსტიციის გენერალ-მაიორმა ალექსანდრე შუშანაშვილმა – 11 წელი და 10 დღე (1976-1987).

* * *

იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო მრჩეველი მიხეილ ლომიძე ერთადერთია საქართველოში, რომელსაც სხვადასხვა პერიოდში ეკავა სსსრ პროკურორის (1951-1953), იუსტიციის მინისტრისა (1955-1957) და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის (1949-1951, 1957-1959) თანამდებობები.

* * *

პირველი საბჭოთა სამხედრო პიროვნება, რომელმაც ფეხი შედგა ზამბიის მიწა-წყალზე, იყო გენერალ-მაიორი ვლადიმერ ლეშკაშელი. 1980 წ. ციმბირის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალი ვ. ლეშკაშელი აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში – ზამბიის ახალგაზრდა რესპუბლიკაში ქვეყნის პრეზიდენტის მთავარ სამხედრო მრჩეველად გაამწესეს.

* * *

ინჟინერ-გენერალ-მაიორის ოთარ კიკნაძის სამხედრო სამსახური საბჭოთა პერიოდში ზესაიდუმლოდ ითვლებოდა. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მშენებელი, სსრკ სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების სამინისტროს ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი ო. კიკნაძე აშენებდა ფარულ მიწისქვეშა სამხედრო აეროდრომებს, რაკეტოდრომებს, კოსმოსურ ობიექტებს.

* * *

გენერალ-ლეიტენანტი ბორის ძემაშვილი ერთადერთია ქართველ გენერლებს შორის, რომელიც მსახურობდა (1981-1986) ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში. მან საუკეთესო სამხედრო განათლება მიიღო. დაამთავრა საარტილერიო სასწავლებელი,

შემდეგ – სამხედრო-საარტილერიო აკადემია, გენშტაბის სამხედრო აკადემია და ამავე აკადემიის სპეციალური აკადემიური კურსები. სსრკ თავდაცვის სამინისტროში მაღალი თანამდებობები ეკავა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

* * *

ერთადერთი საბჭოთა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშე ქართველ გენერლებს შორის იყო გენერალ-მაიორი გივი ორჯონიკიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე გასული საუკუნის 80-იან წლებში მსახურობდა ბულგარეთში.

* * *

ახალშექმნილ ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურის პირველ პროკურორად დაინიშნა მომავალი იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი რევაზ (სოსო) ყიფიანი (1980).

* * *

მილიციის გენერალ-მაიორი გიორგი სოგორაშვილი იყო სსრკ შსს თბილისის საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის – მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის პირველი უფროსი და იმავდროულად მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე (1978 05.07 - 1983 28.10).

* * *

საქართველოდან „საბჭოთა კავშირის პროკურატურის საპატიო მუშაკის“ წოდება პირველს მიენიჭა საქართველოს პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს (1986).

* * *

გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე ერთადერთია ქართველ გენერლებს შორის, რომელიც ერთდროულად არის სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი (1956), პროფესორი (1959), რსფსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979). თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა კათედრებს მოსკოვის სამხედრო აკადემიებში. 26 წლის ოფიცერმა ჯერ კიდევ 1943 წ. შეიმუშავა სროლის ახალი მეთოდი, რომელიც საარტილერიო წესდებაში შევიდა. ქართველი გენერალი და მეცნიერი იყო ავტომატიზირებული მართვის სისტემების ცნობილი სპეციალისტი საბჭოთა კავშირში. იგი მრავალი სამეცნიერო შრომისა და წიგნის ავტორია.

* * *

საბჭოთა პერიოდის უკანასკნელი ქართველი გენერალი იყო ტარიელ ლორთქიფანიძე. მას გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიანიჭეს 1990 25.04, როცა იგი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო (1989 27.04 - 1991 08.02).

* * *

ყველაზე ახალგაზრდები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრებს შორის იყვნენ 27 წლის შალვა მათიკაშვილი და ამავე ასაკის ლავრენტი ბერია (მაშინ შსს იწოდებოდა შს სახალხო კომისარიატად), თანამედროვე საქართველოში კი – პოლიციის გენერალი კობა ნარჩენაშვილი. შინაგან საქმეთა მინისტრად იგი 32 წლის ასაკში დაინიშნა.

* * *

ყველაზე ხანდაზმულ ასაკში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ვლადიმერ დეკანოზოვი – 55 წლის, შოთა გორგოძე მინისტრი გახდა 54 წლის ასაკში, კონსტანტინე კეთილაძე – 53 წლის.

* * *

ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით – 30 წელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე იმსახურა შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორმა ვარლამ შადურმა (1961-1991).

* * *



უკანასკნელი და ყველაზე ხანდაზმული საბჭოთა ქართველი მილიციის გენერალი გახდა ნიკოლოზ რობინზონი თუშურაშვილი. მილიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება მას მიენიჭა 1991 03.08, როდესაც ეკავა საქართველოს შს მინისტრის I მოადგილის თანამდებობა.

* * *

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი ვახტანგ გვარამია საბჭოთა კავშირში უკანასკნელი იყო, ვისაც ეს წოდება მიენიჭა საბჭოთა კავშირის პირველი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებულებით (1991 19.12). ამის შემდეგ ეს წოდება არავისთვის არ მიუნიჭებიათ.

* * *

ყველაზე ახალგაზრდა ქართველი მილიციის გენერალი საბჭოთა კავშირის არსებობის დროს იყო ალექსანდრე კავსაძე, მას ეს წოდება მიენიჭა 37 წლის ასაკში (1981 10.02).

* * *

უკანასკნელი საბჭოთა ქართველი აღმირალი იყო ბორის ანანიაშვილი, რომელსაც კონტრაღმირალის წოდება მიენიჭა (1978 19.07).

* * *

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო ჯილდოებიდან მათი არსებობის ისტორიაში ყველაზე ნაკლებია მინიჭებული: ორდენი „გამარჯვება“ – 20, წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენი – 25, უშაკოვის პირველი ხარისხის – 48, ნახიშოვის პირველი ხარისხის – 82 ორდენი.

* * *

უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა რუსეთში პირველად შემოიღეს 1914 20.07. როგორც რუსეთის იმპერიის, ისე საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში ეს უმაღლესი თანამდებობა ეკავა სულ 10 პიროვნებას. აქედან ორი – ი. ბ. სტალინი და ა. ა. ბრუსილოვი ჩვენი თანამემამულენი იყვნენ. ამასთან, ყველაზე დიდხანს, 4 წლის მანძილზე (1941-45) უმაღლესი მთავარსარდლის პოსტზე იყო ი. ბ. სტალინი.

* * *

ყველაზე ახალგაზრდა (35 წლის ასაკში) ქართველი იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველები საბჭოთა პერიოდში გახდნენ შალვა მანჯავიძე, გოდერძი ბორჩხაძე, ალექსანდრე ლომინაძე.

* * *

საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული დღემდე (1917-2002) ქართველ გენერალთაგან ერთი ოჯახიდან არიან გამოსული: მამა და შვილი იოსებ და ვასილ სტალინი, ვლადიმერ და გაიოზ ნანეიშვილები, პანტელეიმონ და იგორ გიორგაძეები, ომარ და ნოდარ მუსერგიძეები; ძმები – გიორგი და ნიკოლოზ ჩიგოვიძეები, ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილები.

თენგიზ კიტოვანი ერთადერთია, რომელსაც პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიანიჭა გვარდიის სარდლის წოდება (1991 10.06).

* * *

მხოლოდ პოლიციის ოთხი გენერალი – ჯემალ მიქელაძე, ჯუმბერ სურმავა, გურამ ქარქაშაძე, რუბენ ასანიძე ატარებენ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე თანამედროვე საქართველოს შს სამინისტროს დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებებს.

* * *

თანამედროვე საქართველოს პირველი სამხედრო დელეგაციის მეთაური თურქეთის რესპუბლიკაში იყო გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქიტიშვილი (1992 წ. მაისი-ივნისი).

* * *

პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში, 1992 წლის აპრილში, თბილისის კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სამხედრო სკოლის ბაზაზე გენერალ ავთანდილ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოს ეროვნული კადეტთა კორპუსი.

* * *
თანამედროვე საქართველოს პირველი სამხედრო გენერალ-მაიორი არის ანზორ მაისურაძე (1992 07.05), რომელიც იმ დროს იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი.

* * *
თანამედროვე საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ასაკში სამხედრო გენერალი გახდა ვია ყარყარაშვილი. იგი 26 წლისაც არ იყო, როცა მას ეს მაღალი წოდება მიენიჭა (1992 14.09).

* * *
საქართველოს პირველი სამხედრო გენერალ-ლეიტენანტი გახდა ლერი აბაშიძე (1993 15.02). ლ. აბაშიძე აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი სამხედრო მრჩეველი იყო (1991).

* * *
საქართველოს 12 სამხედრო მინისტრს შორის (1918-2002) ყველაზე ახალგაზრდა გენერალი არის ვია ყარყარაშვილი. 27 წლისაც არ იყო, როცა ამ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა.

* * *
საქართველოს ეროვნული გვარდიის 1-ლი ბრიგადის პირველ მეთაურად დაინიშნა მომავალი გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი (1991 04.03).

* * *
საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი კარატისტია. იგი ჯერ კიდევ 1989 წ. სათავეში ედგა საქართველოს კარატეს ფედერაციის დაარსებას და მისი პირველი პრეზიდენტია.

* * *
გენერალი თემურ აფაქიძე აღიარებულია რუსეთის სამხედრო-საზღვაო ავიაციის საუკეთესო მფრინავად. მის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში საგემბანო ავიაციის გამოჩენა. თემურ აფაქიძე იყო პირველი რუსეთის ავიატორებს შორის, რომელმაც 1991 წ. შეძლო სუ-27კ (იგივე სუ-33) ავიაგამანადგურებლის ავიაშრიდ „ადმირალ კუზნეცოვზე“ დასმა. პირველმა ათვისა გემბანზე თვითმფრინავის დასმა პოლარული წრის იქით, ღამით და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. 47 წლის ცის რაინდი ტრაგიკულად დაიღუპა 2001 17.07 ფსკოვში, რუსეთის საზღვაო ავიაციის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საპაეო პარადის დროს. გმირმა მფრინავმა ბოლომდე შეასრულა თავისი ადამიანური მოვალეობა – ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ დასალუპად განწირული თვითმფრინავი აეცილებინა დასახლებული პუნქტისათვის, თვითონ კი კატაპულტირება ვეღარ მოასწრო.

* * *
საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემიის პირველი რექტორი იყო გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქიტიშვილი (1992 15.12 - 1993 04.05).

* * *
მილიციის გენერალ-მაიორის წოდება საქართველოში უკანასკნელად მიენიჭა რომან გვენცაძეს (1992 04.03). ამის შემდეგ „მილიცია“ „პოლიციის“ სახელწოდებით შეიცვალა. ამავე დროს, იგი პირველია, ვისაც დამოუკიდებელ საქართველოში გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება მიენიჭა.

* * *
თანამედროვე საქართველოში ერთადერთი გენერალ-პოლკოვნიკი იყო ანატოლი კამკამიძე (1992 15.12). საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე (1992 17.11 - 1993 22.05), ანატოლი კამკამიძე 63 წლის ასაკში გარდაიცვალა ქ. ლვოვში (უკრაინა) 1999 23.06.

* * *
პირველად საქართველოს უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, სიკვდილის შემდეგ, დაჯილდოვდა (1992 25.12) სამხედრო მფრინავი, გვარდიის პოლკოვნიკი ჯიმშერ მაისურაძე (დაიღუპა 1992 22.12).



პირველად ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით, სიკვდილის შემდეგ (1992 25.12), დაჯილდოვდა მფრინავი, გვარდიის კაპიტანი მერაბ გელაშვილი (დაიღუპა 1992 22.12).

* * *

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით სამხედრო გენერლებს შორის პირველები დაჯილდოვდნენ თენგიზ კიტოვანი (1993 07.05) და თამაზ ნადარეიშვილი (1993 18.07).

* * *

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით სამხედრო გენერლებს შორის პირველი დაჯილდოვდა გელა ლანჩავა (1993 30.08).

* * *

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით №000 001 დაჯილდოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო მომზადების მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალი შოთა ბაიაძე (1993 28.02). იმავე დღეს ამ ორდენით დაჯილდოვდა მამაც მეომართა ჯგუფი – მომავალი გენერლები – გენო ადამია და ემზარ ჭოჭუა, გენერალ-მაიორები – ზაურ უჩაძე და ვალერი ქვარაია, ოფიცრები ალექსანდრე გეორბელაძე და თენგიზ ძაძამია (ორივენი სიკვდილის შემდეგ).

* * *

დღეისათვის (2003 01.01) პოლიციის გენერლებს შორის კახა თარგამაძე ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის ერთადერთი კავალერია (1997 06.11).

* * *

პოლიციის გენერლებს შორის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით პირველნი დაჯილდოვდნენ ჯემალ მიქელაძე და დემურ მიქაძე (1995 29.11).

* * *

დღეისათვის (2003 01.01) იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველებს შორის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვებულნი არიან მხოლოდ სერგო თუნგია (1996 10.11) და ანზორ ლაცუზბაია (2000 08.06).

* * *

იუსტიციის გენერლებს შორის ბადრი ბიწაძე ერთადერთია, რომელიც დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1997 29.10).

* * *

საქართველოს უმაღლესი სამხედრო ორდენის შემოღებიდან დღემდე (1992 24.12 – 2003 01.01) დაჯილდოვებულნი არიან: ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით – 16 გენერალი, II ხარისხის – 24, III ხარისხის – 80 გენერალი.

* * *

ვახტანგ გორგასლის ორდენის სამივე ხარისხის პირველი კავალერია გენერალ-მაიორი გელა ლანჩავა. დღეისათვის (2003 01.01) საქართველოს უმაღლესი სამხედრო ორდენის სრული კავალერები აგრეთვე არიან გენერალ-ლეიტენანტები რობერტ თავაძე, თამაზ დუმბაძე, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე.

* * *

ქართველ სამხედროთა შორის გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი პირველია, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ნატოს გაერთიანებული მთავარსარდლის შტაბ-ბინაში (ბელგია) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესგეტაგში (1993 წ. მარტი-აპრილი).

* * *

თანამედროვე საქართველოში ყველაზე ხანდაზმულ ასაკში გენერლის წოდება მიენიჭა დიდი სამამულო ომის ვეტერანს, საქართველოს პარლამენტის წევრს, გადამდგარ პოლკოვნიკს ალექსანდრე ბერიძეს. იგი 76 წლის ასაკში გახდა გენერალ-მაიორი (1993 08.05).

* * *

თანამედროვე საქართველოში პოლიციის პირველი გენერალ-ლეიტენანტია ჯემალ მიქელაძე (1996 24.05).

* * *

პოლიციის გენერალ-მაიორი გურამ ქარქაშაძე ერთადერთია საქართველოს გენერლებს შორის, რომლის სახელი სიცოცხლეშივე მიენიჭა სოფელ ღვანკითის საშუალო სკოლას, თვითონ კი თერჯოლის (1996 17.02) და სენაკის (2002 23.11) საპატიო მოქალაქეა.

* * *

იუსტიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება პირველად თანამედროვე საქართველოში 58 წლის ასაკში მიენიჭა ალექსანდრე შუმანაშვილს (1993 13.10).

* * *

უცხოეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის გენერლებს შორის ყველაზე დიდი თანამდებობა ეკავა ოთხვარსკვლავიან გენერალს მალხაზ (ჯონ) შალიკაშვილს. იგი აშშ არმიის შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარე იყო (1993 18.10 – 1997 25.02) და ითვლებოდა ამერიკის შეიარაღებული ძალების პირველ სამხედრო პირად (თავდაცვის მინისტრი აშშ სამოქალაქო პირია). აღსანიშნავია, რომ აშშ ოთხვარსკვლავიანი გენერლის წოდება მხოლოდ ომის პერიოდში ენიჭება.

* * *

საქართველოს გენერალიტეტის 300-წლოვან ისტორიაში გენერლის წოდების მინიჭების ყველაზე „რეკორდული“ წელი იყო 1993, როდესაც გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა 3 კაცს, გენერალ-მაიორის სამხედრო და სპეციალური წოდებები – 27-ს (მათ შორის 21 სამხედრო), იუსტიციის გენერალ-მაიორისა და იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის წოდებები – 2 კაცს. სულ 1993 წ. გენერლის პირველადი და მომდევნო სამხედრო და სპეციალური წოდებები მიენიჭა 32 ჩვენს თანამემამულეს. იმავე წელს 21 გენერალი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის ორდენით.

* * *

გენერლის წოდების მიღების შემდეგ ყველაზე ხანმოკლე სიცოცხლე ხვდა წილად საქართველოს ერთგულ შეილს – ბორის გრიგოლაშვილს. მას 1993 26.10. მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, სამი დღის შემდეგ კი გმირულად დაიღუპა აფხაზეთში.

* * *

ვივი ყვარულაშვილი პირველია საქართველოში, ვისაც მიენიჭა პოლიციის გენერლისა (1994 12.04) და იუსტიციის გენერლის (2000 01.01) სპეციალური წოდებები.

* * *

ქართველებს შორის ყველაზე ახალგაზრდა ასაკში გენერლის წოდება სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მიენიჭა აჭარის არ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს იოსებ გოგიტიძეს. ეს წოდება მან მიიღო 1994 წლის აპრილში, როდესაც 32 წელიც არ ჰქონდა შესრულებული.

* * *

პოლიციის გენერალ-მაიორი მამუკა ნაჭყებია იყო საქართველოს შსს პირველი სრულუფლებიანი წარმომადგენელი დსთ ტერიტორიაზე არსებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროში (1993 10.10 - 1996 09.05).

* * *

ნუგზარ გაბრიჩიძე პირველია საქართველოში, ვისაც მინიჭებული აქვს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის (1994 19.05) და პოლიციის გენერლის (2001 30.05) სპეციალური წოდებები. დღეისათვის (2003 01.01) იგივე წოდებები მინიჭებული აქვს მხოლოდ შოთა ასათიანს (2001 29.05, 2002 22.01).

* * *

ჯემალ მიქელაძე ერთადერთია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან, ვისაც გენერლის წოდება მიენიჭა საბჭოთა კავშირის პერიოდში, ხოლო მორიგი წოდება – დამოუკიდებელ



საქართველოში. 1982 03.11 იგი გახდა მილიციის გენერალ-მაიორი, 1996 24.05 კი – პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი.

* * *

პოლიციის გენერალ-მაიორი ერისტო კვერნაძე პირველია, რომელსაც ეს სპეციალური წოდება მიენიჭა დსთ ტერიტორიაზე არსებული დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროში სამსახურის პერიოდში (1998 01.06). გენერალი კვერნაძე ამ ბიუროში საქართველოს შსს სრულუფლებიანი წარმომადგენელია 1996 10.06-დან დღემდე.

* * *

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ერთადერთია ქართველ გენერლებს შორის, ვისაც გენერლის პირველადი და შემდგომი წოდება მიენიჭა ერთ წელიწადში: გენერალ-მაიორისა – 1998 30.05, გენერალ-ლეიტენანტისა – 1998 27.09.

* * *

პოლიციის გენერალ-მაიორი თემურ მურღულია ერთადერთია ქართველ გენერლებს შორის, რომელიც დაჯილდოვდა ინტერპოლის გენერალური სამდივნოს საპატიო მედლით (1998 20.09, შტაბ-ბინა ქ. ლიონი, საფრანგეთი).

* * *

საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი პირველი ქართული თანამგზავრული, მსოფლიოში ყველაზე დიდი, რეფლექტორული სისტემა კოსმოსურ ორბიტაზე გავიდა და წარმატებით გაიარა გამოცდა 1999 23.07.

* * *

ერთადერთი ქართველ გენერლებს შორის სამართლის დოქტორი არის პოლიციის გენერალ-მაიორი თემურ მურღულია (1999 27.09, ქ. მინსკი, ბელორუსია).

* * *

ყველაზე ახალგაზრდა საქართველოს შსს შინაგანი ჯარების სარდალი არის გენერალ-მაიორი ვია თორაძე. ამ თანამდებობაზე იგი 37 წლის ასაკში დაინიშნა (1994 21.09).

* * *

XX საუკუნის უკანასკნელი ქართველი სამხედრო გენერალია ვაჟა რამიშვილი (2000 26.12).

XX საუკუნის უკანასკნელი ქართველი პოლიციის გენერალ-მაიორები გახდნენ ალექსანდრე ბუკია და რევაზ ფოჩხუა (2000 08.11).

XX საუკუნის უკანასკნელი ქართველი იუსტიციის გენერალ-მაიორი გახდა ზურაბ მსხვილიძე (2000 29.12).

* * *

გენერალ-მაიორი ლევან კენჭაძე ერთადერთია ქართველ გენერლებს შორის, რომელიც არჩეულია რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების ცენტრის საპატიო წევრად (2001).

* * *

ქართველი გენერლებიდან ავღანეთში საბრძოლო მოქმედებების პერიოდში ყველაზე ხანგრძლივი დროით, ოთხი წელი და სამი თვე, იმყოფებოდა ვალერი ჩხეიძე, ამჟამად გენერალ-ლეიტენანტი.

* * *

საქართველოდან სუგოროვის სასწავლებელი დამთავრებული აქვთ გენერლებს ვალერიან გომელაურს, გივი ორჯონიკიძეს, ანზორ ჯაიანს.

* * *

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების აკადემიათა რექტორები, გენერლები ომარ ლეკვეიშვილი, გურამ ქარქაშაძე და თენგიზ ენდელაძე პირველად არჩეულნი არიან საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრებად (2001 12.04).

* * *

ქართველ გენერლებს შორის თენგიზ შუბლაძე ერთადერთია, რომელიც არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1998 24.12), საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1996 25.06) და ეგრისის სამეცნიერო აკადემიის წევრი (1997 11.02).

* * *

ვაჟა რამიშვილი პირველია საქართველოში, ვისაც მიენიჭა იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება (1994 31.07) და გენერალ-მაიორის (2000 26.12) სამხედრო წოდება.

* * *

პირველს საქართველოს შს სამინისტროს დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს კახა თარგამაძეს (2001 18.07).

* * *

ერთადერთმა ქართველ გენერლებს შორის სამეცნიერო ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში (გენიალური ქართველი მსახიობის აკაკი ხორავას შემოქმედებაზე) დაიცვა გურამ ქარქაშაძემ (2002 24.06).

* * *

ჯონი ხეცურიანი პირველია საქართველოს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლებს შორის, რომელიც არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (2001 28.12) და ვისაც მინიჭებული აქვს უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის წოდება (2001 28.07).

* * *

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში პოლიციის გენერალ-მაიორი გახდა 31 წლის კობა ნარჩემაშვილი.

* * *

ყველაზე ხანდაზმული ქართველი საბჭოთა გენერალი იყო პანტელეიმონ შიოშვილი. იგი 95 წლის ასაკში გარდაიცვალა (2001 01.07) მოსკოვში, სადაც დაგრძალულია. გვარდიის გენერალ-მაიორი პ. შიოშვილი არჩეულია მშობლიური საგარეჯოს საპატიო მოქალაქედ, აგრეთვე რუსეთისა და ბელორუსიის რიგი ქალაქებისა, რომლის განთავისუფლებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა დიდი სამამულო ომის პერიოდში.

* * *

გენერალი დავით თევზაძე ერთადერთია საქართველოს გენერლებიდან, რომელიც არჩეულია ქ. ოევენვორდის (აშშ) საპატიო მოქალაქედ (1996).

* * *

XX საუკუნეში საქართველოს გენერლებიდან (ვასილ სტალინის გარდა, რომელსაც ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა 28 წლის ასაკში, 1949 11.05). ყველაზე ახალგაზრდას გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა 32 წლის კობა ნარჩემაშვილს (2002 23.05).

* * *

საქართველოს სახელმწიფო პრემია ქართველი გენერლებიდან მინიჭებული აქვთ ელგუჯა მეძმარიაშვილსა (1995 25.05) და ვალერი ჩხეიძეს (2002 26.05).

* * *

ელგუჯა მეძმარიაშვილმა პირველმა მსოფლიოში ერთიან მიმართულებად გააერთიანა დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციული სისტემები, როგორც საინჟინრო ნაგებობები და, ასევე, შექმნა ამ მიმართულების სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომელსაც საერთაშორისო პრაქტიკაში პირველად



ეწოდა „კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი“. წლების მანძილზე საზოგადოებისათვის გასაიდუმლოებული ელგუჯა მეძმარიაშვილმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში პირველმა შეიმუშავა და გამოსცა და მიწისზედა გადასაადგილებელი სამეთაურო პოსტისა და ბალისტიკური რაკეტების, მათ შორის „პერმინგ-2“ სტარტის ადრეული აღმოჩენა და განადგურების აქტიური, პასიური და მობილური კომპლექსებისათვის დიდგაბარიტანი გასაშლელი ფაზირებული და მახვილმიმართული სამხედრო-საინჟინრო სისტემები.

* * *

ელგუჯა მეძმარიაშვილი პირველი სამხედრო გენერალია, რომელიც არჩეულია თანამედროვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (2001 31.12).

* * *

გია თვალავაძე საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველია. მან ეს წოდება 28 წლის ასაკში მიიღო (2002 14.05). ამავე დროს იგი გენერალური პროკურორის ყველაზე ახალგაზრდა მოადგილეა.

* * *

თანამედროვე საქართველოში ერთადერთი ძმები-გენერლები არიან ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილები. პირველმა იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველის (გენერალ-მაიორის) წოდება მიიღო 1988 19.10, მეორემ კი პოლიციის გენერალ-მაიორის წოდება – 1999 08.11.

* * *

ჯემალ გახოკიძე ერთადერთია საქართველოს გენერლებს შორის, რომელიც არჩეულია მსოფლიოს ურისტა კავშირის წევრად (კანადა, ოტავა, 1996 10.11).

* * *

თანამედროვე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საპატიო ჯილდო – სახელობითი პისტოლეტი პირველმა დაიმსახურა გენერალმა შოთა ბაიაძემ (1994 05.05).

* * *

საქართველოს გენერალ-მაიორი დემურ მიქაძე პირველია ქართველ გენერლებს შორის, რომელიც არჩეულია ფაზისის მეცნიერებათა და კულტურის აკადემიის წევრად (1996 03.09).

* * *

შენგელი ფიცხელაური პირველია საგამოძიებო სამსახურიდან, რომელსაც მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება (1999 18.11).

* * *

ჯემალ გახოკიძემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საგამოძიებო ხაზით 25 წელიწადი იმსახურა (1972-1997), რიგითი გამოძიებლიდან მიღწია საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარეობას და ამ თანამდებობაზე მიენიჭა პოლიციის გენერალ-მაიორის წოდება.

* * *

80 წლის მანძილზე (1922-2002) საქართველოში შეიცვალა პროკურატურის 23 ხელმძღვანელი. მათგან ვახტანგ რაზმაძე ამ თანამდებობაზე ორჯერ იყო დანიშნული: 1985-1991 და 1992 წლებში.

* * *

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, გენერალი დავით თევზაძე ერთადერთია საქართველოს გენერალიტეტის ისტორიაში, რომელიც არჩეულია ნიუ-იორკის (აშშ) მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

* * *

ქართველი გენერლებიდან ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით საქართველოს საგამოძიებო სამსახურში იმყოფებოდა გურამ ქარქაშაძე – 30 წელი (1970-2000).

* * *

ქართველ სამხედრო გენერლებს შორის შენგელი ფიცხელაური ერთადერთია, რომელმაც მოიპოვა ძიულოში ვეროპის ორგზის ჩემპიონის ტიტული: 1973 და 1975 წლებში. შესანიშნავი ფალავანი არის

მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი (1973), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1968, 1970, 1973), მრავალჯერადი საერთაშორისო ტურნირის არაერთგზის გამარჯვებული. იგი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია სამბოში (1970) და ძიუდოში (1971). იგი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (2002 21.12).

* * *

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების გენერლებს შორის ყველაზე მეტი სპორტული და სამსახურებრივი მიღწევები აქვს გენერალ გივი ყვარელაშვილს. იგი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო თასის მფლობელია (1974), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1971), ვერცხლისა (1970) და ბრინჯაოს (1968) მედალოსანია. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. 1965-1976 წწ. იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, სსრკ ნაკრები გუნდის მწვრთნელი (1976-79). მინიჭებული აქვს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება, არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი თავისუფალ ჭიდაობაში. მას მინიჭებული აქვს პოლიციისა (1994) და იუსტიციის (2000) გენერლის წოდებები. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი (1995).

* * *

სპორტის ოსტატები თანამედროვე ქართველი გენერლებიდან არიან ვია ჩეჩელაშვილი (რაგბი), დავით თევზაძე, სოსო ალავეძე (კარატე), ანატოლი კამკამიძე (ფეხბურთი, სამხედრო სამჭიდი), გივი ლომინაძე, დავით ზეიკიძე, რომან დუშაძე (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა კვიციანი, ვლადიმერ შეიკინი (კრივი), ევგენი ლეონოვიჩი-საგინაშვილი (ფრენბურთი), გიორგი ფიფია (მძლეოსნობა), ზაზა მაზმიშვილი (კლასიკური ჭიდაობა), ანზორ ლაცუზაია (ხელბურთი).

* * *

ქართველი გენერლებიდან ეთიოპიაში პირველი იმყოფებოდა გენერალი ჯონი ფირცხალაიშვილი, სამხედრო მრჩევლის თანამდებობაზე აფრიკის ამ ქვეყანაში იგი მსახურობდა 1980 18.01 – 1981 24.11 პერიოდში. ყველაზე ხანგრძლივი დროით კი ეთიოპიაში იყო გენერალი ვალერიან გომელაური: 1985 01.01 – 1988 01.01. ქართველმა გენერალებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფო დავალება და სარდლობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

* * *

ქართველ გენერლებს შორის ყველაზე მეტი და თანაც სხვადასხვა სფეროს უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტი და კურსი დამთავრებული აქვს გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძეს: თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1971), ფილოსოფიის ინ-ტის ასპირანტურა (1974), უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1978), სინქრონული თარგმნის უმაღლესი კურსები (1980), ნატოს სამხედრო კოლეჯი (რომი, 1994), უსაფრთხოების პრობლემათა კვლევის ევროპული ცენტრი, სტრატეგიული გამოკვლევებისა და თავდაცვითი ეკონომიკის კოლეჯი (აშშ, 1995), აშშ არმიის სამეთაურო და გენშტაბის კოლეჯი (1997).

* * *

გენერალ-ლეიტენანტი ავთანდილ იოსელიანი და გენერალ-მაიორი ოთარ ჩიხრაძე არიან ქართველ გენერლებს შორის პირველნი, რომლებსაც მიენიჭათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაზვერვის სამსახურის საპატიო წოდება (გერმანია, 1998 26.10).

* * *

2002 წლის ოქტომბერში ქ. სვერომორსკში, სადაც მდებარეობს რუსეთის უძლიერესი სამხედრო-საზღვაო ბაზა, დაიდგა ტრაგიკულად დაღუპული (2001 17.07) სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის სარდლის მოადგილის, რუსეთის გმირის, დამსახურებული მფრინავის თემურ აფაქიძის ძეგლი. ერთი წლის წინ მისი სახელი დაერქვა ქუჩას, სადაც განლაგებულია დივიზია, რომელსაც ლეგენდარული მფრინავი მეთაურობდა 1994-1998 წწ., სახლზე კი, სადაც იგი ცხოვრობდა, გაიხსნა მემორიალური დაფა. „თემურ აფაქიძის დაღუპვა ეს ჩერნობილია საზღვაო ავიაციისათვის. იგი იმდენად შორს წავიდა წინ პროფესიონალურად და ადამიანურად, რომ მისი შეცვლა დღეს არავის ძალუძს.“ ეს სიტყვები ეკუთვნის რუსეთის გმირს, დამსახურებულ სამხედრო მფრინავს, გენერალ სერგეი მელნიკოვს.

* * *



თბილისის მკვიდრი, ავიაციის გენერალი თემურ აფაქიძე (1954-2001) ერთადერთია ყოფილ საბჭოთა კავშირსა და დღევანდელ რუსეთში, რომელმაც მოახდინა 322 (!) დაფრენა ავიაშვიდის გემბანზე.

* * *

გენერალ-მაიორი რომან გვენცაძე ერთადერთია ქართველ გენერლებს შორის, რომლის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით თბილისში აშენდა წმ. ნიკოლოზის ეკლესია (ნარიყალას ტერიტორიაზე, 1995). იგი დავით აღმაშენებლის საზოგადოების დამაარსებელი და ვიცე-პრეზიდენტი (1989).

* * *

ქართველ პროკურორთა შორის პროკურატურის ორგანოებში ყველაზე მეტი – 47 წელი იმსახურა იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველმა რევაზ (სოსო) ყიფიანმა. მან 1952 წელს დაიწყო მუშაობა სტაჟიორ-გამომძიებლად და იმსახურა 1999 წლამდე, მიაღწია საქართველოს გენერალური პროკურორის I მოადგილის თანამდებობას.

* * *

ჯამლეთ ბაბილაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დანიშნული პირველი გენერალური პროკურორია (1993-2001).

* * *

გენერალი გიორგი ვაშაყიძე ერთადერთია, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში დაამთავრა რუსეთის ორი უმაღლესი სამხედრო აკადემია – მ. ფრუნზეს სახელობის (1997) და გენერალური შტაბის (2000). ამჟამად კი განაგრძობს სწავლას ადიუნქტურაში (2002-2003).

* * *

ნუგზარ ქვეციანი ერთადერთია ფინანსისტ-ეკონომისტებს შორის, რომელსაც მიენიჭა სამხედრო გენერლის წოდება.

* * *

ვასილ დავითაია ერთადერთია ფინანსისტ-ეკონომისტებს შორის, რომელსაც მიენიჭა სპეციალური გენერლის წოდება.

* * *

გენერალი გურამ ქარქაშაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს შსს პირველ დელეგაციას ქ. სტრასბურგში, სადაც გაიმართა ევროპის ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროების კონფერენცია (1998).

* * *

გენერალი გივი ყვარელაშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პირველ დელეგაციას სტრასბურგში (საფრანგეთი) ევროსაბჭოს ეგიდით ჩატარებულ პენიტენციური სისტემის რეფორმების სხდომაზე, სადაც ევროსაბჭოს წევრებს გააცნო საქართველოს პენიტენციური სისტემის რეფორმების მიმდინარეობა (2000).

* * *

გენერალ-მაიორი ჯემალ ჯანაშია ერთადერთია საქართველოში, რომელიც არჩეულია ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს საპატიო ოფიცრად (ქ. ვაშინგტონი, აშშ, 1996).

* * *

გენერალ ტარიელ ხითარიშვილს სამხედრო ვერტმფრენიდან შესრულებული აქვს 126 ნახტომი პარაშუტით – ყველაზე მეტი, დღეს მოქმედ პარაშუტისტთა შორის.

* * *

პირველმა საქართველოდან აშშ ფლორიდის შტატის საპატიო შერიფის წოდება მიიღო გენერალმა ჯემალ ჯანაშიამ (თბილისი, 1989). იგივე წოდება მიენიჭა გენერალ გურამ ქარქაშაძეს (ქ. ვაშინგტონი, აშშ, 1990 10.11). აღნიშნულ წელს იგი იმყოფებოდა აშშ-ში სსრკ შსს პირველ დელეგაციის შემადგენლობაში, რომლის წევრებმა გაიარეს ამერიკაში სპეციალური სწავლების კურსი.

* * *

გენერალმა ჯემალ ჯანაშიამ, პირველმა ყოფილ საბჭოთა კავშირში, გამოსცა მონოგრაფია „XX საუკუნის გამოწვევა“. ეს ენციკლოპედიური ნაშრომი (700 გვ.) მსოფლიოში ნარკოტიკების გავრცელების ეკოსტრატეგიულ და სამართლებრივ საკითხებს ეხება (2002).

* * *

გენერალი ჯემალ ჯანაშია ერთადერთია საქართველოში, რომელმაც გაიარა სტაჟირება ევროპის, აზიის, აფრიკისა და აშშ-ს ნარკობიზნესთან ბრძოლის ცენტრებსა და აკადემიებში. აღიარებულია ამ პრობლემასთან ბრძოლის უმაღლესი კვალიფიკაციის საერთაშორისო ექსპერტად.

* * *

ქართველ პოლიციის გენერლებს შორის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პირველი გახდა გივი ლობჯანიძე (1995).

* * *

რუსეთმა აღნიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნის 200 წლისთავი (2002 08.09). ორი საუკუნის მანძილზე (რუსეთის იმპერია, დროებითი მთავრობა, სსრკ, რუსეთის ფედერაცია) ამ უწყებას უხელმძღვანელა 62 პიროვნებამ, მათ შორის სამი ჩვენი თანამემამულე იყო – ლავრენტი ბერია, მიხეილ ლორის-მელიქოვი, ირაკლი (კაკი) წერეთელი (1881 20.11 - 1959 21.05, ქ. ნიუ-იორკი, აშშ).

პირველი შს მინისტრი იყო გრაფი კონუბეი. ყველაზე ხანგრძლივი დროით ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა არმიის გენერალი ნიკოლაი შჩოლოკოვი (1910 13.11 - 1984 13.12, თავი მოიკლა) – 17 წელი (1966-1983).

ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან შს მინისტრად ითვლება მიხეილ ლორის-მელიქოვი (1880 06.08 – 1881 17.03). დროებითი მთავრობის არსებობის მოკლე პერიოდში (1917 წ. თებერვალი-ოქტომბერი) შეიცვალა ოთხი შს მინისტრი. ერთ-ერთი მათგანი იყო ირაკლი (კაკი) წერეთელი. ლავრენტი ბერია ერთადერთია, რომელიც ამ უწყებას უხელმძღვანელა ორჯერ (1938 25.11 - 1945 29.12 და 1953 05.03 - 26.06).

* * *

თავისებური რეკორდი დაამყარა გენერალმა შოთა ბაიაძემ. იგი 11 წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობს თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო მომზადების მთავარ სამმართველოს.

* * *

გენერალი გურამ ქარქაშაძე ერთადერთია საქართველოს გენერლებს შორის, რომელსაც მიენიჭა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება (2002 10.09), იმავდროულად იგი არის ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი დაარსების დღიდან (1990-დან).

* * *

ქართველ გენერლებს შორის შოთა ასათიანი ერთადერთია, რომელიც დაჯილდოებულია უკრაინის შინაგან საქმეთა საპატიო ჯილდოთი – „საერთაშორისო თანამშრომლობისათვის სამართალდაცვის მოღვაწეობაში“ (ქ. კიევი, 2002).

* * *

ქიზიყელმა ბავშვობის მეგობრებმა თამაზ თამაზაშვილმა და ვაჟა ჯანყარაშვილმა ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა, შემდეგ ერთად სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებელში, თავიანთი თავდადებული შრომით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სამსახურებრივ ასპარეზზე. ბატონი თამაზი დღეს პოლიციის გენერალ-მაიორია (2000 23.05), ხოლო ბატონი ვაჟა იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი (2002 14.05).

* * *

გენერლებს შორის თამაზ ნადარეიშვილი ერთადერთია, რომელიც არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, აგრეთვე მსოფლიოს საერთაშორისო ინფორმაციის აკადემიის წევრად, იგი გიორგი შერვაშიძის პრემიის ლაურეატია.

თანამედროვე საქართველოში იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველთაგან ანზორ ბალუაშვილი ერთადერთი რომელსაც მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის რანგი (2002 16.06).

* * *

ჯუმბერ სურმაკა საქართველოს სახანძრო დაცვის სამსახურის თანამშრომელთა შორის პირველია, ვისაც პოლიციის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. იგი ყველაზე ხანგრძლივი დროის – 16 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს საქართველოს სახანძრო დაცვის სამსახურს. მთლიანობაში ბატონი ჯუმბერი თავის საყვარელ საქმეს უკვე 45 წელი ემსახურება.

* * *

რევაზ (სოსო) ყიფიანი ერთადერთია საქართველოს გენერლებსა და იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველებს შორის, რომელიც დაჯილდოებულია ღირსების ორი ორდენით (1995 14.10, 2002 25.11).

* * *

ხუთმილიონიან საბჭოთა არმიაში იყო 2000 გენერალი, ანუ 2500 კაცზე ერთი. ამჟამად რუსეთის არმიაში 1,2 მილიონი სამხედრო მოსამსახურე ირიცხება, აქედან 1380 გენერალი და ადმირალია, ანუ 870 სამხედროზე ერთი გენერალი (1913 წელს ეს შეფარდება იყო ერთი 942 სამხედროზე).

თანამედროვე გერმანიის არმიაში ერთი გენერალი მოდის 1660 სამხედრო მოსამსახურეზე, აშშ – 1446-ზე, საფრანგეთში – 553-ზე, დიდ ბრიტანეთში – 446-ზე.

საქართველოს სამხედრო ძალებში, მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს ხაზით 1 გენერალი მოდის 1038 სამხედრო მოსამსახურეზე.

თანამედროვე გენერლის საშუალო თვიური ფულადი ანაზღაურება 2003 წლის 1 იანვრისათვის არის: ამერიკის შეერთებულ შტატებში – 8400 დოლარი, რუსეთის ფედერაციაში – 9300 რუბლი (300 დოლარი), საქართველოში – 220 ლარი (100 დოლარი).

* * *

XXI საუკუნის პირველი ქართველი გენერლები გახდნენ: ბიჭიკო ლეჟავა, ჯიმშერ შველიძე (სახელმწიფო უშიშროება, 2001 30.05), ნუგზარ გაბრიჩიძე, ნოდარ დალაქიშვილი, კობა ნარჩემაშვილი (შსს, 2001 30.05), შოთა კობაძე (იუსტიციის გენერალ-მაიორი, 2001 10.08), რუსლან თორდინავა (იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, 2001 25.05).

* * *

თანამედროვე საქართველოს პერიოდში (1991-2002) შეიცვალა ხელმძღვანელები: თავდაცვის სამინისტროში – 6, შინაგან საქმეთა სამინისტროში – 6, შინაგან ჯარებში – 5, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში – 9, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში – 4, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში – 6, მთავარ სამხედრო პროკურატურაში – 6, იუსტიციის სამინისტროში – 6.



**ის ყჩყენია მამყრსა,
ხომ მვირი სჯობყეს მამასა ...**





**რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ომები,
საბრძოლო ოპერაციები, როგორც მძიმეს მოწოდება
ქართულმა გენერლებმა და ადმირლებმა**



1700	1721	- ჩრდილოეთის ომი (რუსეთ - შვედეთის ომი)
1710	1713	- რუსეთ - ოსმალეთის ომი
1711	1711	- კეტრე პირველის კრუთის ლაშქრობა
1722	1723	- კეტრე პირველის ლაშქრობა სპარსეთში
1735	1739	- რუსეთ - ოსმალეთის ომი
1741	1743	- რუსეთ - შვედეთის ომი
1757	1762	- რუსეთის მონაწილეობა შვიდწლიან ომში (1756-63)
1768	1774	- რუსეთ - ოსმალეთის ომი
1787	1791	- რუსეთ - ოსმალეთის ომი
1788	1790	- რუსეთ - შვედეთის ომი
1793	1794	- კოლონეთის კამპანია
1796	1796	- რუსეთის ჯარების ლაშქრობა სპარსეთში
1799	1799	- სუვოროვის ლაშქრობები იტალიასა და შვეიცარიაში
1804	1813	- რუსეთ - ირანის ომი
1805	1805	- რუსეთ - ავსტრია - საფრანგეთის ომი
1806	1807	- რუსეთ - პრუსია - ავსტრიისა და საფრანგეთის ომი
1806	1812	- რუსეთ - ოსმალეთის ომი
1808	1809	- რუსეთ - შვედეთის ომი
1812	1812	- რუსი ხალხის საბრძოლო ომი ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ
1813	1814	- რუსეთის ჯარის საზღვარგარეთის ლაშქრობა ევროპაში
1817	1864	- რუსეთის ომი კავკასიაში (კავკასიის ომები)
1826	1828	- რუსეთ - ირანის ომი
1828	1829	- რუსეთ - ოსმალეთის ომი
1853	1856	- ყირიმის (აღმოსავლეთის) ომი
1877	1878	- რუსეთ - ოსმალეთის ომი
1904	1905	- რუსეთ - იაპონიის ომი
1914	1918	- პირველი მსოფლიო ომი
1918	1920	- სამოქალაქო ომი რუსეთში
1936	1939	- ინტერნაციონალური ომი ესპანეთში
1939	1940	- საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ომი
1939	1945	- მეორე მსოფლიო ომი
1950	1953	- მონაწილეობა კორეის ომში
1959	1975	- მონაწილეობა ვიეტნამის ომში (1965 11.07 - 1973 27.01)
1983	1989	- მონაწილეობა ეთიოპიის ომში (ერიტრედია)
1979	1989	- ომი ავღანეთში

სამხედრო და სპეციალური წოდებების მხირა განმარტებითი ლექსიკონი



ჩ უ ს ე თ ი ს ი ზ ა რ ი ა

პოლკოვნიკი: უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. რუსეთში ტერმინი „პოლკოვნიკი“ პირველად გაჩნდა მე-16 საუკუნეში, როგორც იმ პირთა წოდებულება, რომლებიც პოლკებს მეთაურობდნენ. მე-17 საუკუნეში 30-ან წლებში შემოღებულია როგორც სამხედრო წოდება (ჩინი). შეესაბამება სამხედრო-საზღვაო ფლოტში I რანგის კაპიტანს. უსწრებდა გენერალ-მაიორის წოდებას.

ბრიგადირი: რუსეთში არსებობდა 1722-1799 წლებში. შუალედური პოლკოვნიკსა და გენერალ-მაიორს შორის.

ბანერალიზატი: უმაღლესი სამხედრო შემადგენლობის ზოგადი დასახელება.

ბანერალი: (ლათინ. generalis – საერთო, მთავარი) შეიარაღებულ ძალებში უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. პირველად შემოიღეს საფრანგეთში მე-16 ს. რუსეთში – 1657 წ. პეტრე I გენერლის წოდება შემოიღო, როგორც არმიაში მაღალი ჩინებისა და თანამდებობათა დასახელების დამატება (გ-ფელდმარშალი, გ-ანშეფი, გენერალ-აუდიტორი და სხვ.). ამ პირების რიცხვი განსაზღვრული იყო “რანგთა ტაბელით”. მე-19 – 20-ე სს. დასაწყისში რუსეთის არმიაში იყვნენ: გ-მაიორები, გ-ლეიტენანტები და ე.წ. სრული გენერლები: ინფანტერიის გ., კავალერიის გ., არტილერიის გ., აგრეთვე ინჟინერ-გენერალი.

ბანერალ-მაიორი: მრავალი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის პირველადი სამხედრო წოდება. მოდის პოლკოვნიკის შემდეგ. სამხ.-საზღ. ფლოტში შეესაბამება კონტრ-ადმირალს.

ბანერალ-პორუჩიკი: რუსეთის და ევროპის არმიებში უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. მოსდევს გენერალ-მაიორს. რუსეთში არსებობდა 1798 წლამდე, შემდეგ შეიცვალა გენერალ-ლეიტენანტის წოდებით.

ბანერალ-ლეიტენანტი: მოსდევს გენერალ-მაიორს. სამხ.-საზღ. ფლოტში შეესაბამება ვიცე-ადმირალს.

ინფანტერიის (ჰვეითი) ბანერალი: (კავალერიის გ., არტილერიის გ., ინჟინერ-გ.) ეგრეთ წოდებული სრული გენერალი. რუსეთის (1796-1917) და რიგი სხვა ქვეყნების შეარაღებული ძალების უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. მოსდევს გენერალ-ლეიტენანტს. სამხ.-საზღ. ფლოტში შეესაბამება ადმირალს.

ბანერალ-ანშეფი: (ფრანგ. General en chef). 1716-1796 რუსეთის არმიის გენერლობის სამხედრო წოდება. მე-18 ს. პირველ ნახევარში შეესაბამებოდა ფელდმარშლის წოდებას, ხოლო მე-18 ს. მეორე ნახევარში- რანგით მასზე დაბალს. შემდეგ ამ წოდების ნაცვლად შემოიღეს ეგრეთ წოდებული სრული გენერალი – ინფანტერიის გ., კავალერიის გ., არტილერიის გ., ინჟინერ-გ.

რამდენიმე გუბერნია. თავისი მდგომარეობით უთანასწორდებოდა მინისტრის რანგს. გენერალ-გუბერნატორად უმთავრესად ნიშნავდნენ გენერლებს, მათ შორის ბევრი ქართველი გენერალიც იყო.

გენერალ-ინსპექტორი: ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო თანამდებობა რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. რუსეთის არმიაში არსებობდა 1731-1917.

გენერალ-პროკურორი: რუსეთის მთავრობის უმაღლესი მოხელე, სენატის მეთაური. მეთვალყურეობდა სახელმწიფო აპარატის საქმიანობის კანონიერებას. შემოღებულია 1722. სამინისტროების დაარსების (1802) შემდეგ გ-პროკურორი იუსტიციის მინისტრიც იყო.

გენერალ-კვარტირგანისტარი: საშტაბო თანამდებობა რიგი ქვეყნების არმიებში. შემოღებულია რუსეთში 1701-დან. გ.-კ. ხელმძღვანელობდა შტაბში სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას და დამუშავებას. განაგებდა სამმართველოებს გენშტაბის მთავარ სამმართველოსა და მთავარ ბანაკში, განყოფილებებს-ფრონტისა და არმიის შტაბებში. გაუქმდა 1918 წელს.

გენერალ-ინტენდანტი: რუსეთის არმიის საველე შტაბის თანამდებობა 1812-1868, შემდგომში შეიცვალა არმიის ინტენდანტის თანამდებობით.

გუბერნატორი: რუსეთის იმპერიაში მთავრობის უმაღლესი მოხელე გუბერნიაში, რომელიც ადმინისტრაციულ, საპოლიციო და სამხედრო ფუნქციებს ასრულებდა.

ფლიგელ-ადიუტანტი: (გერმანული სიტყვა), ეკატერინე II მიერ 1775 წელს შემოღებული თანამდებობა. მე-18 საუკუნიდან რუსეთში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ოფიცრის ჩინის ადიუტანტი იმპერატორთან, გენერალისიმუსთან, ფელდმარშალთან. მე-19 საუკუნიდან 1917 წლამდე საპატიო წოდება, რომელსაც ანიჭებდნენ იმპერიის ამაღლის წევრებს.

რუსეთის კაზაკთა ჯარის ოფიცერთა შიშაღმწიფობის ჩინები, წოდებები

სორუნეი — კაზაკთა ჯარის უმცროსი ოფიცერი. შეესაბამება პოდპორუჩიკს და კორნეტს რეგულარულ არმიაში.

სოზნიკი — კაზაკთა ჯარის ქვეანყოფილების ობერ-ოფიცერი. შეესაბამება პორუჩიკის ჩინს რეგულარულ არმიაში.

პოდესაული — კაზაკთა ჯარის სამხედრო ჩინი (1884-1917). შეესაბამება შტაბს-კაპიტანს და შტაბს-როტმისტრს.

ესაული — კაზაკთა ჯარის სამხედრო ჩინი (1798-1917). შეესაბამება კაპიტანს და როტმისტრს. ესაული მეთაურობდა ასეულს.

პოიისკოვოი სტარშინა — კაზაკთა ჯარის სამხედრო ჩინი. შეესაბამება 1754-დან – მაიორს, 1885-დან – პოდპოლკოვნიკს. მეთაურობდა კაზაკთა რაზმს, პოლკს.

ნაკაზნოი ატამანი — კაზაკთა ჯარის მთავარი წინამძღოლი ან კაზაკთა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის უფროსი. სარგებლობდა სამხედრო და სამხედრო-ადმინისტრაციული ხელისუფლებით (1723-1917).

ინფანტარია: ქვეითი ჯარი რუსეთში.

ბრენადერები: (ფრანგ.), ქვეითი ჯარის გვარეობა მე-17-20 სს. ევროპის არმიებში. თავდაპირველად გრანადერს უწოდებდნენ გრანატმტყორცნელ ჯარისკაცებს. რუსეთში ბრენადერთა ასეულები პირველად ჩამოაყალიბეს 1694 წელს, შემდეგ შეიქმნა პოლკები და დივიზიებიც.

დრაგუნები: (ლათინ. draco-დრაკონი) რუსეთში დრაგუნების პირველი პოლკი 1631 წელს შეიქმნა, ხოლო 18 ს. დასაწყისში მთელი კავალერია დრაგუნების ყაიდაზე ყალიბდებოდა. 1882 წლიდან საარმიო კავალერიის ყველა პოლკს დრაგუნთა პოლკები დაერქვა. გაუქმდა 1918 წლის დასაწყისში.

ულანები: (პოლონ., თურქ.-ჭაბუკი) მსუბუქი კავალერიის სახეობა მე-16ს. გაჩნდნენ ლიტვასა და პოლონეთში მე-18ს. ულანების პოლკები შეიქმნა ავსტრიასა და პრუსიაში, ხოლო მე-19ს. საფრანგეთში. ულანები შეიარაღებულნი იყვნენ ჯერ ხმლებითა და ფლუგერიანი შუბებით, მოგვიანებით – პისტოლეტებით, კარაბინებით. რუსეთში პირველი პოლკები 1803 წ. შეიქმნა. 1914 წლისათვის რუსეთის არმია 2 გვარდიის და 17 საარმიო ულანის პოლკს ითვლიდა.

ჰუსარები: (უნგ.-huszar), კავალერიის გვარეობა. პირველად გაჩნდა უნგრეთში (1458). მე-17ს. რუსეთში უცხოელთაგან იქმნებოდა ჰუსართა ფორმირებების ცალკე ნაწილები, 18-ე საუკუნიდან კი – რეგულარული რაზმები, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ხმლით, კარაბინითა და დამბაჩებით. ჰუსართა გენერალს ეცვა ლამაზი და მომხიბლავი მუნდირი.

გვარდია: (იტალ.-guardia), ჯარის რჩეული, პრივილეგირებული ნაწილი. რუსეთში პირველად გვარდია შეიქმნა პეტრი I 1700 წ. ამ შენაერთებს რუსეთში უწოდებდნენ ლეაიბ-გვარდიას. არსებობდა 1918 წლამდე სსრკ გვარდია შეიქმნა 1941 18.09.

ლეიბ-გვარდია: მონარქის პირადი დაცვა და რჩეული სამხედრო ნაწილების საპატიო სახელწოდება. რუსეთის იმპერიაში ეწოდებოდა ყველა გვარდიულ ნაწილს. „ლეიბს“ აგრეთვე უმატებდნენ არმიის იმ პოლკების სახელწოდებას, რომელთა შეფიც იყო იმპერატორი ან დედოფალი.

გენერალური შტაბი: სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მართვის მთავარი ორგანო. პირველად შეიქმნა მე-17ს. დამლევს საფრანგეთში გენერალ-კვარტირმაისტერის შტაბის სახელწოდებით. რუსეთში ამგვარი სახელწოდებით –1711წ. 1763 – გარდაიქმნა გენშტაბად. 1815-დან მისი სახელწოდება შეიცვალა მთავარი შტაბით, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა. 1827წ. გარდაიქმნა გენერალურ შტაბად. 1865წ. აღდგენილია ისევ მთ. შტაბის სახელწოდება. 1905წ. ისევ გენშტაბია, რომლის უფროსი უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა, 1908-დან კი – სამხედრო მინისტრს. სსრკ 1918წ. მისში შეიქმნა სრულიად რუსეთის მთავარი შტაბი. 1935 22.09-დან შეიქმნა სსრკ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი. საქართველოში შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი თავდაცვის სამინისტროში შედის.

ირეგულარული ჯარი: (ლათ.-არასწორი), ჯარი, რომელსაც არა აქვს მყარი და მუდმივი ორგანიზაცია. რუსეთში რეგულარული არმიის შექმნის შექმნის შემდეგ მსუბუქი კავალერიისა და კაზაკთა ჯარების სახით ირეგულარული ჯარიც არსებობდა მე-20 ს. დასაწყისში მის შემადგენლობაში შედიოდნენ დაღესტნისა და ყუბანის მილიცია, დაღესტნის ცხენოსანთა პოლკი და თურქესტანის ცხენოსანთა დივიზიონი.



თურქეთის ჩასახლება

მუშირი: (თურქ.-sarasker), ოსმალეთის იმპერიაში უმაღლესი სამხედრო წოდება. შეესაბამებოდა მარშლის წოდებას.

სარასკერი: (თურქ.), ოსმალეთის იმპერიაში თავდაპირველად არმიის მთავარსარდალი, მე-19 ს. – სამხედრო მინისტრი. მე-16 ს. ბოლოდან ამ ტიტულს ატარებდნენ დიდი ვეზირის მოადგილეები, რომლებიც ჯარებს ხელმძღვანელობდნენ. გაუქმდა მე-20 ს. დასაწყისში.

სარდალი: (სპარ. სარდარი) ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში და საქართველოში ჯარების ხელმძღვანელი, უფროსი, მეთაური.

ფაშა: (თურქ.), უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელეების ტიტული ოსმალეთის იმპერიაში. მე-19 ს. რეფორმებისა და რეგულარული ჯარის შექმნის შემდეგ ფაშა გენერლებისა და მინისტრების საპატიო ტიტული გახდა. მას თურქეთში მხოლოდ გენერლებს ანიჭებდნენ. ფაშას ტიტული გაუქმდა: თურქეთში – 1934, ეგვიპტეში – 1952, ერაყში – 1958 წელს.

ფარიკი: ოსმალეთის იმპერიის ჯარში სამხედრო წოდება, შეესაბამებოდა გენერალ-ლეიტენანტს

თოფჩიბაში: (თურქ. თოფჩი – მეზარბაზნე, ბაში - თავი), მეზარბაზნეთა (არტილერიის) უფროსი. სამხედრო თანამდებობა ირანსა და ოსმალეთში. შაჰ აბას I-ის დროს სპარსეთში შეიქმნა თოფჩანა (არტილერიის პარკი) და არტილერიისტთა (თოფჩიების) რეგულარული ნაწილები, რომელთაც სათავეში თოფჩიბაში ედგა.

მინგაში: (აზერ. მინ – ათასი, ბაში - უფროსი) ათასეულის უფროსი. მე-18 ს. მე-2 ნახევრიდან მინბაში იყო ჯარის მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც ჯარის წვრთნაც ევალებოდა.

თული: ცხენის ძუა ან ტიბეტური ხარის – იაკის კუდი, თურქთა ძველი ტოტემური ემბლემა, მოოქროვილი სპილენძის ან ძვლის ბურთულით დაბოლოებულ ხის გრძელ ტარზე მიბმული ცხენის ძუა. თული ოსმალთა სახელმწიფოს დიდ მოხელეთა უფლებამოსილებისა და სამხედრო წოდების ნიშანი იყო. ზოგჯერ თული თავსაბურავებზეც ჰქონდათ დამაგრებული.



ს ა ზ ც მ თ ა კ ა ვ შ ი რ ი

1935 წლამდე საბჭოთა არმიაში და სამხ.-საზღ. ფლოტში სამხედრო წოდებები განირჩეოდა დაკავებული თანამდებობებით. სსრკ ცაკ-ის და სასკომსაბჭოს დადგენილებით 1935 22.09 დაწესდა პერსონალური სამხედრო წოდებები - წითელარმიელი, ათმეთაური, უმცროსი ოცმეთაური, ზემდეგი, ლეიტენანტი, უფ. ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი, კომბრიგი, კომდივი, კომკორი, მე-2 და 1-ლი რანგის კომანდარმი; სამხ.-საზღ. ფლოტში - წითელფლოტელი, ათმეთაური, ზემდეგი, ლეიტენანტი, უფ. ლეიტენანტი, კაპიტან-ლეიტენანტი, მე-3, მე-2 და 1-ლი რანგის კაპიტანი, მე-2 და 1-ლი რანგის ფლაგმანი, მე-2 და 1-ლი რანგის ფლოტის ფლაგმანი; არმიის და ფლოტის სამხ.-პოლიტ. შემადგენლობისთვის: პოლიტხელი, უფ. პოლიტხელი, ბატალიონის, პოლკის, ბრიგადის, დივიზიის, კორპუსის კომისარი, მე-2 და 1-ლი რანგის არმიის კომისარი. 1939 01.09 შემოღებულ იქნა პოდპოლკოვნიკის წოდება.

1940 07.05 საერთო საჯარისო უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობისათვის იყო შემოღებული გენერლების (გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-პოლკოვნიკი, არმიის გენერალი) და ადმირალების (კონტრ-ადმირალი, ვიცე-ადმირალი, ადმირალი, ფლოტის ადმირალი) სამხედრო წოდებები.

სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალებისა და ჯარების გვარეობათა გენერლებისთვის დაწესდა წოდებები გ.-მაიორიდან გ.-პოლკოვნიკამდე, შესაბამისი დასახელების მიმატებით (მაგ. ავიაციის გ.-მაიორი).

1942-1943 წლებში მოხდა სამხედრო წოდებების უნიფიკაცია და დაწესდა ერთიანი პერსონალური სამხედრო წოდებები, რომლებიც არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991).

კომბრიგი: საბჭ. არმიის სახმ. ჯარებისა და სამხ.-საპ. ძალების უმაღ. მეთაურთა შემადგენლობის პირველადი სამხედრო წოდება (1935 22.09 - 1940 07.05). მოსდევს პოლკოვნიკს. საყელოსა და სამკლავე ფერად დანაკერებზე ატარებდნენ 1 რომბს.

კომდივი: საბჭ. არმიის სახმ. ჯარებისა და სამხ.-საპ. ძალების უმაღ. მეთაურთა შემადგ. სამხ. წოდება (1935 22.09 - 1940 07.05). მოსდევს კომბრიგს. ატარებდნენ 2 რომბს.

კომკორი: საბჭ. არმიის სახმ. ჯარებისა და სამხ.-საპ. ძალების უმაღ. მეთაურთა შემადგ. სამხ. წოდება (1935 22.09 - 1940 07.05). მოსდევს კომდივს. ატარებდნენ 3 რომბს.

კომანდარმი: საბჭ. არმიის სახმ. ჯარებისა და სამხ.-საპ. ძალების უმაღ. მეთაურთა შემადგ. სამხ. წოდება (1935 22.09 - 1940 07.05). მოსდევს კომკორს. მე-2 რანგის კომანდარმი ატარებდა 4 რომბს, 1-ლი რანგის - 4 რომბს ვარსკვლავით.

ბრიგადის კომისარი: საბჭ. არმიისა და ფლოტის პოლიტ. ხელმძღვანელის სამხ. წოდება. შემოღებულია 1935 22. 09. მოსდევს პოლკის კომისარს, 1 რომბი.

დივიზიის კომისარი: საბჭ. არმიისა და ფლოტის პოლიტ. ხელმძღ. სამხ. წოდება. შემოღებულია 1935 22.09. მოსდევს ბრიგადის კომისარს, 2 რომბი.

კორპუსის კომისარი: საბჭ. არმიისა და ფლოტის პოლიტ. ხელმძღ. სამხ. წოდება. შემოღებულია 1935 22.09. მოსდევს დივიზიის კომისარს, 3 რომბი.

არმიის კომისარი: საბჭ. არმიისა და ფლოტის პოლიტ. ხელმძღ. სამხ. წოდება. შემოღებულია 1935 22. 09. მოსდევს კორპუსის კომისარს. არმიის მე-2 რანგის კომისარი - 4 რომბი, 1-ლი რანგის - 4 რომბი და ვარსკვლავი.

გენერალ-მაიორი: მოსდევს პოლკოვნიკს. შემოღებულია 1940 07.05. სამხ.-საზღვ. ფლოტში შეესაბამება კონტრ-ადმირალს.

გენერალ-ლეიტენანტი: მოსდევს გენერალ-მაიორს. შემოღებულია 1940 07.05. სამხ.-საზღვ. ფლოტში შეესაბამება ვიცე-ადმირალს.

გენერალ-პოლკოვნიკი: მოსდევს გენერალ-ლეიტენანტს. შემოღებულია 1940 07.05. სამხ.-საზღ. ფლოტში
შეესაბამება აღმირალს.

არმიის გენერალი: მოსდევს გენერალ-პოლკოვნიკს. შემოღებულია 1940 07.05. სამხ.-საზღ. ფლოტში
შეესაბამება ფლოტის აღმირალს.

მარშალი: (ფრანგ. marchal) უმაღლესი სამხ. წოდება (ჩინი) ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში.
პირველად შემოიღეს საფრანგეთში მე-16 ს. მარშალს ჰქონდა განსაკუთრებული განსხვავებული ნიშანი - მარშლის
